www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

პარასკევი, 12 მარტი, 2004 წელი. №60 (609)

ფასი 50 თეთრი

# გარდაცვალების შემდეგ დამსახურებული პატივი და ორდენები

ბექა სისაური
*ქუთაისიდან*

*გუშინ, ქუთაისში, 5 მარტს ავტომობილის გამტაცებელთა დაკავების ოპერაციისას დაღუპული სამი პოლიციელის: გიორგი ხატიაშვილის, როინ რობაქიძისა და ნუგზარ შვანგირაძის დაკრძალვის ცერემონია გაიმართა.*

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს გარდაცვლილ პოლიციელთა ცხედრები თავდაპირველად ქუთაისის ხარების სახელობის ეკლესიაში დაასვენეს, სადაც პანაშვიდი ქუთათელ-გაენათელმა ეპისკოპოსმა მეუფე კალისტრატემ გადაიხადა. მოგვიანებით კი ისინი ხარების სახელობის ეკლესიის ეზოში გადაასვენეს. ცერემონიალს, დაახლოებით, 1000-მდე ადამიანი ესწრებოდა. მიცვალებულებს საქართველოს ხუთჯვრიანი დროშა ეფარათ და პოლიციის მუნდირში გამოწყობილი საპატიო ყარაული ედგათ.

გაგრძელება A7 გვერდზე



*კრიმინალებს არ ვაბოგინებთ - ასეთი პირობა დადო დაღუპული პოლიციელების დაკრძალვაზე პრეზიდენტმა.*

# საქართველოს მსოფლიო რანგის საგარეო საქმეთა მინისტრი ეყოლება

ვერიკო თევზაძე

*საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გუშინ საღამოს მასმედიას აუწყა, რომ საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე პარლამენტს სალომე ზურაბიშვილის კანდიდატურას წარუდგენს. ამის შესახებ სააკაშვილმა, საფრანგეთში ვიზიტის დროს, პრეზიდენტ შირაკს თხოვნით მიმართა. შირაკმა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა საბოლოო გადაწყვეტილება დღეს ამცნეს სააკაშვილს. ინფორმაცია საფრანგეთში ქართული ემიგრაციის მემკვიდრის, სალომე ზურაბიშვილის საქართველოში დაბრუნების შესახებ თბილისის დროით, საღამოს რვა საათზე, ხოლო პარიზის დროით, ხუთ საათზე პირველად მიხეილ სააკაშვილმა გაახმოვანა. ათი წუთის შემდეგ ფრანგულმა მხარემ გააკეთა განცხადება.*

გაგრძელება A8 გვერდზე



*საქართველოს საგარეო საქმეთა ახალი მინისტრი სალომე ზურაბიშვილი.*

# უდიდესი ტერაქტი ესპანეთის ისტორიაში

ლევან ღირსიაშვილი

2004 წლის 11 მარტი ყველაზე სისხლიან და ტრაგიკულ დღედ დარჩება ესპანეთის ისტორიაში, მას შემდეგ, რაც 1975 წელს ამ ქვეყანაში ფრანკოს დიქტატურის ეპოქა დასრულდა და დემოკრატიული წყობა დამყარდა. გუშინ მადრიდის ცენტრალურ სადგურ "ატოჩაში" აფეთქებების სერია განხორციელდა, რასაც 180-მდე ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, ხოლო 400-ზე მეტი დაიჭრა.

ტრაგედია დილით მოხდა. "ატოჩას" სადგურში ხუთი აფეთქება ზედიზედ განხორციელდა. "ატოჩა" უდიდესი სატრანსპორტო კომპლექსია, რომელიც მადრიდის ცენტრში მდებარეობს. ტერაქტის განხორციელებაში პირველივე ეჭვმიტანილად ბასკების ტერორისტული ორგანიზაცია "ეტა" გამოცხადდა. ამ ვარაუდის საფუძველს 29 თებერვალს "ეტას" ორი წევრის დაპატიმრება წარმოადგენს. მათ ავტომანქანაში პოლიციამ 500 კილოგრამამდე ასაფეთქებელი ნივთიერება აღმოაჩინა. სამართალდამცავები ვარაუდობენ, რომ გუშინდელი ტერაქტის ავტორები და დაკავებულები ერთი ოპერაციის რგოლია.

**"ეს საშინელებაა! როდესაც "ეტა" თავდასხმებს აწყობს, ბასკთა გულები ათას ნაწილად იყოფა,"** - განაცხადა ბასკეთის ავტონომიური რეგიონის ხელმძღვანელმა ხუან ხოსე იბარეტქეჩმა.

**"ეს სწორედ ის დღეა ესპანეთის ისტორიაში, როდესაც სიცოცხლე აღარ გინდა. "ეტა" უნდა განადგურდეს!"** - განაცხადა ესპანეთის ოპოზიციური სოციალისტური პარტიის წარმომადგენელმა ხესუს კაპდერამ.

**"ეს ნამდვილი სასაკლაოა,"** - აცხადებს ესპანეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრეს–მდივანი ედუარდო საპლანა.

**"ტრაგედიის ადგილზე დახოცილი ადამიანების ნაწილებია მიმოფანტული. ორი ვაგონი მთლიანად განადგურებულია, მათ ქვეშ კი ადამიანთა გვამებია მიმოფანტული. ეს ყველაზე დიდი საშინელებაა, რაც მე მინახავს ჩემს ცხოვრებაში,"** - ამბობს ერთ-ერთი ესპანელი ექიმი.

**"პირველი აფეთქებისთანავე ხალხში პანიკა წარმოიშვა. ადამიანები წივილ-კივილით უმისამართოდ გარბოდნენ. ზუსტად ამ დროს მეორე აფეთქებაც მოხდა,"** - ჰყვება ტრაგედიის თვითმხილველი მადრიდელი.

გაგრძელება A5 გვერდზე




## ეკონომიკა

### "გაზპრომის" პოლიტიკური მისია

"გაზპრომის" თავმჯდომარემ ალექსეი მილერმა პოლიტიკური წრეების დავალება მიიღო და მის შესაბამისად მოქმედებს. მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას რუსული კონცერნის მიერ ბოლოს გადადგმული ნაბიჯები," – წერს რუსული ინტერნეტ-გამოცემა "გაზეტა. რუ".

A4

## უცხოეთი

### შესაძლებელია თუ არა რუსეთში თავისუფალი არჩევნები?

მოსკოვში ჰელსინკის ჯგუფის, რუსეთის ჟურნალისტთა კავშირისა და კომიტეტის "ანტიპუტინი-2008" ინიციატივით საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა, რომელზეც პუტინის ახალ ელიტას არასამთავრობო ორგანიზაციები დაუპირისპირდნენ.

A5

## საზოგადოება

### ბასილ მკალავიშვილი გამოჩნდა

გასული წლის ოთხ ივნისს ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ ბასილ მკალავიშვილს აღმკვეთი ღონისძიება შეუფარდა, რის შემდეგაც იგი ძებნაში იმყოფებოდა. როგორც მკალავიშვილის ადვოკატი დავით ჯალაბაძე აცხადებს, მკალავიშვილი არც არასდროს დამალვია პოლიციას.

A6

## სამართალი

### ოჯახურ ტრაგედიას სამი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა

გუშინწინ, დაახლოებით, საღამოს ცხრა საათზე, კობახიძის ქუჩის N5-ში მცხოვრებ ბიჭიკო გოლეთიანის ოჯახში საზარელი ტრაგედია დატრიალდა. ბიჭიკო გოლეთიანის ოჯახიდან სასწრაფო დახმარების მანქანებს თბილისის რესპუბლიკურ, მეცხრე და დიღმის საავადმყოფოებში მძიმედ დაჭრილი ოჯახის წევრები გადაჰყავდა.

A7

## პოლიტიკა

### აჭარიდან ამომრჩეველთა სია ჯერაც არ ჩამოსულა

აჭარის ხელმძღვანელობა ჯერაც არ გამოხმაურებია ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ზურაბ ჭიაბერაშვილის საკმაოდ მკვეთრ განცხადებებს, რომლის ადრესატები ავტონომიური რესპუბლიკის ექვსი საარჩევნო ოლქის თავმჯდომარეები არიან.

A8

## ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 9 |
| ქუთაისი | 10 |
| ბათუმი | 9 |
| სოხუმი | 8 |
| ფოთი | 10 |
| თელავი | 5 |
| ზუგდიდი | 11 |
| გორი | 4 |
| ახმეტა | 6 |
| ჭიათურა | 7 |
| გაგრა | 7 |
| სამტრედია | 10 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.9500 |
| ევრო | 2.3942 |
| გირვანქა სტერლ. | 3.5439 |
| რუბლი | 0.0682 |

## ასლან აბაშიძეს პრეზიდენტის მითითების შესასრულებლად ოთხი დღე დარჩა

გუშინდელ ბრიფინგზე ჟურნალისტებმა საქართველოს პრეზიდენტს, ბუნებრივია, აჭარის თემაზეც დაუსვეს შეკითხვები. სააკაშვილმა შემთხვევით ისარგებლა და ასლან აბაშიძეს კიდევ ერთხელ შეახსენა, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ლიდერმა უნდა დააკავოს ის პირები, რომლებიც ბათუმში, ქობულეთსა და სხვა ადგილებში ოპოზიციის დარბევებს ხელმძღვანელობდნენ. სააკაშვილმა დააკონკრეტა, რომ ასლან აბაშიძეს პრეზიდენტის მითითების შესასრულებლად ოთხი დღის ვადა დარჩა: **"თუ ოთხ დღეში აჭარის სამართალდამცავები არ დააკავებენ იმ პირებს, რომლებიც ოპოზიციის მიტინგების დარბევასა და სხვა უკანონო საქმეებში მონაწილეობას იღებდნენ, ცენტრალური ხელისუფლება იძულებული გახდება, ყველა სამართლებრივი საშუალება გამოიყენოს, რათა აჭარის ხელმძღვანელობამ პირადად აგოს პასუხი პრეზიდენტის მითითების უგულებელყოფის გამო."**

გაგრძელება A2 გვერდზე

## კახეთის "რენესანსი" იწყება

გიორგი ასანიშვილი

*კახეთი არასდროს ყოფილა განებივრებული ხელისუფლების მხრიდან ყურადღებით. თბილისში ყოველთვის მიაჩნდათ, რომ ამ კუთხის მოსახლეობა მომთმენია, ყველა გასაჭირს იტანს და ცენტრს არასდროს შეუქმნის პრობლემებს. ამიტომ, ერთგვარად მოულოდნელიც კი იყო, რომ "ვარდების მთავრობამ" თავისი მოღვაწეობა, პრაქტიკულად, კახეთის პრობლემატიკაზე "მუშაობით" დაიწყო. ზურაბ ჟვანიას მინისტრთა კაბინეტმა გუშინ მთელი დღე კახეთში გაატარა. რეგიონში აღმასრულებელი ხელისუფლების ვოიაჟს სახელმწიფო რწმუნებული პეტრე ცისკარიშვილი კურატორობდა.*

გაგრძელება A8 გვერდზე

## გსეკ-ი პოზიციებს არ თმობს

მაია ურუშაძე

*ამ ორი დღის წინ სემეკ-ის წევრების მიერ თანამდებობიდან გადადგომის თაობაზე მოულოდნელად მიღებულმა გადაწყვეტილებამ "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია" (გსეკ) საკმაოდ გაურკვეველ ვითარებაში ჩააყენა. "24 საათი" უკვე წერდა, რომ იმ სხდომის დღის წესრიგში, რომელიც ამ გადაწყვეტილების შედეგად ჩაიშალა, ენერგოსადისტრიბუციო გიგანტისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი თემა – "მცირე ლიცენზიანტებისათვის" ლიცენზიების ჩამორთმევის საკითხი იდგა.*

**"სემეკ-ის წევრთა მიერ გადადგმული ეს ნაბიჯი ჩვენთვის გასაკვირი იყო. ახლა ჩვენ მოგვიწევს, კომისიის ახალი წევრების დანიშვნას დაველოდოთ. იმედი მაქვს, რომ კომისიის ახალი შემადგენლობა იმ პოზიციას გაიზიარებს, რომელშიც საქართველოს ენერგოსექტორის ყველა საერთაშორისო დონორი ორგანიზაცია** (იგულისხმება მსოფლიო ბანკი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი)**, საქართველოს მთავრობა და უცხოელი მენეჯერები**

გაგრძელება A4 გვერდზე

A2 ამბები | A3 რეკლამა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 პოლიტიკა

B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 სპეცსამსახურები | B7 კვირის TV-პროგრამა | B8 სხვადასხვა

# კოდორის ხეობელები პოლიციამ გაუშვა



ემზარ კვიციანის მომხრეებისგან შევიწროებულმა ჟურნალისტმა ორი სიტყვის თქმა ძლივს მოახერხა.

"ნაციონალების" კოდორელ აქტივისტ ხეობაში პრეზიდენტის რწმუნებულის ემზარ კვიციანის მომხრეებმა გუშინ ჟურნალისტთა სახლში პრესკონფერენცია არ ჩაატარებინეს.

ოთარ გუჯეჯიანი კვიციანის მამიდაშვილი საბუთების წარმოდგენას აპირებდა. იგი ხეობის რწმუნებულს კორუფციასა და ხეობისთვის განკუთვნილი ჰუმანიტარული დახმარების არამიზნობრივად გამოყენებაში ადანაშაულებს.

პრესკონფერენცია რამდენიმე წუთის დაწყებული იყო, როცა დარბაზში კვიციანის მხარდამჭერი ქალბატონები შემოვარდნენ და გუჯეჯიანის გაჩერებას შეეცადნენ, სკანდალი რამდენიმე წუთს გაგრძელდა. **"შენ ხმა გაქვს ამისათვის? რა უფლება გაქვს, კოდორის სახელით რომ ლაპარაკობ? გააკეთე შენ ხმა, ხეობაში საერთოდ არ შემოგესვლება, ისეთი კაცი ხარ..."** – ძალიან ხმამაღლა განუმარტა გუჯეჯიანს ერთ-ერთმა ქალბატონმა და მისკენ მუშტით გაიწია.

კვიციანის მხარდამჭერები აცხადებენ, რომ გუჯეჯიანის გააქტიურების მიზეზი კოდორის ხეობის მდგომარეობა კი არა, ემზარ კვიციანის საკუთარ, რომელსაც, თურმე, "გუჯეჯიანი ხშირად სიზმარშიც ნახულობს."

კვიციანის მხარდამჭერები აცხადებენ, რომ 1992-93 წლებში, აფხაზეთის ომის დროს, ოთარ გუჯეჯიანმა ოჯახთან ერთად დატოვა ხეობა და "თბილისში არჩინად ცხოვრობდა". **"ემზარ კვიციანის ინიციატივით, ჩვენ, ადგილობრივმა მოსახლეობამ, კოდორის ხეობაში საქართველოს იურისდიქციის შენარჩუნება შევძელით, ახლა კი გუჯეჯიანი გამოჩნდა და კვიციანის წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყო, თანაც დამსჯელ მრავალრიცხოვანი ჯგუფიც ჩამოაყალიბა,"** – აცხადებენ ისინი.

კოდორელი რწმუნებულის მხარდამჭერთა აქტიურობის მიზეზიდან, გუჯეჯიანმა ორი სიტყვის თქმა მაინც მოახერხა. მისი განცხადებით, იგი ხელისუფლებისგან კოდორის ხეობაში მართვეელობის ახალი სისტემისა და ჯანსაღი ატმოსფეროს შექმნას მოითხოვს.

გუჯეჯიანი უარყოფს ემზარ კვიციანის მიმართ ბრალდებას იმის შესახებ, თითქოს მას ხეობაში რწმუნებულის თანამდებობა უნდა და საქართველოს ახალ ხელისუფლებასთან თანამშრომლობის სურს საკუთარი ამბიციების დაკმაყოფილება. იგი გუშინ ხშირად ახსენებდა, რომ ახალი ხელისუფლების აქტიური მხარდამჭერია და "ვარდების რევოლუციაში" მონაწილეობდა. გუჯეჯიანისა და კვიციანის მომხრეებს შორის განცდა–გამოხსვა ნახევარ საათზე მეტხანს გრძელდება, ვიდრე ჟურნალისტთა სახლი პოლიციელებმა არ მოიხსნიერეს. სამართალდამცავთა დანახვაზე, დაპირისპირებული მხარეები დაიშალნენ. გუჯეჯიანი კი, თავის ოჯახთან ერთად, სიონში სალოცავად წავიდა.

*24 საათი*

# ასლან აბაშიძეს პრეზიდენტის მითითების შესასრულებლად ოთხი დღე დარჩა

პირველი გვერდიდან

სააკაშვილი გუშინდელ ბრიფინგზე უყურადღებოდ არც ის დატოვებული დამიწერილების დაუფრავი, რომლებსაც საზოგადოების ხელისუფლება აჭარელ ტერენტიების სამართლით მიცემულია აჭარელ სტუდენტები – მიქრატამში და ჩაზოვანი თბილისიდან ბათუმში გაშვება ეწევება. **"მათ სტუდენტები ლამაზი თვალებისათვის არ გაუშვიათ. გამომიძიებენ არ არიან უდანაშაულოები და არანაირ სიბრალულს არ იმსახურებენ,"** – აცხადებს სააკაშვილი, რომელსაც ეჭვი აქვს, რომ გამოძიებაც და აჭარელ სტუდენტების შორის გარიგება მოხდა. საქართველოს პრეზიდენტი დარწმუნებულია, რომ აჭარის პრობლემა ერთხელ და სამუდამოდ მოგვარდება **"ერთიანი ქართული სახელმწიფოს სასარგებლოდ".**

სააკაშვილის რეკომენდაციით, ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარედ აჭარის ენერგეტიკის ყოფილი მინისტრი გიორგი თავაძე დაინიშნება. ამით პრეზიდენტი ხაზს უსვამს, რომ ცენტრალური ხელისუფლება რეგიონებში, სახელდობრ – აჭარაში, აღზრდილ კადრებს არ უგულებელყოფს.

*24 საათი*

# ასლან აბაშიძის მხარდამჭერთა რაზმმა საარჩევნო უბანი დაარბია

გუშინ ღამით, ქედის რაიონში მოქმედმა ასლან აბაშიძის მხარდამჭერთა რაზმმა ამავე რაიონის წინორისის 29-ე საარჩევნო უბანი დაარბია და კომისიის წევრებს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. გაერთიანებული ოპოზიცია "ჩვენი აჭარის" კოორდინატორის თამაზ დიასამიძის ინფორმაციით, წინორისის 29-ე საარჩევნო უბანი ქედის რაიონის გამგებლის ელდარ დევაძეს დაქვემდებარებულმა, ასლან აბაშიძის მხარდამჭერთა რაზმმა სწორედ მაშინ დაარბია, როცა საუბნო კომისია 28 მარტისათვის დანიშნული საპარლამენტო არჩევნებისათვის მზადების ფარგლებში თავის მორიგ სხდომას ატარებდა.

დიასამიძის თქმით, საარჩევნო უბნის დარბევისას, ე. წ. სახალხო რაზმელებმა კომისიის წევრებს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს და მათგან ასლან აბაშიძის წინააღმდეგ პოლიტიკური აქტიურობის შეწყვეტა მოითხოვეს.

ასლან აბაშიძის ხელისუფლება საპარლამენტო არჩევნებზე აჭარის ყველა ქალაქსა და სოფელში მისი დაფინანსებით შექმნილ შეიარაღებულ მხარდამჭერთა აქტიურობაზე ამყარებს იმედს, - აცხადებს თამაზ დიასამიძე. მისივე თქმით, კომისიის სხდომის ჩაშლა ე.წ. სახალხო რაზმელებმა მას შემდეგ გადაწყვიტეს, როცა გაიგეს, რომ "ჩვენი აჭარის" წარმომადგენლების ამომრჩეველთან შეხვედრა სოფელ წინორისში არ შედგა, მათ კი სწორედ ამ დაგეგმილი შეხვედრის ჩაშლა ჰქონდათ განსაზღვრული.

*ინტერ-პრესი*

# აბაშიძის მოწინააღმდეგე პროფესორ-მასწავლებლებს ორიგინალური ხერხით ზღუდავენ

ბათუმის უნივერსიტეტის დიდმა საბჭომ ასლან აბაშიძის ხელისუფლებისადმი ოპოზიციურად განწყობილ და "ჩვენ აჭარაში" გაერთიანებულ, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლების პოლიტიკური აქტიურობისგან ჩამოშორების ორიგინალურ ხერხს მიმართა. მათ ყოველდღიური სალექციო დატვირთვა გაუზარდა და დღეში 6-6 საათი ლექციების ჩატარება დაავალა. სალექციო დატვირთვის გაზრდა უნივერსიტეტის დიდი საბჭოს გადაწყვეტილებით, ძირითადად, იმ 25 პროფესორ-მასწავლებელს შეეხო, რომელთა ხელმოწერითაც 3 მარტის გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნდა სტატია "კმარა ბალვაშობა, სეპურობა, ანუ ნადი ასლან."

ბათუმის უნივერსიტეტის პოლიტიკურად აქტიურ პროფესორ-მასწავლებელთა განცხადებით, ასლან აბაშიძის თანამებრძოლება, უნივერსიტეტის რექტორის ხურო ვერძაძე ოპოზიციისთვის ასეთი დატვირთვის იმედზე დატვირთვა, რომ მათ წინასაარჩევნო პერიოდში საზოგადოებასთან შეხვედრებისათვის ვერ მოიცალონ. უნივერსიტეტის ოპოზიციური თანამშრომლები მტკიცებენ, უნივერსიტეტის დიდმა საბჭომ გუშინწინ გამართულ სხდომაზე დაადგინა უნივერსიტეტის თანამშრომლებს ხელმოწერით "24 საათში" გამოქვეყნებული სადაზეთო სტატიის მონდობების და თანამშრომლებს იმავე გაზეთში საპასუხო წერილის გამოქვეყნებას დაჰპირდა.

*ინტერ-პრესი*

# "ბატონებო, მე, უბრალოდ, საბიუჯეთში ვარ..."

### იტალიელი ინვესტორის წარმომადგენელი სახელმწიფო კომისიის მუშაობით უკმაყოფილოა

რუსთავის მეტალურგიული კომბინატის იტალიელი ინვესტორი გალერხინებულია. "არესის" წარმომადგენელი ალექსანდრე სერიოგინი უკიდურეს გაღიზიანებას არც მალავს და ქართველების მისამართით არ იშურებს შეურაცხმყოფელ სიტყვებს: **"დურდომ", "დურაკი"...** თუმცა იქვე ავლებს, რომ ეს პრესაში დასაწერად არ უთქვამს.

**"რუსთავის მერმა გამოგვიცხდა, თუ გინდათ ჯართი გაიტანეთ, ჩემთან შეთანხმებით. გეკითხებით, სად არის ასეთი კანონი, რომ ჩვენი სამეურნეო საქმიანობა ქალაქის ხელმძღვანელობას უნდა შეეუთანხმოთ? ამასთან ერთად, ის მადლობას უხდის იმათ, ვინც ხელი შეუწყო უკანონობას... ბატონებო, მე, უბრალოდ, საბიუჯეთში ვარ!"** - ასე გადაუშალა გული სერიოგინმა "24 საათს".

საკმაოდ საინტერესოა პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას მიერ შექმნილი იმ სახელმწიფო კომისიის მისეული შეფასებაც, რომელიც უკვე მეორე თვეა, მეტალურგიული კომბინატში შექმნილ მდგომარეობას სწავლობს.

**"გუშინ იტალიის საელჩოში დიპლომატებთან ერთად ვიმყოფებით და სახელმწიფო კომისიაზე დავჩივლეთ. კომისიამ არ იცის, რა უნდა, კომისია უძლურია, თავისი პოზიცია ჩამოყალიბოს; კომისიას არ შეუძლია პოლიტიკურ დასკვნის გაკეთება.**

**ჩვენ უბრალო კითხვას ვსვამთ - ყველაფერი, რაც გავაკეთეთ, კარგია თუ ცუდი? ის ადამიანები, რომლებსაც გავგზავნეთ, რა ხდება, იტყვიან, რომ კარგია, კომისია კი არაფერს ამბობს.**

**სხდომაზე ოთხჯერ მაინც ვკითხე: გამაგებინეთ, რა ხდება... იგივე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ იტალიის საელჩოს წარმომადგენლები. მათ იქ თქვეს, რომ შესაძლოა ამ პროექტში იტალიის სახელმწიფო ჩაერთოს და ეს არის გარანტია, რომ ჩვენ სერიოზული ევიქმე გადაწყვეტილება ექ რაღაც მეცვალოთო. ეს განცხადება კომისიამ ვერ აღიქვა. უბრალოდ, მასზე რეაგირება არავის ჰქონია.**

**სამწუხაროდ, ცენტრალურ ოფისს არ სურს ამ პროექტის დაფინანსება მანამ, სანამ საქართველოს ხელისუფლებასთან ურთიერთობები არ გაირკვევა. გუშინ მე სახელმწიფო კომისიის ზოგიერთი წევრისგან ისეთები მოვისმინე, რომ... ნე დლია პეჩატი, ია ოტ დურაკოვ უსტალ ვ რასიი..."** - "არესის" წარმომადგენლის ამგვარი, პირდაპირ რომ ვთქვათ, შეურაცხმყოფელი დამოკიდებულება საქართველოს ხელისუფლების მიერ შექმნილი კომისიისადმი მანამდე არ გამოჩენილა - ის თითქმის დარწმუნებულია, რომ ამჟამინდელი ხელისუფლება წინამდგომელი პრემიერ-მინისტრის ჰქონდა ყველა მოთხოვნა. შეგვახსენებს და ისე როგორ შეიძლება მან ხელისუფლებამ იტალიელებს ყველაზე სანარ გარანტიას აძლევდა, ახლა კი სასამართლოში საქმის მოგება ბროძარშიც ვერ მისცა.

**"ქართული მხარე მინისტრებისა და პრეზიდენტის დონეზე სასწრაფოდ მუშაობის დაწყებას გვთხოვდა. როცა თავად პრეზიდენტი გვხოვს ქარხნის ამუშავებას და ამბობს, ჩვენ ყველაფერს მოვაგვარებთ, რა უნდა ვქნა? ამბობენ გადავიდეთ ურთიერთობები და ქარხანა იურიდიული ფორმალობების მოგვარებამდე გავუშვათ ამუშავებო,"** - იხსენებს სერიოგინი. მისი თქმით, იტალიურ მხარეს უკვე მზად აქვს ახალი რეაბილიტაციის პროგრამა, რომელიც იტალიის წამყვანმა სპეციალისტებმა შეიმუშავეს და რომელიც წარმოების საკეთილდღეოდ აუცილებელია.

მეტალურგიული კომბინატიდან ჯართის გატანაზე საუბარი ასევე აღიზიანებს "არესის" წარმომადგენელს. ის ხაზგასმით იმეორებს, რომ იტალიურ მხარეს ერთი გრამი ჯართიც კი არ გაუტანია და იქვე ამბობს: **"ოქტომბერში 3 ათას ტონამდე ჯართი გაყიდა "რუსთავი მილმა", ჩვენთან შეთანხმებით. მე დავწერე, რომ ვაძლევდი უფლებას გაეყიდათ ეს ჯართი..."**

ეს იმას ნიშნავს, რომ ჯართის გატანის საკითხი იტალიელებმა გადაწყვიტეს, დოკუმენტაციაზე კი ხელი ქართველებმა, უფრო კონკრეტულად, "რუსთავი მილის" კომერციულმა დირექტორმა თამაზ შათირიშვილმა მოაწერა. დღეს შათირიშვილზე საქმეა აღძრული და პროკურატურა მას ეძებს. ქვემო ქართლის მხარის პროკურორი მამუკა ცაავა აცხადებს, რომ 3 ათასი ტონა საუკეთესო შავი მეტალი ქართულმა მხარემ შვეიცარიულ კომპანიას "ლარსენ სერვის ლიმიტედს" თავად ჩაუტანა ფოთში, დაუტვირთა გემზე და ტონაში 60 დოლარი გადაახდევინა. **"ფოთის პორტშივე შეიძლებოდა ამ ჯართის 80 დოლარად ჩაბარება,"** - ამბობს პროკურორი.

რუსთავის მეტალურგიული კომბინატის იტალიელ ინვესტორს გუშინ ბოლო შანსი ჰქონდა გაესაჩივრებინა რუსთავის სასამართლოს გადაწყვეტილება, მათთვის შპს "რამკ"-ის 98%-იანი წილის დათმობის ხელშეკრულების გაუქმების თაობაზე. **"მეეჭვება, რომ ღირდეს გასაჩივრება. ჩვენ, ადგილობრივ დონეზე, მუშაობისათვის მიუღებელი პირობები შეგვექმნა,"** - განაცხადა გუშინ სერიოგინმა. საპირისპირო განცხადება გააკეთა შპს "რამკ"-ის გენერალურმა დირექტორმა ირაკლი ჟორდანიამ. მისი თქმით, იტალიელები აუცილებლად შეიტანენ საკასაციო სარჩელს საოლქო სასამართლოში, რადგან არგასაჩივრების შემთხვევაში "არესი" ქარხნიდან წასულად ჩაითვლება.

დღეს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია რუსთავში ჩავა და "აზოტის" გარდა მეტალურგიულ კომბინატსაც მოინახულებს. ქარხანაში მისი ვიზიტისას, ალბათ, საბოლოოდ გაირკვევა, რას მოიმოქმედებენ იტალიელები უახლოეს პერიოდში.

*მაია მოსიაშვილი*

# მორიგი სადამკვირვებლო მისია




არჩევნების დამკვირვებელთა ახალი ორგანიზაცია.

28 მარტის საპარლამენტო არჩევნების მიმდინარეობას, სხვა სოლიდურ უცხოურ და ადგილობრივ დამკვირვებლებთან ერთად, მოძრაობა "ახალი თაობა - ახალი ინიციატივის" 2000-ზე მეტი დამკვირვებელი გააკონტროლებს. როგორც ამ ორგანიზაციის წარმომადგენლები აცხადებენ, მოძრაობა **"ახალი თაობა - ახალი ინიციატივის" მიზანია ქვეყანაში დემოკრატიული და სამართლიანი არჩევნების ჩატარება, საარჩევნო პროცესის მონიტორინგი და არჩევნების დღეს საარჩევნო უბნებსა და ოლქებზე გამოვლენილი დარღვევების დაფიქსირება".** 2004 წლის 10 მარტს დაფუძნებულ მოძრაობას უკვე საკმაოდ სერიოზული ამბიციები აქვს. ორგანიზაციის წარმომადგენელთა განცხადებით, დამკვირვებელთა ქსელი თითქმის მთლიანად მოიცავს საქართველოს საარჩევნო ოლქებს. სადამკვირვებლო მისია 60 საარჩევნო ოლქის დაფარვას აპირებს, მათ შორის ისეთის, როგორიცაა ბათუმის, ბოლნისის, მარნეულის, დმანისის, გარდაბნის ოლქები. თავად "ახალი თაობა – ახალი ინიციატივა" რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციათა ინიციატივით დაფუძნდა. ამ ორგანიზაციამ, IRI-თან და USAID-თან ერთად, უკვე მოამზადა სააგიტაციო კლიპები, რომელშიც მონაწილეობას იღებენ საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანები და ჟურნალისტები. დღეს კი, ოპერისა და ბალეტის აკადემიურ თეატრში, "ახალი თაობა - ახალი ინიციატივა" პირველ საპრეზენტაციო ფორუმს გამართავს.

*24 საათი*

# იმერეთში დამნაშავეთა დაჭერები გრძელდება

იმერეთის სამხარეო პოლიციამ ხონის რაიონის სოფელ ძეძილეთში ჩატარებული სპეცოპარაციის შედეგად დააკავა ყაჩაღობაში ეჭვმიტანილი ოთხი პირი. ისინი მიკროავტობუსის მგზავრების დაყაჩაღებაში არიან ეჭვმიტანილნი. ოფიციალური ინფორმაციით, 7 მარტს, დაახლოებით დღის ორ საათზე, ცაგერის რაიონის სოფელ მახურის ტერიტორიაზე ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით, პისტოლეტითა და გადაჭრილი თოფით შეიარაღებული ოთხი ბოროტმოქმედი თავს დაესხა წყალტუბოს მიმართულებით მოძრავ სამგზავრო მიკროავტობუსს. თავდამსხმელებმა იარაღის გამოყენებითა და მუქარით მიკროავტობუსის მგზავრებს წაართვეს ოქროს სამკაულები, მობილური ტელეფონები, მამაკაცის ტყავის ქურთუკები, ფული და სხვადასხვა დასახელების ნივთები. ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად პოლიციაში მიღებულ იქნა ინფორმაცია, რომ აღნიშნული პირები ხონის რაიონის სოფელ ძეძილეთში იმყოფებოდნენ. 10 მარტს ძეძილეთში სამხარეო პოლიციამ დააკავა: ზურაბ ყურაშვილი, დავით ჩიხლაძე, აბესალომ ბზიკაძე და მიხეილ ჩიხლაძე. ყურაშვილის სახლიდან ამოღებულია ოთხი ავტომატის მასრა, სპორტული პისტოლეტი, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი კონდახის გარეშე, "აკმ"-ის სისტემის ავტომატის ორი მჭიდი, მამაკაცის შავი ფერის ქურთუკი და მუყაოს კოლოფში არსებული სპეციფიკური სუნის ნივთიერება, რომლის სახეობასაც სამართალდამცავები ადგენენ. დავით ჩიხლაძეს ერთი ცალი "რგდ"-ს ტიპის ხელყუმბარა, ორი ცალი შავი ფერის ნიღაბი და ოთხი ცალი ავტომატის მასრა აღმოაჩნდა. ავტომატის მასრები აღმოაჩნდა აბესალომ ბზიკაძესაც, ხოლო მიხეილ ჩიხლაძეს მოპარული მობილური ტელეფონი "სიმენსი", თექვსმეტი კალიბრის ორლულიანი სანადირო თოფი და "f1" ტიპის ხელყუმბარა თავისი დეტონატორით. აღნიშნულ საქმეზე გამოძიებას აწარმოებს ცაგერის რაიონის პროკურატურა.

*ბექა სისაური*

# კახელი პოლიციელების ნადავლი

კახელ ძალოვანებს არც გუშინდელი დღე ჩაუტარებიათ უქმად. კორუმპირებული ჩინოვნიკების დაკავების პარალელურად ისინი ანტიკრიმინალურ ოპერაციებსაც ატარებენ. შინაგან საქმეთა კახეთის სამხარეო სამმართველოს კრიმინალური განყოფილების თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, 2003 წლის 10 სექტემბერს რუსთავის №2 სასჯელაღსრულების დეპარტამენტის კოლონიიდან გაქცეული პატიმარი, ჭიათურელი ვარლამ ბალაშვილი დააკავა. იგი სასჯელს 2001 წელს პოლიციის თანამშრომლებზე თავდასხმისთვის და ქურდობისთვის იხდიდა. როგორც კრიმინალური პოლიციის უფროსმა გოჩა ნაზღაიძემ განაცხადა, პატიმარი თავდაპირველად თავს ახმეტის რაიონს აფარებდა და არაერთ დანაშაულს სჩადიოდა, 28 თებერვალს კი ლაგოდეხის გზადკეცილზე, ქალაქ რუსთავში მცხოვრები ამირა მეგრელი დააყაჩაღა, რომელსაც 1200 ლარი და მობილური ტელეფონი წაართვა. გაქცეული პატიმარი ამჟამად თელავის პოლიციაშია გადაყვანილი, კახეთის სამხარეო პოლიციაში კი აცხადებენ, რომ ბალაშვილის მსგავსად, რეგიონს თავს რამდენიმე ძებნილი აფარებს. ვარლამ ბალაშვილს დაკავებისას აღმოაჩნდა თვითნაკეთი ორლულიანი თოფი, ხელყუმბარა და 12 გრამი ნარკოტიკული ნივთიერება მარიხუანა. გუშინვე იარაღის უკანონოდ შენახვისთვის გურჯაანის პოლიციამ სოფელ ახაშენში მცხოვრები 1960 წელს დაბადებული, ყაჩაღობისთვის ნასამართლევი აჩიკო მაზანიშვილი დააკავა. ჩხრეკის შედეგად მაზანიშვილის ბინიდან ამოღებულია 2 ხელყუმბარა, დეტონატორებთან ერთად, და 12 კალიბრიანი თოფი ვაზნებით. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, ძიებას კი საგამოძიებო დეპარტამენტის გურჯაანის განყოფილება აწარმოებს.

*ზვიად რუაძე*

# მიითვისა თუ არა თედიაშვილმა 10 მილიონი ლარი?

დიდი ხნის მსჯელობის შემდეგ გუშინ ოლიმპიური ჩემპიონი ლევან თედიაშვილი ძალოვანების წინაშე წარდგა. იგი კახეთის სამხარეო პოლიციის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა განყოფილების უფროსმა გამომძიებელმა ალექსანდრე გიოშვილმა დაკითხა. თედიაშვილი გამომძიებელთან ადვოკატის გარეშე გამოცხადდა. იგი ამ ფაქტს იმით ხსნის, რომ კანონმორჩილია და თავს თავად დაიცავს. **"არასასიამოვნო ფაქტია, როცა ვიღაცას დაიჭერენ, მე კი ყველანაირად ძიებაში ვარ ჩართული და ამიტომაც გამოვცხადდი გამომძიებელთან. თავს კი თავად დავიცავ, იმიტომ, რომ იურისტი ვარ",** - აცხადებს თედიაშვილი.

ლევან თედიაშვილით გამოძიება მას შემდეგ დაინტერესდა, როცა სააქციო საზოგადოება "კახეთის პურის" გენერალური დირექტორის ლადო მარხვაშვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. მოკვლეული მასალების მიხედვით გაირკვა, რომ მარხვაშვილმა, ლევან თედიაშვილის ახლობლის, გივი პოპიაშვილის მეშვეობით, ყალბი დოკუმენტაციის გაფორმების გზით, გაყიდა პენსიონერების წილი ფქვილი. გარდა ამისა, გამოძიება თედიაშვილის შავბნელი ბიზნესითაც დაინტერესდა. დეპუტატი კი ამ ბრალდებებს უსაფუძვლოდ მიიჩნევს და ჟურნალისტებთან ასეთ განმარტებას იძლევა: **"მე იმ დროს რეგლამენტი საშუალებას არ მაძლევდა, რომ ყველაფერი მეთქვა."** თუ რისი თქმა უნდოდა პარლამენტში თედიაშვილს, ამის შესახებ მან კომენტარის გაკეთება არ ისურვა. სამაგიეროდ, "რეგლამენტით" შეზღუდულ ჩვენებას ოლიმპიური ჩემპიონი, ალბათ, გამოძიებას მისცემს. ალექსანდრე გიოშვილის თქმით, ჩვენება, რომელიც მარხვაშვილმა და თედიაშვილმა მას მისცეს, ურთიერთგამომრიცხავია. ამის გამო, დეპუტატი ხელახლა დაიკითხება. შემდეგ კი ბიზნესმაქინაციებით დაკავებული ეს ორი ჩინოვნიკი ერთმანეთს დაუპირისპირდება, რადგან თავდაპირველად დასახელებული მითვისებული მილიონ ცხრაასი ათასი ლარი ათ მილიონამდე გაიზარდა. **"სიმართლე მაშინ გაირკვევა, როცა თედიაშვილს და მარხვაშვილს ერთმანეთს შევახვედრებთ. მარხვაშვილის მტკიცებით, ათი მილიონი ლარი თედიაშვილმა მიითვისა",** - ამბობს გიოშვილი.

*ზვიად რუაძე*

# ბათუმის რუსული ბაზა ძლიერდება

დღეს, ბათუმის სამხედრო ბაზას კიდევ 80 რუსი ჯარისკაცი დაემატება. სამხედრო მოსამსახურეები წუხელ, სომხეთიდან, გიუმრის სამხედრო ბაზიდან მატარებლით ჩამოიყვანეს. მატარებელი საქართველოს ტერიტორიაზე მხოლოდ რამდენიმე სადგურში მცირე ხნით შეჩერდა. გამყოლი ოფიცრები კომენტარს არ აკეთებდნენ და აცხადებდნენ, რომ მათ დავალება მიიღეს, მიაცილონ ჯარისკაცები ბათუმის ბაზამდე. ბათუმის სამხედრო ბაზის ხელმძღვანელობის ოფიციალური პასუხი კი ასეთია: მიმდინარეობს სამხედრო მოსამსახურეთა როტაცია.

*24 საათი*

# საბაჟოს კონტრაბანდასთან ბრძოლის ფუნქცია უკვე ოფიციალურად ჩამოერთვა

გუშინ ოფიციალურად გაუქმდა საბაჟოს კრიმინალური სამსახური, ანუ ამიერიდან კონტრაბანდული ნაკადების დევნა საბაჟო უწყების ფუნქცია აღარ იქნება. ამ ფუნქციას ახალი უწყება - ფინანსური პოლიცია შეასრულებს და მას მიხეილ სააკაშვილის კადრი – დავით კეზერაშვილი უხელმძღვანელებს.

საგადასახადო ინსპექციაში, ასევე შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროებში არსებული შესაბამისი სამსახურები ფინანსური პოლიციის შექმნამდე უკვე გაუქმდა. შესაბამისი კანონი პარლამენტმა ამ ერთი თვის წინ დაამტკიცა. სამსახურს თავისი საგამოძიებო და ოპერატიული დეპარტამენტები ექნება; მის სტრუქტურაში გაერთიანდება საიდუმლო და ანალიტიკური სამსახურები. ამ სტრუქტურაში სულ 400-მდე კადრის დაკავებაა გათვალისწინებული.

*24 საათი*

## ოფიციოზი

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება № 218

*2004 წლის 11 მარტი ქ. თბილისი*

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში წარმომადგენლის შესახებ.

მიეცეს რწმუნება მაკა სხირტლაძეს წარმოადგინოს საქართველოს პრეზიდენტის ინტერესები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში საქართველოს მოქალაქეების ნანა გოგოჭურის, ემზარ გრიგოლიას, შოთა მესხელის, გურამ აბსანძის, ჟანა გოგინავასა და გოჩა რაფავას კონსტიტუციურ სარჩელთან (№170/178/230/246 საქმეზე) დაკავშირებით.

*მიხეილ სააკაშვილი*

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება № 219

*2004 წლის 11 მარტი ქ. თბილისი*

ი. გოცირიძის ოჯახისთვის ფინანსური დახმარების გაწევის შესახებ.

ცნობილი ჟურნალისტის ირაკლი გოცირიძის გარდაცვალების გამო საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ (ზ. ნოღაიდელი) საქართველოს პრეზიდენტის ფონდიდან გამოუყოს ირაკლი გოცირიძის ოჯახს ერთდროული ფინანსური დახმარების გასაწევად 5000 (ხუთი ათასი) ლარი.

*მიხეილ სააკაშვილი*

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება № 220

*2004 წლის 11 მარტი ქ. თბილისი*

პ. ცინცაძის საჯარო სამართლის იურიდიული პირის-საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის წევრის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

გათავისუფლდეს პაატა ცინცაძე საჯარო სამართლის იურიდიული პირის-საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის წევრის თანამდებობიდან "ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ" საქართველოს კანონის მეშვიდე მუხლის პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტის შესაბამისად ნებაყოფლობით გადადგომასთან დაკავშირებით.

*მიხეილ სააკაშვილი*

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება № 221

*2004 წლის 11 მარტი ქ. თბილისი*

დ. ჩომახიძის საჯარო სამართლის იურიდიული პირის-საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის წევრის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

გათავისუფლდეს დემურ ჩომახიძე საჯარო სამართლის იურიდიული პირის-საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის წევრის თანამდებობიდან "ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ" საქართველოს კანონის მეშვიდე მუხლის პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტის შესაბამისად ნებაყოფლობით გადადგომასთან დაკავშირებით.

*მიხეილ სააკაშვილი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** გაერთიანებულ ოპოზიცია "ჩვენ აჭარას" 28 მარტისათვის დანიშნულ საპარლამენტო არჩევნებში აჭარაში შექმნილ 272 საარჩევნო საუბნო კომისიებში 2350-მდე წარმომადგენელი ეყოლება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** დღეს, რუსეთის მხარის შუამდგომლობით, საქართველოს სახელწიფო მინისტრი კონფლიქტების მოგვარების საკითხებში გოგა ხაინდრავა თვითგამოცხადებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს ედუარდ კოკოითს ცხინვალში შეხვდება. ხაინდრავას განცხადებით, შეთანხმება კოკოითის ხელისუფლებასთან შეხვედრის თაობაზე მოსკოვში, აფხაზეთის კონფლიქტის საკითხებში რუსეთის პრეზიდენტის პირად წარმომადგენელთან ვალერი ლოშჩინინთან გამართულ შეხვედრაზე იქნა მიღებული. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ზუგდიდი.** გუშინ ჭუბურხინჯის ოთხმხრივ შეხვედრაზე მონაწილეთა ფორმატი გაიზარდა. ქართული მხრიდან შეხვედრაში მონაწილეობა ქართული და აფხაზური შერეული ოჯახების კავშირის თავმჯდომარემ რეზო ბენდელიანმაც მიიღო.

ბენდელიანმა დააყენა საკითხი, რომ გალსა და ზუგდიდს შორის საავტომობილო მიმოსვლა უნდა აღდგეს და სამგზავრო ავტობუსებმა ენგურის ცენტრალური ხიდის გავლით უნდა იმოძრაონ. აფხაზური მხარე, ჯერჯერობით, კომენტარისგან თავს იკავებს და აცხადებს, რომ ამ საკითხს თავის ხელმძღვანელობას შეუთანხმებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** უკვე არჩეული მაჟორიტარი დეპუტატები ახალი პარლამენტის შეკრებამდე ტრენინგებს გაივლიან. მათ პარლამენტის ახალ რეგლამენტს შეასწავლიან და დებატების პროცესის შესახებ სემინარებს ჩაუტარებენ. ტრენინგები პარლამენტის სტრუქტურული რეორგანიზაციისა და რეფორმის პროექტის ფარგლებში განხორციელდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "სოციალისტები" ხელისუფლებას "საფლავის კარამდე მიჰყვებიან და სამარიდან ამოიღებენ, სანამ იგი პენსიონერებს დანაპირებს არ შეუსრულებს და პენსიას არ გაუორმაგებს", - ამგვარი განცხადება გუშინ "სოციალისტებმა" საარჩევნო პროგრამის პრეზენტაციაზე გააკეთეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაცია "ახალი თაობა - ახალი ინიციატივა" დღეს ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში სამოქმედო პროგრამის საპრეზენტაციო ფორუმს გამართავს. ფორუმზე წარმოდგენილი იქნება მოძრაობა "ახალი თაობა - ახალი ინიციატივის", საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტისა და აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ დამზადებული კლიპები, რომლებიც არჩევნებში საზოგადოების გააქტიურებისკენ არის მიმართული. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურის ასლან აბაშიძის უახლოესი გარემოცვის ყოფილი წევრი ლეონიდე ჟღენტი საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის ვანო მერაბიშვილის მდივნად დაინიშნა. **ინტერ-პრესი**

### საქართველოს ეროვნული ბანკის შეტყობინება სახაზინო ვალდებულებების აუქციონზე გაყიდვის თაობაზე

2004 წლის 17 მარტს შედგება სახაზინო ვალდებულებების აუქციონი. აუქციონზე გამოტანილი იქნება 10 000, 000 (ათი მილიონი) ლარის ღირებულების ნომინალური ღირებულების სახაზინო ვალდებულებები.

სახაზინო ვალდებულებების დაფარვა განხორციელდება 2004 წლის 15 სექტემბერს.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ განაცხადი დადგენილი ფორმით წარუდგინონ საქართველოს ეროვნულ ბანკს კომერციული ბანკების მეშვეობით არაუგვიანეს 2004 წლის 17 მარტის 10 საათამდე.

აუქციონის შედეგები სახაზინო ვალდებულებების მყიდველ ბანკებს ეცნობებათ იმავე დღეს და გამოქვეყნდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

აუქციონში მონაწილეობის მსურველნი გაცნობილნი უნდა იყვნენ "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სახაზინო ვალდებულებების გამოშვების, განთავსების, მიმოქცევის, აღრიცხვისა და დაფარვის შესახებ" დებულებას და აღიარებდნენ მის სავალდებულო შესრულებას. განაცხადის ფორმების მიღება შეიძლება ეროვნულ ბანკში ან ნებისმიერ კომერციულ ბანკში.

**აუქციონის კომიტეტი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.




## ნაკლებად ცნობილი მხარეები ბათუმის ნავთობის ტერმინალის შესახებ

ბათუმის ნავთობის ტერმინალის 95 %-ის მფლობელი უცხოელებია. მესაკუთრეებმა შეიტანეს შეერთებული შტატების კომბინირებული კერძო კაპიტალი (თავიდანვე OPIC-ის - აშშ-ს სახელმწიფო ორგანიზაცია - მიერ დაფინანსებული), ისევე როგორც შვეიცარიელმა და დანიელმა ინვესტორებმა.

ბათუმის ნავთობის ტერმინალი წარმოადგენს ერთ-ერთ უდიდეს ნავთობტერმინალს საქართველოში. ამ უკანასკნელის შემდეგ ადგილს იკავებენ სუფსისა და ფოთის ტერმინალები.

ბათუმის ნავთობის ტერმინალი ფლობს ნავთობპროდუქტების თითქმის 60 %-ს, რომელიც საქართველოს ნავთობის სატრანზიტო კორიდორით გადის მსოფლიოს სხვადასხვა ბაზარზე.

ბათუმის ნავთობის ტერმინალში იტვირთება მხოლოდ სარკინიგზო ხაზით შემოსული 17 სხვადასხვა სპეციფიკაციის ნედლი ნავთობი და ნავთობპროდუქტი. ის არც არსებულ და არც სამომავლოდ დაგეგმილ რეგიონალურ მილსადენებს არ უწევს კონკურენციას.

ბათუმის ნავთობის ტერმინალის მფლობელებმა 1999 წლიდან საქართველოში 75 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია დააბანდეს. აქედან 52 მილიონი აშშ დოლარი დაეთმო ტერმინალის რეაბილიტაციასა და მოდერნიზაციას.

ბათუმის ნავთობის ტერმინალში დასაქმებულია 2000-ზე მეტი ადგილობრივი მცხოვრები და ის აფინანსებს არაერთ სოციალურ და საქველმოქმედო პროგრამას.

ბათუმის ნავთობის ტერმინალის მფლობელები 2004 წლის ბოლოსათვის დაასრულებენ 5 წლიან საინვესტიციო პროგრამას საქართველოში. მათ 100 მილიონ აშშ დოლარზე მეტი ინვესტიცია აქვთ დაბანდებული ამ ქვეყანაში.



### გადატვირთვის მოცულობები




### გადატვირთვის ტარიფები




## ბათუმი ოილ ტერმინალ ლიმიტედი

**ბათუმი**
მაიაკოვსკის ქ. 4
ბათუმი, საქართველო
ტელ.: + 995 222 760 06
ფაქსი: + 75 01 940 45 07

**ლონდონი**
გროვენორის ქ. 18
ლონდონი, დიდი ბრიტანეთი
ტელ.: + 44 20 76 29 18 18
ფაქსი: + 44 20 74 99 84 35

**თბილისი**
თავისუფლების მოედანი, 4
თბილისი, საქართველო
ტელ.: + 995 32 922 567
ფაქსი: + 995 32 922 569

# "გაზპრომის" პოლიტიკური მისია

დიანა ჩაჩუა

**"გაზპრომის" თავმჯდომარემ ალექსეი მილერმა პოლიტიკური წრეების დავალება მიიღო და მის შესაბამისად მოქმედებს. მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას რუსული კონცერნის მიერ ბოლოს გადადგმული ნაბიჯები,"** – წერს რუსული ინტერნეტ-გამოცემა "გაზეტა.რუ"; კერძოდ, იგულისხმება ის, რომ გაზის რუსული გიგანტი პოლიტიკური გავლენის მოპოვებას პოსტსაბჭოური სივრცის ქვეყნებზე ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებით, უფრო ზუსტად კი – გაზის მიწოდებაზე კონტროლის მექანიზმების ამოქმედებით ცდილობს.

ამას მოწმობს ისიც, რომ ბელორუსის ბაზარზე "გაზპრომმა" ახალი მოთამაშე – "სიბური" გამოიყვანა. ნავთობის, გაზისა და ქიმიური მრეწველობის ამ ჰოლდინგში "გაზპრომი" აქციათა 90 პროცენტს აკონტროლებს. "სიბური" კი დღემდე "გაზპრომს" გაზის მიმწოდებლის როლში არასოდეს ჰყოლია. თუმცა, როგორც ჩანს, ახლა "გაზპრომი" ამ კომპანიის თავის სქემებში უფრო აქტიურად ჩართვას გეგმავს. ამ ორი დღის წინ "სიბურმა" "ბელტრანსგაზთან" ხელი მოაწერა ხელშეკრულებას ბელორუსისთვის გაზის მოწოდების თაობაზე.

მოლაპარაკების ფარგლებში "სიბური" 2004 წლის ბოლომდე მიაწოდებს რესპუბლიკას 1 მილიარდ კუბურ მეტრ გაზს, ამასთან მარტში - 200 მილიონს. ეს რაოდენობა მარტის ბოლომდე ბელორუსს არ ეყოფა. მარტის თვეში "ტრანსნაფტა" დამატებით განახორციელებს გაზის მიწოდებას 230 მილიონი კუბური მეტრის ოდენობით. "სიბურის" წარმომადგენლის ოპტიმისტური განცხადებით, მოწოდებული გაზის ფასი "ტრანსნაფტას" გაზის ფასის შესაბამისი იქნება, მაგრამ ამავე დროს ბელორუსიას დღემდე არ გადაუხდია "ტრანსნაფტასთვის" 2004 წელს უკვე მოწოდებული გაზის საფასური.

რაც შეეხება საქართველოსთან მიმართებაში შექმნილ სიტუაციას - "გაზპრომმა" გამოთქვა აზრი, რომ შეიძლება 2004 წლის 15 მარტიდან საქართველოში ორჯერ შეამციროს გაზის მოწოდება. ამის მიზეზად კი საქართველოს 7,4-მილიონიან ვალს ასახელებს. ამასთან, საქართველოზე გადის ძირითადი სატრანზიტო არტერია, რომლითაც რუსული გაზი მიეწოდება სომხეთს, სადაც ასევე დიდი პრობლემებია გადასახადებთან დაკავშირებით.

"გაზპრომი" საქართველოში გაზის მოწოდებას 2003 წლის პირველი ოქტომბრიდან ახორციელებს თავისი შვილობილი კომპანიის - "გაზექსპორტის" საშუალებით.

ანალიტიკოსი ალექსანდრა ვერტლიუგინა მიიჩნევს, რომ ალექსეი მილერმა ქვეყნის მთავრობასთან შეხვედრისას მიიღო კონკრეტული პოლიტიკური დავალებები ამ ორი ქვეყნის მიმართებაში და საკუთარ ეკონომიკურ პოლიტიკაში მათი რეტრანსლირება დაიწყო.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** თბილისს ბუნებრივი აირის მიწოდება არ შეუწყდება, - ასეთი განცხადება გააკეთეს გუშინ თბილისის მერიაში გამართულ შეხვედრაზე სათბობ-ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა, თბილისის მერმა ვანო ზოდელავამ და პრემიერის მოვალეობის შემსრულებელმა თემურ ქურხულმა. ქურხულის განცხადებით, გუშინ გამართულ შეხვედრაზე "ახალი მენეჯმენტის" ხელმძღვანელთან შეთანხმდნენ, რომ ეს ორგანიზაცია აიღებს 10-პროცენტიან კრედიტს 450 ათასი ლარის დავალიანების დასაფარად, რომელიც თბილისის მერიას "ახალი მენეჯმენტის" მართებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გერმანული ორგანიზაცია "ინვენტი" სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების ხელშემწყობი პროექტის განხორციელებას საქართველოდან იწყებს. თბილისის პრემიერის მოვალეობის შემსრულებელი თემურ ქურხული დღეს შეხვდა ამ ორგანიზაციის წარმომადგენელ რიხარდ რატკას. ამ უკანასკნელის თქმით, წლეულს 29 ივნისიდან 9 ივლისამდე თბილისში იგეგმება სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებისადმი მიძღვნილი სემინარი, სადაც სამხრეთ კავკასიის ქვეყნების წარმომადგენლებს გერმანელები ეკონომიკური პრობლემების მოგვარების გამოცდილებას გაუზიარებენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის თურქეთის სექციის ვადებში დასრულებას თურქეთში არსებული უამინდობა აფერხებს. ეს, ექსპერტთა ვარაუდით, ნავთობსადენის მშენებლობის დროულად დასრულებას ეჭვქვეშ დააყენებს. "თავის მხრივ, შეყოვნდება ბაქო-თბილისი-ერზრუმის მშენებლობაც, რადგან გაზსადენის მშენებლობის დაწყება მხოლოდ ნავთობსადენის მშენებლობის დასრულების შემდეგ გახდება შესაძლებელი," – აღნიშნეს "ბოტასის" სათაო ოფისში. **ინტერ-პრესი**


## "ს/ს თელასის" განცხადება

**ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:**

**12 მარტს, 11.00-დან 18.00-სთ-მდე:**
გურამიშვილის გამზირის(ნაწილობრივ), გვაზაურის, ჭიჭიკო ბენდელიანის, ცისარტყელას, ცოტნე დადიანის(ნაწილობრივ), დაისის, დიდი ჯიხაიშის, თორნიკე ერისთავის, გრუზინსკის, იმერეთის, ჯავის, კნოლევის, კოკინაკის, ხრესილის, ზესტაფონის, ტოროშელიძის, ბეჟანიშვილის(ნაწილობრივ), ქსოვრელის, ლომთათიძის, ქართველიშვილის ქუჩების მაცხოვრებლებს.

**12 მარტს, 12.00-დან 18.00-სთ-მდე:**
მშენებელთა, ავეჯის კომბინატის და ლითონკონსტრუქციების ქარხნის დასახლებების, მელითონეთა და სამრეწველო დასახლებების, მოსკოვის გამზირის(ნაწილობრივ), მოსკოვის გამზირის 2, 4 და 5 კვარტლების, სამხატვრო და სატანკო დასახლებების, ნავთლუღის 2-ე დასახლების, ოცხელის, ქინძმარაულის, კაიროს, მარელისის, ნაკადულის ქუჩების მაცხოვრებლებს.

**12 მარტს, 12.00-დან 15.00-სთ-მდე:**
5 ქუჩის, ანდრონიკაშვილის, ბარალეთის, ბაღნარის, ბიჭვინთის, ჩიქვანაიას, ფოცხიშვილის, ჯანჯღავას, კაჭარავას, ლიბანის, რევოლუციის, რიონის, სარაჯიშვილის, სკოლის, წერეთლის, ზაჰესის ქუჩების მაცხოვრებლებს.

**12 მარტს, 11.00-დან 16.00-სთ-მდე:**
სამხედრო დასახლების, გურამიშვილის გამზირის(ნაწილობრივ), თემქის III მიკრორაიონის I და IV კვარტლების, თემქის IV, X, Xა, Xბ და IX კვარტლების, თემქის IV მიკრორაიონის, თემქის XI მიკრორაიონის I და II კვარტლების, პეტრე ამირანაშვილის, ცოდნისკარის, გამყრელიძის, გარიყულის, ირემაშვილის, კაკაბაძის, საჩხერის, სადმელის, შატილის, სიხარულიძის, თიანეთის, ტყიბულის, ურეკის, ძმები გარიშვილების, ველისციხის, ხვანჭკარის ქუჩების მაცხოვრებლებს.

**12 მარტს, 10.00-დან 17.00-სთ-მდე:**
გურამიშვილის გამზირის(ნაწილობრივ), დიდუბის დასახლების, ჭოპორტის, ლიახვის, ჩარგლის, ახალდაბის, მოლითის, ედისის, გოგაშენის, ბჟოლითის, ვაზიანის, ჟველაურის, ზვარეთის, იფნის, დვირის, კვერნაულის, არალეთის, ჩაქვის, ღოღობერიძის, ცოტნე დადიანის(ნაწილობრივ), თორნიკე ერისთავის, გვაზაურის, ღრმაღელის ქუჩების მაცხოვრებლებს.

**15 მარტს, 11.00-დან 16.00-სთ-მდე:**
**წერეთლის გამზირის(ნაწილობრივ) მაცხოვრებლებს.**

**15 მარტს, 11.00-დან 15.00-სთ-მდე:**
ნუცუბიძის პლატოს 2 მიკრორაიონის 1, 2, 3, 4 და 5 კვარტლების მაცხოვრებლებს.

**15 მარტს, 11.00-დან 15.00-სთ-მდე:**
ჩიტაძის, ინგოროყვას, კოტეტიშვილის, მთაწმინდის, ნიაღვრის, ოძელაშვილის, უკრაინკას, ჭონქაძის, ყიფიანის, ზუბალაშვილების ქუჩების მაცხოვრებლებს.

## სს "თელასი" აცხადებს კონკურსს სასადილოს მოწყობის სარემონტო სამუშაოების შესრულებაზე

დაინტერესებულ ორგანიზაციებს სატენდერო დოკუმენტაციის წაღება შეუძლიათ 2004 წლის 12 მარტიდან; ხოლო საბუთების შემოტანის საბოლოო ვადაა 2004 წლის 24 მარტი; 17:00 საათამდე მისამართი:
**თბილისი, ვანის ქუჩა N3, III სართული, კონტრაქტებისა და შესყიდვების განყოფილება. ტელ: 77 98 55 / 53; 77 99 29**


# გსეკ-ი პოზიციებს არ თმობს

პირველი გვერდიდან

(იგულისხმებიან საბითუმო ბაზრის მმართველი "იბედროლა", "სახელმწიფო ელექტროსისტემის" მმართველი "ი-ეს-ბი-აი", "თელასის" მფლობელი "რაო ეეს როსიი" და თავად გსეკ-ის მმართველი "პი-ეი კონსალტინგი") **ერთსულოვანნი არიან,"** – განაცხადა "24 საათთან" საუბარში გსეკ-ის გენერალურმა დირექტორმა დინ უაითმა. მისი თქმით, ეს ერთ-ერთი იშვიათი გამონაკლისია, როცა ამ სექტორში აზრთა ასეთ თანხვედრას აქვს ადგილი. უაითი იმედოვნებს, რომ ეს საკითხის დადებითად გადაწყვეტას ხელს შეუწყობს. **"სემეკ-ი – ეს ის დაწესებულებაა, რომელსაც სისტემატურად სჭირდება გადაწყვეტილებების სასწრაფოდ მიღება. იმედია, მთავრობა მაქსიმალურად მალე დააკომპლექტებს მას,"** – აცხადებს უაითი.

სხვათა შორის, სემეკ-ის სავარაუდო წევრების თაობაზე წინასწარი ინფორმაციები უკვე ვრცელდება. საუბარია, რომ სემეკ-ის თავმჯდომარის პოსტზე, შესაძლოა, აჭარის ენერგოკომპანიის დირექტორი და საბითუმო ბაზრის აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარე გია თავაძე დაინიშნოს, სემეკ-ის წევრებად - მსოფლიო ბანკის ენერგეტიკული საკითხების ექსპერტის სოსო მელითაურისა და ენერგეტიკის დარგში შექმნილი კრიზისული მდგომარეობის შემსწავლელი დროებითი საპარლამენტო კომისიის ექსპერტ ოთარ გამყრელიძის კანდიდატურები სახელდება.

მანამდე, სანამ კომისია დაკომპლექტდება, "24 საათთან" სტუმრად მოსული გსეკ-ის გენერალური დირექტორი დინ უაითი "მცირე ლიცენზიანტების" წინააღმდეგ კიდევ ერთხელ ილაშქრებს, საქართველოს პრეზიდენტისადმი "24 საათში" გამოქვეყნებულ "მცირე ლიცენზიანტთა" მიმართვას პასუხობს და აბათილებს არგუმენტაციას, რომელთა მოშველიებითაც ეს უკანასკნელნი თავიანთი არსებობის აუცილებლობაზე საუბრობენ:

**"ჩვენ უკვე გვაქვს პრეცედენტები, როცა, მოლაპარაკების შედეგად, ასეთმა კომპანიებმა ლიცენზიები თავად ჩაგვაბარეს. ჩვენი პირველივე მოლაპარაკება რკინიგზასთან წარმატებით დასრულდა – მან ელექტროგამანაწილებლის ლიცენზიაზე უარი განაცხადა** (რკინიგზა დღემდე ფლობდა ენერგოდისტრიბუტორის ლიცენზიას და თავის მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებულ საწარმოო ობიექტებსა და მოსახლეობას შეღავათიანი ტარიფის გამოყენებით ემსახურებოდა) **და თავის ხელთ არსებული აქტივები ჩვენ გადმოგვცა. სხვა შემთხვევებშიც ასე უნდა მოხდეს. ის ხალხი, ვინც ამ კომპანიებს ფლობენ, დიდი ხანია, ენერგეტიკის სექტორში მუშაობენ და ხშირად ადგილობრივი პოლიტიკური ფიგურები არიან. მე მხარს ვუჭერ კერძო მეწარმეობას, მაგრამ იმ ჩრდილოვან საქმიანობას, რომელსაც ისინი ეწევიან, არ შეიძლება ლეგალური ბიზნესი დავარქვათ. სწორედ ასეთი კომპანიები არ მოდიან მოლაპარაკებაზე. მე არ მივიჩნევ კონკურენციად, როცა მომხმარებელს უხარისხო პროდუქციას აწვდი, და თან ძვირად. არც ისაა კონკურენცია, როცა მომხმარებელს სხვა კომპანიის კუთვნილი ხაზებით ემსახურები, და თან ამ კომპანიას ფულს არ უხდი,"** – ასეთია უაითის პოზიცია.



დინ უაითი "მცირე ლიცენზიანტებს" მოლაპარაკების მაგიდასთან ეპატიჟება.

მისი თქმით, არის ფაქტები, როცა მათთან გარიგებებზე გსეკ-ის თანამშრომლები მიდიოდნენ: **"ჩვენ გვყავს საგანგებოდ გამოყოფილი კადრი – იურისტი-კრიმინალისტი, რომელიც პროკურატურასთან თანამშრომლობს და ამ კავშირებს იკვლევს."** უაითი ვარაუდობს, რომ ასეთი ხალხი, ალბათ, ჯერ კიდევ დარჩენილია კომპანიაში, მაგრამ - ფილიალების დონეზე: **"პი-ეი კონსალტინგის" შემოსვლამდე ისინი ფილიალებშიც იყვნენ და სათავო ოფისშიც. ამჟამინდელ სამეთვალყურეო საბჭოში, ჩვენი ინფორმაციით, ერთ წევრს კიდევ აქვს პირადი ინტერესი. ამ ეტაპზე ჩვენ ამ საკითხებს ვიკვლევთ."** თუ გსეკ-ის ამერიკელი მენეჯერების ხელთ არსებული ინფორმაცია დადასტურდა, ქონების მართვის სააგენტოს შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება და ეჭვმიტანილის სამსახურიდან გათავისუფლება მოუწევს.

"24 საათის" კითხვაზე, თუ რატომ გადადგა ამერიკულმა კომპანიამ ასეთი მკვეთრი ნაბიჯი "მცირე ლიცენზიანტების" წინააღმდეგ და რატომ არ დაელოდა საბითუმო ბაზრის მხარდამჭერი პროექტის განხორციელებას (რომელიც, საბითუმო დონეზე გამრიცხველიანების შედეგად, "მცირე ლიცენზიანტებთან" ანგარიშსწორების საკითხებს თავისთავად მოაგვარებდა), დინ უაითის პასუხი შემდეგი იყო:

**"ჩვენ ამ ეტაპზე გაგვაჩნია საკმარისზე მეტი მტკიცებულება იმისათვის, რომ ეს ნაბიჯი სასწრაფოდ გადაგვედგა. საბითუმო მრიცხველების შეძენა, დამონტაჟება, შემდეგ ერთი თვის მოხმარების ანალიზი, შემდეგ ურთიერთშედარების აქტების წაკითხვა – ეს ყველაფერი დიდ დროს მოითხოვს. ჩვენ კი, უბრალოდ, დროს არ ვკარგავთ. რომ გვეცლია, ჩვენი დანაკარგები კიდევ უფრო გაიზრდებოდა. ამ ეტაპზე ჩვენ ქუთაისსა და იმერეთის რეგიონში დაწყებული გვაქვს ფართომასშტაბიანი რეორგანიზაცია და ვმუშაობთ, რომ დონორებისგან ამ რეგიონში ვითარების გაუმჯობესების მიზნით დამატებითი ინვესტიციები მოვიზიდოთ. საუბარია აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოდან დამატებით 4 მილიონი დოლარის მოზიდვის თაობაზე, ამ რეგიონში გამრიცხველიანების პროექტის განსახორციელებლად. ჩვენ ამ საკითხს ვერ დავძრავდით დონორებთან, თუ "მცირე ლიცენზიანტების" პრობლემა არ მოგვარდებოდა – არ გვექნებოდა გარანტია, რომ მათი მხრიდან ისევ არ მოხდებოდა მრიცხველების გაყალბება, დენის მითვისება."**

როგორც უაითმა "24 საათს" განუცხადა, კომპანია კიდევ ბევრ წინააღმდეგობას ელის, მაგრამ რეფორმის მოწინააღმდეგეთა ძალისხმევა ამაო იქნება: **"ჩვენ, დონორებმა, საქართველოს მთავრობის წინაშე ავიღეთ ვალდებულება, რომ ენერგეტიკაში ვითარებას გამოვასწორებთ. ამიტომ, კომპრომისები არ იქნება."**

# რა უნდა სომხეთს?

## "საქართველოს რკინიგზა" სომხეთისთვის შეღავათებს აწესებს

*"საქართველოს რკინიგზის" დამოკიდებულება სომხეთის რკინიგზასთან ბოლო პერიოდის აქტუალური თემაა. საქართველოს მხრიდან უცხოურ ტვირთებზე ტარიფების გაზრდამ სომხეთის მხარის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. თუმცა, მეორე მხრივ, საქართველოს რკინიგზის ხელმძღვანელობა ირწმუნება, რომ ტარიფების გაზრდის შესახებ გადაწყვეტილება მხოლოდ "შავი" ფინანსური ნაკადების "გათეთრებაზე" იყო გათვლილი. მიუხედავად ამისა, სომხურ მხარეს გაზრდილი ტარიფი ხელს არ აძლევს, რასაც საკმაოდ ხმამაღლა და ყველა დონეზე აფიქსირებს. რუსული საინფორმაციო სააგენტო "რეგნუმი" ავრცელებს ინფორმაციას, რომ საქართველოს პრეზიდენტი, ერევანში ვიზიტისას, სომხეთს სარკინიგზო გადაზიდვებზე 17 და 24 პროცენტიან შეღავათებს შესთავაზებს.*

დიანა ჩაჩუა

როგორც შპს "საქართველოს რკინიგზის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრმა გია ხუხაშვილმა "24 საათს" განუცხადა, შეღავათები უკვე ძალაშია: **"სომხეთთან ეს რეჟიმი ადრეც მოქმედებდა, მაგრამ ვადა გაუვიდა. ბუნებრივია, რომ სომხეთის მხრიდან გაჩნდა სურვილი, რეჟიმი გაგრძელებულიყო, ამიტომ მათ საქართველოს სახელმწიფო მინისტრს განცხადებით მიმართეს. შეღავათები უკვე ძალაშია."** შპს "საქართველოს რკინიგზაში" სომხეთის მიმართ გასატარებელ კონკრეტულ გეგმებს ვერ ასახელებენ და აცხადებენ, რომ ყველაფერს სომხებთან კონსულტაციები გადაწყვეტს.

რამდენიმე ხნის წინ, რუსულ საინფორმაციო საშუალებებში გამოქვეყნდა ინტერვიუ სომხეთის ერთ-ერთი უმსხვილესი სატრანსპორტო-ექსპედიტორული კომპანია "აპავენის" აღმასრულებელ დირექტორთან გაგიკ აგაჯანიანთან. სტატიაში რესპონდენტი საქართველოს "გამორჩევით და ექსპლუატაციურ" პოლიტიკაში ადანაშაულებს. ციტატა ინტერვიუდან: **"ჩემი შეხედულებით, იმისათვის, რომ საქართველო რუსეთზე გავიდეს - ეს კი დიდი ბაზარია - იგი აზერბაიჯანის ტერიტორიას იყენებს. სანაცვლოდ, აზერბაიჯანი ქართულ მარშრუტს შავ ზღვაზე და, ბუნებრივია, ევროპაში გასასვლელად გამოიყენებს. ხედავთ რაიმე აუცილებლობას ამ ქვეყნებს შორის ტარიფების აწევაზე?! რა თქმა უნდა, არა. სომხეთს საქართველოსთვის ირანის და თურქეთის მიმართულების თავისი გზით შეთავაზება რომ შეეძლოს, ის იმ შეღავათებს აუცილებლად მიიღებდა, რაც აზერბაიჯანს გააჩნია. უბრალოდ, ჩვენ შესათავაზებელი არაფერი გვაქვს. ამ კონტექსტში 24-პროცენტიანი შეღავათიც კი კარგ შედეგად უნდა ჩაითვალოს. ბოლოს და ბოლოს, არსებობს შემდეგი არგუმენტიც - საქართველს მიზანი ხომ არა მარტო აზერბაიჯანული ტვირთების მოზიდვაა, მთავარი მიზანი შუა აზიაა. რა თქმა უნდა, "საქართველოს რკინიგზა" სწორად იქცევა, რომ აზერბაიჯანში შეღავათებს აწესებს."** ამის პასუხად ხუხაშვილი იმ ფაქტს ასახელებს, რომ **"საუბარი ნავთობ და ნავთობპროდუქტებზეა, ისინი კი ამ ფასს იტანენ, ამიტომ, არ მგონია, სომხეთს უკმაყოფილების საბაბი ჰქონდეს. არსებული ტარიფები იმდენად მნიშვნელოვანი თანხა არ არის, რომ ვერ გადაიხადონ. მათ დისკრიმინაციაზე სალაპარაკო ნამდვილად არ აქვთ. ჩვენ ტარიფებს იმის მიხედვით განვსაზღვრავთ, როგორც ბიზნესის მიმართულება გვკარნახობს და დისკრიმინაცია არაფერ შუაშია."**

ციტატაში ჩანს, რომ სომხეთი არც მეტ შეღავათზე იტყოდა უარს, თუმცა ხუხაშვილი მიიჩნევს, რომ თვით ამ შეღავათების არსებობის არანაირი საჭიროება არ არსებობს: **"რკინიგზა - ეს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა, ბიზნესია. მიმართულებებზე ჩვენ ფასებს იმის მიხედვით ვალაგებთ, თუ რას გვკარნახობს ბაზრის კონიუნქტურა. სომხეთის მიმართულებაზე გვაქვს საშუალება, რომ მსგავსი სატარიფო პოლიტიკა გვქონდეს, ამაში საგანგაშო არაფერია."**

"24 საათთან" საუბრის ბოლოს ხუხაშვილმა აღნიშნა, რომ სომხეთის მხარესთან კონსულტაციები მიმდინარეობს. რაც შეეხება სატარიფო პოლიტიკის სხვა დეტალებს, "საქართველოს რკინიგზა" კონსულტაციების დამთავრების შემდეგ განაცხადებს.

შეგახსენებთ, რომ შპს "საქართველოს რკინიგზის" გენერალური დირექტორი ლევან ვარშალომიძე, აზერბაიჯანში ვიზიტის მერე, სომხეთში გამგზავრებას გეგმავდა. თუმცა ჯერჯერობით, "საქართველოს რკინიგზაში" არ აზუსტებენ, როდის შედგება ეს ვიზიტი, ან შედგება თუ არა საერთოდ.

# "ფეროს" რეკორდი" - მსოფლიო ბაზრის 6% ქართულ პროდუქციაზე მოდის

საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ პრიორიტეტად მუდმივად ექსპორტზე ორიენტირებული საწარმოებია აღიარებული. ამას თავისი მარტივი და დამაჯერებელი ახსნა აქვს: საქართველოს ბაზარი იმდენად მცირეა, რომ მხოლოდ მის ფარგლებში მომუშავე კომპანიებს ადრე თუ გვიან ბიზნესის შემდგომ განვითარებაში გადაულახავი სიძნელეები ექმნებათ. რაც შეეხება გარე ბაზრებზე ორიენტირებულ კომპანიებს, მათ აზრიანი მენეჯმენტისა და გონივრული მარკეტინგული სტრატეგიის განხორციელების შემთხვევაში, ყოველთვის აქვთ ახალი ბაზრების ათვისების და ბიზნესის გაფართოების შანსი.

საქართველოს საექსპორტო პოტენციალი დღეს საკმაოდ მოკრძალებულად არის ათვისებული. აქედან უდიდესი წილი შერეული მარკეტინგული სტრატეგიის მქონე კომპანიებზე მოდის, რომელთა პროდუქციაც როგორც შიდა, ასევე გარე ბაზრებზეა წარმოდგენილი. იმ კომპანიათა რიცხვი, რომელთა საბოლოო პროდუქციაც მხოლოდ საგარეო ბაზრებზეა ორიენტირებული, საკმაოდ მცირეა. სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, დღეს საქართველოში ძალიან რთულია ისეთი პროდუქციის წარმოება, რომელიც მხოლოდ საგარეო ბაზრების მოთხოვნებზე იქნება მორგებული და გრძელვადიან პერსპექტივაში შეინარჩუნებს მიმზიდველობას.

თუმცა, ასეთი მკაცრი და პერმანენტულად მზარდი კონკურენციის პირობებშიც კი შეუძლებელი არაფერია. ამის კონკრეტულ მაგალითად ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა გამოდგება, რომლის წარმოებულმა პროდუქციამ აქამდე არნახულ წარმატებას მიაღწია - დღეს "ფეროს" ნაწარმი მსოფლიო ბაზრის 6%-ს იკავებს. ამხელა წილი ქართული საექსპორტო პროდუქციის არც ერთ სხვა სახეობას მსოფლიო ბაზრის არც ერთ სეგმენტზე არ გააჩნია. ესეც არ იყოს, არათუ განსახორციელებლად, საფიქრალადაც კი დაუჯერებელია, რომ საქართველოს მოცულობის ქვეყანა თავისი პროდუქციით ამხელა წილს იკავებდეს მსოფლიო ბაზრის ისეთ რთულ და გადაჯერებულ სეგმენტზე, როგორიც მეტალურგია გახლავთ.

შედეგი აშკარად შთამბეჭდავია. თუმცა, საკმაოდ რთული წარმოსადგენია, რომ "ფერო" ამხელა წარმატებას დამოუკიდებლად, დარგში კარგად გამოცდილი და მსოფლიო ბაზარზე მკვიდრად ფეხმოკიდებული პარტნიორის გარეშე მოახდენდა. ქართული მრეწველობის გიგანტის ამ წარმატებაში უდიდესი როლი ავსტრიულ კომპანია "დეკომეტალ ინტერნეშნლ თრეიდინგს" მიუძღვის, რომელიც "ფეროს" აქციების საკონტროლო პაკეტის მეპატრონე შარშან ივლისში გახდა.

საწარმოში ახალი მეპატრონის მოღვაწეობის ექვსი თვის შედეგები აშკარად იმედისმომცემია: ივლისიდან დღემდე წარმოების მოცულობა რამდენჯერმე (2000-2400 ტონიდან 9000 ტონამდე) გაიზარდა. მიღწეული შედეგი დინამიკაში უფრო თვალსაჩინოა: თუ წლის პირველ 8 თვეში წარმოებული სილიკომანგანუმის მოცულობა 24 ათას ტონას არ აღემატებოდა, წლის ბოლოსთვის გამოშვებული სილიკომანგანუმის მოცულობამ 67 ათას ტონას გადააჭარბა.

"წარმოების მოცულობის მატების გარდა, ქარხანაში წლობით დაგროვილი უამრავი პრობლემაც მოგვარდა. პირველ რიგში, გადაწყდა ელექტროენერგიით მუდმივად მომარაგების პრობლემა, რის შედეგადაც წარმოების მუშაობაც უფრო სტაბილური გახდა და გაიზარდა ენერგიის მომწოდებლების დაინტერესებაც, რომლებიც ყოველთვიურად 2 მილიონ ლარს იღებენ ჩვენგან დენის მოწოდებისთვის. ყოველთვიურად 8-10 ათასი ტონა ნედლეულის შეძენა ხდება "ჭიათურმანგანუმისგანაც", რომელიც ასევე სტაბილურად იღებს ჩვენგან თანხებს. ამ და სხვა ღონისძიებების განხორციელების შედეგად, საწარმოო ციკლი აეწყო და გაჩნდა მადნისა და კოქსის მარაგების დაგროვების შესაძლებლობა. ამ ყოველივეს გათვალისწინებით, წლეულს 96 ათასი ტონა სილიკომანგანუმის გამოშვებას ვგეგმავთ", - აცხადებს "ფეროს" გენერალური დირექტორი ნიკოლოზ ჩიქოვანი.

ნიკოლოზ ჩიქოვანი ერთადერთი ქართველი არ არის, ვინც "ფეროს" უმაღლეს მენეჯმენტს წარმოადგენს. ახალ ინვესტორს ქარხნის მთელი მენეჯმენტი ქართული კადრებით ჰყავს დაკომპლექტებული. ესეც, გარკვეულწილად, სიახლეა, რადგან, პრაქტიკულად, არც ერთ უცხოურ კომპანიას, რომელიც საქართველოში საწარმოს აკონტროლებს, მთელი ტოპ-მენეჯმენტი ქართველებით არ დაუკომპლექტებია. ამ მხრივ "დეკომეტალი", ალბათ, პიონერია, რომელიც თავის საუკუნენახევრიან გამოცდილებას (კომპანია 1846 წელს დაფუძნდა) და ავტორიტეტს საკმაოდ ორგანულად უთავსებს უნარიან ქართულ მენეჯმენტს. ამ ორი ფაქტორის ერთობლიობა საკმაოდ კარგ შედეგს იძლევა, რაც უკვე აღვნიშნეთ კიდეც: "ფერომ" ქართული წარმოების მთელი პოსტსაბჭოთა ისტორიის მანძილზე რეკორდული ნიშნული დაძლია - მისი წარმოებული პროდუქცია მსოფლიოს ფეროშენადნობთა ბაზრის 6%-ს შეადგენს.

სამომავლოდ ქარხნის ახალ მეპატრონეს და მენეჯმენტს არანაკლებ ამბიციური გეგმები აქვთ: ქარხნის რეკონსტრუქციასა და გადაიარაღებაზე უკვე დახარჯული 3 მილიონის შემდეგ, "დეკომეტალი" საწარმოში კიდევ 10 მილიონის ინვესტირებას გეგმავს, უკვე აღდგენილ 2 ღუმელს მალე კიდევ ერთი დაემატება, საბოლოო ანგარიშით კი სილიკომანგანუმისა და საშუალონახშირბადიანი პროდუქციის წარმოებას ჯამურად 9 ღუმელი მოახდენს, რაც წარმოების მოცულობას კიდევ საგრძნობლად გაზრდის.

"ფეროს" წარმოების გაფართოება მის მომსახურე პერსონალზეც საკმაოდ ოპერატიულად აისახა: სადღეისოდ საწარმოში 2600 თანამშრომელი დასაქმდა, რომელთა საშუალო ხელფასი 43%-ით გაიზარდა და 206 ლარი შეადგინა (მინიმალური ხელფასი 150 ლარია), საბიუჯეტო შენატანების მოცულობა კი 25%-ით გაიზარდა.

წმინდა საწარმოო აქტივობის გარდა, განხორციელებულია მთელი რიგი სოციალური და ეკოლოგიური ღონისძიებებიც. სამუშაო პირობების გასაუმჯობესებლად, სამუშაო ადგილების კეთილმოსაწყობად და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო პირობების შესაქმნელად სპეციალური პროგრამა მომზადდა, ე.წ. "ცხელ საამქროებში" დასაქმებულებს ხელფასი გაუორმაგდათ. უახლოეს ხანებში კი ახლად ნაყიდი ფილტრებიც დამონტაჟდება, რომლებიც ზესტაფონისთვის ტრადიციად ქცეულ მავნე გამონაბოლქვს შესაძლებელ მინიმუმამდე დაიყვანს. საერთოდაც, ეკოლოგიური ფონის გასაუმჯობესებლად "დეკომეტალმა" უკვე დახარჯა 700 ათასი ლარი და კიდევ აპირებს დამატებითი სახსრების გაღებას.

ასეთ ვითარებაში წარმოებული პროდუქციის ექსპორტირების შედეგად, საქართველოში ყოველთვიურად 3 მილიონი ლარი შემოდის. და რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, გეგმაზომიერად ფართოვდება გაყიდვების გეოგრაფიაც: სადღეისოდ "ფეროს" პროდუქციის 57%-ს ამერიკის ბაზარი მოიხმარს, 19% ევროპაში იგზავნება, 16%-ის რეალიზაცია კი რუსულ ბაზარზე ხდება. ეს არის გეოგრაფია და მოცულობა, რომელსაც ნებისმიერი ქართული საექსპორტო საწარმო ინატრებს. თუმცა, როგორც "დეკომეტალი" და ქარხნის ქართული მენეჯმენტი მიიჩნევს, ეს ნამდვილად არ არის შესაძლებლის უკანასკნელი ზღვარი. საჭირო ინვესტიციების განხორციელების შემდეგ, "ფეროს" მესვეურები გაორმაგებული პროდუქციის წარმოებისთვის საჭირო სიმძლავრეების შექმნას გეგმავენ.

# უდიდესი ტერაქტი ესპანეთის ისტორიაში

პირველი გვერდიდან

როგორც აღვნიშნეთ, ესპანეთის ხელისუფლება მთავარ ეჭვმიტანილად ბასკურ დაჯგუფებას განიხილავს. თუმცა, ბასკთა ნაციონალისტური პარტიის "ბატასუნას" ლიდერმა განაცხადა, რომ "ეტას" ამ ტერაქტთან კავშირი არ გააჩნია. "ბატასუნას" საქმიანობა ესპანეთის სასამართლომ გასულ წელს აკრძალა და ის თავის მოღვაწეობას იატაკქვეშეთში განაგრძობს. ამ ორგანიზაციას "ეტას" პოლიტიკურ ფრთად განიხილავენ. "ბატასუნას" ლიდერმა ტრაგედიის შესაძლო მომწყობიც დაასახელა. მისი აზრით, "ატოჩას" სადგურში აფეთქებების სერია "არაბულმა წინააღმდეგობამ" განახორციელა.

ესპანელი სამართალდამცავები ამ ვერსიას არ გამორიცხავენ. მით უმეტეს, რომ ესპანეთი, როგორც აშშ-ს და დიდი ბრიტანეთის ერთგული სტრატეგიული მოკავშირე, უკვე დიდი ხანია, "ალ-ქაიდას" პოტენციურ სამიზნედ განიხილება.

თუკი გუშინდელი ტერაქტი მართლაც ოსამა ბინ ლადენის და მისი ძმების ნახელავია, ეს "ალ-ქაიდას" ქმედუნარიანობას კიდევ ერთხელ ადასტურებს. ხოლო თუკი ტრაგედიის უკან "ეტას" კვალი აღმოჩნდა, ეს ბასკი ტერორისტების ტაქტიკის შეცვლაზე მიუთითებს, რადგან აქამდე ბასკი ტერორისტები მხოლოდ ლოკალური და მცირემასშტაბიანი აფეთქებებით შემოიფარგლებოდნენ და მათ მსხვერპლს, ძირითადად, ესპანეთის შეიარაღებული ძალები, მთავრობის წარმომადგენლები და საზოგადო მოღვაწეები წარმოადგენდნენ. ორივე შემთხვევაში ესპანეთის უსაფრთხოება სერიოზული ეჭვის ქვეშ დგება.





აფეთქება რკინიგზის სადგურში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამ დღეში ესპანეთში საყოველთაო არჩევნები იმართება. არ არის გამორიცხული, რომ ამ ტრაგედიამ მმართველი სახალხო პარტიის პოპულარობა უფრო გააძლიეროს, რადგანაც პრემიერ-მინისტრი ხოსე მარია აზნარი ტერორისტების და, განსაკუთრებით, "ეტას" წინააღმდეგ უკომპრომისო პოლიტიკის განხორციელებითაა ცნობილი. ტერორისტებთან გულთბილი დამოკიდებულება არც ოპოზიციონერ სოციალისტებს ჰქონდათ, მაგრამ ისინი უფრო რბილი პოლიტიკის გატარებას ემხრობოდნენ. გუშინდელი ტერაქტის შემდეგ კი, ორივე პარტიის მოქმედება და მიზანი იდენტური იქნება: დაუნდობელი ბრძოლა ტერორიზმის წინააღმდეგ.

# შესაძლებელია თუ არა რუსეთში თავისუფალი არჩევნები?

რუსუდან ნიკურაძე
საქ. კორ. მოსკოვში

მოსკოვში ჰელსინკის ჯგუფის, რუსეთის ჟურნალისტთა კავშირისა და კომიტეტის "ანტიპუტინი-2008" ინიციატივით საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა, რომელზედაც პუტინის ახალ ელიტას არასამთავრობო ორგანიზაციები დაუპირისპირდნენ. მთავარი ბრალდება საპრეზიდენტო არჩევნებში კრემლის ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაა, აგრეთვე, ერთი კაცის - პრეზიდენტის მიერ რუსეთის საინფორმაციო ველის მონოპოლიზება და არნახული თვითცენზურა თავად ჟურნალისტების მხრიდან.

"რუსეთის პრეზიდენტის უკანასკნელი საკადრო დანიშვნები სხვა არაფერია, თუ არა ქვეყანაში ავტორიტარიზმის გამარჯვება;

როგორ ქვეყანაში გავიღვიძებთ ხვალ, სადაც უკვე რუსეთის საგარეო პოლიტიკური კურსი ძლიერ, უხეშ სახელისუფლებო ვერტიკალს ექვემდებარება, რაც სავალალო შედეგებს გამოიღებს;

რუსეთი უკან მიდის;

არჩევნებზე მიუსვლელობა უმაღლესი მოქალაქეობრივი შეგნების გამოვლინებაა;

უარი პუტინის თვითმმართველობასა და განუკითხაობას;" - ასეთი პოლიტიკური შეფასებებითა და ლოზუნგებით ჩატარდა ხსენებული კონფერენცია, სადაც ოპოზიციური აზრიც ისმოდა, მაგალითად, იმის თაობაზე, რომ პუტინი დღეს რუსეთში შექმნილ საკადრო ორომტრიალში ერთადერთი ლიბერალი, ერთადერთი დემოკრატი და დასავლეთზე ორიენტირებული პროგრესული ლიდერია.

პრეზიდენტის არჩევნებამდე ორი დღით ადრე რუსეთის ექსპერტ-საზოგადოება შედარებით ოპტიმისტურ პროგნოზს აკეთებს. ასე მაგალითად, პოლიტიკაში, სამწუხაროდ, უკვე ხელმოცარული დემოკრატის, პრეზიდენტობის კანდიდატის ირინა ხაკამადას სიტყვებით: **"დღეს ამხელა რუსეთში ხალხთან მისვლის ერთადერთი პროცედურა არჩევნებია. ამიტომ, კატეგორიულად გამოვდივარ საპრეზიდენტო არჩევნების ბოიკოტის წინააღმდეგ."** არჩევნების წინ პრეზიდენტობის კანდიდატი ხაკამადა აარსებს ახალი ტიპის ლიბერალურ, დემოკრატიულ, ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიას "თავისუფალი რუსეთი." ხაკამადას ნოვაციამ კონფერენცია საგონებელში ჩააგდო: რუსეთში უკვე არსებული, არცთუ წარმატებული პარტიების დუბლირება ხომ არ ხდება? ამ ეჭვის გასანეიტრალებლად, ხაკამადა რუსეთში არსებული ხელისუფლების მოდელის შეცვლაზე ლაპარაკობს.

პრეზიდენტობის მეორე კანდიდატი სერგეი გლაზევი უცხოელ ჟურნალისტებს უყვება, როგორ უხეშ მეთოდებს მიმართავს პუტინის ადმინისტრაცია პირადად მის წინააღმდეგ. **"პენსიონერებს დღეში 150 რუბლს უხდიან, ჩემს საწინააღმდეგო მიტინგებზე გამოჰყავთ, ვიდეოკამერით იღებენ და ტელევიზიით აჩვენებენ. უკვე გამოვიდა ჟურნალ "კომპრომატის" მორიგი ნომერი ჩემზე ბინძური კომპრომატით,"** - ამბობს გლაზევი.

მსგავსი კონფერენციის გამართვა წინასაარჩევნო რუსეთში გმირობად შეფასდა. ამაზეა საუბარი მადლენ ოლბრაითის წერილში, რომელიც მან კონფერენციის მონაწილეებს გამოუგზავნა. **"დღევანდელი რუსული ადმინისტრაციული სისტემა საბჭოთა სისტემაზე საშიშია. ავტორიტარულ ხელისუფლებას დამოუკიდებელი, თავისუფლად მოაზროვნე ადამიანების ეშინია,"** - აცხადებს ოლბრაითი.

კონფერენციის მონაწილენი შეთანხმდნენ იმაზე, რომ რუსმა დემოკრატებმა დღეს წააგეს რუსეთი არა იმიტომ, რომ კრემლი ცუდია, არამედ იმიტომ, რომ ოპოზიცია დღემდე ვერ გაერთიანდა.

# ირანის ბირთვული პროგრამა დაპირისპირების საფუძველი ხდება

ირანის საგარეო უწყების ხელმძღვანელის განცხადებით, თეირანმა გაერო-სთან თანამშრომლობაზე, შესაძლოა, უარი თქვას, თუ ევროკავშირი აშშ-ს მხრიდან "მაგატე"-ზე (ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო) ზეწოლას წინ არ აღუდგება. ირანი აშშ-ს ბრალს დებს იმაში, რომ ამერიკელები გაერო-ს ამ სააგენტოსაგან ისეთი რეზოლუციის მიღებას ცდილობენ, რომელიც ირანის ბირთვულ პროგრამას დაგმობს. საგარეო საქმეთა მინისტრმა ქემალ ხარაზიმ ამასთანავე დასძინა, რომ ირანი ურანის გამდიდრების სამუშაოებს მხოლოდ მას შემდეგ გააგრძელებს, როცა სააგენტოსთან ურთიერთობებს მოაგვარებს. მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ ხარაზიმ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ურანის გამდიდრება თეირანის კანონიერი უფლებაა და ირანს ამას ვერავინ დაუშლის.

ამ რადიაქტიური ნივთიერების გამდიდრება ბირთვული იარაღის წარმოებისათვის აუცილებელია, თუმცა ირანი თავისი ბირთვული პროგრამის სამხედრო მიზნებით გამოყენებას ყოველთვის უარყოფდა. ურანის გამდიდრების სამუშაოები შარშან ოქტომბერში იქნა შეჩერებული. მხოლოდ ახლახან გამოთქვა მაგატეს ხელმძღვანელმა მოჰამედ ელბარადეიმ შეშფოთება იმის გამო, რომ ირანის მიერ გაცხადებული ბირთვული პროგრამის დეკლარაციაში მნიშვნელოვანი გარემოებებია გამორჩენილი.

ირანის წარმომადგენელმა მაგატეში ფირუზ ჰუსეინიმ განაცხადა, რომ ვაშინგტონს, უბრალოდ, არ სურს, აღიაროს ის ფაქტი, რომ ირანი ბირთვული იარაღის დამზადებით დაკავებული არასოდეს ყოფილა. მან ევროპელებს მოუწოდა, არ დაემორჩილონ ამერიკელთა ზეწოლას და ირანის ქმედებების გამკიცხველი რეზოლუცია არ მიიღონ. ნიშანდობლივია, რომ აქამდე ევროპელები ირანის მიმართ უფრო რბილი დამოკიდებულებით გამოირჩეოდნენ. ამ შემთხვევაშიც, სავარაუდოა, რომ ისინი თეირანის მიმართ უფრო შემწყნარებელნი იქნებიან.

# სამხრეთ კორეა პოლიტიკური კრიზისის ზღვარზე

სამხრეთ კორეის პრეზიდენტის რო მიუ ჰიუნის ერთგულმა ეროვნული ასამბლეის დეპუტატებმა სპიკერის ტრიბუნის ბლოკირება მოახდინეს და სახელმწიფოს მეთაურის იმპიჩმენტის დაწყების კენჭისყრაზე დაყენება არ დაუშვეს. პალატის სხდომა ჩაიშალა. **"ჩვენ ვერ შევძლებთ ასეთ პირობებში სხდომის გაგრძელებას... თუ ეს განმეორდება, მე ვიმოქმედებ კანონის ფარგლებში,"** - განაცხადა სპიკერმა. ეს ნიშნავს, რომ სპიკერი დაცვის საშუალებით შეეცდება სხდომის ჩატარებას. იმპიჩმენტის დაწყებაზე თანხმობა საკანონმდებლო ორგანომ დღეს საღამომდე უნდა დაამტკიცოს. სხვა შემთხვევაში, ვადის გასვლის გამო, იგი ავტომატურად უქმდება.

ოპოზიციის ლიდერებმა პრეზიდენტის მომხრეთა ამ აქციას **"კონსტიტუციონალიზმის წინააღმდეგ მიმართული ამბოხი უწოდეს."** ისინი ირწმუნებიან, რომ იმპიჩმენტისათვის საჭირო ხმების მოგროვებას შეძლებენ.

მანამდე პრეზიდენტმა უარი განაცხადა, ვითომდა ჩადენილი პოლიტიკური გადაცდომისათვის ბოდიში მოეხადა. ამ მოთხოვნის შესრულებას მის წინააღმდეგ იმპიჩმენტის პროცედურის დაწყება შეეძლო, გადაევადებინა ან საერთოდ თავიდან აეცილებინა. ამავდროულად, მან მოწინააღმდეგეებს აგრძნობინა, რომ დატოვებს პოსტს, თუ მისი მომხრეები საპარლამენტო არჩევნებში დამარცხდებიან.

ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს ორმა დიდმა პარტიამ პრეზიდენტს ბრალდებათა მთელი სია წაუყენა. მათ შორისაა: კორუფციაში მონაწილეობა, არაპროფესიონალიზმი და პოლიტიკური აგიტაციის არაკანონიერი წარმოება. უფრო ადრე ქვეყნის საარჩევნო კომისიამ წარმოადგინა დასკვნა, რომლის თანახმადაც, რო მუ ჰიუნმა კანონი დაარღვია, როდესაც ამომრჩევლებს საპარლამენტო არჩევნებზე მისი მხარდამჭერი პარტიის სასარგებლოდ ხმის მიცემას მოუწოდებდა. ადგილობრივი კანონებით, პრეზიდენტი პარტიული პოლიტიკის გარეთ უნდა დარჩეს.

ნიშანდობლივია, რომ პრეზიდენტმა თავისი თანაშემწეებისა და "პიარ"-ისტების ქმედებებისათვის ბოდიში მოიხადა. საქმე ეხებოდა საარჩევნო კამპანიისათვის ბიზნესმენებისაგან მილიონობით დოლარის შემოწირულობის მიღებას. საგულისხმოა ექსპერტების შეფასება: თუ საკანონმდებლო ორგანო იმპიჩმენტის პროცედურის დაწყებას კენჭს უყრის, იგი ბოლომდე მიყვანილი არ იქნება. პრეზიდენტის გადაყენებას საკონსტიტუციო სასამართლოს ცხრა წევრიდან არანაკლებ ექვსმა მხარი უნდა დაუჭიროს, რაც არსებულ სიტუაციაში ნაკლებად რეალურია.



# ბასილ მკალავიშვილი გამოჩნდა

*"თქვენ წინ დგას სასახლე, რომელსაც სექტანტთა და იაღოველთა სასახლე შეიძლება ვუწოდოთ. ნანა დევდარიანს ხომ უწია ანათემამ და ამათაც მალე ეწევათ. ყველა ანტიქრისტეს მოციქულს მალე გადავცემ ანათემას და ისინი ნანა დევდარიანისა და შევარდნაძის გზას გაუყვებიან. ამერიკის დეპარტამენტის მოთხოვნით, ალბათ, მალე დამაპატიმრებენ, მაგრამ მე არ გავჩერდები და ბრძოლას სააკაშვილისგან დავიწყებ," - განაცხადა გუშინ ომბუდსმენის ოფისის ეზოში სახელდახელოდ გამართულ პრესკონფერენციაზე ბასილ მკალავიშვილმა.*

თამარ დვალი

რვათვიანი შესვენების შემდეგ ბასილ მკალავიშვილი გუშინ ომბუდსმენის შენობასთან ჯვრებითა და ხატებით ხელდამშვენებული გამოჩნდა. მას შენობაში შესვლის უფლება არ მისცეს, ამიტომ სახალხო დამცველის ოფისის წინ პატარა მაგიდა დადგა და სახელდახელო პრესკონფერენცია მოაწყო. **"საქართველო დღეს ითვლება ამერიკის ერთ-ერთ შტატად, რომლის გუბერნატორიც არის ჯორჯ სოროსი, მიხეილ სააკაშვილი კი ერთ-ერთი მთავარსარდალია, რომელიც სოროსს ემორჩილება და მის დავალებას ასრულებს. ვარდების რევოლუციით მოსულ პრეზიდენტს ბევრჯერ ვთხოვე შემხვედროდა, მაგრამ უარი განაცხადა. რა ვქნა, ის სულ ცაშია და მე კი ერთი უბრალო მღვდელი ვარ, რომელიც მიწაზე ძლივს დავიარები. მინდა, საქართველოს მოსახლეობამ გაიგოს, რომ საქართველო დღეს აღარ არსებობს. ამ მთავრობას უნდა, მართლმადიდებლობა პირისაგან მიწისა აღგავოს. რვა თვეა, რაც ამ სექტანტების წინააღმდეგ აღარ გამოვსულვარ და ვაპირებ, ბრძოლა ზემოდან დავიწყო – ისე, როგორც წმიდა ნინომ დაიწყო,"** – განაცხადა მკალავიშვილმა.

გასული წლის ოთხ ივნისს ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ ბასილ მკალავიშვილს აღმკვეთი ღონისძიება შეუფარდა, რის შემდეგაც იგი ძებნაში იმყოფებოდა. როგორც მკალავიშვილის ადვოკატი დავით ჯალაბაძე აცხადებს, მკალავიშვილი არც არასდროს დამალვია პოლიციას. იგი რეგიონებში მოსალოცად იყო წასული და დაბრუნების შემდეგ გლდანის ეკლესიაში უპრობლემოდ განაგრძობდა მოღვაწეობას. მისივე თქმით, მკალავიშვილის გუშინდელი გამოჩენა ქვეყანაში მოახლოებულ ე.წ მეორედ მოსვლას უკავშირდება: **"მე მინდა, ვამხილო სააკაშვილი და ვუთხრა, რომ, თუ არ დაიცავს მართლმადიდებლობას, ქვეყანაში საშინელი მიწისძვრა მოხდება. ამასვე გვამცნობს ჩვენს ტაძარში აცრემლებული ღვთისმშობლის ხატიც. დღეს მართლმადიდებლობა აღარავის აინტერესებს. ის, რაც ვერ გაბედა შევარდნაძემ, ამერიკის სახელმწიფო მდივნისა და "საქართველოს გუბერნატორ ჯორჯ სოროსის" მოთხოვნით, სისრულეში მოიყვანეს ვარდების რევოლუციის "ღვთისმბრძოლმა" ლიდერებმა. მათ იეღოველთა სულიწმიდის მგმობელი სექტა სახელმწიფო რეგისტრაციაში გაატარეს. მე არ გავჩერდები და ბრძოლას გავაგრძელებ. ახლა უკვე სულიერად ვარ მზად, რომ ჩემი ერისა და მართლმადიდებლობის გულისთვის ციხეში ჩავჯდე. როცა დამიჭერენ, ჩემ მაგივრად, ბრძოლას მამა არჩილი გააგრძელებს."**



მკალავიშვილი ბრძოლისთვის ემზადება.

არჩევნების მოახლოებასთან დაკავშირებით მკალავიშვილმა მოსახლეობას რამდენიმე რჩევაც მისცა: **"არც ერთ ქვეყანაში მარკირება არ ხდება. არავითარ შემთხვევაში სატანისა და ჯორჯ სოროსის ერთობლივი ბეჭედი არ მიიღოთ, ხალხნო! ამით ეშმაკს ჩაისახავთ სულში."** ამ და კიდევ რამდენიმე რჩევის შემდეგ ბასილ მკალავიშვილმა ომბუდსმენის ოფისის მიმდებარე ტერიტორია მშვიდობიანად დატოვა.

გუშინდელ პრესკონფერენციას მთაწმინდა-კრწანისის პოლიციის სამართველოს უფროსი მიხეილ გიორგაძეც ესწრებოდა. მისი განცხადებით, ბასილ მკალავიშვილის დაპატიმრების ბრძანება მისთვის არ მიუციათ და ომბუდსმენის ოფისთან მხოლოდ ვითარების გასარკვევად იყო მისული. **"ბასილ მკალავიშვილი რომ ძებნილი იყოს, ალბათ, მისი დაპატიმრების ბრძანებაც გვექნებოდა. აქ არავის მითითებით არ მოვსულვარ. სახალხო დამცველის ოფისთან შეკრებილი ხალხი რომ დავინახე, ვითარების გასარკვევად მოვედი,"** – განუცხადა "24 საათს" გიორგაძემ, რომელმაც მკალავიშვილი მანქანამდე მიაცილა.

**P.S.** მას შემდეგ, რაც თბილისის პროკურორმა ვალერი გრიგალაშვილმა განაცხადა, რომ ბასილი მკალავიშვილზე ძებნაა გამოცხადებული და იგი უნდა დაეკავებინათ, ახმეტელის სახელობის თეატრის გვერდით მდებარე "გლდანის მართლმადიდებლურ ეპარქიას" პოლიციამ ალყა შემოარტყა. მკალავიშვილის დასაცავად "ეპარქიაში" განკვეთილი მღვდლის მომხრეებიც მივიდნენ. დაშლას ისინი იქამდე არ აპირებენ, ვიდრე მათი მოძღვარი უსაფრთხოდ არ იქნება.

# წერილი უფროს მეგობარს

*2001 წელს, პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი მოვლენებით საქართველოსთვის ერთ-ერთ ყველაზე დატვირთულ წელს, როცა ჩვენი ქვეყნის აწ უკვე ყოფილი ხელისუფლების მმართველობით კრიზისს მსოფლიო პრესა ეხმაურებოდა, როცა სოციალურ-ეკონომიკურმა პრობლემებმა პიკს მიაღწია და მოსახლეობამ საპროტესტო აქციებს მიმართა, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციას თბილისიდან საჩივრის წერილი მიუვიდა. მისი ავტორი საქართველოს პროფკავშირების გაერთიანების თავმჯდომარე ირაკლი ტუღუში გახლდათ.*

მაკა ჯაიანი

ლოგიკას თუ მივყვებით, პროფკავშირების გაერთიანების თავმჯდომარეს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციასთან საბიუჯეტო ორგანიზაციებისადმი საქართველოს მთავრობის მხრიდან წლების განმავლობაში დაგროვილი სახელფასო დავალიანების, ყოველ ნაბიჯზე დარღვეული შრომითი უფლებებისა და უამრავი მსგავსი "წვრილმანის" თაობაზე უნდა ეჩივლა, თუმცა ლოგიკას ამ შემთხვევაში ვერ მოვიშველიებთ. ირაკლი ტუღუში "არადემოკრატიული ძალებისგან" საკუთარი პერსონისა და მისი ორგანიზაციის ქონების დაცვას ითხოვდა. თანაც, როგორც წერილიდან ჩანს, პირველად - არა.

"საქართველო მტკიცედ დადგა ახალი ეკონომიკური რეფორმების განხორციელების გზაზე, - ვკითხულობთ წერილში, - ესწრაფვის, დემოკრატიის აღიარებულ პრინციპებზე დაყრდნობით, აშენოს სამართლებრივი სახელმწიფო.

ძნელია ეს გზა, რამეთუ მუდმივად გიწევს საზოგადოებაში პრივილეგირებული მდგომარეობის შენარჩუნების მოსურნე ათასი ჯურის ბიუროკრატის, კარიერისტისა და სხვა ძალების წინააღმდეგობების გადალახვა.

არც ჩვენ - პროფკავშირებს გვილხინს, რადგან არცთუ იშვიათად გვიხდება ამ ძალებისგან საკუთარი უფლებების დაცვა.

წინააღმდეგობები სხვადასხვა სახითა და ფორმით ვლინდება.

განსაკუთრებული თავდასხმის ობიექტია საქართველოს პროფკავშირების გაერთიანების საერთო ქონება.

ჩვენი ბრძოლის შესახებ საკუთარი ქონების შენარჩუნების საქმეში ჩვენ ადრეც გატყობინებდით. ახლა მხოლოდ ზოგიერთ ახალ ფაქტს მოგიყვანთ."

როგორც ვრწმუნდებით, ქონების შენარჩუნების თაობაზე საქართველოს პროფკავშირების გაერთიანების თავმჯდომარის წუწუნი შრომის საერთაშორისო ორგანიზაციაში სხვა დროსაც მისულიათ. კონკრეტულად რომელ ობიექტს ეხებოდა იგი, ვერ გეტყვით, 2001 წლის 10 ივლისით დათარიღებულ, №443/01-9 წერილში კი საუბარი ვაჟაფშაველას №43-ში მდებარე კულტურის სასახლეზეა, რომელიც, საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის განკარგულებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გადაეცა.

პროფკავშირების ქონების ხელყოფას ირაკლი ტუღუში საქართველოს მმართველი "ვერხუშკის" ზოგიერთი წევრის მიერ გაერთიანების ხელმძღვანელობის დამოუკიდებელი პოლიტიკისადმი შეუგუებლობითა და ორგანიზაციის საკუთარი გავლენის ქვეშ მოქცევის სურვილით ხსნის. დასტურად ტუღუშს რამდენიმე მაგალითი მოჰყავს, მათ შორის - გიგი წერეთლის, პარლამენტის მაშინდელი ვიცე-სპიკერის, დღეს - შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის გამოჩენა გაერთიანების მე-5 ყრილობაზე და პარლამენტის ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის დაინტერესება პროფკავშირებში არსებული მდგომარეობით. ამ კომიტეტს იმ დროისთვის ეროვნული უშიშროების საბჭოს დღევანდელი მდივანი ვანო მერაბიშვილი ხელმძღვანელობდა. შესაბამისად, ქართულ საზოგადოებაში პრივილეგირებული მდგომარეობის შენარჩუნებისთვის, დემოკრატიის აღიარებული პრინციპების დამკვიდრების ხელისშემშლელი, ათასი ჯურის ბიუროკრატის, კარიერისტისა და სხვა ძალებისა და მმართველი "ვერხუშკის" წარმომადგენელი სწორედ ეს ორი ადამიანი ყოფილა.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ საქართველოს პროფკავშირების გაერთიანების ხელმძღვანელის წერილის საფუძველზე, საქართველოს ხელისუფლებას ახსნა-განმარტება მოსთხოვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენს ქვეყანას გაერო-ში სერიოზული პრობლემები ექმნებოდა. საქმეში ეროვნული უშიშროების საბჭო, უშიშროების, შინაგან საქმეთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროები ჩაერთნენ. სულ რამდენიმე თვეში კულტურის სასახლე გაერთიანებას დაუბრუნდა.

იმით აღარ დავინტერესებულვარ, დღეს რა აზრისაა ხელისუფლებაში რეალურად მოსულ გიგი წერეთელსა და ვანო მერაბიშვილზე ირაკლი ტუღუში. ფორმალური კითხვა-პასუხისგან სიმართლეს ძნელად თუ გაიგებ. მეტიც, ისიც კი არაფერს ნიშნავს, ვარდების რევოლუციის დროს პარლამენტის შენობასთან პროფკავშირების გაერთიანების წარმომადგენლები რომ დაფიქსირდნენ. ეს გამოჩენა უფრო თავის დაზღვევას, ყოველი შემთხვევისთვის, კიდევ ერთ ბუდეში კვერცხის დადებას ჰგავდა. ამის ნათელი დადასტურება ის გახლდათ, რომ პროტესტანტი ოპოზიციის მოთხოვნას, ქვეყანაში საყოველთაო გაფიცვის დაწყების შესახებ, ტუღუშის უწყებამ მხარი არ დაუჭირა.

# „ფლუკოლდის" ბედი ახალი მინისტრის ხელშია

*გრიპის საწინააღმდეგო პრეპარატ "ფლუკოლდს", რომელსაც ჩვენი მოსახლეობა ზამთარში ყველაზე აქტიურად ხმარობდა, უკვე ორი თვეა, აფთიაქებში ვეღარ ნახავთ. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ყოფილი მინისტრის ამირან გამყრელიძის 2004 წლის 22 იანვრის ბრძანების თანახმად, ეს პრეპარატი ამიერიდან მხოლოდ ექიმის რეცეპტით გაიცემა. "ფლუკოლდის" შემომტანი ფირმა "რევერსის" ხელმძღვანელი აცხადებს, რომ ეს ზოგიერთი "მონსტრი" ფარმაცევტული ფირმის ნახელავია და ჯანდაცვის ახალ მინისტრს მისი წინამორბედის ბრძანების გაუქმებას სთხოვს.*

ნანა ქადაგიშვილი

ჯანდაცვის მინისტრის 2004 წლის 22 იანვრის ბრძანება ამტკიცებს ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ზოგიერთი ფსიქოაქტიური ნივთიერების შემცველი სამკურნალო საშუალებების ნუსხას, რომელშიც "ფენილპროპანოლამინიც" შედის. "ფლუკოლდი" ამ ნივთიერების 25 მილიგრამს შეიცავს და, შესაბამისად, აღნიშნული ბრძანება მასაც ეხება.

**"მინისტრის ბრძანების გამოსვლიდან ცოტა ხნით ადრე 700 ათასი ცალი ფლუკოლდი შემოვიტანე. ეს პრეპარატი ყოველთვის აქტიურად იყიდებოდა და აფთიაქებს დიდი რაოდენობით ვაწვდიდით, მაგრამ აღნიშნული ბრძანების გამოსვლის შემდეგ ყველა აფთიაქმა უკან დაგვიბრუნა. ამის გარდა, ამიერიდან "ფლუკოლდს" სპეცლიცენზიის გარეშე ვეღარ შემოვიტან. ლიცენზიის მისაღებად კი ბაზა უნდა შეცვალო, სიგნალიზაცია უნდა დააყენოო, - მითხრეს. მინისტრის ბრძანებამ მეც დამაზარალა და მომხმარებელიც. როგორც შევიტყვე, ეს ყველაფერი ზოგიერთი "მონსტრი" ფარმაცევტული ფირმის დამსახურებაა, რადგან "ფლუკოლდისთვის" კონკურენციის გაწევა სხვანაირად ვერ მოახერხა. დახმარებისთვის ჯანდაცვისა და სოცუზრუნველყოფის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარეს ზეზვა ღუღუნიშვილს მივმართე და შემპირდა, რომ ამ საკითხს გამოიკვლევდა,"** – აცხადებს "რევერსის" ხელმძღვანელი ლია აფრასიძე.

**"გთხოვთ, შექმნათ კომპეტენტური კომისია, რომელიც ამ საკითხს შეისწავლის და პასუხი გვაცნობეთ,"** – ჯანდაცვისა და სოცუზრუნველყოფის საპარლამენტო ქვეკომიტეტმა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში ასეთი შინაარსის წერილი ამა წლის 4 მარტს გააგზავნა. **"მეც და ჩემი ოჯახის წევრებიც გრიპის საწინააღმდეგოდ "ფლუკოლდს" ვხმარობდით და ძალიან კმაყოფილებიც ვიყავით. მის შესაძენად მომხმარებელს ექიმის რეცეპტი რატომ უნდა დასჭირდეს, ვერ ვხვდები. სამინისტროს ამ ბრძანების გამოცემის არანაირი საფუძველი არ ჰქონდა... მგონია, რომ ბრძანება ცოტა ნაჩქარევად არის დაწერილი და ბევრ კითხვას ბადებს. თუკი ასეთი ბრძანების გამოცემას აპირებდნენ, "რევერსს" ფლუკოლდის შემოტანის ნებართვა რაღატომ მისცეს"?** – აცხადებს ღუღუნიშვილი.

ჯანდაცვის მინისტრის 2004 წლის 22 იანვრის ბრძანებას გაუგებარს უწოდებს შინაგან საქმეთა სამინისტროს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროს საერთაშორისო ურთიერთობისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების წარმომადგენელი ზაზა ბეროზაშვილი. **"ეს ბრძანება გაუგებარია და არ მესმის, რას ემსახურება, რადგან, საერთაშორისო კონვენციებით, "ფენილპროპანოლამინი" საშიშ ნივთიერებად არ მიიჩნევა,"** – აცხადებს იგი.

როგორც შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ნარკოტიკების ლეგალურ ბრუნვაზე კონტროლის სამმართველოს უფროსი გია სვანაძე განმარტავს, მინისტრის ბრძანებაში გაუგებარი არაფერია. უბრალოდ, ალბათ, იგი არასწორად გაიგეს. **"ჯანდაცვის სამინისტროს ბრძანების საფუძველი ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ კანონში 2003 წლის 22 ივლისს შეტანილი ცვლილებები გახდა. აღნიშნული ცვლილება ჯანდაცვის მინისტრს ნებას აძლევს, კონტროლის რეჟიმი გაამკაცროს ფსიქოაქტიური მოქმედების იმ სამკურნალო საშუალებებზე, რომელნიც კანონით დადგენილ ნარკოტიკულ საშუალებებსა და ფსიქოტროპულ ნივთიერებებს არ შეიცავენ, მაგრამ, ფსიქოაქტიური თვისებიდან გამომდინარე, მათი ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარება ადამიანის ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის. ჯანდაცვის მინისტრის 2004 წლის 22 იანვრის ბრძანებით დამტკიცებულ ნუსხაში სწორედ ასეთი სამკურნალო საშუალებებია შესული და ამ ნუსხას არანაირი სამართლებრივი შეხება არ აქვს კანონით დამტკიცებულ ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების ნუსხასთან. ისინი სპეცკონტროლს არ ექვემდებარება და ექიმის რეცეპტით ყველა აფთიაქში იყიდება. თუმცა, ამ საშუალებების შემცველი მედიკამენტების შემომტან ბაზას შესაბამისი უფლება უნდა ჰქონდეს. აღნიშნულ ნუსხაში "ფენილპროპანოლამინი" შემთხვევით არ მოხვედრილა. რუსეთში ის ძლიერმოქმედ ნივთიერებად არის მიჩნეული და 1999 წლიდან ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალებების სამართლებრივ ნუსხაშია შეტანილი. სხვათა შორის, მინისტრის ბრძანება შესათანხმებლად შინაგან საქმეთა სამინიტროსაც გადავუგზავნეთ და მათ მიერ მოწერილ დასკვნაში ნათქვამია, რომ არანაირი სამართლებრივი შენიშვნა არ აქვთ,"** – აცხადებს სვანაძე.

ნარკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელის გელა ლეჟავას განმარტებით კი, მინისტრის ბრძანების გამოცემის ერთ-ერთი მიზეზი ის გახდა, რომ ნარკომანებს "ფლუკოლდიდან" "ფენილპროპანოლამინი" ამოაქვთ და ნარკოტიკებს ამზადებენ. **"ნევროლოგიის ინსტიტუტში ასეთი ნივთიერებებისგან დამზადებული ნარკოტიკული საშუალებების ზემოქმედების ქვეშ მყოფი ბევრი პაციენტი მიუყვანიათ,"** – აცხადებს ლეჟავა.

ფირმა "რევერსში" გაუყიდავად მიბრუნებული ათასობით ცალი "ფლუკოლდის" ბედი ახლა შომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ახალი მინისტრის ხელშია. როგორც სამინისტროს ფარმაცევტული საქმიანობის დეპარტამენტის უფროსი ალეკო თომაძე ამბობს, მომავალ კვირას ამ საკითხის შესასწავლად სპეციალური კომისია შეიქმნება და გადაწყვეტილებას, უპირველესად, მომხმარებლის, შემდეგ კი მეწარმის სასარგებლოდ გამოიტანს.

# კონკურსი საზეიმოდ დაიხურა



დაჯილდოების ცერემონიალი.

გუშინ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში საზეიმოდ დაიხურა რუსული სკოლების მოსწავლე მხატვართა კონკურსი, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და რუსეთის ფედერაციის საელჩოს მიერ იყო ორგანიზებული. კონკურსის თემა იყო "კოსმოსი ჩემს წარმოდგენაში" და ეძღვნებოდა იური გაგარინის დაბადებიდან 70 წლისთავს. გუშინ კონკურსში გამარჯვებული მოსწავლეები დიპლომებით და ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვეს რუსეთის ელჩმა საქართველოში ვლადიმერ ჩხიკვიშვილმა და განათლების მინისტრის პირველმა მოადგილემ ალექსანდრე დიდებულიძემ.

*24 საათი*

# მტერი უნდა იყო, რომ ასეთ დაწესებულებას არ დაეხმარო

*აკადემიკოს ოთარ ღუდუშაურის სახელობის ეროვნული-სამედიცინო ცენტრი მსოფლიო ჯანდაცვის კრიტერიუმით, მეოთხე დონის - უმაღლესი ხარისხის სამედიცინო დაწესებულებაა. კლინიკაში არსებული აღჭურვილობითა და სამედიცინო მომსახურებით წამყვანი ქვეყნების წარმომადგენლებიც იხიბლებიან. ამ დაწესებულების სპეციფიკაა საქართველოს მასშტაბით უმწეო მოსახლეობის მომსახურება.*

ნონა მაისურაძე

ცხადია, გადახდისუუნარო პაციენტების მკურნალობა სახელმწიფო პროგრამით ფინანსდება და პრობლემაც სწორედ ეს არის. კლინიკის ხელმძღვანელობის თქმით, აქ ღირებულება, მკურნალობის ხარისხიდან გამომდინარე, უფრო მაღალია, ხოლო სახელმწიფო სტანდარტებით განსაზღვრული ღირებულება მეორე დონის კლინიკაზეა გათვლილი.

ცენტრის მიზანი მაღალი ხარისხის მომსახურებაა, რაც მსოფლიო ბანკის ერთ-ერთი პირობაა. არასრული და არადროული დაფინანსების პირობებში, ამ სამუშაოს შესრულება ღუდუშაურის სამედიცინო ცენტრისთვის წამგებიანია. აღნიშნულიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე კლინიკაში სავალალო ფინანსური მდგომარეობაა - გაუცემელია სამი თვის ხელფასი, რომელიც ექიმისთვის, საშუალოდ, 1500-1700 ლარია. იგრძნობა სამკურნალო საშუალებების დეფიციტიც.

რა შეიძლება იყოს გამოსავალი, რომ უმაღლესი სამედიცინო სტანდარტების მქონე კლინიკამ მუშაობა არ შეწყვიტოს ან მისი სპეციფიკა არ შეიცვალოს - ანუ ელიტურად გადაქცევის ტენდენციამ არ იმძლავროს. გვესაუბრება საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე სამედიცინო დაზღვევის საკითხებში ვატო სურგულაძე:

"ჩვენ ვამაყობთ, რომ საქართველოში ასეთი დონის დაწესებულება არსებობს. მისი სპეციფიკაც აბსოლუტურად მისაღებია. ამიტომ არავითარ შემთხვევაში არ დავუშვებთ, რომ იგი დახურვის საშიშროების წინაშე აღმოჩნდეს.

მიმდინარე წელსაც ვაგრძელებთ ურთიერთობას ამ კლინიკასთან - ისევე, როგორც ეს გასულ წელს იყო. ოღონდ იმ ტარიფით მუშაობას, რომელიც მათ შიდა სტანდარტით ჰქონდათ გათვლილი, აღარ გავაგრძელებთ, რადგან ვთვლით, რომ მათი ფასები ხელოვნურად არის გაზრდილი. ღუდუშაურის სახელობის სამედიცინო ცენტრი ისევე დაფინანსდება, როგორც ეს გასულ წელს იყო - ანუ თვეში 500 000 ლარის შესრულება უნდა წარმოგვიდგინონ.

აქ სხვა პრობლემა არსებობს - წინა პრეზიდენტის ბრძანებულებით, სახელმწიფომ აღნიშნული დაწესებულების მიმართ 1 200 000 ლარის ვალდებულება აიღო. სამწუხაროდ, იგი არ შესრულდა. ახალი ხელისუფლება ძველი მთავრობის მემკვიდრეა და მან ამ კლინიკას თანხა უნდა აუნაზღაუროს. მაგრამ, რაც შეეხება სახელმწიფო ფონდს, ჩვენ ღუდუშაურის სახელობის სამედიცინო ცენტრის ვალი ერთი თეთრიც არ გვაქვს. გასული წლის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროგრამული დაფინანსება, სამი მილიონი ლარის ოდენობით, საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანმა სახელმწიფო ფონდმა დროულად და სრულად დაფარა. ხელფასები გაცემული რომ არ არის, ეს შიდა მენეჯმენტის პრობლემაა. მათ მიერ ფონდში წარმოდგენილია სამუშაოები, რაც ხელშეკრულებით არ იყო გათვალისწინებული.

2004 წლის 23 თებერვალს ღუდუშაურის სახელობის სამედიცინო ცენტრთან ხელშეკრულება გავაგრძელეთ, თუმცა მიზანშეწონილად მიგვაჩნია, შეიქმნას სათანადო ნორმატიული ბაზა, რომლის საფუძველზეც, კლინიკა ახლებური წესით დაფინანსდება. ამჟამად არსებული ბაზა სუსტი და დაუხვეწელია.

უნდა გამოინახოს შიდა რეზერვები და ნაკლები პრობლემები იქნება. ამხელა კლინიკის მხოლოდ სახელმწიფოს ხარჯზე ყოფნა გაუმართლებელია. ისე კი, ღუდუშაურის ცენტრს ყოველთვის ექნება ფონდისგან მხარდაჭერა. ქვეყნის მტერი უნდა იყო, რომ ასეთი დონის დაწესებულება უფუნქციოდ დატოვო და თანადგომა არ აღმოუჩინო".

## ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ალექსანდრე ლომაია 15 მარტს ახალციხის მე-3 სკოლაში სახელმწიფო დროშის აღმართვის ცერემონიას დაესწრება. 15 მარტიდან საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ყოველი სასწავლო კვირის დასაწყისში საზეიმო ვითარებაში სახელმწიფო დროშა აღიმართება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ქალაქის მთავარი არქიტექტორის ვაკანტურ თანამდებობას, სავარაუდოდ, თბილისის ყოფილი მთავარი მხატვარი დიმიტრი მოსულიშვილი დაიკავებს. თბილისის მთავარი არიქტექტორი ირაკლი როსტომაშვილი, პრეზიდენტის ბრძანებულების საფუძველზე, სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელად დაინიშნა. მან ამ პოსტზე ირაკლი ანდრიაძე შეცვალა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სასტუმრო "თბილისი მარიოტი" და "ქორთიარდ მარიოტი" ორგანიზაცია "კათარზისში" პარასკევს სადილს შესთავაზებენ 300-მდე უმწეო მოხუცს. სასტუმრო "მარიოტი" მზრუნველობას უწევს, ასევე, გლდანის ბავშვთა სახლის აღსაზრდელებს. MARRIOTT INTERNATIONAL, INC. (NYSE:MAR) მართავს 2600 სასტუმროს აშშ-სა და მსოფლიოს 64 სახელმწიფოში. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ახალგახსნილ იაღლუჯის ნაგავსაყრელზე ნარჩენები თბილისის მხოლოდ ერთი რაიონიდან შედის. თბილისში ლილოს ნაგავსაყრელი ჯერჯერობით ისევ აგრძელებს ფუნქციონირებას. იაღლუჯის ნაგავსაყრელზე ნარჩენები უნდა გაეტანათ ისანი-სამგორის, მთაწმინდა-კრწანისის და ჩუღურეთის რაიონებს, თუმცა მხოლოდ მთაწმინდა-კრწანისის რაიონს გააქვს. **მედია-ნიუსი**

# საგზაო პოლიციას ისევ ახალი უფროსი ჰყავს

*საქართველოს საგზაო პოლიციის მთავარ სამმართველოს კვლავაც ახალი ხელმძღვანელი ჰყავს. ამ თანამდებობაზე დანიშნული ვასილ მარგალიტაძე საგზაო პოლიციის თანამშრომლებს პირადად წარუდგინა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა გია ბარამიძემ.*

სოფიკო ჩხაიძე

მას შემდეგ, რაც აწ უკვე გაუქმებული ანტიკორუფციული ბიუროს მიერ მოკვლეული, მსხვილ კორუფციულ დარღვევებში მამხილებელი მასალების გამოქვეყნების შედეგად საგზაო პოლიციის მაშინდელ უფროსს დავით კობახიძეს საკუთარი ნებით მოუწია თანამდებობის დატოვება, საგზაო პოლიციის არც ერთი შეფი ამ სტრუქტურის სათავეებს დიდხანს არ შერჩენია. ჯერ კიდევ კობახიძის შემცვლელის, მაშინდელი შინაგან საქმეთა მინისტრის კობა ნარჩემაშვილის მიერ ამ თანამდებობაზე დანიშნული დავით კაჭკაჭიშვილის წარდგენისას მთავარი აქცენტი კეთდებოდა ამ ერთ-ერთ ყველაზე კორუფციულ უწყებაში კორუფციის აღმოფხვრასა და საგზაო პოლიციის იმიჯის შეცვლაზე. რამდენიმე თვის, ანუ უკვე ვარდების რევოლუციის შემდეგ ამავე თანამდებობაზე ახალი ხელისუფლების გუნდის წევრის შალვა ოგბაიძის პრეზენტაციაზეც ძირითადი სასაუბრო თემა სწორედ ანტიკორუფციული ღონისძიებების გატარება და საგზაო პოლიციის მუშაობის დახვეწა გახლდათ. თითქმის არაფერი შეუცვლია არც იმ ორიოდე თვეში, რაც ოგბაიძემ ამ თანამდებობაზე გაძლო. ცხადია, გუშინ საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს ახალი უფროსი ვასილ მარგალიტაძე თავად საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი ბარამიძემ წარადგინა, წინა ორ შემთხვევაში ეს მისია შინაგან საქმეთა მინისტრის მაშინდელ მოადგილეს დავით თოდუას დაეკისრა.

სხვათა შორის, ამ თანამდებობისთვის სწორედ გიორგი ბარამიძის ახლო მეგობარს, ვასილ მარგალიტაძეს რომ ამზადებდნენ, შალვა ოგბაიძის გადადგომის მეორე დღესვე იყო ცნობილი. თუმცა, ეს ინფორმაცია მხოლოდ გუშინწინ იმ პრესკონფერენციაზე დადასტურდა, რომელზეც გიორგი ბარამიძემ თავისი ახალი გუნდი წარადგინა.

**პატრიოტიზმი, პატიოსნება, ერთგულება და პროფესიონალიზმი** - ოთხი თვისებისგან შემდგარმა კრიტერიუმმა, რომლითაც, გიორგი ბარამიძის თქმით, იგი თანაგუნდელებს არჩევს, გუშინწინდელი პრესკონფერენციის მსგავსად გუშინ საგზაო პოლიციაშიც გაიჟღერა. ამასთან ერთად, გიორგი ბარამიძემ ისიც აღიარა, რომ ვასილ მარგალიტაძე მისი ბავშვობის მეგობარია, თუმცა, მინისტრის თქმით, მისი ამ თანამდებობაზე დანიშვნის დროს ეს გადამწყვეტი ნამდვილად არ ყოფილა.



*გიორგი ბარამიძემ კიდევ ერთი საგზაო პოლიციის უფროსი დანიშნა.*



*მარგველაშვილი შინაგან საქმეთა მინისტრის ახლო მეგობარია.*

**"მუშაობდა ჯერ ეროვნული უშიშროების საბჭოში, შემდეგ უშიშროების სამინისტროს აპარატის უფროსად, ხოლო ბოლოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის ხელმძღვანელად"**, - ასე დაახასიათა გიორგი ბარამიძემ საგზაო პოლიციის უფროსად დანიშვნამდე ვასილ მარგალიტაძის მიერ განვლილი თანამდებობრივი გზა.

საგზაო პოლიციის ახალდანიშნული უფროსის ბიოგრაფიას უფრო დეტალურად თუ გადავხედავთ, იგი განათლებით სამთო ინჟინერია, 1991-92 წლებში მუშაობდა აბანო-საპარიკმახეროების გაერთიანება „ჰიგიენაში“ მთავარ მექანიკოსად, მოგვიანებით, "მოქალაქეთა კავშირში" შესვლის შემდეგ კი, პარტიის რეგიონული მართვის დეპარტამენტის ინსპექტორად დაინიშნა. მალე საქართველოს პრეზიდენტის, იმავე უმაღლესი მთავარსარდლის ოპერატიულ-სამორიგეო სამსახურის ანალიტიკურ განყოფილებაში ოპერატიულ თანამშრომლად, შემდგომში ოპერატიული რეაგირების განყოფილების უფროსად გადაიყვანეს. მან უკვე 1997 წლიდან დაიწყო ეროვნული უშიშროების საბჭოს საიდუმლოების დაცვის განყოფილებაში მუშაობა.

გუშინ, მომავალ თანამშრომელთა წინაშე გამოსვლისას, მას დიდი დაპირებები არავისთვის მიუცია - უბრალოდ, თქვა, რომ მათ გვერდში დაუდგება, თუმცა განსაკუთრებით კატეგორიული და მომთხოვნიც იქნება.

# გარდაცვალების შემდეგ დამსახურებული პატივი და ორდენები

პირველი გვერდიდან

დაახლოებით სამი საათისთვის გარდაცვლილთა ხსოვნას პატივი მიაგეს: საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი ბარამიძემ და გენერალურმა პროკურორმა ირაკლი ოქრუაშვილმა. პრეზიდენტმა ბოროტმოქმედებთან შეტაკებისას გმირულად დაღუპული პოლიციელები სიკვდილის შემდეგ ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის ორდენით დააჯილდოვა. გამოსამშვიდობებელ პროცესიაზე მოსულ ხალხს სიტყვით მიმართეს გიორგი ბარამიძემ და მიხეილ სააკაშვილმა: **"საქართველოს გამოაკლდა პატიოსანი შვილები, ნამდვილი ვაჟკაცები. მათ ხალხის სამსახურისთვის დამნაშავეებს თავი შეაკლეს. მინდა, გაცნობოთ, რომ, პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, ჩვენს გმირებს ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის ორდენი მიენიჭათ. მათთან ერთად დაიღუპნენ უდანაშაულო ადამიანებიც. ეს ცოდვა კისერზე აწევს ყაჩაღებს. სახელმწიფო ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ ეს ოჯახები არ დარჩნენ მიტოვებულნი"**, - განაცხადა გიორგი ბარამიძემ.

გარდაცვლილ პოლიციელებს სახელმწიფომ 10 წლის ხელფასი გამოუყო. ქუთაისის მერიამ კი მათი დაკრძალვის ხარჯები გაიღო. ორმხრივი სროლის შედეგად გარდაცვლილი მოქალაქის - თამაზ შალიკიანის არასრულწლოვან შვილს კი მარჩენალის დაკარგვის გამო პენსია დაენიშნება.

დაკრძალვის პროცესიაზე მისული პრეზიდენტი აღელვებას ვერ ფარავდა.

**"გიორგი ხატიაშვილი, ნუგზარ შვანგირაძე და როინ რობაქიძე თითოეული ქართველის სიმშვიდის დასაცავად დაიღუპნენ. ეს ჩაიდინა საზოგადოების ყველაზე უარესმა, ზნედაცემულმა, გაფუჭებულმა ნაწილმა, რომელთაც გადაწყვიტეს, რომ მათ ეკუთვნით ქუთაისი და საქართველო... კრიმინალებმა ცხვირი შეყვეს პოლიტიკაში და დაიწყეს ბიზნესის კონტროლი ქუთაისში. მათ აქვთ იარაღის საწყობები. ბანდიტებს ამ ბიჭების სახელით დაუძინებელ ომს ვუცხადებ... ნუ ესვრით ჩვენს პოლიციელებს! თუ რამის თავი გაქვთ, მე მესროლეთ. პოლიციას ბრძანებას მე ვაძლევ და ასეთ ბრძანებას მივცემ ბოლომდე, სანამ არ ამოვძირკვავთ და გაგანადგურებთ... საქართველოში არამზადების და ნაძირლების დრო ერთხელ და სამუდამოდ უნდა დამთავრდეს. ქურდებისათვის არ მიჩუქნია ქუთაისი, დამთავრდა მათი ბოგინი. პირადად მივხედავ, რათა ამათ ბავშვებს და ოჯახებს ყურადღება არ მოაკლდეთ"**, - განაცხადა სააკაშვილმა.

თავის სიტყვაში პრეზიდენტმა განსაკუთრებული რეაგირება ჟურნალისტების მხრიდან აღნიშნული ოპერაციის წარუმატებლად შეფასებაზე გააკეთა. **"რა იყო წარუმატებელი? ის, რომ ბიჭებმა არ დაიხიეს უკან და შეიარაღებულ ბანდიტებს გაეკიდნენ?"** - აცხადებდა გუშინ პრეზიდენტი, რომელმაც დაღუპულ პოლიციელთა ოჯახის წევრებს ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის ორდენები პირადად გადასცა.

ბოროტმოქმედებთან შეტაკებისას გმირულად დაღუპული პოლიციელები ქუთაისში, მიუხედავად აღნიშნული სისტემის სახელგატეხილობისა, მეტად დადებითად ხასიათდებიან. გიორგი ხატიაშვილი 37 წლის გახლდათ. იგი თერჯოლის რაიონის სოფელ კვახჭირშია დაბადებული. პოლიციაში 1989 წლიდან მუშაობს. გარკვეული პერიოდის განმავლობაში იგი პოლიციაში აღარ საქმიანობდა. 2003 წლიდან კი იგი ქუთაისის პოლიციის მეოთხე განყოფილებაში სისხლის სამართლის სამძებროს უფროს ინსპექტორად მუშაობს. მასთან მიმართებაში ქუთაისელები რამდენიმე ამბავს იხსენებენ. კერძოდ, ხატიაშვილი ოთხმოცდაათიან წლებში ქუთაისის ერთ-ერთი რაიონის პოლიციის განყოფილებაში მუშაობდა. სწორედ მაშინ გაითქვა სახელი დამნაშავეებთან უკომპრომისო ბრძოლით. როგორც ამბობენ, მისი უშუალო ხელმძღვანელი მექრთამე იყო და ხატიაშვილის დაჭერილ დამნაშავეებს ფულის გადახდის შემდეგ უპრობლემოდ ათავისუფლებდა, რის გამოც მას ხელმძღვანელობასთან უთანხოება ჰქონდა. მის სახელს უკავშირდება ქუთაისის ერთ-ერთი მაღალჩინოსანი პოლიციელის შვილის ცემაც, რომელმაც პოლიციელებს უმიზეზო სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. ხატიაშვილი აიძულეს, სამსახურიდან წასულიყო. **"ხატიაშვილი მაშინ ზედმეტი სამართლიანობის გამო დაითხოვეს სამსახურიდან"**, - აცხადებენ თვითმხილველები. იგი პირად საუბრებში ხშირად გამოხატავდა წუხილს პოლიციაში გამეფებული კორუფციის გამო. 2003 წლიდან გიორგი ხატიაშვილმა კვლავ დაიწყო სამართალდამცავ სისტემაში მუშაობა. ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ კი განსაკუთრებულ შემართებას გამოხატავდა. ხატიაშვილს მეუღლე და 5 წლის ქალიშვილი დარჩა. დადებითად ხასიათდება დანარჩენი ორი გარდაცვლილი პოლიციელიც. როინ რობაქიძე თერჯოლაში დაიბადა. იგი ავღანეთის ომის მონაწილე გახლდათ. თერჯოლის პოლიციაში 1996 წლიდან მუშაობს. ჰყავს მეუღლე და ორი არასრულწლოვანი შვილი. გიზო შვანგირაძე კი 42 წლის გახლდათ. იგი წყალტუბოს რაიონის სოფელ გვიშტიბშია დაბადებული. გარდაცვალებამდე იმერეთის სამძებრო განყოფილების მნიშვნელოვან საქმეთა უფროს ინსპექტორად მუშაობდა.

ბოლო პერიოდში ქუთაისში ახალი ინფორმაციები ვრცელდება აღნიშნულ შემთხვევასთან დაკავშირებით. კერძოდ, საუბარია იმაზე, რომ თავდასხმის ადგილიდან გაქცეული ყაჩაღები "მოწამეთას" ტაძარს აფარებდნენ თავს. ორი დღის წინ იქ პოლიციამ ჩხრეკა ჩაატარა. ეკლესიის წინამძღვრები აღნიშნულ ხმებს უარყოფენ და ჟურნალისტებთან ოფიციალურ საუბარზე უარს აცხადებენ. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, მოწამეთას მიმართულებით გაქცეული ყაჩაღები ერთ-ერთმა ქალბატონმა დაინახა, თუმცა ყაჩაღებს დადევნებული პოლიციელებისთვის იმავე ქალბატონს განუცხადებია: ყაჩაღები აქეთ არ გაქცეულანო. რის გამოც პოლიციელებს აღნიშნული მიმართულებით ძებნა აღარ გაუგრძელებიათ. ერთ-ერთი ვერსიით, მოწამეთას ეკლესიის ტერიტორიის გავლით ყაჩაღებმა გელათის ტყეს შეაფარეს თავი.

# ოჯახურ ტრაგედიას სამი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა

*გუშინწინ, დაახლოებით, საღამოს ცხრა საათზე, კობახიძის ქუჩის N5-ში მცხოვრებ ბიჭიკო გოლეთიანის ოჯახში საზარელი ტრაგედია დატრიალდა. ბიჭიკო გოლეთიანის ოჯახიდან სასწრაფო დახმარების მანქანებს თბილისის რესპუბლიკურ, მეცხრე და დიღმის საავადმყოფოებში მძიმედ დაჭრილი ოჯახის წევრები გადაჰყავდა. მიუხედავად ექიმების დიდი მცდელობისა, დანის დარტყმით მიყენებული მძიმე ჭრილობების გამო დაჭრილთაგან სამის გადარჩენა შეუძლებელი აღმოჩნდა.*

ხათუნა ჯანგირაშვილი

მომხდართან დაკავშირებით გუშინ დილიდანვე სხვადასხვა ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია ვრცელდებოდა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ბიჭიკო გოლეთიანის ოჯახში მისი ძმები – დავით და ნოდარ გოლეთიანები ცოლ-შვილთან ერთად სტუმრად იმყოფებოდნენ. ძმებმა მშვიდად ივახშმეს, ყველასთვის მოულოდნელად ვახშმობის შემდეგ სამზარეულოში გასულმა დავით გოლეთიანმა დანით გულ-მკერდის არეში დაჭრა უფროსი ძმის, ბიჭიკო გოლეთიანის მეუღლე დალი გოლეთიანი, შემდეგ - საკუთარი მეუღლე მაია ბასილაშვილი და ორი მცირეწლოვანი შვილი თორნიკე და მერი გოლეთიანები. დავით გოლეთიანმა ზურგის არეში დანით დაჭრა მასპინძელი ძმაც, ხმაურზე სამზარეულოში შევარდნილი ბიჭიკო გოლეთიანი.

ამ ყველაფრის შემდეგ კი, გოლეთიანების ოჯახის გადარჩენილი წევრების მონათხრობისა და ჩვენებების მიხედვით, დანით გულ-მკერდის არეში თავი მძიმედ დაიჭრა თავად დავით გოლეთიანმა.

ერთი სიტყვით, ოჯახურ ტრაგედიას სამი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა თავად დავით გოლეთიანი, მის მიერ დაჭრილი მისივე შვილი –შვიდი წლის თორნიკე გოლეთიანი და რძალი – ბიჭიკო გოლეთიანის მეუღლე დალი გოლეთიანი. გოლეთიანების სამი დაჭრილი წევრი კვლავ საავადმყოფოში იმყოფება.

ერთი სიტყვით, სანამ გამოძიება მომხდარის დეტალებს ადგენს, ვრცელდება სხვადასხვა ინფორმაცია. ერთადერთი, რაც ამ ეტაპზე დადგენილია, ტრაგედიისას გოლეთიანების ოჯახში უცხო არავინ იმყოფებოდა, ანუ ძმების ოჯახურ შეკრებას არავინ ესწრებოდა.

ერთ-ერთი ვერსიის მიხედვით, ტრაგედია ორ ძმას – დავით და ბიჭიკო გოლეთიანებს შორის მომხდარ დაპირისპირებას მოჰყვა. დაპირისპირების მიზეზი და დატრიალებული ტრაგედიის მოტივი არ სახელდება.

**"მიმდინარეობს ყველა წვრილმანის დეტალურად შესწავლა. დავკითხეთ გოლეთიანების ოჯახის ყველა გადარჩენილი წევრი. მათი გადმოცემით, დავით გოლეთიანმა თავად დაიჭრა თავი დანით, რასაც შეეწირა კიდეც, თუმცა გასარკვევი და დასადგენია, რამდენად სწორია ოჯახის წევრთა ეს ინფორმაცია. არსებობს ვერსია, რომ დავით გოლეთიანი მომხდარის შემდეგ ოჯახის მასპინძელმა საკუთარმა ძმამ ბიჭიკო გოლეთიანმა დაჭრა.**

**უამრავი ექსპერტიზა და საგამოძიებო მოქმედებაა ჩასატარებელი. მომხდარი მკვლელობების მოტივზე საუბარი ჯერ ნაადრევია"**, - განაცხადა ჩვენთან საუბრისას მთაწმინდა-კრწანისის რაიონის პროკურორმა მირზა დოლიძემ.

როგორც "24 საათისთვის" გახდა ცნობილი, ძმებ გოლეთიანებს საერთო ბიზნესი ჰქონდათ. როგორც ამბობენ, უფროსმა ძმამ - ბიჭიკო გოლეთიანმა, რომელიც სიკვდილს გადაურჩა, საკუთარ ბიზნესში დაასაქმა ორი ძმა. ჩვენს ხელთ არსებული დაუზუსტებელი ინფორმაციით, ძმები გოლეთიანები "კოდაკის" მაღაზიებს ფლობდნენ.

# წარმატებით დასრულებული ოპერაციის ისტორია

*საზოგადოება უკვე გადაეჩვია იმას, რომ საქართველოში კრიმინალების წინააღმდეგ დაგეგმილი სპეცოპერაცია შესაძლებელია უსისხლოდ დასრულდეს. ბოლო პერიოდში კი დამნაშავეთა დევნა არა მარტო კრიმინალების, არამედ ხშირად უდანაშაულო ადამიანებისა და თვით პოლიციელთა მკვლელობითაც სრულდება. ორიოდე დღის წინ გამართულ პრესკონფერენციაზე შინაგან საქმეთა მინისტრმა ჩატარებული სისხლიანი ოპერაციები ასე გაამართლა: "დევნისას კრიმინალები თუ დასახლებულ პუნქტში შეაღწევენ, პოლიციელები ვალდებულები არიან, ყველაფერი გააკეთონ მათი ლიკვიდაციისთვის". მინისტრის ამგვარი მიდგომა, თავისთავად ცხადია, პოლიციელებში ორმხრივი დაპირისპირების რისკის ფაქტორს ზრდის და უკანა პლანზე გადადის ოპერატიული მუშაობის სხვა ფორმები; არადა, ეს გზა რომ უფრო გამართლებულია და შესაძლებელიც, ამას გუშინდელი ფაქტიც ცხადყოფს.*

თამარ კაციტაძე

გუშინ, გამთენიისას, ფოთში ჩატარებული სპეცოპერაცია წარმატებით და თანაც უსისხლოდ დასრულდა. ფოთის პროკურორმა მამუკა პაპასკირმა და კრიმინალური პოლიციის უფროსმა ტარიელ ხაბურძანიამ ყოველგვარი დაპირისპირების გარეშე, მოლაპარაკების შედეგად შეძლეს ოთხი ბოროტმოქმედის, აქედან - ერთი კანონიერი ქურდის დაპატიმრება.

სავარაუდო ვერსიით, ფოთელმა გოჩა ჯიქიამ მშობლიურ ქალაქში წინასწარ დაგეგმილი ყაჩაღობის განსახორციელებლად ჩაიყვანა გარდაბნის რაიონის სოფელ ქვიშანში მცხოვრები ზურაბ ძიძიკაშვილი, ქუთაისელები: წარსულში ყაჩაღობისთვის ნასამართლევი გენადი ალშტერი და კანონიერი ქურდი, ყაჩაღობისა და ქურდობისთვის ნასამართლევი როსტომ იობიძე - მეტსახელად "მალიშა".

დაახლოებით, ღამის სამ საათზე ოთხივე ბოროტმოქმედი სარჯველაძეების სახლში შევიდა, სადაც ცოლ-ქმარი და ორი შვილი ცხოვრობდა. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, სარჯველაძეების ძმა დიდი ხანია გერმანიაში ცხოვრობს და მისი ოჯახი თავს ირჩენს იქიდან გამოგზავნილი მანქანების გაყიდვით. შუაღამისას ატეხილ ხმაურზე გაეღვიძა გვერდით ოთახში მყოფ სარჯველაძის ვაჟს, მეორე სართულიდან გადახტა და თავდასხმის შესახებ პოლიციას ინფორმაცია მიაწოდა. შემთხვევის ადგილზე 12-კაციანი პოლიციის ოპერატიული ჯგუფი პროკურორისა და კრიმინალური პოლიციის თანხლებით გავიდა.



*ფოთში ოპერაცია უსისხლოდ დასრულდა.*

**"პოლიციამ სარჯველაძეების სახლს ალყა შემოარტყა. ჩვენ ეზოში ვიყავით და დამნაშავეებთან მოლაპარაკება დავიწყეთ ჩაბარებასთან დაკავშირებით. მათ ვუხსნიდით, რომ შეიარაღებულ წინააღმდეგობას აზრი არ ჰქონდა, რადგან ჩვენ უპირატესი მდგომარეობა გვქონდა და ადგილზევე შევძლებდით მათ ლიკვიდაციას. სამაგიეროდ, თუ სროლას არ დაიწყებდნენ, უსაფრთხოების გარანტიას ვაძლევდით"**, - ასე იხსენებს ფოთის პროკურორი მოლაპარაკების დეტალებს.

მამუკა პაპასკირის თქმით, თითქმის სამსაათიანი მოლაპარაკებით შემდეგ დამნაშავეებმა ადვოკატის მიყვანა მოითხოვეს. **"ჩვენ ადვოკატი მაშინვე მივიყვანეთ და ცოტა ხანში ოპერაციაც ისე დასრულდა, რომ არც ერთი მხრიდან ერთი ტყვიაც არ გასროლილა. პოლიციას ჰაერში გამაფრთხილებელი გასროლაც არ მოუხდენია"**, - აღნიშნა ჩვენთან საუბარში პროკურორმა.

სარჯველაძეების ოჯახში შესულმა პოლიციამ, თავდამსხმელების მიერ წასაღებად შეგროვილ კომპიუტერთან, ვიდეოტექნიკასა და ოჯახის სხვა ნივთებთან ერთად, დამნაშავეების ორი ცეცხლსასროლი იარაღი - "მაკაროვის" და ამ ეტაპზე დაუდგენელი მარკის პისტოლეტი აღმოაჩინა. პაპასკირის თქმით, ერთ-ერთი იარაღი დამნაშავეებმა ყვავილის ვაზაში დამალეს, მაგრამ სამართალდამცველებმა მაინც იპოვეს.

როგორც მოგვიანებით გაირკვა, თავდამსხმელებს გამიზნული ჰქონდათ გერმანიიდან რამდენიმე კვირის წინ გამოგზავნილი მანქანის - "ოპელის" გატაცებაც.

სხვათა შორის, ჩხრეკისას გენადი ალშტერს აღმოაჩნდა ადამიანთა უფლებათა დაცვისა და ჟურნალისტთა საგამოძიებო ლიგის თავმჯდომარის მოადგილის საბუთები, რომელიც შს სამინისტროს ბეჭდით არის დადასტურებული. მართალია, დაკითხვისას მან აღიარა, რომ საბუთები ყალბად ჰქონდა დამზადებული, მაგრამ რაში იყენებდა მათ, ჯერჯერობით, უცნობია.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე ფოთის პროკურატურაში ყაჩაღობის მუხლით აღიძრა. თუმცა, როგორც მამუკა პაპასკირი ვარაუდობს, არ არის გამორიცხული, რომ ძიების პროცესში აღნიშნულ ბრალდებას სხვა მუხლებიც შეემატოს.

# საქართველოს მსოფლიო რანგის საგარეო საქმეთა მინისტრი ეყოლება

პირველი გვერდიდან

სააკაშვილმა, საფრანგეთის მოქალაქე სალომე ზურაბიშვილი, რომელიც 2004 წლის 3 ნოემბრიდან არის საფრანგეთის ელჩი საქართველოში, დაახასიათა, როგორც ყოველმხრივ შემკული პიროვნება: პატრიოტი, პროფესიონალი, სახელოვანი წინაპრების ღირსეული მემკვიდრე, რომელიც შესანიშნავად მეტყველებს ქართულად და იცნობს საქართველოს ისტორიას და კულტურას. **"ქალბატონი სალომე არის საფრანგეთის დიპლომატიური კორპუსის მაღალი რანგის წარმომადგენელი. მას საფრანგეთის საგარეო უწყებაში მაღალი თანამდებობა ეკავა, იყო საფრანგეთის ეროვნული თავდაცვის გენერალური სამდივნოს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ხელმძღვანელი... მან ზედმიწევნით კარგად იცის ევროპული ინსტიტუტების ფუნქციონირების ყველა დეტალი,"** – ასეთია პრეზიდენტის არგუმენტები.

სალომე ზურაბიშვილი არის ნიკო ნიკოლაძის შვილთაშვილი და დამოუკიდებელი მთავრობის სენატორის, გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწის, ილია ჭავჭავაძის თანამებრძოლის, ივანე ზურაბიშვილის შვილიშვილი. ქალბატონ სალომეს დამთავრებული აქვს პარიზის პოლიტიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტი. შეგახსენებთ, რომ ამ ინსტიტუტში ორი დღის წინ გამოსვლა ჰქონდა პრეზიდენტ სააკაშვილს. ზურაბიშვილი ასევე სწავლობდა ნიუ-იორკის კოლუმბიის უნივერსიტეტში, რომლის კურსდამთავრებულთა შორის საქართველოს პრეზიდენტიც ირიცხება.

**"ის არის საფრანგეთის მოქალაქე, მაგრამ სისხლით და ხორცით ქართველი. ჩვენ საქართველოში ჩამოგვყავს ყველაზე წარმატებული ქართველი სპეციალისტი,"** – ამ სიტყვებს მიხეილ სააკაშვილმა დასძინა, რომ მსოფლიოში მსგავსი პრეცედენტი არ მომხდარა. პრეზიდენტის განმარტებით, სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, საქართველოს კონსტიტუცია მას აძლევს უფლებას, რომ მომავალ მინისტრს ორმაგი მოქალაქეობა მიანიჭოს: **"თუ ასეთ გადაწყვეტილებას მივიღებ, პირველი ორმაგი მოქალაქე ქალბატონი სალომე იქნება."**

პრეზიდენტმა გაწეული მუშაობისთვის მადლობა გადაუხადა ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრს თედო ჯაფარიძეს და "საგარეო პოლიტიკის კარგი სპეციალისტი" უწოდა, თუმცა: **"სამწუხაროდ, ჩვენ საქართველოში ვერ გვეყოლებოდა ქალბატონ სალომეს დონის კადრი."**

პრეზიდენტი სააკაშვილი იმდენად მოხიბლული და აღფრთოვანებულია სალომე ზურაბიშვილის პიროვნებით, რომ ნებისმიერ სხვა თემაზე საუბარს ამ ქალბატონით ასრულებდა: **"ჩვენს ქვეყანას დასჭირდება რვა-ათთვიანი თავდაუზოგავი შრომა იმისთვის, რომ ინვესტიციების მოზიდვის საკითხი წარმატებით გადაწყდეს. მანამდე, უნდა მოისპოს კორუფცია და კრიმინალური კლანების ბოგინი... ნამდვილ კეთილდღეობას ინვესტიციები მოგვიტანს... ჩვენ ახლავე შეგვიძლია, სერიოზული ნაბიჯები გადავდგათ, როგორც ევროპის კავშირთან და ნატო-სთან, ასევე რუსეთთან მიმართებაში. აქაც ევროპის მონაწილეობა მნიშვნელოვანია, რათა გავაღრმაოთ ჩემი და პუტინის მიერ დაწყებული საქმე. და სალომე ზურაბიშვილის დანიშვნა არის სრულიად უნიკალური და ისტორიული შანსი საქართველოსთვის, რომ გვქონდეს ძალიან წარმატებული საგარეო პოლიტიკური კურსი".**

სალომე ზურაბიშვილი, ჯერჯერობით, პარიზშია. ის ორკვირიან კონსულტაციებს გამართავს საფრანგეთის მთავრობასთან და გადამზადების სპეციალურ კურსს გაივლის.

**"სალომე ზურაბიშვილის დაბრუნება - ეს არის საქართველოს ისტორიის განახლების, მშობლიურ ისტორიასთან ჩვენი უწყვეტი კავშირის ბრწყინვალე მაგალითი"**, - ასე შეაფასა მიხეილ სააკაშვილმა თერგდალეულთა თაობის შთამომავლის მოსვლა საქართველოს მთავრობაში. აქვე იმასაც დავძენთ, რომ სალომე ზურაბიშვილის დედა "ვარდების რევოლუციის" დროს თბილისში იმყოფებოდა და დემონსტრანტებს აქტიურად უჭერდა მხარს. რაც შეეხება სალომე ზურაბიშვილის შვილებს, მათ საქართველო არასოდეს უნახავთ, მაგრამ ქართულად საუბარს პარიზშიც მშვენივრად ახერხებენ.



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*მიხეილ სააკაშვილი: "ის არის საფრანგეთის მოქალაქე, მაგრამ სისხლით და ხორცით ქართველი".*

## „ბავშვობის ოცნების მსგავსი"

**"თბილისში მოვლინებას საკუთარი ინიციატივით ვერ ვითხოვდი. ეს დიდი ნდობაა და ჩეულებრივი დიპლომატიური გადაწყვეტილებების რიგში არ შედის. ვერ ვითხოვდი, რადგან უარის მიღება არ მინდოდა. როგორც კი შემომთავაზეს, დავთანხმდი, რადგან ჩემთვის ეს ბავშვობის ოცნების მსგავსი იყო. გულის კუნჭულში ამაზე ყოველთვის ვოცნებობდი, მეტადრე დასაწყისში, როდესაც საქართველო, როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა, ჯერ არც კი არსებობდა. თუმცა, მჯეროდა, რომ ერთ დღეს ეს მოხდებოდა და ჩემს დიპლომატიურ გამოცდილებას საქართველოში გამოვიყენებდი,"** - ეს სიტყვები სალომე ზურაბიშვილმა ორიოდე კვირის წინ ჩვენი გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში თქვა. ის ჯერ კიდევ საფრანგეთის ელჩი იყო საქართველოში და კატეგორიულად უარყოფდა გავრცელებულ ხმებს მისი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშვნის შესახებ. დღეს "სრულიად ფრანგი და სრულიად ქართველი" სალომე ზურაბიშვილი დამოუკიდებელი საქართველოს პირველი ქალი საგარეო საქმეთა მინისტრი ხდება.

საქართველოში ცხოვრება ემიგრაციაში გადახვეწილი მისი სახელოვანი და გამორჩეულად ქართველი წინაპრების აუხდენელი ოცნება იყო. ეს ოცნება ქალბატონ სალომეს აუხდა და თან გადამწყვეტ, ისტორიულ მომენტში - იგი იყო უკანასკნელი ელჩი, ვინც შევარდნაძეს რწმუნებათა სიგელი გადასცა.

საფრანგეთში ადამიანის ელჩად დანიშვნა იმ ქვეყანაში, საიდანაც ის წარმოშობით არის, ჩვეულებრივი მოვლენა არ გახლავთ. მსოფლიო დიპლომატიისთვის მით უფრო უჩვეულოა უცხო ქვეყნის მოქალაქის აღმასრულებელ ხელისუფლებაში დანიშვნა.

**"ელჩისთვის ბევრად საინტერესოა, როცა ქვეყანა უმოძრაო მდგომარეობიდან ახალ ცხოვრებას იწყებს,"** - განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა იმავე ინტერვიუში. ახლა, ამ ახალ ცხოვრებაში ისიც უდიდეს როლს შეასრულებს - როდესაც ევროპაში ოდესღაც გაჭრილი ფანჯარა ჯერ კიდევ ღიაა, ამ არაორდინარული ნაბიჯით, კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ერაყის ომის შესახებ განსხვავებული ქართული და ფრანგული პოზიციები არავითარ გავლენას არ ახდენენ ევროპასთან ჩვენს გლობალურ ურთიერთობებზე და ეს ფანჯარა იქამდე იქნება ღია, ვიდრე საქართველოს უკანასკნელი მოქალაქე არ შეაბიჯებს დიდ ევროპულ ოჯახში.

*24 საათი*

# კახეთის "რენესანსი" იწყება

პირველი გვერდიდან

მთავრობის სხდომას თავისი დღის წესრიგი აქვს, რომლისთვისაც აღმასრულებელ ხელისუფლებას გუშინ ერთი პუნქტითაც არ გადაუხვევია: მინისტრთა კაბინეტი, დილით, თითქმის სრული შემადგენლობით, დედოფლისწყაროში ჩაფრინდა და სანავთობო კომპანია "ფრონტერას" ხელმძღვანელობასთან საქმიანი საუბრები გამართა, მოგვიანებით კი, სამთავრობო დესანტმა ქიზიყიდან ყვარლის რაიონში გადაინაცვლა, სადაც ცნობილი ბიზნესმენის ბადრი პატარკაციშვილის დამ, ახალი მოწვევის პარლამენტის წევრმა, ნანა პატარკაციშვილმა უამრავი მადლობები მიიღო, როგორც ხელისუფლების წარმომადგენლებისგან, ისე რიგითი მოქალაქეებისგან.

სამადლობელს პრემიერ-მინისტრიც შეუერთდა: როდესაც მან მარწუხებში მოქცეული მდინარე დურუჯის კალაპოტი თავისი თვალით იხილა, მას მხოლოდ ისღა დარჩენოდა, რომ კახელებისთვის დურუჯის სამუდამო "მოთვინიერება" მიელოცა. წესით, მილოცვებს საქმის გაკეთების შემდეგ იღებენ, მაგრამ კახელებს დღეს უკვე ეჭვი აღარ ეპარებათ, რომ ცნობილი ბიზნესმენი სიტყვას არ გადავა - მისმა საქველმოქმედო ფონდმა დურუჯის კალაპოტის გასამაგრებლად აუცილებელი 70 ათასი ლარი უკვე გამოყო. ეს მხოლოდ დასაწყისია, - დურუჯის საბოლოოდ დასაშოშმინებლად გაცილებით მეტი თანხაა საჭირო. ზურაბ ჟვანია აცხადებს, რომ კახელებს მხოლოდ ბიზნესმენების კეთილგანწყობის იმედად არ დატოვებს და დურუჯის კალაპოტის გამაგრებისთვის სახსრებს სახელმწიფოც გაიღებს.

რა გაუჭირდებოდა კახეთს, მხოლოდ გიჟმაჟი მდინარის ანცობა რომ აწუხებდეს?

ძველ სატკივარს ახალი ემატება - გაძვირდა ფქვილი, საწვავი, სასუქი, შხამქიმიკატები... ცხოვრება გაუსაძლისი ხდება...

კახეთში ჩაბრძანებულ მინისტრთა კაბინეტის წევრებს ზღვა ხალხი დახვდა. კახურმა პირდაპირობამ პრემიერი ძალიან შეაფიქრიანა. ამიტომ, მოგვიანებით, წინანდლის სამთავრობო რეზიდენციაში გამართული ოფიციალური სხდომის დროს, ზურაბ ჟვანია გაცილებით მომთხოვნი იყო: პრემიერი ფორმალობებს გვერდს უვლის; მას მხოლოდ ინიციატივები აინტერესებს; იმ ხალხის წარმოჩენა სურს, ვინც დროის მოკლე მონაკვეთში უპატაკებს, რომ კახეთი ვითარდება და წინ მიიწევს.

არადა, იმისთვის, რომ რეგიონმა "თვალში გამოიხედოს", მხოლოდ რამდენიმე ნაბიჯის გადადგმაა საჭირო. კახელები ბევრს არ ითხოვენ: სასუქის, საწვავის, შხამქიმიკატების და ფქვილის ფასები სახელმწიფომ დაარეგულიროს.

**"ხვალ "აზოტის" ხელმძღვანელობას ვხვდები და თქვენთვის მნიშვნელოვანი საქონლის ფასებზე, ვფიქრობ, გადაწყვეტილებებს მივაღებინებ",** - კახეთის მშრომელ "კლასს" თანადგომას ჰპირდება პრემიერ-მინისტრი.

ზურაბ ჟვანია წინანდლის სამთავრობო რეზიდენციაში მასთან აუდენციაზე მისული კახეთის "ელიტას" იმ პრიორიტეტებზეც ესაუბრა, რის გაკეთებასაც ცენტრალური ხელისუფლება ამ რეგიონის საკეთილდღეოდ აპირებს.

შეიქმნება ხორბლის შესყიდვის ფონდი, რომელიც ადგილობრივ წარმოებას წაახალისებს; დაფუძნდება კახეთის განვითარების პროგრამის შემმუშავებელი ჯგუფი. პრემიერ-მინისტრის განმარტებით, ჯგუფი **"შეიმუშავებს არა მარტო რაღაც აბსტრაქტულ ათწლიან პროგრამას, რომელიც ქაღალდზე დარჩება, არამედ დასახავს კონკრეტულ ღონისძიებებსა და წინადადებებს რეგიონის განვითარებისთვის"...**

მთავრობის გუშინდელ გამსვლელ სხდომაზე კახეთის რეგიონისთვის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად ტურიზმიც დასახელდა. ზურაბ ჟვანიას თქმით, კახეთს განსაკუთრებით დიდი პერსპექტივა ე. წ "აგროტურიზმის" მიმართულებით აქვს.

კულტურისა და სპორტის მინისტრმა გოკა გაბაშვილმა კახელების წინაშე გუშინ პირობა დადო, რომ ამ შემოდგომაზე კახეთს მთელ მსოფლიოს გააცნობს: მინისტრი სიამოვნებით იტაცებს მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის ინიციატივას იმის თაობაზე, რომ ამ შემოდგომაზე კახეთში ჩატარებული რთველი საერთო სახალხო დღესასწაულად იქცეს და მასზე ტურისტების მრავალათასიანი არმია იქნეს მოზიდული... "ღვინის ფესტივალი", "ქართული ბრენდის ზეიმი", - კახური დღესასწაულისთვის სახელის შერჩევა მხოლოდ გემოვნების ამბავი იქნება.

საქართველოს მთავრობა, პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას ხელმძღვანელობით, მომავალ ხუთშაბათს, გასვლით სხდომას იმერეთში ან ფოთში გამართავს. და საერთოდ, მინისტრთა კაბინეტის რეგიონული ვოიაჟები არ იქნება სიმბოლური. ზურაბ ჟვანია საზოგადოებას ჰპირდება, რომ წლის ბოლოს მთავრობა რეგიონებში კიდევ ერთხელ "ჩამოივლის" და მანამდე აღებული ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობის საკითხს განიხილავს.



*მთავრობა მდინარე დურუჯის გამაგრების სამუშაოებზე.*

# აჭარიდან ამომრჩეველთა სია ჯერაც არ ჩამოსულა

*აჭარის ხელმძღვანელობა ჯერაც არ გამოხმაურებია ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ზურაბ ჭიაბერაშვილის საკმაოდ მკვეთრ განცხადებებს, რომლის ადრესატები ავტონომიური რესპუბლიკის ექვსი საარჩევნო ოლქის თავმჯდომარეები არიან. არადა, თუკი ვითარება არ გამოსწორდა და ამ საარჩევნო ოლქებიდან ამომრჩეველთა სიები არჩევნებამდე დარჩენილ დღეებში არ ჩამოვიდა, მაშინ, როგორც კულუარებში ამბობენ, აჭარის ტერიტორიაზე გამართული არჩევნების შედეგებს ცესკო ბათილად ცნობს. ეს კი, თავის მხრივ, საკმაოდ სერიოზულ გავლენას მოახდენს თბილისსა და ბათუმს შორის არსებულ ურთიერთობებზე.*

თამარ ასათიანი

როგორც ჩანს, ბათუმი კვლავაც წაუყრუებს ცესკო-ს მოთხოვნებს და თბილისში, უკეთეს შემთხვევაში, იმ მონაცემებს გადმოაგზავნის, რომელიც მისთვის ხელსაყრელია და რომლის მიხედვითაც, აჭარაში, დაახლოებით, 280 ათასი ამომრჩეველია.

არადა, ცესკო-ს თავმჯდომარემ წერილობით ორჯერ მიმართა საარჩევნო ოლქების თავმჯდომარეებს და იმ ამომრჩეველთა მონაცემები მოსთხოვა, რომლებმაც ოთხი იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა მიიღეს. ჭიაბერაშვილის განცხადებით, ეს მონაცემები ერთიან კომპიუტერულ ბაზაში უნდა შესულიყო.

მართალია, ექვსი საოლქო საარჩევნო კომისიიდან ხუთმა მონაცემები დაგვიანებით გამოგზავნა, მაგრამ ისინი კანონის დარღვევით იყო შედგენილი. რაც შეეხება შუახევის საოლქო საარჩევნო კომისიას, იქიდან მონაცემები საერთოდ არ ჩამოსულა.

ამის გამო ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ საკმაოდ მკაცრი გადაწყვეტილება მიიღო და შუახევის 82-ე საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ნოშრევან ზოიძე თანამდებობიდან გაათავისუფლა. საფუძველი - შუახევის საოლქო კომისიამ არ შეასრულა მასზე დაკისრებული ვალდებულება და ცესკო-ს ამომრჩეველთა სიები მითითებულ ვადაში არ წარუდგინა.

დანარჩენი ოლქების თავმჯდომარეებს კი ზურაბ ჭიაბერაშვილმა სასტიკი საყვედური გამოუცხადა. თუმცა, ძნელი დასაჯერებელია, ამ საყვედურებმა არჩევნებამდე დარჩენილ პერიოდში თავმჯდომარეებზე სასწაულებრივად იმოქმედოს და მათ მონაცემები გადმოაგზავნონ.

ამომრჩეველთა მონაცემების ერთიან კომპიუტერულ ბაზაში, ჯერჯერობით, აჭარაში მცხოვრები არც ერთი ამომრჩევლის მონაცემი არ შეუტანიათ. ეს კი ნიშნავს, რომ არჩევნების დღეს აჭარაში იმდენი ამომრჩეველი იქნება რეგისტრირებული, რამდენიც საარჩევნო უბნებზე მივა, ანუ, იმ რიცხვზე გაცილებით ნაკლები იქნება, რაც აჭარის ცესკო-შია ოფიციალურად გაფორმებული.

აჭარის ავტონომიის ხელმძღვანელობა კვლავ ჯიუტობს და, როგორც ჩანს, რეგიონის ტერიტორიაზე არჩევნების ჩატარებას კვლავ იმ სიით აპირებს, სადაც რიცხვი "280 000" ფიგურირებს. ზურაბ ჭიაბერაშვილი კი უკან დახევას არ აპირებს. **"დაუშვებელია, ქვეყნის ტერიტორიაზე არჩევნები სხვადასხვა სტანდარტებით ტარდებოდეს. წინასწარი რეგისტრაცია და ამომრჩეველთა მონაცემების ერთიანი ბაზის შექმნა სავალდებულოა და აჭარა გამონაკლისი არ უნდა იყოს",** - ამბობს ზურაბ ჭიაბერაშვილი.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრი "აღორძინების კავშირიდან" ზურაბ აბაშიძე აცხადებს, რომ **"მკვეთრი ნაბიჯების გადადგმა არ ღირს და რომ საარჩევნო სიები უკვე გზაშია".** თუმცა, ცესკო-ში აცხადებენ, რომ ასეთი განცხადება მხოლოდ დროის გაყვანის მიზნით კეთდება.

ნომრის სტუმარი

# აბაშიძის პოლიტიკური კეთილდღეობის ეპოქა დასრულდა

## კეთილგონიერი პოლიტიკოსი ასპარეზიდან უნდა მიდიოდეს

*დავით უსუფაშვილთან დღევანდელი საუბრის თემა ცენტრსა და რეგიონს შორის არსებული დაძაბულობის სამართლებრივ ასპექტებს შეეხება. ქვემოთ ადვილად აღმოაჩენთ, რომ ისე, როგორც ბევრი სხვა რამ, ეს დაძაბულობაც წინა ხელისუფლების მძიმე მემკვიდრეობაა. თუმცა, იმასაც ადვილად აღმოაჩენთ, რომ არც ახალი ხელისუფლება ცდილობს "ნაანდერძევი" საკანონმდებლო ვაკუუმის შევსებას. პოლიტიკური განცხადებები დღემდე რჩება ცენტრის მთავარ იარაღად რეგიონთან ურთიერთობაში. თუმცა, ეს განცხადებები დღეს უკვე სხვანაირად იკითხება. წინათ "წესრიგი რეგიონში" პრეზიდენტისადმი მორჩილებას ნიშნავდა, ახლა ეს, ალბათ, კანონისადმი მორჩილებას უნდა ნიშნავდეს. თუ რეგიონი ამ კონსულტაციებს გაითვალისწინებს, ის ერთი ნაბიჯი უნდა გადადგას, რაც სათაურში წერია. თუ ცენტრი გაითვალისწინებს კონსულტაციებს - ანონსებით ბრძოლა საკონსტიტუციო სასამართლოში ბრძოლით უნდა შეცვალოს, მაგრამ ეს არ იქნება მხოლოდ ერთი კაცის სარჩელი - მთავრობა გუნდურად და კვალიფიციურად უნდა შეუდგეს აქამდე ტაბუდადებულ აჭარის ეკონომიკურ თუ სამართლებრივ პრობლემებზე საუბარს.*



*დავით უსუფაშვილი სტუმრად "24 საათის" რედაქციაში.*

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია თვითშემოქმედების გვირგვინია. მასში ასლან აბაშიძემ ჩაწერა ყველაფერი, რისი ჩაწერაც უნდოდა.**


მაია ჭალაბანიძე


**- შევარდნაძის ხელისუფლება აღარ არის, მაგრამ აბაშიძე იგივე ენთუზიაზმით მიისწრაფვის, იყოს ფსევდოპოლიტიკური ცენტრის ხელმძღვანელი. რამდენად გამოუვა მას ეს დღეს?**

- სამართლებრივი თვალსაზრისით, აჭარასთან დაკავშირებული პრობლემები საქართველოში კონსტიტუციის შექმნის დღიდან იღებს სათავეს. 1995 წელს სხვადასხვა სფეროებში ცენტრალური ხელისუფლების უფლებამოსილებანი კონსტიტუციით განისაზღვრა და ჩაიწერა, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კომპეტენცია სპეციალური კანონით განისაზღვრება. შემდგომ ეს კანონი არ იქნა მიღებული, რაც აშკარად ცენტრის სინდისზეა. აჭარის შესახებ კანონი არ არის მხოლოდ აჭარის მოსახლეობის გადასაწყვეტი და შესაბამისად გარკვეული ვაკუუმი შეიქმნა. კონსტიტუციაში თავიდან ჩაიწერა, რომ ეს არის აჭარა, შემდეგ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელის მოთხოვნით ჩაიწერა, რომ ეს არის ავტონომიური რესპუბლიკა. თავისთავად, ცნება "ავტონომიური რესპუბლიკა" ნიშნავს იმას, რომ ეს რეგიონი სხვებისგან განსხვავდება. განსხვავება უნდა აისახებოდეს უფლებამოსილებებშიც, კომპეტენციებშიც, სტრუქტურებშიც და ა.შ. საქართველოს კონსტიტუციაში ასეთი რამ არ არის და არც ის კანონი იქნა მიღებული, რომელსაც კონსტიტუცია ავალებდა ცენტრალურ ხელისუფლებას.

ამიტომ, სამართლებრივი თვალსაზრისით, პრობლემათა 95 პროცენტს ცენტრის უმოქმედობაში ვხედავ.

ამ კანონის მიუღებლობამ აჭარაში ხელ-ფეხი გაუხსნა თვითშემოქმედებას. გვირგვინი - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაა, რომელშიც ასლან აბაშიძემ ჩაწერა ყველაფერი, რისი ჩაწერაც უნდოდა და სრულიად არ გაითვალისწინა ის, რომ საქართველოს კონსტიტუციის მესამე მუხლით ის სფეროები, რომელიც ცენტრალური ხელისუფლების ექსკლუზიურ კომპეტენციაშია - უკვე ჩამოთვლილია. მან თავის კონსტიტუციაში სხვადასხვა ხერხებით - ზოგჯერ ტერმინების შეცვლით, ზოგჯერ სახელის გადარქმევით - კონსტიტუციით ცენტრისთვის განსაზღვრული ექსკლუზიური სფეროებიდან თითქმის ყველაფერი ჩაიწერა და ეს უზენაესი ძალის დოკუმენტად გამოაცხადა. შექმნა უწყებები, ჩაწერა, რომ იმ ტერიტორიაზე ის ახდენს შეიარაღებული ძალების კოორდინაციას, მერე თავი მთავარსარდლად გამოაცხადა; ჩაწერა, რომ თუ ცენტრი აჭარის ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებას შეეცდება, მაშინ იგი გამართავს კონსულტაციებს ცენტრთან, მშვიდობის შესანარჩუნებლად მთელ რიგ ღონისძიებებს გაატარებს - მოკლედ, ბელეტრისტიკა, პოეტური ფრაზებიც ბევრია კონსტიტუციაში. მათ შორის არის შემდეგი ტერმინი: იგი ბათუმში საქართველოს პარლამენტში აჭარიდან არჩეულ დეპუტაციას მოიწვევს (და არა გამოიწვევს) და მათ ძალისხმევას მშვიდობის შენარჩუნებისკენ მიმართავს. რომ ჩაეწერა "გამოიწვევს" - ეს იქნებოდა ობსტრუქცია... ასეთი დებულებებით აჭარის კონსტიტუცია სავსეა.

ასეთ ვითარებაში ცენტრი უთითებს საქართველოს კონსტიტუციაზე - უშიშროება ცენტრის კომპეტენციაა და ცენტრმა უნდა გადაწყვიტოს, ქვეყანაში უშიშროების ხაზით რა ტიპის, სახელწოდების, უფლებამოსილების სტუქტურები იქმნება. ამიტომაც აჭარაში არ შეიძლება არსებობდეს ქვედანაყოფი, რომელსაც უშიშროების სამსახური ჰქვია და რომელიც ვითომ საქართველოს უშიშროების სამინისტროს სტრუქტურაში შედის; მაგრამ საკადრო საკითხები და მათი მუშაობა აჭარის დონეზე წყდება, ამ სამსახურის რეალური დამკვეთი და სერვისის მომხმარებელი აჭარის ხელისუფლებაა და არა საქართველოსი. აი, ამას ედავება ცენტრი და თავისი კონსტიტუციური პოზიციებიდან აბსოლუტურად მართალია.

აჭარის ხელისუფლება კი საკუთარ კონსტიტუციას იშველიებს, რომლის გაუქმებაც, თითქოსდა, ცენტრს არ შეუძლია.

**საქართველოს კონსტიტუციით, სახელმწიფო ორგანოებს შორის კომპეტენციების თაობაზე დავები საკონსტიტუციო სასამართლოში უნდა გაირჩეს. ამ 10 წლის განმავლობაში საქართველოს ხელისუფლებას საკონსტიტუციო სასამართლოსთვის არც ერთხელ არ მიუმართავს.**

**- კონსტიტუციაში აჭარის ავტონომიის უფლება-მოსილებანი არ არის განმარტებული. არის თუ არა ეს საკმარისი იურიდიული საფუძველი იმისთვის, რომ აჭარის კონსტიტუციაში ჩადებული ეს "ბელეტრისტიკა" უკანონოდ გამოცხადდეს?**

- რა თქმა უნდა და ეს არის ცენტრის მეორე უმძიმესი შეცდომა. საქართველოს კონსტიტუციით, სახელმწიფო ორგანოებს შორის კომპეტენციების თაობაზე დავები საკონსტიტუციო სასამართლოში უნდა გაირჩეს. ამ 10 წლის განმავლობაში საქართველოს ხელისუფლებას საკონსტიტუციო სასამართლოსთვის არც ერთხელ არ მიუმართავს და ცივილიზებული სახელმწიფოებრიობის ეს მთავარი ინსტრუმენტი სრულიად იგნორირებული იყო. შედეგად სამართლებრივი ვაკხანალია მივიღეთ.

**- როცა ცენტრი პრობლემის ცივილურად, საკანონმდებლო გზით მოგვარებაზე აპელირებს, რატომ არ მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს?**

- არ ვიცი. ამას, ალბათ, რამდენიმე მიზეზი აქვს. პირველი შესაძლო მიზეზი - საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიუხედავად, აბაშიძეს ვერავინ დაუშლის ანალოგიური აქტის მიღებას და ამან შეიძლება, კიდევ უფრო გაამწვავოს ურთიერთობები აჭარასთან - სრულიად უსუსური არგუმენტია.

**- თქვენ ან სხვა იურისტებს რატომ არ შეგაქვთ ასეთი სარჩელი?**

- ჩვენი კონსტიტუციით, როდესაც კომპეტენციებს შორის დავა მიმდინარეობს, დავების მოსარჩელე და მოპასუხე ყოველთვის სახელმწიფო სტრუქტურები არიან, სხვას არ აქვს უფლება, ამის შესახებ საკონსტიტუციო სასამართლოში იდავოს.

**- ძალიან რეალურია, რომ აბაშიძე არ დაემორჩილოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას. ასეთ დროს როგორი იქნება კანონის აღსრულების მექანიზმები?**

- საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობისთვის სისხლის სამართლის კოდექსში კონკრეტული მუხლი არსებობს. მაგრამ აქ ძველი ხელისუფლების დროს საქმე ცოტა უფრო ღრმა პრობლემასთან გვქონდა. ხელისუფლება თავადვე არ აღიარებდა სასამართლოს. გვაქვს ფაქტები, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება თავად საქართველოს პარლამენტს არ შეუსრულებია და საარჩევნო ოლქის შედეგების ბათილად ცნობის მიუხედავად, დეპუტატები პარლამენტში ისხდნენ. იყო სხვა პრობლემებიც... საკონსტიტუციო სასამართლომ ზოგადად ვერ დაიმკვიდრა ის ადგილი, რაც უნდა დაემკვიდრებინა.

რატომ არ მიმართავს ამ გზას ახალი ხელისუფლება, ჩემთვის აუხსნელია და ეს კითხვა ბევრ იურისტს აწუხებს. ცენტრსა და რეგიონს შორის დაძაბულობის ჟამს, რა სცენარითაც არ უნდა ველოდეთ სიტუაციის განვითარებას, ეს გასაკეთებელია -ხელისუფლებას გარანტირებული ექნება, რომ თუკი ქვეყნის შიგნით რაიმე ინსტანციას შეეძლო პრობლემის გადაჭრა, ყველაფერი გაკეთებულია.

აჭარის კონსტიტუციის ნორმები რომ საქართველოს კონსტიტუციას არ შეესაბამება, ეს ოფიციალურად არავის დაუკანონებია. ამ არგუმენტს აბაშიძე იყენებს და პროპაგანდისტულ მანქანას ამუშავებს. თუ ეს კაცი თავის კომპეტენციას ამეტებს, პოლიტიკური განცხადებების გარდა, იურიდიული ზომებიც არსებობს.

**- კანონის აღსრულების ხარვეზებს ხელისუფლების ანტიკრიმინალურ ღონისძიებებშიც ვხედავთ. სად გადის ზღვარი კანონსა და აღსრულებას შორის?**

- ჩვენს კანონებში ყველა ეს ზღვარი დარეგულირებული და მოწესრიგებულია. ბევრი კანონი დასახვეწია, მაგრამ კანონში არსებული ხარვეზები ხარვეზებით დაკავების დროს არ აიხსნება. აქ მარტივი ტესტია - როდესაც ხელისუფლება რაიმე პოლიტიკის, მათ შორის, ანტიკრიმინალური პოლიტიკის გატარებას ცდილობს, ის მოქმედ კანონმდებლობასა და კონსტიტუციაში არა მხოლოდ იმ თავებს უნდა კითხულობდეს, სადაც მათი უფლებები წერია, არამედ იმ ნაწილსაც უნდა კითხულობდეს, სადაც ადამიანის - დაკავებული იქნება ის თუ ჩვეულებრივი - უფლებების შესახებ წერია.

პირველ რიგში, ხელისუფლება თავს შეზღუდულად უნდა გრძნობდეს ქმედებებში, სწორედ ამისთვის არის მოგონილი ადამიანის უფლებები.

ზოგჯერ საზოგადოების სიბრალული დამნაშავისკენ გადაიხრება ხოლმე. საზოგადოებრივი ცნობიერების საინტერესო ფსიქოლოგიური მაგალითი - ვთქვათ, ადამიანმა დიდი დანაშაული ჩაიდინა და ჩვენი ანაბრები მიითვისა. ჩვენ ყველამ ვიცით, ვინ არის და გაბრაზებულები ვართ მასზე. ამ გაბრაზებას უმალ გადაწონის, თუ დავინახეთ, რომ ხელისუფლებამ თავისი მძიმე და მოუხეშავი აპარატით (პოლიცია, პროკურატურა) ამ პირს ზიანი მიაყენა. ხელისუფლებას საზოგადოება გაცილებით ნაკლებს პატიობს, ვიდრე ჩვეულებრივ კრიმინალს. ამიტომ ხელისუფლება კრისტალურად სუფთა უნდა იყოს, რადგან ერთი დამნაშავის დაკავებისას დაშვებული შეცდომა, მეორე შემთხვევაში ჩნდება და ხელისუფლებისადმი წინდაწინ იწვევს უნდობლობას. მაგალითისთვის ერთი რამ მინდა გითხრათ - მიმაჩნია, რომ სასამართლო სისტემაში წესრიგის დასამყარებლად ერთდროულად ორი რამ არის საჭირო: მოსამართლეების სრული დამოუკიდებლობა და ამავდროულად სასამართლო სისტემაში სერიოზული ანტიკორუფციული ღონისძიებები.

**ხელისუფლებას საზოგადოება გაცილებით ნაკლებს პატიობს, ვიდრე ჩვეულებრივ კრიმინალს. ამიტომ ხელისუფლება კრისტალურად სუფთა უნდა იყოს.**

ვფიქრობ, რომ საქართველოში არიან მოსამართლეები, რომლებიც განსასჯელის სკამზე მოხვედრას იმსახურებენ. მივესალმები, თუ პროკურატურა ამისთვისაც მოიცლის ისევე, როგორც საარჩევნო დამრღვევებისთვის. ხელისუფლებამ უნდა დაგვარწმუნოს, რომ მოსამართლეები მათგან დამოუკიდებლები არიან და რომ პროკურატურა მართლა დამნაშავეს იჭერს და არა იმას, ვინც ხელისუფლების ნებას არ დაემორჩილა.

საქართველოში ნებისმიერმა ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს, რომ ჩვენ საკმაოდ მომზადებული მოსახლეობა გვყავს. ადამიანები მგრძნობიარენი არიან და კარგად ერკვევიან სიტუაციაში. ხალხი მზად არის, გაუგოს ხელისუფლებას, მაგრამ ამისთვის ნიადაგი უნდა არსებობდეს.

**- შეგიძლიათ იმის თქმა, რომ ამ საკონსტიტუციო ვაკუუმმა აჭარასთან პოლიტიკური პრობლემები შვა?**

- პირიქით ვიტყოდი. ცენტრსა და რეგიონს შორის წარსულში მიმდინარე პოლიტიკური ფლირტი იყო მიზეზი იმისა, რომ შევარდნაძე არასოდეს მიდიოდა გამწვავებაზე. ის მიზნის მიღწევას, თავისი ჭკუით, სხვა გზით ახერხებდა - ის არ ჩამოდის - მე ჩავალ; ის არ აუქმებს კანონს - მეც ხმას არ ამოვიღებ... და ა.შ. ახალი ხელისუფლების უმოქმედობა კი ჩემთვის გაუგებარია.

**უშიშროება ცენტრის კომპეტენციაა და ცენტრმა უნდა გადაწყვიტოს, უშიშროების ხაზით რა ტიპის, სახელწოდების, უფლებამოსილების სტრუქტურები იქმნება საქართველოში. ამიტომაც აჭარაში არ შეიძლება არსებობდეს ქვედანაყოფი, რომელსაც უშიშროების სამსახური ჰქვია და რომელიც ვითომ საქართველოს უშიშროების სამინისტროს სტრუქტურაში შედის.**

**- თუ ხალხსა და ხელისუფლებას შორის დაპირისპირებისას პასუხისმგებლობა, პირველ რიგში, ხელისუფლებას ენიჭება, ორ ხელისუფლებას შორის დაპირისპირებისას სამართლებრივად ვინ არის უკეთეს სასტარტო მდგომარეობაში?**

- ამას ორ ხელისუფლებას შორის დაპირისპირებას ვერ დავარქმევდი. ეს სახელისუფლებო ორგანოებს შორის დაპირისპირებაა - ხელისუფლება და სახელმწიფო ერთიანია. ასეთი უთანხმოება, ზოგადად, რომელიმე სოფლის გამგეობასა და პრეზიდენტს შორის შეიძლება წარმოიშვას - ეს სამართლებრივად. პოლიტიკურად კი ეს ორი პოლიტიკური ცენტრის დაპირისპირებაა. ასეთ დროს სამართლებრივი თვალსაზრისით, ცენტრალურ ხელისუფლებას გაცილებით უკეთესი სასტარტო პოზიციები აქვს - 10:1 თანაფარდობა, მაგრამ ამის რეალიზება არ მომხდარა. წესით, დღეს, აჭარის ხელისუფლების მიერ მიღებული, მინიმუმ, იმ 10 საკანონმდებლო აქტის ბათილად ცნობის გადაწყვეტილება უნდა გვედოს, რომელიც საქართველოს კონსტიტუციას არ შეესაბამება - ამით ეს სასტარტო უპირატესობა რეალიზებული იქნებოდა.

**- ასლან აბაშიძე და მისი გარემოცვა პროვოკაციას არ მოერიდებიან, მაგრამ არც ხელისუფლება დაიხევს უკან ამის გამო. ეს კი სამართლებრივ ჩარჩოებს გასცდება. ვინ უნდა დათმოს მეტი, რომ დაძაბულობა შენელდეს?**

- ყველაფრის სამართლამდე დაყვანა არ შეიძლება, მაშინ პოლიტიკისთვის ადგილი აღარ დარჩება. დიალოგისთვის ყოველთვის არის საკმარისი მინდორი, სადაც პოლიტიკურ მოთამაშეებს შეუძლიათ თამაში. ეს არ შეიძლება მოხდეს ადამიანის უფლებების ხარჯზე. ვთქვათ, არჩევნებთან დაკავშირებით პოლიტიკური გარიგება მოხდა და ამით ორივე ხელისუფლება კმაყოფილია, ათასობით ადამიანი კი თავისი ნების გამოსახტავად ქუჩაში ვერ გამოდის - ეს იყო შევარდნაძისა და აბაშიძის დროს შემოღებული ტრადიცია.

პრეზიდენტი სააკაშვილი აცხადებს, რომ ის ამ გზით აღარ ივლის, მაგრამ პოლიტიკური დიალოგი იმ საკითხებზეა შესაძლებელი, რომელიც ფუნდამენტურ ღირებულებებს არ ეხება - თავისუფალ არჩევნებს, თავისუფალ გადაადგილებას აჭარაში და სიტყვის თავისუფლებას. ცენტრიდან პირობები აშკარად სწორი მიმართულებით გამკაცრდა - ეს ღირებულებები უნდა დავიცვათ. სხვა სასაუბრო თემები მართლაც უამრავია - ინვესტიციის, მშენებლობის საკითხები და სხვა. მაგრამ კონსტიტუციითა და კანონებით პოლიტიკოსები დიალოგში შეზღუდულნი არიან. ასეთ სიტუაციაში სწორი გამოსავალი არის - აჭარა საქართველოს ტერიტორიაა, შესაბამისად, პირი, რომელიც გამოძიებას ბათუმში ემალება, ისევე უნდა გადაეცეს ცენტრს, როგორც აჭარის პოლიციის მიერ ძებნილი, თბილისში დამალული პირი - ბათუმს. ეს არის ელემენტარული რამ და თუ ეს არ სრულდება, საქმე გვაქვს ვიღაცის მიერ ჩადენილ დანაშაულთან.

ცენტრალურმა ხელისუფლებამ უნდა ისწავლოს და თავის ლექსიკაში გაცილებით მეტი ადგილი დაუთმოს სამართლებრივ არგუმენტაციას და გაცილებით ნაკლები სხვა ტიპის რიტორიკას – მაგალითად, აჭარა საქართველოს გულია, ჩვენ ის გვიყვარს და ა.შ. საკითხების მოსაგვარებლად ეს გადამწყვეტი ფორმატი არ არის.

**- სწორედ ამ რიტორიკას, მუქარანარევ განცხადებებს აბაშიძე სათავისოდ იყენებს.**

- როდესაც პრეზიდენტი ამბობს, რომ აჭარასთან მიმართებაში სხვა პოლიტიკას გაატარებს, ჩემი აზრით, იგულისხმება, რომ კანონისადმი და კონსტიტუციისადმი დაუმორჩილებლობას არ შეეგუება. თუ ვინმეს მიაჩნია, რომ კონტროლის დამყარება რაიმე რეგიონზე პირადად სააკაშვილის კონტროლის დამყარებას ნიშნავს - სრული აბსურდია. სააკაშვილმა, პირადად, არანაირი კონტროლი არ უნდა დაამყაროს არც აჭარაზე, არც თბილისზე და არც იმ შენობაზე, სადაც მისი ადმინისტრაციაა. აქ საუბარია კანონის კონტროლზე. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, პრეზიდენტს აქვს ექსკლუზიური უფლება, გამოაცხადოს ან არ გამოაცხადოს საგანგებო მდგომარეობა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, ან რომელიმე რეგიონში - ეს უფლება უნდა იყოს დაცული, ეს პრეზიდენტის პრეროგატივაა. როდესაც კონტროლზე და დაუმორჩილებელ ფეოდალებზეა საუბარი, მჯერა, რომ ეს იგულისხმება და არა ის, რომ ყველამ თვალებში შესციცინოს და პრეზიდენტის საამებელი თქვას - მორჩილება შევარდნაძის სტილი იყო.

**- ასეთ ვითარებაში საპარლამენტო არჩევნების ჩატარება აჭარაში შეუძლებელი გახდება და სავარაუდოდ, აბაშიძე იმისკენაც მიისწრაფვის, რომ არჩევნებმა აზრი დაკარგოს. რა დარჩენია აბაშიძის ოპოზიციას, რომელსაც საბრძოლველად საარჩევნო პოლიტიკური სივრცე ესაჭიროება?**

- თუ ცენტრალური ხელისუფლება მივა დასკვნამდე, რომ მას საქმე აქვს დაუმორჩილებლობასთან (ამ შემთხვევაში კონსტიტუციაც იგულისხმება და კონკრეტული თანამდებობის პირიც) და ამას ორგანიზებული ხასიათი აქვს, ხელისუფლება იძულებული იქნება, გამოიყენოს სხვა მეთოდები, კერძოდ, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მისცეს კონკრეტული თანამდებობის პირები. ეს უკიდურესი ზომაა, რომელიც ცენტრალურმა ხელისუფლებამ შეიძლება გაატაროს - არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იმის წარმოდგენაც კი, რომ კონტროლის დასამყარებლად რაღაც ოპერაცია ჩატარდება, ჯარი სადღაც შევა - ეს გამორიცხულია.

აჭარა ერთი კაცის და დღევანდელი პრობლემა არ არის. ჩემი აზრით, ცენტრალურ ხელისუფლებას ბევრი არჩევანი არ აქვს, რადგან შემხვედრი პოზიტიური მოძრაობები არ შეინიშნება, აჭარის ხელისუფლების მხრიდან გამომწვევ ქმედებებზეც კი შეიძლება საუბარი. ეს პრობლემა რთულია და იმ შემთხვევაში (თუ გარედან რჩევა შეიძლება), როდესაც შს მინისტრი მუშაობს, რათა ძებნილი აჭარიდან თბილისში ჩამოიყვანოს, ან დააკავოს ის, ვინც კომახიძე ცემა - ამავე დროს იუსტიციის მინისტრი უნდა ამზადებდეს საკონსტიტუციო სარჩელს სასამართლოში შესატანად, ეკონომიკის მინისტრი უნდა საუბრობდეს აჭარის გვირაბის თემებზე, ფინანსთა მინისტრი საბაჟო პრობლემებს უნდა ეხებოდეს... ანუ, ეს თემა ერთი თანამდებობის პირის ანაბარად არ უნდა იყოს დატოვებული.

**- ტრადიციულად, აჭარის თემა ტაბუდადებული იყო. ეს ტაბუ ისევ არსებობს?**

- თუ არსებობს, ცუდია. მინისტრები თავიანთ სამოქმედო სივრცეში პასუხისმგებელნი უნდა იყვნენ ყველა თემაზე, რაც საქართველოს ტერიტორიაზე არსებობს.

**- რა იქნება ყველაზე კარგი ამბავი, რაც დღეს ბათუმიდან შეიძლება მოვიდეს?**

- ნამდვილად არ მაქვს იმის მოლოდინი, რომ ასლან აბაშიძე შეიცვლება და აჭარის ან ნებისმიერი იმ რეგიონის დემოკრატი მმართველი გახდება, სადაც შეიძლება სამუშაოდ გადავიდეს. კარგი ამბავი ის იქნებოდა, ასლან აბაშიძე მიმხვდარიყო, რომ მისი პოლიტიკური კეთილდღეობის ეპოქა, მისი სტილით, მეთოდებითა და პრიორიტეტებით რაიმეს მართვა დასრულდა. შესაბამისად, ეფიქრა სხვა ტიპის მომავალზე - როგორც მამას, ბაბუას, პიროვნებას. ჩემი აზრით, ეს არის სიტუაცია, როდესაც ასე თუ ისე კეთილგონიერი პოლიტიკოსი ასპარეზიდან უნდა მიდიოდეს. კარგი იქნებოდა, ასლან აბაშიძე მიმხვდარიყო, რომ ამ გზით არც მის პირად პოლიტიკურ კეთილდღეობას ელის წარმატება და არც აჭარას, რომელსაც მან მართლა მრავალი წელი შეალია და რითიც ამაყობს - მას და მის ახლობლებს რაღაც ხომ უნდა დარჩეს საამაყოდ და მოსაგონებლად...


B2 რევიუ B3 რევიუ B4-5 სპორტი B6 სპეცსამსახურები B7 TV B8 სხვადსხვა




## კონცერტები

**ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი**
მუსიკალური დაჯილდოების ცერემონიალი "მეგა 2004"
დას: 19:00 სთ.

## თეატრი

**თეატრალური სარდაფი**
როდიონ ბელეცკი
"ახალგაზრდები"
რეჟისორი: დიმიტრი ხვთისიაშვილი
დას: 20:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
ავქსენტი ცაგარელი
"ხანუმა"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ.

**სამეფო უბნის თეატრი**
ლაშა ბუღაძე "ნუგზარი და მეფისტოფელი"
რეჟისორი: გაგა თავაძე
დას: 19:00 სთ.

**ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრი**
"ბალანჩინი"
გოგი ნიჟარაძის მუსიკალური საღამო
დას: 18:00 სთ.

## კინოთეატრები

**კინოს სახლი**
"აუზი"
დას: 18:00 სთ.
ფასი: 1 ლარი

**რუსთაველი**
"მიწებებულები" (კომედია)
დას: 12:00 სთ; ფასი 5 ლარი

"28 დღის შემდეგ"
დას: 14:30 სთ; ფასი: 5 ლარი

"ბლუ ბერი"
(ფანტასტიკა ვინსენტ რასელის მონაწილეობით)
დას: 17:00; 19:30; 22:00 სთ;
ფასი: 5-დან 9 ლარამდე

**ახმეტელი**
"ბლუ ბერი"
დას: 12:00; 14:15 სთ; ფასი: 3-4 ლარი

"მიწებებულები"
დას: 17:00 სთ; ფასი: 3-4 ლარი

"28 დღის შემდეგ"
დას: 19:15; 21:30 სთ; ფასი: 4-5 ლარი

**ამირანი**
"საიდუმლო მდინარე"
დას: 14:00; 19:30; 22:00 სთ.

"ტეხასური ჩეხვა ბენზოხერხით"
დას: 17:00 სთ.
ფასი: 6-დან 9 ლარამდე

## გამოფენა

**TMS**
იური ბერიშვილის ნამუშევრების
პერსონალური გამოფენა

**"ქარვასლა"**
ალექსანდრე როინიშვილის ფოტონამუშევრების გამოფენა

**სურათების ეროვნული გალერეა**
საქართველოს დამსახურებული მხატვრის ავთო მოსიაშვილის
ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**"ჰობი"**
თანამედროვე ქართველ მხატვართა ნამუშევრების
(ფერწერა, გრაფიკა) გამოფენა

## კლუბები

**აჭარა მიუზიკ ჰოლი**
რეზიდენტი დი-ჯეები
ფასი: ბიჭებისთვის – 20 ლარი
გოგონებისთვის – უფასოდ
კლუბის გახსნა: 22:00 სთ.

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*

## წიგნის სახლი წარმოგიდგენთ

**პარასკევს,** 12 მარტს, 17 საათზე მიხეილ ლერმონტოვის "მწირის" პრეზენტაცია, მთარგმნელი ვახტანგ ერისთავი.

**შაბათს,** 13 მარტს, 19 საათზე – "ახალი სახეები ქართულ ხელოვნებაში". პროექტი "საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდული პარლამენტი". მონაწილეები: პაატა ჩოხელი, დავით ქისტაური, ეკა ქართველიშვილი. სტუმრები: ვახუშტი კოტეტიშვილი, დავით მაღრაძე.

*მისამართი: გამსახურდიას 31; ტელ:91 07 50*

**საქართველოს პრეზიდენტს,**
**პრემიერ მინისტრს, ქალაქის მერიას**

*"ფონდ – ლიტერატორთა სახლის" გამგეობის*
*საინიციატივო ჯგუფის*

**გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა**

ამა წლის 8 მარტს გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ლიტერატორთა სახლში შეკრებილმა მწერალთა საინიციატივო ჯგუფმა გამოთქვა სურვილი უკვე არსებულ "ფონდ – ლიტერატორთა სახლის" ბაზაზე, რომელიც შეიქმნა 2001 წელს და რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ 2001 წლის 17 ივლისის N204 ბრძანებულების თანახმად და ფონდის იურიდიული მისამართია, 380007, ქ. თბილისი მაჩაბლის ქ. 11; ფონდის გამგეობის წევრები დღემდე არიან: ჭაბუა ამირეჯიბი, ანა კალანდაძე, გურამ დოჩანაშვილი, თამაზ ჭილაძე, ტარიელ ჭანტურია, ლია სტურუა, გენო კალანდია, გურამ ბენაშვილი, ბესიკ ხარანაული, ჯანსუღ ჩარკვიანი, რეზო ჭეიშვილი და სხვები, სულ 28 იურიდიული პირი; ფონდისა და შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის ბაზაზე (დაახლოებით, 50 მწერალი) შეიქმნას ახალი ლიტერატურული გაერთიანება, რომლის სავარაუდო სახელწოდებაა "საქართველოს მწერალთა თბილისის ორგანიზაცია" – "ლიტერატორთა სახლი".

**ორგანიზაციის იურიდიული მისამართია:** თბილისი, მაჩაბლის N 11 (იუსტიციის სამინისტროს N 204 ბრძანებულება).

გთხოვთ, თანადგომას.

*მწერალთა საინიციატივო ჯგუფი*

# სტრუქტურული ცვლილებები დაიწყო

**სამინისტროში ახალი გუნდი იკრიბება**

ვერა ნეფარიძე

*განახლებული სამინისტროს ხელმძღვანელად დანიშვნიდან, დაახლოებით, სამი კვირის შემდეგ, გიორგი გაბაშვილი საკუთარი გუნდის შეკრებას იწყებს. ახალგაზრდა მინისტრის თქმით, სავარაუდოდ, ერთი თვე დასჭირდება კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის ერთიანი სტრუქტურის ჩამოსაყალიბებლად. გუშინ მინისტრმა გაბაშვილმა საზოგადოებას ის ოთხი მოადგილე გააცნო, რომელთან ერთადაც იგი სამინისტროს რეორგანიზაციაზე იმუშავებს.*


ლევან ხერხეულიძის ფოტო
*მინისტრი და მისი მოადგილეები.*

კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრს ოთხი მოადგილე ეყოლება. სამ მათგანს – თამაზ თევზაძეს, ნიკოლოზ ვაჩეიშვილსა და თამარ ქვარიანს, სამინისტროში გაერთიანებული სფეროების (დეპარტამენტების სახით) მართვა დაეკისრებათ; რაც შეეხება მეოთხეს - გიორგი (გოგი) ნიჟარაძე მინისტრის პირველი მოადგილე იქნება საფინანსო-ეკონომიკურ საკითხებში.

"მინდა, წარმოგიდგინოთ გუნდი, რომელიც ჩემთან ერთად ამ თვეების განმავლობაში ჩამოაყალიბებს ჩვენი სამინისტროს სტრუქტურას. ვფიქრობ, ძალიან ღირსეული კანდიდატები შევარჩიეთ", - საკმაოდ ამაყად დაიწყო გუშინ გიორგი გაბაშვილმა ახალი მოადგილეების წარდგენა და ძალიან მოკლედ გაგვაცნო, თითოეულ მათგანს რომელი სფეროს წარმართვა დაევალა.

ყველაზე მოულოდნელი მინისტრის პირველ მოადგილედ გოგი ნიჟარაძის წარდგენა აღმოჩნდა. "ეს არის უნიკალური კომბინაცია, როდესაც გამოცდილ ფინანსისტ-ეკონომისტს კარგი კონტაქტები აქვს სახელოვნებო სამყაროში; ბატონი გოგი ნამდვილად არაა შორს ხელოვნებისგან", - მინისტრის სიტყვების დასტურად, შეიძლება საზოგადოებას შევახსენოთ გოგი ნიჟარაძის სატელევიზიო გადაცემათა სერია საოპერო ხელოვნებაზე (სხვათა შორის, დღეს ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრში დაგეგმილია საღამო, სადაც ბატონი გოგი ბალანჩინის შესახებ ისაუბრებს). ასე რომ, ფართო საზოგადოებისთვის, გოგი ნიჟარაძე უფრო სახელოვნებო სფეროსთან ასოცირდება, იმის მიუხედავად, რომ ფინანსისტ-ეკონომისტის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს. იგი წლების განმავლობაში საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტში, შემდეგ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში, ასევე, საქართველოს მეცნიერებისა და ტექნოლოგიური დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილედ მუშაობდა. პარალელურად კი, იყო ჯანსუღ კახიძის სახელობის მუსიკალურ-კულტურული ცენტრის თავმჯდომარე. 1994 წლიდან არის დავით ანდღულაძის სახელობის ქართული ვოკალური კულტურული ფონდის თავმჯდომარის მოადგილე.

ჟურნალისტებსა და სპეციალისტებში გაოცება არ გამოუწვევია ძეგლთა დაცვის საკითხებში მინისტრის მოადგილედ ნიკა ვაჩეიშვილის დანიშვნას. აღსანიშნავია, რომ პროფესიონალთა წრეებში ვაჩეიშვილი კარგად ცნობილია და საკმაო ავტორიტეტითაც გამოირჩევა. მისი თანაორგანიზატორობით წარმატებით ჩაიარა რამდენიმე დღის წინათ გამოფენა-აქციამ, სადაც თბილისის ისტორიულ ნაწილში ყველაზე უსახური, უმასშტაბო, აგრესიული და კუსტარული ახალმშენებლობები გამოვლინდა. იმის გარდა, რომ ნიკოლოზ ვაჩეიშვილი ებრძვის უკანონო და გაუმართლებელ მშენებლობებს, დღემდე ასწავლის სამხატვრო აკადემიაში; არის "საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის საინფორმაციო ცენტრის" აღმასრულებელი დირექტორი; ასევე, "ქართულ სიძველეთა მოძიებისა და კვლევის ცენტრის" დირექტორატის წევრი და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული "უცხოეთში ქართული კულტურის ძეგლების" კომისიის წევრი; 1997-98 წლებში ფონდ "ღია საზოგადოება - საქართველოს" კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული პროგრამის საექსპერტო კომისიის თავმჯდომარე იყო. აქვს ასევე მსოფლიო ბანკის, ევროსაბჭოსა და საქართველოს მთავრობის საერთო პროგრამის - "კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდის" ექსპერტის გამოცდილება; დღემდე არის საქართველოს საპატრიარქოს საეკლესიო ხელოვნების საბჭოს წევრი. მოკლედ, ამ ჩამონათვალის გაგრძელება კიდევ შეიძლება, აქ კი, უბრალოდ, დავამატებთ, რომ ნიკა ვაჩეიშვილის ინიციატივით გამოდის სერია "საქართველოს მეგზური" და ჟურნალი "საქართველოს სიძველენი", რომელთა მიზანია კულტურული მემკვიდრეობის სხვადასხვა დარგის შესახებ კვალიფიციური ინფორმაციის მოპოვება-გავრცელება. დაინტერესებული საზოგადოება ქართული პერიოდიკიდან კარგად უნდა იცნობდეს ნიკა ვაჩეიშვილის პუბლიკაციებსაც.

მინისტრი გაბაშვილი სახელოვნებო ორგანიზაციებში თანამედროვე მენეჯმენტის ჩამოყალიბებას თამარ ქვარიანთან ერთად დაიწყებს. სწორედ იგი გახლავთ ოთხიდან ერთ-ერთი, ვისთან ერთადაც გიორგი გაბაშვილმა რევოლუციური ცვლილებების გატარება დაიწყო მის დაქვემდებარებაში არსებულ სახელმწიფო უწყებაში. როგორც გიორგი გაბაშვილმა თქვა, სპეციალობით ხელოვნებათმცოდნე თამარ ქვარიანს ამ მიმართულებით გარკვეული გამოცდილება გააჩნია. მინისტრის მოადგილის სამუშაო სფეროებია: კულტურისა და ხელოვნების ისტორია, თეორია, პოლიტიკა; სახელმწიფო მენეჯმენტი, სტრატეგიული დაგეგმვა და განვითარება, პროექტების მართვა, კონსულტაცია და ტრეინინგი.

დაბოლოს, გუშინვე გიორგი გაბაშვილმა წარადგინა თამაზ თევზაძე, რომელსაც სამინისტროში სპორტი ჩააბარეს. ახალგაზრდა მინისტრი დარწმუნებულია, რომ საქართველოს ხელბურთის ეროვნული ასოციაციის გენერალურ მდივანთან ერთად შეიმუშავებს იმ სტრატეგიას, რაც სპორტის განვითარებას შეუწყობს ხელს.

# გართობა თუ ფიქრი

**დათო საყვარელიძე თეატრალური სამზარეულოს შესახებ**

ნანა ბასილაშვილი

*"წიგნის სახლში" გუშინ "თეატრის დღე" იყო. ზაალ სამადაშვილის ციკლის "ახალი განზომილების" სტუმარი ახალგაზრდა რეჟისორი დათო საყვარელიძე გახლდათ. საუბრის თემა – "თანამედროვე რეჟისურა", რასაკვირველია, თავად სტუმარმა შეარჩია. სტუმარი კი მასპინძელმა. ზაალ სამადაშვილი კვლავაც საკუთარი სიმპათიებისა და გემოვნების ერთგული რჩება - "პატივს ვცემ მის ხელობას, საქმესა და შემოქმედებას და ამიტომაც მოვიწვიე". მისი არჩევანი კი ყოველთვის ამართლებს.*


*დათო საყვარელიძე თავის ამპლუაში.*

საზოგადოება, რომელიც ყოველ ხუთშაბათს "წიგნის სახლში" იკრიბება, საკმაოდ მრავალფეროვანი და საინტერესო შეხვედრების მომსწრე ხდება. თუმცა, გუშინდელი შეხვედრა, ალბათ, მაინც გამორჩეულია. ვიდრე ზაალ სამადაშვილის დაპირების მიხედვით, რეჟისორი თავისი საქმიანობის სამზარეულოში შეგვახედებდა და საჯაროდ ნათელს მოჰფენდა, თუ როგორ აღწევს იგი ამა თუ იმ წარმატებებს, რეჟისორმა აუდიტორიასთან ურთიერთობა საკუთარი ბიოგრაფიული მონაცემების გაცნობით დაიწყო: "მიუხედავად მასმედიის წყალობისა, შესაძლოა, ბევრი არ მიცნობდეთ, რადგანაც პროფესიიდან გამომდინარე, რეჟისორი ნაკლებად გამოდის სააშკარაოზე".

რეჟისორობამდე დათო საყვარელიძეს სამსახიობო გამოცდილებაც მიუღია, გატაცებულია მუსიკალური მოღვაწეობითაც, რომელიც მხოლოდ მისივე სპექტაკლებისთვის ვრცელდება, მიხეილ თუმანიშვილის სკოლაგამოვლილი დღეს საკმაოდ წარმატებულ რეჟისორადაა აღიარებული. სამუშაო პროცესზე საუბარი ძალზე საინტერესო მოსასმენი იყო. მსახიობებთან მისი პირველი შეხვედრა და პიესაზე მუშაობის დაწყების მისეული მეთოდი არა მხოლოდ თეორიულად, პრაქტიკულადაც წარმოგვიდგინა. დათო საყვარელიძე თურმე ტრადიციულად მაგიდის ირგვლივ, თითქმის ორთვიანი რეპეტიციის ნაცვლად, მსახიობებს წრეზე აყენებს და მათთან მუშაობას სხვადასხვა სავარჯიშოებით იწყებს. ამ სავარჯიშოების უკეთ წარმოსაჩენად, რამდენიმე მაყურებლის დახმარება საკმარისი აღმოჩნდა. ამ გაუგებრობაში პირადადაც აღმოვჩნდი და მინდა გითხრათ, რომ პროფესიონალი მსახიობების, კონცენტრაციისა და მობილიზების ერთი შეხედვით იოლი სავარჯიშოების შესრულება არც ისე ადვილი აღმოჩნდა. მობილიზების შემდეგ რეჟისორმა დავალება გაართულა და ვიდრე ლიტერატურული განზომილებიდან თეატრალურ განზომილებაში რეჟისორული ხედვის მისეულ ინტერპრეტაციას წარმოგვიდგენდა, ჯერ მაყურებლის ხედვა შეამოწმა. ილია ჭავჭავაძის "ოთარაანთ ქვრივის" პატარა ეპიზოდი ზედმიწევნით რეჟისორული თვალით წაგვიკითხა და შემდეგ იქვე, ამ ეპიზოდის ექსპრომტად დადგმაც დააპირა, მაგრამ მზერითა და ადგილმდებარეობის მიხედვით ამჯერად შერჩეულ პირობით მსახიობს, კესოს როლის განსახიერება ცოტათი შერცხვა.

ლექციის პრაქტიკული ნაწილი რეჟისორის თეორიების ჩამოყალიბებით გაგრძელდა. საუბარში დათო საყვარელიძის ერთგვარი კრედოც გამოიკვეთა. "მე თეატრში არ მოვედი იმისათვის, რომ ვინმე გავართო", რეჟისორმა ორგვარი სპექტაკლის მოდელი ჩამოაყალიბა. სპექტაკლი, რომელიც მხოლოდ მაყურებლის გართობის მიზნითაა შექმნილი და მეორე, რომელიც უამრავ კითხვას სვამს, ხოლო მასზე პასუხის ძიება ადამიანში სულიერებას ავითარებს. "ჩემი სურვილია, ჩემ მიერ წარმოდგენილ სპექტაკლებზე მაყურებელმა ქმედითი მარცვალი აღმოაჩინოს და დააფიქროს იმ კითხვებზე, რომელიც ყველა ადამიანს აწვალებს".

კითხვები გუშინდელი საღამოს მაყურებელსაც გაუჩნდა, მასზე გაცემული პასუხიდან კი შევიტყვეთ, რომ დათო საყვარელიძე სამომავლოდ საოპერო რეჟისურაში სერიოზული მუშაობისთვის ემზადება. მანამდე კი დამსწრე საზოგადოებას თხოვნით მიმართა, - "თუ გნებავთ, მოწონდება დაარქვით, მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტის მიერ დაფინანსებულ 52 თეატრში, მოითხოვეთ ღირსეული სპექტაკლი და მაქსიმალურად ეძებეთ კარგი მარცვალი. იარეთ ოპერასა თუ თეატრებში პომიდვრებით, დაიწყეთ ჩემგან და ულირსი წარმოდგენის შემთხვევაში მესროლეთ ყველაზე მწიფე პომიდორი".

# დიდი მსახიობი, დიდი მოქალაქე

**ანუ სიკვდილს შეჭიდებული...**

ზუსტად ერთი წელი გავიდა, რაც საქართველოს სახალხო არტისტი, სახელმწიფო და მარჯანიშვილის პრემიების ლაურეატი, ორგზის ღირსების ორდენოსანი, მსახიობი გოგი გეგეჭკორი გარდაიცვალა.

გუშინ ბატონი გოგის კოლეგებმა, მეგობრებმა და ახლო ნათესავებმა დიდი მსახიობი და მოქალაქე კვლავ გაიხსენეს, მის სახლთან მემორიალური დაფის გახსნის ცერემონიალზე. სიცოცხლის ბოლო წლები ბატონმა გოგიმ თაბუკაშვილის ქუჩაზე მდებარე, ერთ ძველ თბილისურ ბინაში გაატარა, რომლის შესასვლელს ამიერიდან ეს წარწერა დაამშვენებს: "ამ სახლში 1997-2003წ. ცხოვრობდა გამოჩენილი ქართველი მსახიობი გოგი გეგეჭკორი."


ლევან ხერხეულიძის ფოტო
*გეგეჭკორის მემორიალის გახსნაზე.*

მემორიალური დაფის გახსნისას, კახი კავსაძემ, სოფიკო ჭიაურელმა, სანდრო მრევლიშვილმა, გიგა ლორთქიფანიძემ, გარდა იმისა, რომ ბატონი გოგის შემოქმედებითი და ცხოვრებისეული გზიდან პატარა ეპიზოდები გაიხსენეს, აღნიშნეს, რომ ამ თავმდაბალ და უანგარო ადამიანს მემორიალური დაფაც სადა და გემოვნებიანი არგუნა ბედმა, ყოველგვარი პომპეზურობისა და უხვი ეპითეტების გარეშე.

დიდი მსახიობი, დიდი მოქალაქე, ამ ორ სიტყვაში ვგონებ სრულად აისახება ბატონი გოგი გეგეჭკორის სახე. მისმა კოლეგებმა აღნიშნეს, რომ სანამ ქართული თეატრი იარსებებს, მანამდე გოგი გეგეჭკორის ხსოვნა მუდამ იარსებებს.

# ვარის დირი, უდაბნოს ყვავილი

ანა კორძაია-სამადაშვილი


ვარის დირი

გასული წლის სექტემბერში დასავლეთის მედია იუწყებოდა, რომ სომალელი ვარის დირი, ყოფილი "ბონდის გოგო", ტოპ მოდელი და ავტორი ბესტსელერისა "უდაბნოს ყვავილი", ავსტრიაში, ვენაში დაიდებს ბინას. "თუ ყველაფერი კარგად იქნება, 2004 წლის გაზაფხულზე პასპორტს მივიღებ," მოახსენა მან გაზეთ "ვუმენის" კორესპონდენტს. ვარისს მიაჩნდა, რომ მისთვის და მისი ექვსი წლის ვაჟისთვის, ალეკისთვის, ვენა საუკეთესო საცხოვრებელი ადგილი იქნებოდა.

გუშინწინ კი მას ვენაში, საკუთარ ბინაში, თავს დაესხნენ. მართალია, ის მხოლოდ მსუბუქადაა დაშავებული. ეს საქმე 26 წლის პორტუგალიელ მამაკაცს ჩაუდენია. გაირკვა, რომ ეს კაცი დირის უკვე ექვსი თვის განმავლობაში დასდევდა, მერე კი სახლშიც მიადგა, ვარისი კი გაბრიყვდა და ბინაში შეუშვა. ახალგაზრდამ ქალი სცემა და იატაკზე დააგდო. შემდეგ ის ტაქსში ჩაჯდა და წავიდა, მაგრამ მალევე დაბრუნდა და დირის ბინის ფანჯრები ჩალეწა. ეს, ცხადია, მეზობლებმა ვერ აიტანეს და პოლიციას შეატყობინეს.

კაცი მთლად დალაგებული არ ჩანს: მან დირი პირველად და უკანასკნელად ექვსი თვის წინათ ნახა - მაშინ ის მის ბინაში შეიპარა და ტანსაცმელი მოჰპარა.

ქართველი მკითხველისთვის ეს ცნობა არავითარ ინტერესს არ წარმოადგენს. თავისთავად, რა მნიშვნელობა აქვს, სადღაც, შორეულ ავსტრიაში, ვინ ვის ესხმის თავს. საინტერესო სულ სხვა რამაა – ქალბატონი ვარის დირი, რომელსაც არ ვიცნობთ და რომლის გაცნობაც, გარწმუნებთ, ღირს.

ძალიან შთამბეჭდავი ქალია! მისი ცხოვრების ამბავი, რომელიც "უდაბნოს ყვავილშია" მოთხრობილი, ზღაპარივით იკითხება. თუ საშუალება გექნებათ, წაიკითხეთ და მისი გმირების ამბავი გულთან ახლოს მიიტანეთ, თვალს ნუ დახუჭავთ იმაზე, რომ მასში აღწერილი რიტუალის მსხვერპლი დღესაც ბევრი, ძალიან ბევრი ქალი ხდება.

თავად ვარისი (ეს სახელი "უდაბნოს ყვავილს" ნიშნავს) 1965 წელს აფრიკის უკიდეგანო უდაბნოში დაიბადა, სომალიში. ის მომთაბარეების ქალიშვილი იყო და, შესაბამისად, მისი ერის ყველა ადათ-წესი მასაც ეხებოდა. ამ ტრადიციებს შორის გოგონების კასტრაციაც იგულისხმება. ვარის დირი შესანიშნავად აღწერს, როგორი ყოფითი ამბავია ქალის კასტრირება, რომ მისი აუცილებლობა თავისთავად იგულისხმება და გოგონები ხალისითაც კი ხვდებიან კასტრაციის დღეს – მაშინ ის თავადაც ასე გრძნობდა თავს. ეს ცერემონია იმის მანიშნებელი იყო, რომ გოგონა დიდი გოგო გახდა, გაზრდა კი ყველა ბავშვს უხარია. ამიერიდან ის ბავშვი კი არა, ადამიანი იქნება!

მაგრამ ბავშვმა, ცხადია, არ იცოდა, რომ მის ხალხს ორი დონის ადამიანები ჰყავდა. საქმე ის გახლავთ, რომ კასტრირებული ქალი მეორე დონის ადამიანია, ანუ პირველი დონის ადამიანი მამაკაცია, მეორე დონისა – ქალი. კასტრაციის გარეშე ქალს ფასი საერთოდ არა აქვს, რადგან ვერავინ დაადგენს, ქალწულია ის თუ არა.

კასტრირებული ქალი კი სულ სხვაა. იმის შემდეგ, რაც ჟანგიანი სამართებლით ან მინის ნამტვრევით "ცუდ ხორცს" მოაჭრიან, მას გაკერავენ ხოლმე. ის გოგოები, რომლებიც "ოპერაციის" შემდეგ არ კვდებიან, ანუ სისხლისგან არ იცლებიან ან სისხლი არ ეწამლებათ, უამრავ დაავადებას იძენენ, რადგან გაკერვის შემდეგ დატოვებული ერთი ციდა "ჭუჭრუტანა" ელემენტარული ჰიგიენური ნორმების დაცვის საშუალებასაც არ იძლევა. მხოლოდ ქორწილის შემდეგ შეუძლია მამაკაცს თავისი ქალის "გახსნა".

და ამ ამბავს, თავის ამბავს, ვარის დირი ჰყვება, ულამაზესი ქალი! ვფიქრობ, ძალიან, ძალიან მამაცი უნდა იყო, რომ ქალთა კასტრაციის წინააღმდეგ საბრძოლველად საკუთარი სხეული გამოიყენო. ხომ უცნაური ამბავია: მამაკაცთა წინადაცვეთის შემდეგ ბევრი რამ თქმულა და დაწერილა, უამრავი კვლევა არსებობს, მასსა და ქალთა კასტრაციას შორის კი უზარმაზარი განსხვავებაა. ამ უკანასკნელს ხომ სხვა, სრულიად კონკრეტული მიზანი აქვს – ყოველგვარ სექსუალობას მოკლებული და ამის გამო ერთგული, ბავშვების მბადი და მუშა არსების ფლობა.

ხუთი წლის ვარისი იმის მოწმე იყო, თუ როგორ გადაჰყვა მისი ერთ-ერთი და ბებერი ბოშა ქალის მიერ გაკეთებულ ოპერაციას. მიუხედავად ამისა, ის კასტრაციას თვინიერად შეხვდა. მან მხოლოდ მაშინ აიმაღლა ხმა, როცა მამამ 14 წლის ასაკში ხანშიშესული კაცი გაურიგა, რომელსაც ის არ იცნობდა და, რასაკვირველია, სულ არ უყვარდა. მაშინ კი მას მართლა შეეშინდა და დედას შეატყობინა, რომ სახლიდან მიდის.

ვარისი გაიქცა - ჯერ თავის დებთან, მოგადიშუში, მაგრამ დებმა ვერაფრით გაიგეს, რატომ გადაწყვიტა ვარისმა წასვლა და დედის მიტოვება. შემდეგ მან ლონდონს შეაფარა თავი, თავის ბიძას, რომელიც საელჩოში მუშაობდა. არც ბიძის ოჯახს გამოუჩენია მის მიმართ დიდი გულისხმიერება – უმალვე მოახლედ დაიყენეს. ოთხი წლის შემდეგ ბიძა სომალიში დაბრუნდა, ვარისი კი ახალშეძენილ მეგობარ გოგოს შეეკედლა.

ჯერ კიდევ მაშინ, როცა ბიძის მოახლე იყო, ვარისს ხშირად ესაუბრებოდა ერთი კაცი, რომლის შესახებაც გოგონამ არაფერი იცოდა და მისი საუბარიც არ ესმოდა, რადგან ინგლისურად ორ სიტყვას ძლივს აბამდა. მერე, როცა მეგობართან მცხოვრებმა ვარისმა, როგორც იქნა, ენის შემსწავლელ კურსებზე შეძლო სიარული, აღმოჩნდა, რომ ეს კაცი, რომელიც ჩრდილივით დასდევდა თან, მოდის ფოტოგრაფი ყოფილა.

სულ მალე მილანის, ლონდონის და პარიზის პოდიუმებზე ახალი ტოპ-მოდელი გამოჩნდა, ვარის დირი. მას "ლევისის", "რევლონის", "ლორეალის" რეკლამისთვის იღებდნენ, ხოლო 1987 წელს ტიმოთი დალტონის გვერდშიც კი აღმოჩნდა, "ბონდის გოგონას" როლში. მერე გათხოვდა კიდეც, და წიგნი დაწერა – "უდაბნოს ყვავილი", თავისი თავგადასავალი.

დღეს ვარის დირი გაეროს ელჩიცაა და კასტრაციის რიტუალთან ბრძოლის სიმბოლოდაა მიჩნეული. მას უკვე მეორე წიგნიც აქვს გამოქვეყნებული – "მომთაბარეთა ასული".

აი, ასეთი ქალი გაულახავს ვიღაც დარტყმულ პორტუგალიელს ქალაქ ვენაში.

სვეტი



ნინია კაკაბაძე

## ეს ხომ გარდამავალი პერიოდია...

24 ნოემბერს არავის ჰქონდა ილუზია, რომ 25 ნოემბრიდან სრულიად ახალ საქართველოს მივიღებდით და ჩვენ წინაშე ისეთი "სამშობლო" იქნებოდა, როგორსაც ჩვენ ველოდით. ვგულისხმობთ ადამიანებს, რომელნიც ორი კვირის მანძილზე ქარში, წვიმაში თუ მზიან ამინდში ახალ საქართველოს ითხოვდნენ. და თუ გვკითხავენ: - რა სარგებელი მოგვიტანა რევოლუციამ? ჩვენ ერთხმად შევძახებთ: - წავიდა ედუარდ შევარდნაძე და გვყავს ახალი პრეზიდენტი – მიხეილ სააკაშვილი, რომელიც ასკინკილათი დარბის საქართველოში თუ მის ფარგლებს გარეთ და ჩვენი მომავლის კეთილმოწყობას ცდილობს.

თვალი დავხუჭოთ და ისე მოვძებნოთ გამოსავალი.

ერთ-ერთი რეცეპტი მათთვის, ვინც უკეთეს საქართველოს ელის: არ შევხედოთ არც ერთ საინფორმაციო გადაცემას, არ გავეცნოთ პრესას და არ მივიღოთ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა სახის გადაადგილებები მიდის ხელისუფლებაში.

**მაშინ როგორ მივიღოთ მონაწილეობა არჩევნებში, ვის მივცეთ ხმა? ვენდოთ ინტუიციას! ეს ყველაზე მარტივი გამოსავალია!**

მაგრამ რა ვქნათ, რომ ხშირ შემთხვევაში არ ხერხდება საინფორმაციო გამოშვებების თავდასხმის მოგერიება, ან სულაც ისე, ქუჩაში მოვკარით ყური, რომ ადამიანები ვისთვისაც მზე ჩრდილოეთიდან ამოდიოდა და ეს მზე ედუარდ შევარდნაძე იყო, დღეს მათთვის მზე, ალბათ, სამხრეთიდან ამოდის და ახლა ეს მზე ანათებს მათი საძინებლის სარკმელში. მათთვის ეს არავითარ პრობლემას არ წარმოადგენს, მათ ხელშია მზეც და მისი ტრაექტორიაც. ჩვენ კი ვღელავთ.

არა უშავს, ალბათ ზაზა, შენგელია იმ უსაზღვრო პატივისცემას, რაც წინა ხელისუფლებას დააკლო, ახალს აუნაზღაურებს. ელდარ შენგელაია, შენგელიას მოწყობილ ზეიმზე ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში, კიდევ უფრო ხმამაღლა ე-დუ-არდ-ის მაგივრად, უფრო მოკლე და ლაკონურ სახელს მი-შა მი-შას იყვირებს. ლანა ღოღობერიძე? არა. ჩვენ არ გვახსოვს, როდის გახლდათ ის ბატონი ედუარდის მეგობარი და მეხოტბე, მგონი "არასდროს"! ეს ადამიანები და მათი მიმდევრები, მედროვეები კი არა, დროს აყოლილი, დროსთან ერთად "განვითარებული" ადამიანები და "პოლიტიკოსები" არიან.

კიდევ... მერე რა, რომ ერთ-ერთი მიტინგი ჰაერში გასროლილი ტყვიებით დაშალეს, ასეა საჭირო, **ეს ხომ გარდამავალი პერიოდია**, კარგად მოიქცევიან და არავინ დაშლის მათ აქციებს. შევარდნაძე რომ არ შლიდა, იმიტომაც მიიღო ვარდები. მოკლედ, არ დაგვავიწყდეს, **ეს გარდამავალი პერიოდია** და რამდენიმე ხანში ყველაფერი თავის ადგილას დადგება. და რაც მთავარია, გვახსოვდეს, რომ შევარდნაძე აღარ არის საქართველოს პრეზიდენტი.

ვიფიქროთ კარგზე და გავამახვილოთ ჩვენი ყურადღება რამდენიმე ფაქტზე: საქართველოს პრეზიდენტი უპატივცემულოდ იხსენიებს ე.წ. კანონიერ ქურდებს, დღეს კანონიერი ქურდები, პოლიცია და ხელისუფლება ერთ სიბრტყეში არ მოიაზრება, გაჩნდა განსხვავება. დღეს გვაქვს იმედი, რომ ფეოდალიზმი და თანამედროვე ფეოდალები დაგვიანებით, მაგრამ სამუდამოდ ჩაბარდებიან ისტორიას.

დღეს დავიჭირეთ რამდენიმე დამნაშავე ყოფილი ხელისუფლების და მათთან დაახლოებული ჯგუფებიდან. უკეთესი იქნებოდა, თუკი დღევანდელ ხელისუფლებაში მყოფ დამნაშავეებსაც მივხედავდით, მაგრამ **ეს ხომ გარდამავალი პერიოდია**.

იმედი გვაქვს, რომ ყველაფერი თავის ადგილას დადგება, ჩამოვლენ საზღვარგარეთ მყოფი ახალგაზრდა პროფესიონალები და მათ ადგილებს დაიკავებენ, ვინც წარსულ ეპოქას ინერციით გადმოჰყვა. იქნება ახალი სახეები, მაღალი ხელფასები თუ პენსიები და გვექნება ახალი ჰიმნი.

დღეს რაც ხდება ამაზე არ ვინერვიულოთ, **ეს ხომ გარდამავალი პერიოდია.**

# გახსოვთ დალიდა?

## ფრანკო სუპინოს ახალი რომანი

*1967 წელს, სან რემოს ფესტივალზე, დალიდამ "ჩაო, ამორე, ჩაო" იმღერა. მაშინ ამ სიმღერას დიდი აღტაცება არ გამოუწვევია და დალიდას მამაკაცმა, სიმღერის ავტორმა, იმავე საღამოს მოიკლა თავი. თავის ახალ რომანში ფრანკო სუპინო დალიდას ამბავს ჰყვება.*


დალიდა

რა იცის აღმოსავლეთმა დასავლეთის შესახებ? და პირიქით: რა იცის დასავლეთმა აღმოსავლეთის შესახებ? "რადგან თუ მათსავით ვიფიქრებთ, მათ დავემსგავსებით," ბრძანა პოეტმა – ევროპელმა. მხოლოდ მრავალი, მრავალი წლის შემდეგ განაცხადა ედვარდ ვ.საიდმა თავის კლასიკურ "ორიენტალიზმში", რომ დასავლეთი აღმოსავლეთს არასაიმედოდ, ეშმაკად, სენტიმენტალურად, მიამიტად და სასტიკად იმიტომ რაცხავს, რომ ეს ატრიბუტები არ მოსწონს და არ უნდა იმის აღიარება, რომ ყველა ამ "სიკეთის" მატარებელი თავადაც ბრძანდება.

დალიდა, ანუ იოლანდა კრისტინა ჯილიოტი, 1933 წელს, კაიროში ჩასახლებულ იტალიელთა ოჯახში დაიბადა. 21 წლისამ მან "მის ეგვიპტის" წოდება მოიპოვა და ამის წყალობით ოცნებაც აისრულა – მომღერალი გახდა. ის ბევრს მუშაობდა და მუდამ დარწმუნებული იყო, რომ მის სახელს ერთ დღეს მთელი მსოფლიო გაიგონებდა.

უნდა ითქვას, რომ დალიდა მრავალი წლის განმავლობაში ამბობდა უარს სან რემოში მომღერალთა კონკურსში მონაწილეობაზე. ის მხოლოდ 1967 წელს დათანხმდა, მიუხედავად იმისა, რომ უკვე ვარსკვლავად ითვლებოდა, და წესით, ამ კონკურსზე გასვლა მისთვის დიდად მნიშვნელოვანი არ იყო. მომღერალმა თანხმობა მხოლოდ თავისი შეყვარებულის, სიმღერების ავტორის, ლუიჯი ტენცოს გამო განაცხადა – ეს უკანასკნელი მუსიკალურ სამყაროში ჯიჯი მაის სახელით იყო ცნობილი. საგანგებოდ ამ საღამოსთვის მან სიმღერა დაწერა, "ჩაო, ამორე, ჩაო", როგორც შემდგომ აღმოჩნდა, საბედისწერო - ეს სრული ფიასკო იყო. სიმღერა იტალიელი ემიგრანტის მძიმე ხვედრს ეძღვნებოდა, და როგორც ჩანს, გასართობად დაარსებულ ფესტივალზე პოლიტიკური თემების აღძვრა მიზანშეწონილად არავინ ჩათვალა. იმედგაცრუებულმა და გაწბილებულმა კომპოზიტორმა იმავე საღამოს მოიკლა თავი.

თავის რომანში სუპინო წერს: "ზედაპირული მსმენელი იდეებს არ მისდევს, მას დაპირისპირება არ სჭირდება. ის პირდაპირ, უხეშად უნდა დაარწმუნო. დამაჯერებელი ტექსტი და მელოდია არც კითხვებს აღძრავს და არც პრეტენზიებს. კომერცია დიდი საქმეა, მას ცოდნა უნდა".

ფრანკო სუპინო, შვეიცარელი მწერალი, თავადაც იტალიელ ემიგრანტთა შვილია. 1965 წელს დაბადებული ავტორი ამ თაობის შვეიცარიულ ლიტერატურაში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ფიგურად ითვლება. მისი ნაწარმოებების თემა ძირითადად მისი საკუთარი ბიოგრაფიაა, ის, რაც თავად უნახავს, განუცდია და რაც მის მსოფლმხედველობას სავსებით ეხმიანება. ასეთებია "მსოფლიოს ლამაზმანი" (1997) თუ "ბრმათა სიმღერა" (1999). მისი შემოქმედების გასაგებად ედუარდ საიდის ზემოთმოყვანილი სიტყვები საუკეთესო ორიენტირია – იტალიელს "სხვა" სწორედ ისეთად მიაჩნია, როგორიც თავად არ სურს, რომ იყოს.

მის ახალ რომანში ერთგვარი ალტერ ეგო "დალიდას ადგილებს" მოივლის. ის ჩადის ქალაქში, სადაც დალიდას მშობლები დაიბადნენ, კაიროს უბან შუბრაში, სადაც მომღერალი გაიზარდა, ის ეწვევა რომსა და პარიზს, სადაც მონმარტრზე მოედანს დალიდას სახლი ჰქვია. ის ადამიანებს ესაუბრება და თავის გმირთან დაკავშირებულს ყველაფერს ათვალიერებს, სან რემოს ყოფილ საკონცერტო დარბაზსაც, სადაც დღეს სათამაშო ავტომატებია ჩამწკრივებული.

დალიდა განიცდიდა, რომ ეგვიპტეში მას უცხოდ, იტალიელად თვლიდნენ. ის ასევე იტანჯებოდა იტალიაში და საფრანგეთშიც კი, რომლის დედაქალაქშიც 30 წელიწადზე დიდხანს იცხოვრა – მუდამ უცხოელად გრძნობდა თავს. დალიდამ სწორედ პარიზში მოიკლა თავი.

სუპინოსთვის ეს განცდები უცხო არაა, ის თავისსა და დალიდას შორის აშკარა პარალელს ავლებს. თვალშისაცემად ცრუ პათოსია, მაგრამ გარკვეულწილად ის დალიდას სიმღერებსაც ეხმიანება.

# ლენონის თმას ახალი პატრონი ჰყავს


ჯონ ლენონი

[illegible] 3 63 [illegible] 1964 [illegible] 26 [illegible]

ფეხბურთი

## ლუჩანო მოჯი: "ლიპის გადადგომაზე საუბარი არ არის"



ლიპი თავის პოსტს შეინარჩუნებს

ტურინის "იუვენტუსის" ხელმძღვანელობამ უარყო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ გუნდის მთავარი მწვრთნელი მარჩელო ლიპი შეიძლება თანამდებობიდან დაითხოვონ. ამ განცხადების საფუძველი მას შემდეგ გაჩნდა, რაც "იუვენტუსი" ოთხშაბათს ჩემპიონთა ლიგის გათამაშებას გამოეთიშა. იტალიის ჩემპიონატში კი ლიდერ "მილანს" ექვსი ქულით ჩამორჩება.

ტურინული კლუბის გენერალურმა მენეჯერმა ლუჩანო მოჯიმ განაცხადა, რომ ლიპის გათავისუფლებაზე საუბარი არ არის და დაუმარცხებელი გუნდი არ არსებობს. "ფეხბურთში მარცხის გარეშე არ შეიძლება, - აცხადებს მოჯი, - ლიპიმ ამ სეზონში ყველაფერი იღონა. სეზონი უაღრესად რთული გამოდგა. მას კლუბთან მოქმედი კონტრაქტი აკავშირებს და ის გუნდის სათავეში დარჩება. ეს საკითხი არც კი განიხილება".

ამასთან, მოჯიმ განმარტა ფეხბურთელების საკითხიც, რადგან მოარული ხმების თანახმად, ზაფხულში კლუბი მისმა ლიდერებმა - დავიდ ტრეზეგემ, ლილიან ტურამმა და პაველ ნედვედმა უნდა დატოვონ. მოჯიმ განაცხადა, რომ ახლა გუნდის რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელის ტრავმის გამო კლუბი რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, ამიტომ ამ ეტაპზე ლიდერების გაყიდვა მიზანშეწონილი არ არის.

## "ჩელსი" თავის პოზიციას დაიცავს



კენ ბეიტსი აბრამოვიჩს უჩივის

"ჩელსის" ყოფილმა მფლობელმა კენ ბეიტსმა სასამართლოში სარჩელი აღძრა რომან აბრამოვიჩის წინააღმდეგ და მას კონტრაქტის პირობების დარღვევაში ადანაშაულებს. ამის შესახებ ნათქვამია ინგლისური კლუბის ოფიციალურ განცხადებაში, რომელიც ოთხშაბათს გამოქვეყნდა.

"არისტოკრატებმა" დაადასტურეს, რომ კენ ბეიტსმა სარჩელი აღძრა კლუბის ახალი ხელმძღვანელობისა და მის მფლობელობაში მყოფი კომპანიის Chelsea Villidge-ის წინააღმდეგ. ბეიტსი აცხადებს, რომ აბრამოვიჩმა და კომპანიამ დაარღვიეს კონტრაქტი, რომელსაც "ჩელსის" შესყიდვის დროს სწორედ მან და აბრამოვიჩმა მოაწერეს ხელი. ბეიტსი აპირებს, კლუბის ახალ ხელმძღვანელობას 2 მილიონი გირვანქა სტერლინგი გამოჰგლიჯოს ხელიდან.

როდესაც კლუბი აბრამოვიჩს გადაულოცა, ბეიტსს იმედი ჰქონდა, რომ ის შეინარჩუნებდა კლუბის ხელმძღვანელის პოსტს. ამასთან, დარჩებოდა ფართო უფლებები და კიდევ ორი წლის განმავლობაში წარმოადგენდა გუნდს ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის შეხვედრებზე და პრემიერლიგაში. თუმცა, ბეიტსის თქმით, კლუბის ახალმა აღმასრულებელმა დირექტორმა პიტერ კენიონმა და კომპანია Chelsea Villidge-ის ხელმძღვანელმა ბრიუს ბაკმა ის თანდათან კლუბის საქმეებს ჩამოაცილეს.

ბეიტსის თქმით, მან შენიშნა, რომ ივლისის შეთანხმება ირღვეოდა და ამიტომ გადაწყვიტა, კლუბის ხელმძღვანელის პოსტი დაეტოვებინა. 22-წლიანი მუშაობის შემდეგ ბეიტსის გადადგომის შესახებ ინფორმაცია მარტის დასაწყისში გავრცელდა.

"ჩელსის" ხელმძღვანელობის მიერ გამოქვეყნებულ განცხადებაში დასტურდება, რომ კენ ბეიტსმა დატოვა საფეხბურთო კლუბ "ჩელსის" ხელმძღვანელის პოსტი და ის ამიერიდან აღარ მიიჩნევა კლუბის დირექტორად".

თუმცა, "არისტოკრატების" ახალი ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ ისინი კენ ბეიტსს ყველა სიტუაციაში პატივისცემით ეპყრობოდნენ.

## ბუნტი ბულგარეთში

ბულგარეთის ფეხბურთელთა ნაკრებში სერიოზული განხეთქილებაა. ფეხბურთელები ქვეყნის საფეხბურთო კავშირის წინააღმდეგ აჯანყდნენ. საქმე ეხება პრემიალურებს, რომელიც ფეხბურთელებს ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლისთვის ეკუთვნოდათ.

ადგილობრივი გაზეთ "ტოპ სპორტის" ცნობით, ეროვნული ნაკრების მოთამაშეებს არ მოეწონათ სქემა, რომლის მიხედვითაც პრემიალური თანხა რიგდება. პლამენ მარკოვის შეგირდები აცხადებენ, რომ ფული, რომელიც ბულგარეთის საფეხბურთო კავშირმა უეფასგან ნაკრების ფინალურ ეტაპზე გასვლისთვის მიიღო, უსამართლოდ ნაწილდება. ფეხბურთელები აცხადებენ, რომ ჩინოვნიკებმა მათ ძალიან მცირე თანხა დაუხადეს.

ვარაუდობენ, რომ თავის უკმაყოფილებას ნაკრების ფეხბურთელები გუნდის ერთ-ერთი ვარჯიშის დროს გამოხატავენ. მომხდარით კი ყველაზე უფრო რუსეთის ნაკრები დაზარალდა. საქმე ის არის, რომ 31 მარტს სოფიაში დაგეგმილი იყო ამხანაგური, საკონტროლო შეხვედრა ბულგარეთისა და რუსეთის ნაკრებ გუნდებს შორის. ბულგარელი ფეხბურთელები კი სწორედ ამ მატჩის ბოიკოტით იმუქრებიან.

შეგახსენებთ, რომ 2003 წლის შემოდგომაზე ბულგარეთის ნაკრებმა ტრიუმფალურად დაასრულა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი. ის ჯგუფში პირველ ადგილზე გავიდა და უკან ჩამოიტოვა ხორვატიისა და ბელგიის ნაკრები გუნდები.

## დიდი მატჩის შემდეგ

"ნახვამდის, ძველო მტერო, მომავალ შეხვედრამდე!"



ზიდანმა "ბაიერნის" იმედები დაასამარა

მადრიდელთა პორტუგალიელი თავკაცი კარლოს კეიროში კმაყოფილი გახლდათ: "ეს იყო დუელი ორ დიდ გუნდს შორის, რომელიც, შესაძლოა, ფინალიც ყოფილიყო. ეს გამარჯვება ჩვენი თავდაუზოგავი შრომის შედეგია".

"ბაიერნი" გავარდა! ზიდანის გოლმა და კასილიასის ჩინებულმა თამაშმა "ბაიერნი" შინ გაისტუმრა", - წერდა გუშინ ესპანური Marca. "გმირი "რეალი"! კასილიასმა აუღებელი აიღო! მაგრამ დამარცხებულსაც უნდა მივაგოთ პატივი. ნახვამდის, ძველო მტერო, მომავალ შეხვედრამდე!" - წერდა As-ი.

მადრიდი ზეიმობს, "ბაიერნი" კი გულდაწყვეტილია. მიუნხენელებისთვის ეს უკვე ზედიზედ მეორე წარუმატებლობაა ჩემპიონთა ლიგაში. მიმდინარე სეზონში "ბაიერნს" ბუნდესლიგის მოგების შანსიც ნაკლებად აქვს. სახელოვან კლუბს უტიტულოდ დარჩენა ემუქრება.

და როგორ გუნებაზეა ამ დროს "ბაიერნი"? გთავაზობთ კომენტარებს, რომლებიც მიუნხენური კლუბის წარმომადგენლებმა გუშინწინდელი მატჩის შემდეგ გააკეთეს.

**ოტმარ ჰიცფელდი (მწვრთნელი):** "იმედგაცრუება დიდია. არა მხოლოდ იმიტომ, რომ ტურნირს გამოვეთიშეთ. ჩვენ ვაჩვენეთ, რომ "რეალის" მსგავს გუნდებთან თამაში შეგვიძლია. მათთან მარცხი სირცხვილი არ არის. თუმცა, მაინც იმედგაცრუებული ვარ, რადგან ვერ ვაჩვენეთ ის, რისი ჩვენებაც პირველ მატჩში შევძელით. უკეთ უნდა გვეთამაშა, უფრო აგრესიულად გვებრძოლა და უფრო კარგად გამოგვეყენებინა ფლანგები. შესვენების შემდეგ გავაქტიურდით, თუმცა, "რეალმა" მაინც გვაჯობა. "რეალი" კარგი გუნდია, ვიცოდით, რომ ისინი ისე ცუდად არ ითამაშებდნენ, როგორც პირველ მატჩში".

**ფრანც ბეკენბაუერი (პრეზიდენტი):** "რეალი" დამსახურებულად გავიდა შემდეგ წრეში. არ იყო აუცილებელი, მაგრამ ასეთ გუნდთან დამარცხება სირცხვილი ნამდვილად არ არის. პირველ ტაიმში არასაკმარისად გავისარჯეთ, მეორე ნახევარში კი ნორმალური თამაში ვაჩვენეთ. შესაძლოა, მოწინააღმდეგის მიმართ ზედმეტი მორიდება გამოვიჩინეთ. მაგრამ დავინახეთ, რომ "რეალსაც" ჰქონდა ჩვენი რიდი. "ბაიერნის" უიღბლობა ჯერ კიდევ მიუნხენში დაიწყო. აქ რომ 1:0-ით ჩამოვსულიყავით, შესაძლოა, ყველაფერი სხვაგვარად დასრულებულიყო".

**კარლ-ჰაინც რუმენიგე (ვიცე-პრეზიდენტი):** "მთელი 90 წუთის განმავლობაში "რეალს" წინააღმდეგობას ვუწევდით. პირველი ტაიმის ბოლო 15 წუთის განმავლობაში საუკეთესო ფაზა გვქონდა, თუმცა, გოლის გატანის შანსი ხელიდან გავუშვით. ჩემპიონთა ლიგას თავაწეულები ვემშვიდობებით. მსოფლიოს საუკეთესო გუნდის წინააღმდეგ ორივე მატჩში კარგად გამოვიყურებოდით. პირველ შეხვედრაში გამარჯვებასთან ძალიან ახლოს ვიყავით. განმეორებით მატჩში კი ფრეც შესაძლებელი იყო. თუ გუნდებს შორის რაიმე განსხვავებაა, მაშინ ეს ზინედინ ზიდანია. მან შესანიშნავი მატჩი ჩაატარა".

**ული ჰიონესი (მენეჯერი):** "მადრიდელთა დაცვაში სუსტი ადგილები აღმოვაჩინეთ, თუმცა, გოლების გატანა ვერ შევძელით. ამიტომ "რეალს" გამარჯვება უნდა მივულოცოთ. წაგებაც უნდა შეგვეძლოს".

**ოლივერ კანი:** "გაშვებულმა გოლმა კარგად დაგვანახა, თუ რა ახლოს არიან ერთმანეთთან წარმატება და მარცხი. იღბლის გარეშე ასეთი მატჩის მოგება წარმოუდგენელია. "რეალის" წინააღმდეგ თამაში ადვილია, მოგებაც შეიძლება, მაგრამ მხოლოდ ერთი გოლის წყალობით ძნელია მათი დამარცხება. ჩვენ კარგად წარმოვაჩინეთ თავი, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს არაფერს ნიშნავს".

**როი მაკაი:** "იმედგაცრუებული ვართ, რადგან ორი მატჩის ჯამში "რეალს" არაფერი დავუთმეთ. სიმართლე რომ ვთქვათ, მეორე შეხვედრაშიც უკეთესი შანსი გვქონდა. ჩვენ ვაჩვენეთ, რომ "რეალის" წინააღმდეგ წარმატებით თამაში მათ მოედანზეც შეიძლება".

**მიხაელ ბალაკი:** "ტურნირს გამოვეთიშეთ და ძალიან დაღონებულები ვართ. მეტის მიღწევა შეგვეძლო. ჩვენ კვლავ გვქონდა გოლის გატანის შანსი. მაგრამ სტუმრად თამაშისას შენი შანსი აუცილებლად უნდა გამოიყენო. იღბალი გვაკლდა. თამაში თანაბარი იყო. გუნდმა ყველაფერი გააკეთა, კარგად ვითამაშეთ, თუმცა, ტურნირს გამოვეთიშეთ. მომდევნო ეტაპზე რომ გავსულიყავით, სრულიად დამსახურებული იქნებოდა".

ჩოგბურთი

## ATP-ს სილა გააწნეს

გრეგ რუზედსკი დისკვალიფიკაციას გადაურჩა

ნინო პირველი



რუზედსკის დანაშაული არ დადასტურდა

ნანდროლონის მოხმარებაში მხილებულ ბრიტანელ ჩოგბურთელს ძალიან გაუმართლა - როგორც წესი, დოპინგ-სკანდალში გახვეული სპორტსმენები ასე იოლად ვერ აღწევენ ხოლმე თავს სადისციპლინო კომიტეტის სახიფათო კლანჭებს. დანაშაულის დამტიკცების შემთხვევაში გრეგ რუზედსკის ორწლიანი დისკვალიფიკაცია ემუქრებოდა, რითაც მის კარიერას, ალბათ, საბოლოოდ დაესმებოდა წერტილი. როცა საქმე აკრძალულ პრეპარატებს ეხება, ხელმძღვანელმა პირებმა დანდობა არ იციან. საბრალო რიო ფერდინანდი, "მანჩესტერ იუნაიტედის" ახალგაზრდა მცველი, მთელი რვა თვით მხოლოდ იმის გამო ჩამოაცილეს ფეხბურთს, რომ დოპინგ-ტესტზე არ გამოცხადდა. მართალია, მოგვიანებით ჩატარებულმა ანალიზმა რიოს სისხლში აკრძალული პრეპარატების ვერანაირი კვალი ვერ აღმოაჩინა, მაგრამ დასჯის მიზეზად ისიც საკმარისი გახდა, რომ ფეხბურთელს ტესტზე გამოცხადება დაავიწყდა. ჰოდა, ზის ახლა სახლში დამწუხრებული რიო ფერდინანდი და "მან იუს" მატჩებს შორიდან უყურებს. ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ ინგლისის ნაკრების საიმედო მცველი ევროპის ჩემპიონატზეც ვერ შეძლებს თამაშს. აი, ასეთი უმაგალითო სიმკაცრეა მოსალოდნელი დოპინგ-ტესტზე ჩავარდნის შემთხვევაში. ასეთი ბედი ელოდა გრეგ რუზედსკისაც, მაგრამ ბრიტანელი, თავისდა საბედნიეროდ, დასჯას გადაურჩა.

კანადაში დაბადებულ რუზედსკის 2003 წლის ზაფხულში საქმე შავად წაუვიდა, როცა ინდიანაპოლისის ტურნირზე შეამოწმეს და აკრძალული პრეპარატის - სტეროიდ ნანდროლონის მიღებაში ამხილეს. მართალია, რუზედსკის ნანდროლონი ძალიან მცირე დოზით ჰქონდა მიღებული, მაგრამ დისკვალიფიკაციისთვის ესეც საკმარისი იქნებოდა. რუზედსკის საკითხი ზაფხულშივე არ განუხილავთ. ATP-მ ბრიტანელს სეზონის დამთავრება აცალა და მისი საქმე 2004 წლის დასაწყისში გაახმაურა. რუზედსკიმაც სწორედ მაშინ გაიგო, რომ ნანდროლონის მიღებას აბრალებდნენ. ბრიტანელი ჩოგბურთელი იმდენად იყო დარწმუნებული თავის უდანაშაულობაში, რომ ამ ამბავმა არა თუ დეპრესიაში ჩააგდო, არამედ ბევრად უფრო ძლიერი და ბრძოლისუნარიანი გახადა. ყველა ინტერვიუში გაიძახოდა, კრისტალივით სუფთა ვარ და ვერ გამიგია, ATP-ს ჩემგან რა უნდაო. ის კი არა, საერთაშორისო ჩოგბურთის შეფობა იქით დაადანაშაულა: სპორტსმენებს ძალით ურთულებენ ცხოვრებასო. "არავის სჯერა, რომ მე აკრძალულ პრეპარატებს ვიღებ. მეგობრები, კოლეგები, მწვრთნელები... ყველა დარწმუნებულია, რომ უბრალო ვარ. მათი თანადგომა ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. როცა ამდენი ხალხი გიდგას გვერდში, ყველაფერს უნდა გაუძლო", - ამბობდა რუზედსკი იანვარში. და აი, როგორც იქნა, რუზედსკის უდანაშაულობა ოფიციალურად აღიარეს. სპეციალურმა კომისიამ, რომელსაც კანადელი ივ მორტიე ხელმძღვანელობდა, დაადგინა, რომ ბრიტანელ ჩოგბურთელს სულ ტყუილად სდებდნენ ბრალს. როგორც ამ კომისიის წევრები ამტკიცებენ, ნანდროლონის აღმოჩენა იმ მიზეზმა განაპირობა, რომ ეს ნივთიერება შედის ზოგიერთი საკვების და ასევე ყოვლად უწყინარი ვიტამინების შემადგენლობაში. სწორედ ამიტომ შეუძლებელია იმის მტკიცება, რომ ნანდროლონი შემთხვევით არ მოხვდა ჩოგბურთელის ორგანიზმში, არამედ მან სპეციალურად მიიღო ეს აკრძალული პრეპარატი.

"ეს უდიდესი შვებაა ჩემთვის. როცა ნარკოტიკების მოხმარებაში დამდეს ბრალი, მტკიცედ გადავწყვიტე, შეუპოვრად მებრძოლა სიმართლის დასამტკიცებლად და შელახული იმიჯის აღსადგენად. ახლა უკვე შემიძლია, მშვიდად გავაგრძელო კარიერა და მუდმივად იმაზე არ ვიფიქრო, დამიმტკიცდება თუ არა დანაშაული, რომელიც არ ჩამიდენია", - განაცხადა გახარებულმა რუზედსკიმ.

კომიტეტის ასეთი გადაწყვეტილება, ფაქტობრივად, ATP-სთვის სილის გარტყმას ნიშნავს. ATP ხშირად ცდება, შემდეგ კი დანაშაულის გამოსწორებას ცდილობს. მაგალითად, 2002 წელს ტესტზე ჩავარდნილ ჩეხ ბოდან ულრახს ორწლიანი დისკვალიფიკაცია მისცეს, მაგრამ ერთი წლის შემდეგ, როცა მის საქმეს ხელახლა გადახედეს, ჩოგბურთელი გაამართლეს. ახლახან კიდევ თექვსმეტ ჩოგბურთელს აღმოუჩინეს შარდში ნანდროლონი. ახლა ATP-მ უნდა დაადგინოს, მართლა დანაშავეები არიან ეს ჩოგბურთელები თუ, რუზედსკის მსგავსად, მათაც საკვებიდან და ვიტამინებიდან მიიღეს სტეროიდი. რაკი კომისიამ ერთი ცოდვილი გაამართლა, ახლა უკვე სხვებსაც იმედი მიეცათ. რუზედსკის შემთხვევის შემდეგ ჩოგბურთელები, ალბათ, ასე იოლად აღარ შეურიგდებიან დისკვალიფიკაციას და სერიოზულად დაუპირისპირდებიან ATP-ს, რომელიც ცნობილ მოთამაშეებს ლამის ყოველ კვირას ამოწმებს. მაგალითად, მსოფლიოს ნომერ პირველი ჩოგანი, შვეიცარიელი როჟე ფედერერი პირდაპირ გააწამეს ათასნაირი ტესტებით. ამის მიუხედავად, ერთხელაც ვერ გამოიჭირეს ვერაფერში. როგორც ჩანს, ფედერერი ძალიან ფრთხილობს. "სანამ რამეს გადაყლაპავ, სულ ცოტა, ორჯერ მაინც უნდა დაფიქრდე. ვიტამინების შერჩევისას დიდი სიფრთხილეა საჭირო. ყველა ვიტამინი ასი პროცენტით სუფთა უნდა იყოს", - აცხადებს ნომერ პირველი. გერმანელი რაინერ შუტლერი კი ATP-ს გულგრილობაში ადანაშაულებს: "ელექტროლიტები, რასაც მე ვიღებ, თავად შევამოწმებინე ლაბორატორიაში და ვიცი, რომ არაფერს შეიცავს. არა მგონია, ATP-სთვის ძნელი იყოს იმ ფირმის პოვნა, ვინც ჩოგბურთელებისთვის სპეციალურად გამოუშვებდა სუფთა პრეპარატებს", - მიიჩნევს შუტლერი. ATP ამაზე ჯერჯერობით არ ფიქრობს, მაგრამ ამდენი სკანდალის შემდეგ, ალბათ, ღირს რაინერ შუტლერის წინადადების გათვალისწინება.

რაგბი

# რა ხდება ქართულ რაგბიში

## ინტერვიუ ბიძინა გეგიძესთან

პაატა თოთაძე

*რა ხდება ქართულ რაგბიში, როგორია მისი დღევანდელი მდგომარეობა და როგორ განვითარდება მოვლენები? ეს კითხვები ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა ძალზე აქტუალური გახადა. სარაგბო საზოგადოება ორად იყოფაო ამბობენ ერთნი, არავითარ შემთხვევაშიო ამას გაიძახიან. და მაინც რა ხდება ქართულ რაგბიში იანვრის ყრილობის შემდეგ. ამ საკითხით დავიწყეთ ჩვენი საუბარი საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტთან ბიძინა გეგიძესთან.*



ბიძინა გეგიძე

ბესო გულაშვილის ფოტო

- სამწუხაროდ, ისეთი წინაპირობა შეიქმნა და საზოგადოების გარკვეულ ნაწილის მიერ მოვლენები იმგვარად ვითარდება, რომ ერთ მშვენიერ დღეს, შესაძლოა, ამდენი ხნის განმავლობაში შექმნილი ფასეულობების დანგრევა მოხდეს. იმ ფასეულობებისა, რომლის შექმნასაც წლები და უზარმაზარი ენერგია დასჭირდა. ეს ფასეულობები შექმნეს იმ ადამიანებმა, რომლებსაც მხოლოდ ერთადერთი – რაგბისადმი ფანატიკური სიყვარული ამოძრავებდათ. ისინი ამას არ აკეთებდნენ მატერიალური დივიდენდის მისაღებად. ქვეცნობიერად ყველა მათგანში იჯდა, რომ მივიღებდით მორალურ დივიდენდს, რაც ყოველგვარ მატერიალურზე მაღლა დგას. ეს არის თუნდაც პირთამდე სავსე ეროვნული სტადიონი. ამაზე დიდი დივიდენდი ჩვენთვის არ არსებობს. რაგბის სიყვარულმა ის საზღვარი გაარღვია, რომელშიც მანამდე იყო ჩაკეტილი და იქცა ხალხის სიყვარულად.

ამის ფონზე ყველაზე დიდი საშინელება რაც შეიძლება მოხდეს, არის ის, რომ ამ ფასეულობებს შეიძლება კითხვის ნიშანი გაუჩნდეს. ამის ტენდენციები უკვე გამოიკვეთა და, გარკვეულწილად, განვითარებაც ჰპოვა. აქედან გამომდინარე არავის, რაგბის კავშირის პრეზიდენტიდან დაწყებული გულშემატკივრით დასრულებული, არა აქვს უფლება ამ პრობლემას ზერელედ შეხედოს. დაუშვებელია ქართულ რაგბიში, სარაგბო თემში კრიზისმა დაისადგუროს. ეს იქნება დანაშაული ათობით მორაგბის, ჩვენი შვილების და შვილიშვილების წინაშე, რომლებსაც მორაგბეობა აქვთ გადაწყვეტილი. არავინ არ უნდა დააყენოს თავისი პირადი ინტერესები, ამბიციები საერთო სარაგბო ინტერესზე მაღლა, განაწყენებული კაცის პოზიციიდან არ უნდა ისაუბროს არავინ. იმის დაკნინება, რაც საყოველთაოდაა აღიარებული და უზარმაზარ მონაპოვრად არის შეფასებული - ამაში მარტო საქართველოს არ ვგულისხმობ – არ შეიძლება. ეს არის უზარმაზარი შეცდომა. ასეთი დამოკიდებულება ჩიხში შეგვიყვანს, ეს ქართული რაგბის ინტერესებს ვნებს.

ქვეყნის კანონმდებლობის და კონსტიტუციის შემდეგ მორაგბისთვის უზენაესი სარაგბო კოდექსია. კოდექსი ავალდებულებს სარაგბო ოჯახის წევრს მორაგბის საკადრისად მოიქცეს. რაც არ შეშვენის ოჯახის წევრობას, ისეთი ნაბიჯები არ უნდა იქნას გადადგმული, თორემ იმ საზოგადოებაში და ქვეყანაში რაგბი ვერ განვითარდება.

ბუნებრივია, როცა რაგბიში რამე ხდება, ჩემი, როგორც კავშირის პრეზიდენტის, პრობლემაა, მაგრამ ჩვენ ამის ინიციატორები არ ვართ. ჩვენ არ გაგვიკეთებია აქცენტები კონკრეტული პიროვნებების, კონკრეტული გადაწყვეტილებების მიმართ. მსაჯულის როლში არასდროს ვყოფილვართ. იურიდიული კაზუისტიკა, საარჩევნო ინტერესები და ტექნოლოგიები. არასდროს არ უნდა დადგეს იმ პრინციპებზე მაღლა, რომელიც სარაგბო საზოგადოებაში არსებობს. ყველამ უნდა გააიზროს, რომ იმ ადამიანების დაკარგვა, რომლებიც აქ არიან ცხრა წლის განმავლობაში არ შეიძლება. გია ჭუმბურიძე აღმოსავლეთ ევროპის რაგბის განვითარების მენეჯერია, ზაზა ქასაშვილი ევროპის შვიდკაცას დირექტორი, სხვაზე აღარაფერს ვამბობ. არ მესმის, ეს როგორ არ უნდა აღიარო. კრიტიკა, შეცდომებზე მითითება რაგბის ინტერესებიდან გამომდინარე უნდა ხდებოდეს, ცინიზმი არ უნდა ერეოდეს. ამგვარი ტენდენცია არის და ეს მალე, შესაძლოა, საზოგადოებაშიც გაჩნდეს. საინტერესოა ამაზე ვინ იღებს პასუხისმგებლობას? პატარების წინაშე პასუხს ვინ აგებს? ემოციების და ინსტინქტების დონეზე ნუ ვცდილობთ საზოგადოების შეცდომაში შეყვანას. წერილებით, რომ გამგეობამ რაღაცები დაადგინა, საინტერესოა, სად იყო აქამდე ეს გამგეობა. ხელაღებით იგნორირება იმისა, რაც ამ ხნის მანძილზე გაკეთდა არასერიოზული, არაკომპეტენტურია. ცხრა წელი ვიღვაწეთ რაგბის განვითარებისათვის, საერთაშორისო არენაზე დავფუძნდით. ახლა სხვა ეტაპზე გადავდივართ. IRB-სთან (რაგბის საერთაშორისო საბჭო) ურთიერთობა ახალ ეტაპზე უნდა გადავიდეს, სახელმწიფომ უნდა დააფიქსიროს თავისი დამოკიდებულება ჩვენ მიმართ.

ჩვენ IRB-ს რეკომენდაციებს მაქსიმალურად ვასრულებთ, მოგვწონს ეს თუ არა. იგივე უნდა იყოს აქაც. როცა ჩვენ ვაძლევთ რეკომენდაციებს კლუბებს და ისინი ამას არ აკეთებენ, წლების მერე კი მოდიან და პრეტენზიას გვიყენებენ, იგივე თემაზე ამას რატომ არ აკეთებთო, ღიმილის მომგვრელი და არაკომპეტენტურია. ვერანაირ კრიტიკას ეს ვერ უძლებს. ამიტომ ვთხოვ ყველას, შეეცადონ კარგად გაანალიზონ, შეისწავლონ და შეაფასონ შექმნილი მდგომარეობა. ბიძინა გეგიძე მზად არის ყველასთან დიალოგზე რაგბის ინტერესებიდან გამომდინარე – კონსტრუქციულ დიალოგზე, შეთანხმებაზე. რაგბის საზოგადოებაში რომ გაჩნდება ისეთი ტერმინები, როგორიცაა იურიდიული კაზუისტიკა, საარჩევნო ტექნოლოგიები და მისთანები, საქმე კარგად ვერ წავა. როცა საქმეს ტყუილით იწყებ, წარმატებას ვერ მიაღწევ. ვილაცისთვის ჩვენი მონაპოვარი შეიძლება არაფერია, მაგრამ მე ამ მონაპოვარს კბილებით დავიცავ და ამაში მხარს IRB, FIRA-AER-ი, საფრანგეთის რაგბის კავშირი დაგვიჭერს.

ხმამაღლა მივმართავ მთავრობას, რომ დააფიქსიროს თავისი დამოკიდებულება რაგბის მიმართ. რუსეთთან ახალი გუნდით ამხელა გამარჯვების მოპოვების შემდეგ, კითხვის ნიშნის ქვეშ არ უნდა იდგეს მომდევნო მატჩზე ლეგიონერთა ჩამოსვლა-არჩამოსვლის საკითხი, რადგან "აირზენას" ამოუვიდა ყელში ჩვენი თხოვნები და კრედიტით აღარ გვაძლევს ბილეთებს. სახელმწიფოსგან ფინანსური დახმარება ნული თეთრი არ უნდა იყოს. ძალიან კარგი იყო, რომ პორტუგალიასთან მატჩზე პრეზიდენტი მობრძანდა, მაგრამ ამავე დროს ძალიან ცუდი იყო, როცა რუსეთთან მატჩს მთავრობიდან არავინ დასწრებია და თქვენ წარმოიდგინეთ პირველად მოხდა, როცა თამაშის მოგების შემდეგ მთავრობისგან არანაირი მილოცვა არ მიგვიღია. ეს ძალიან ცუდად მოქმედებს ჩვენზე. მე ვიცი მთავრობის ხელმძღვანელობის აზრი რაგბის შესახებ ქართული სპორტის განვითარების ჭრილში და ეს მახარებს, მაგრამ დრო სწრაფად მიდის.

**- რას გულისხმობთ იმაში, რომ მზად ხართ დიალოგისთვის. იმას რომ ოპონენტებმა უარი თქვან ყრილობის გამართვაზე 29 მარტს?**

- ვინ დანიშნა ეს ყრილობა დღემდე ვერ გამიგია და რა გახდა ამის მიზეზი. ადამიანი ერთ დღეს ერთს, მეორე დღეს კი მეორეს არ უნდა ლაპარაკობდეს. ყრილობაზე გადაწყდა, რომ მომდევნო ყრილობა მაისში ჩატარებულიყო და მთავარი საკითხი წესდებაში ცვლილებების შეტანა და გამგეობის ახალი სახით წარმოდგენა, პრეზენტაცია იქნებოდა. ახლა კი, სასწრაფოდ არჩევნები უნდა გაიმართოსო. მე ამის არ მეშინია, ასარჩევი არაფერი მჭირს, ერთხელ უკვე ამირჩიეს და ვინც ასარჩევი იყო, ის უნდა აერჩიათ, მაგრამ რას ნიშნავს 29 მარტს არჩევნების დანიშვნა? 20 მარტს ჩეხეთს ვეთამაშებით, 27 მარტს რუმინეთს, ამავე დროს ჭაბუკთა ნაკრებს მსოფლიოს თასი ელის სამხრეთ აფრიკაში და შეიძლება ნაკრები ჰონკონგის ტურნირზე მიდის. ნუთუ ყველაფერი დაავიწყდათ? განა ეს გამართლებულია? [illegible] არსებული გამგეობის გადაწყვეტილებით არასწორია. თუ ვინმე დამარწმუნებს, რომ ეს რაგბის ინტერესებს ემსახურება, მაშინ ჩავთვლი, რომ ეს გუნდი, რომელიც კავშირში მოღვაწეობს არაა საჭირო რაგბისათვის.

**- თუ არ მოხდა მორიგება და არ გაიმართა დიალოგი როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები?**

- კიდევ ერთხელ დადასტურდება, რომ ზოგისთვის რაგბის ინტერესებია უზენაესი, ზოგისთვის კი... ჩვენთვის რაგბის ინტერესებია უზენაესი და ყველას ამისკენ მოვუწოდებ ვისაც აქვს პრეტენზია მორაგბის სახელი ერქვას. სახელმწიფოს პოზიციის განსაზღვრაც ამიტომაა საჭირო. პირველად პრეზიდენტად არჩევის ორი თუ სამი კვირის შემდეგ ნოდარ ახალკაცს შევხვდი. გერმანელებთან გველოდა მატჩი და სურვილი მქონდა ნაკრებს ეროვნულ სტადიონზე ეთამაშა. ეს არენა ჩვენთვის დახურული იყო. მოლაპარაკების დროს თითქმის ყველა აცხადებდა, რომ ნოდარ ახალკაცი იყო წინააღმდეგი ამისა. მოვახერხე მასთან შეხვედრა და რა ირკვევა – ეროვნულ გუნდს ეროვნულ სტადიონზე თამაშს როგორ დაგიშლითო, მერე კი... მე ვიცი, რა იდეებით ხარ მოსული და ერთს გეტყვიო, მითხრა, რამდენადაც დიდ წარმატებას მიაღწევ, იმდენად გაიზრდება იმ ადამიანთა ვინაობა, ვისაც ეს არ გაუხარდებაო. სახეზე ღიმილი გამომეხატა, მიხვდა თვითონაც და მითხრა, ამ სიტყვებს წლების მერე გაიხსენებო. ის ათჯერ და ათასჯერ გამოცდილი და ჭკვიანი იყო და კარგად იცოდა რასაც ლაპარაკობდა.

**- და მაინც რა მოხდება 29 მარტს თუ მანამდე არანაირი დიალოგი არ შედგა?**

არ ვიცი. მხოლოდ ერთი რამ ვიცი, ეს იქნება პირველი უსერიოზულესი დარტყმა რაგბის ინტერესებისადმი და მისი მომავალი განვითარებისადმი, შეუფერებელი რამ რაგბისათვის. მინდა, ვიყო დარწმუნებული, რომ ასე არ მოხდება. თუ კვლავაც ასეთი ხისტი დამოკიდებულება იქნა, მაშინ უფრო მკაცრი ვიქნები ქმედებებშიც და გამონათქვამებშიც და მერე, ალბათ, ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა და ყველაფერი ხალხმა განსაჯოს.

**- ხომ არ ფიქრობთ, რომ სახელმწიფოს მხრიდან რაიმე ნაბიჯის გადადგმას დრო უნდა?**

- როცა სპორტის მინისტრი სპორტულ საზოგადოებას შეხვდა, მაშინ ჩვენი სტრატეგიული განვითარების და კავშირის ადმინისტრირების დოკუმენტები გადავეცი. მომდევნო შეხვედრისას მითხრა, რომ წაიკითხა ყველაფერი და პოზიტიური დამოკიდებულება ჰქონდა. ამის მერე უკვე სამუშაო რეჟიმშია შეხვედრა საჭირო, რაც ჯერ ვერ მოხერხდა. ვითხოვთ ელემენტარულ ყურადღებას და მხარდაჭერას. თუ არადა მოგვცენ რეკომენდაცია, როგორ მოვიქცეთ, გვირჩიონ რამე. აბა, საერთაშორისო ასპარეზობებს ხომ არ გამოვეთიშებით?

**- ყრილობამდე იმ კლუბებს თუ შეხვდით, რომლებიც ოპონენტს უჭერდნენ მხარს. რა არ მოსწონდათ თქვენი, რატომ უჭერდნენ მხარს ოპონენტს?**

რა თქმა უნდა, შევხვდი, მაგრამ რატომ წავიდნენ სხვა მხარეს არ ვიცი. ჩემი პროგრამა ყველამ იცის, ყრილობაზე მისი პრეზენტაცია მოვახდინე. ეს უნდა იყოს, ალბათ, შეფასების ერთ-ერთი კრიტერიუმი. სხვა კლუბებმა მე რატომ დამიჭირეს მხარი, ვიცი, მაგრამ დანარჩენები რატომ წავიდნენ იქით, არ ვიცი. ეს არის სწორედ საარჩევნო ტექნოლოგიები, რომლებიც განხორციელდა და რომელიც რაგბისათვის შეუფერებელია. ვინც საქმეს აკეთებს, მან მშვენივრად იცის, რომ ერთბაშად ყველაფერი არ კეთდება და მუშაობის პროცესში შეცდომებს უშვებს. კრიტიკა ყველაფერზე ადვილია. აიღოს ამ ხალხმა, ვისაც სათავეში მოსვლა უნდა, პასუხისმგებლობა რამეზე, ერთ კონკრეტულ თემაზე, საკითხზე. უამრავი საქმეა გასაკეთებელი და თუ ვინმე დაგვეხმარება, მოხარული ვიქნები. აკეთონ რამე საქმე და მე ვიქნები კრიტიკოსი. ვნახოთ, ერთი როგორია. მე და ჩემი გუნდი კონკრეტულ პასუხისმგებლობას ვიღებთ, კონკრეტულად, ვამბობთ რას გავაკეთებთ და ამას ვაკეთებთ.

კალათბურთი

# ტიმაკმა 62 ჩაყარა



ტრეისი მაკგრეიდმა უნიკალური რეკორდი დაამყარა

სანდრო ნავერიანი

გილბერტ არენასის თამაში "ორლანდო მეჯიქის" წინააღმდეგ ყველა სხვა დღეს სენსაციად მოინათლებოდა, თუმცა... გილბერტ არენასმა კონკრეტულ მატჩში 40 ქულა გააკეთა და სულ რაღაც ორი ქულა დააკლდა პირადი რეკორდის გამეორებამდე, მაგრამ მისი 40 ქულა მხოლოდ მეორეხარისხოვანი გამოდგა. იმ დღეს ტრეისი მაკგრეიდი მართავდა შოუს.

"ვაშინგტონ უიზარდსის" წინააღმდეგ მატჩში ტრეისი მაკგრეიდიმ 62 ქულა გააკეთა და ამით როგორც პირადი, ისე გუნდის რეკორდიც მოხსნა. მან 37 სროლიდან 20 ბურთი ჩააგდო, ხოლო 26 ნასროლი საჯარიმოდან 17 გამოიყენა. ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ისტორიაში სულ 16 კალათბურთელი იყო ისეთი, ვისაც 60-ქულიანი ბარიერი გადაულახავს, ტიმაკი კი მე-17 აღმოჩნდა. უკვე ოთხი წელია, რაც ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში 60-ქულიანი ბარიერი არავის გადაულახავს. უკანასკნელად ეს 2000 წლის 6 მარტს მოხდა, როდესაც შაკილ ო`ნილმა "ლოს-ანჯელეს კლიპერზს" 61 ქულა ჩაუყარა. ტრეისი მაკგრეიდიმ "ორლანდო მეჯიქის" რეკორდიც მოხსნა. აქამდე ვისაც კი "ორლანდოში" უთამაშია, ერთ მატჩში ყველაზე მეტი ქულების რაოდენობა 53 შეადგენდა, რომელიც ასევე შაკილ ო`ნილმა 1994 წელს, "მინესოტა თიმბერვულვზის" წინააღმდეგ მატჩში გააკეთა. ტრეისი მაკგრეიდიმ 62 ქულასთან ერთად 10 მოხსნა და 5 შედეგიანი გადაცემა გააკეთა. ტრეისი მაკგრეიდი მესამე კალათბურთელია უკანასკნელი 12 წლის მანძილზე, რომელმაც ერთ თამაშში ამდენი ქულა გააკეთა. პირველი ორი კი დევიდ რობინზონია, რომელმაც 1994 წლის აპრილში 71 ქულა გააკეთა; მეორე კი გახლავთ მაიკლ ჯორდანი, რომელმაც 63 ქულის მოგროვება შეძლო 1993 წლის იანვარში.

განა საჭიროა, ვიმარჩიელოთ: რა მოხდებოდა, რომ ტიმაკს 37 სროლიდან 30 ჩაეგდო და საჯარიმო ტყორცნები ასი პროცენტით შეესრულებინა? ამ შემთხვევაში ის 100-ქულიან ბარიერს მიაღწევდა და შეიძლება ლეგენდარული უილტ ჩემბერლენის რეკორდიც კი მოეხსნა.

| | |
|---|---|
| **ორლანდო - ვაშინგტონი** | **108:99** |
| **ტორონტო - კლივლენდი** | **92:106** |
| **ნიუ-ჯერსი - დენვერი** | **98:97** |
| **დეტროიტი - ჩიკაგო** | **98:65** |
| **ნიუ-ორლეანი - მაიამი** | **95:84** |
| **მილუოკი - ატლანტა** | **94:80** |
| **სან-ანტონიო - კლიპერსი** | **108:90** |
| **იუტა - გოლდენ სთეითი** | **91:77** |
| **პორტლენდი - მინესოტა** | **92:79** |

TV-სპორტი

**პარასკევი. 12 მარტი**

**НТВ+ ФУТБОЛ**

13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 საუიკენდო მატჩების ანონსი
13:20 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. "მილანი" - "სპარტა". საპასუხო მატჩი
15:05 "დარტყმა გოლისთვის"
15:25 ჩემპიონთა ლიგა. მეოთხედფინალებისა და ნახევარფინალების კენჭისყრა. პირდაპირი ტრანსლაცია შვეიცარიიდან
15:50 "FUTBOL MUNDIAL"
16:20 "ფეხბურთი ანიდან ჰაემდე"
16:50 თავისუფალი დარტყმა
17:05 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. მატჩების მიმოხილვა
18:50 განვლილი კვირის ჰიტ-აღლუმი
20:30 "ევროფანკლუბი"
21:00 "გაიტანე"! ანდრეი შევჩენკოსთან ერთად
21:15 სახვალიო ტელეპროგრამა
21:20 განვლილი კვირის ჰიტ-აღლუმი
23:05 თავისუფალი დარტყმა
23:20 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
00:15 იტალიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
01:10 გერმანიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
02:10 02:10-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 NBA TV. ყველაფერი კალათბურთის შესახებ
04:30 NBA TV – NBA შიგნიდან
05:00 NBA TV. დღიური
05:30 NBA TV. "SAN ANTONIO SPURS" - "GOLDEN STATE WARRIORS". პირდაპირი ტრანსლაცია

**НТВ-ПЛЮС СПОРТ**

11:00, 14:00, 17:00, 20:00 პრესცენტრი
11:15, 20:15 "ოლიმპის შვილები"
11:20 "ჰარმონიის ფორმულა"
11:40 ATP-ს საჩოგბურთო მიმოხილვა
12:10 "სპორტის აკვატორია"
12:45 "მოტოვებული კვირა"
13:30 NBA-ს საკალათბურთო მიმოხილვა
14:15 "ჰარმონიის ფორმულა"
14:35 უნივერსალური ბრძოლა. ევროპის ჩემპიონატი
17:15 ბადმინტონი. საერთაშორისო ტურნირი გრან-პრი "Swiss Open"
19:05 ტაილანდური კრივი
19:30 "ნადირობის სეზონი"
20:20 სახვალიო ტელეპროგრამა
20:30 სათხილამურო რბოლა. მსოფლიო თასის ფინალი იტალიაში. ქალები. ვაჟები. სპრინტი სუპერგიგანტი
22:15 "ყინულის ხანა". პროგრამა ჰოკეიზე
23:15 "ფრისტაილი". ტელეჟურნალი
23:45 "ფარი და ბურთი". გადაცემა კალათბურთზე
00:30 "ნოკაუტი". ტელეჟურნალი პროფესიულ კრივზე
01:00 ახალი ამბები
01:15 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასის ეტაპი ნორვეგიაში

**EUROSPORT**

11:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი მექსიკაში
12:00 ფეხბურთი. უეფას თასი
13:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
14:00 სათხილამურო რბოლა. მსოფლიო თასი იტალიაში
15:30 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
15:45 ფეხბურთი. გ-ო-ო-ლ!
16:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
17:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
18:00 ველორბოლა. ტური პარიზი-ნიცა
20:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი ფინეთში
20:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი ნორვეგიაში
22:15 ფეხბურთი. უეფას თასი
23:15 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
00:15 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
01:15 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
02:15 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
02:45 ახალი ამბები
03:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
04:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატების ისტორია

ბილიარდი

# რა ყოფილა პული

დალი კუპრავა

*ის-ის იყო, საბოლოოდ დავიჯერე, ნამდვილი ბილიარდი პირამიდაა-მეთქი, რომ სპორტულმა განგებამ კიდევ ერთხელ შემახსენა სიბრძნე: მხოლოდ ერთ შემთხვევაში უნდა თქვა "მე ვიცი", ანუ მაშინ, როცა მოაყოლებ, "რომ არაფერი არ ვიცი".*



მერაბ ჩიტაური (მარჯვნივ) საქართველოს ჩემპიონია

გუშინ საბილიარდო "ოლიმპიკში" მერაბ ჩიტაური რვიან პულში საქართველოს ჩემპიონი გახდა. მათთვის ვამბობ, ვინც ჩემსავით ახლა იწყებს პულში გარკვევას: პული არსებობს რვიანი და ცხრიანი. ცხრიანი პროფესიულ სახეობად ითვლება, თორემ პოპულარობით და მაღალი ოსტატობის აუცილებლობით მას რვიანი არაფრით ჩამოუვარდება. და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შენიშვნა: ჩემპიონატი კაცებს შორის ჩატარდა. ამის აღნიშვნა უკვე აუცილებელია იმისთვის, რომ გულშემატკივარი მკითხველი არ დაიბნეს: დღეს ქალთა ბილიარდი ხომ ფორსირებულად ვითარდება და ქალთა ტურნირებიც კაცებისაზე არანაკლები სიხშირით ტარდება. ბილიარდის ფედერაცია გენდერულად იდეალურადაა დაბალანსებული - არსებობს ქალთა ლიგა. გუშინდელ ფინალს კი თიკო აბალაკი მსაჯობდა. ბილიარდი ხომ ისედაც რაინდების თამაშია და თუ მსაჯიც ქალია, მაშინ თამაშის პროცესი შეიძლება ეტიკეტის ქრესტომათიად ჩაითვალოს.

ჩემპიონატის ორგანიზატორები და სპონსორები იყვნენ ბილიარდის ფედერაცია, საბილიარდო "ოლიმპიკი", კომპანია "ზევსი", რომლის ვებსაიტზეც ნახავთ "ბილიარდი წარმატებული ბიზნესია", "ზევსის" მაღაზიაში კი - ათასზე (!) მეტი დასახელების ბილიარდის აქსესუარს.

ფინალში დავით გახოკიძე (მეტსახელად "სოხუმელი") და მერაბ ჩიტაური ხვდებოდნენ ერთმანეთს. მაყურებელთა უმეტესობა პროფესიონალები და ოსტატი მოყვარულები იყვნენ, ცხადია, ჩემი გამოკლებით. თავიდან მეგონა, რომ რაღაც შოუზე მოვხვდი - სპეციალურად "ჩაწყობილ" თამაშზე. მაგიდასთან ჯერ გახოკიძე გამოვიდა, დაშალა ბურთულები, რვაჯერ მოიქნია კია და თიკო აბალაკმა ხელახლა გაშალა მაგიდა. ახლა მერაბ ჩიტაური გამოვიდა და კიის ამდენივე მოქნევით ანგარიში გაათანაბრა. ასე გრძელდებოდა რამდენიმე ხელი და ერთხელ, როცა ერთმა მოთამაშემ "გამაზა", ჩემს გაუგებრობასაც ბოლო მოეღო. მივხვდი, რომ ჩვეულებრივი ფინალი იყო - პულს ორი ოსტატი თამაშობდა. შეხვედრა თერთმეტამდე იყო.

საბოლოოდ 11:9 დამთავრდა, მაგრამ საფინალო ანგარიშს უკანასკნელ ბურთულამდე ვერ იწინასწარმეტყველებდი. 10:7-ს რომ აგებდა, გახოკიძემ ისე, თავის გემოზე აიყვანა ანგარიში 10:9-მდე, რომ 10:10-საც წინ აღარაფერი ედგა, მაგრამ ბურთულაც ბურთივით მრგვალი ყოფილა. მოგებით კი ერთ-ერთს უნდა მოეგო, მაგრამ თამაშით ორივე ოსტატი იყო - ყოველ შემთხვევაში, ჩემს აზრს ირგვლივ ყველა იზიარებდა.

ბილიარდის ფედერაციის თავმჯდომარემ პრიზიორებს მედლები, თასები და ფულადი ჯილდოები გადასცა. აღნიშნა, რომ მერაბ ჩიტაური ფედერაციის სხდომაზე საქართველოს ნაკრების მწვრთნელად დაინიშნა, ხოლო გახოკიძე - ნაკრების წევრად.

ფედერაციის თავმჯდომარესთან საუბარში გავიგე: ფედერაციამ იმას მიაღწია, რომ რუსეთში მყოფი ქართველი მობილიარდეები საერთაშორისო ასპარეზობებზე საქართველოს სახელით გამოვლენ და მათი უმეტესობა უახლოეს ხანებში საქართველოში გადმოსვლას გეგმავს.

გაზაფხული ძალიან საბილიარდო სეზონი იქნება: 25-დან 29 მარტამდე საბილიარდო "ფიქრის გორაში" ქალთა ჩემპიონატი ჩატარდება ცხრიან პულში, ხოლო 30 მარტიდან ვაჟთა ჩემპიონატი აიღებს სტარტს.

ამაზე თავის დროზე გიამბობთ.

P.S. როგორც იქნა, მივხვდი, რომ საბილიარდოს სპეციფიკური განათება, რასაც მე სიბნელედ მოვიხსენიებ, ოპტიკის კანონებს ემორჩილება და მოთამაშის ინტერესებს ემსახურება. ჩემი აღმოჩენა მეგობარმა კოლეგამ, განათლებით ფიზიკოსმაც დამიდასტურა.

მაგრამ, ვიცი-მეთქი, არც ახლა ვიტყვი, რადგან მე მხოლოდ ის ვიცი, რომ არაფერი არ ვიცი.

## გაერო-ს გენერალური მდივანი

# სპეცსამსახურების სამიზნე

მასმედიაში გავრცელებული ინფორმაცია კოფი ანანის სატელეფონო საუბრების ინგლისის დაზვერვის (მი-6) მიერ შესაძლო მოსმენის შესახებ, მხოლოდ მიამიტებისათვის შეიძლება გახდეს გასაკვირი. ამ ფაქტში არაფერი იქნება მოულოდნელი, თუ გავითვალისწინებთ გაერო-ს და მისი გენმდივნის მკვეთრად უარყოფით დამოკიდებულებას ერაყის წინააღმდეგ აშშ-დიდი ბრიტანეთის ერთობლივი სამხედრო ოპერაციის მიმართ. სხვა ჭრილშია განსახილველი ამ ფაქტის ზნეობრივი და პოლიტიკური მხარე, თუმცა, სპეცსამსახურები და მაღალი ზნეობა სხვადასხვა "წონით კატეგორიებში გადიან".

გაერო-ს შექმნის დღიდანვე, გაქანებული "ცივი ომის" პერიოდში, აშშ-სა და საბჭოთა კავშირს შორის დაიწყო ფარული დაპირისპირება ამ უპირველესი საერთაშორისო ორგანიზაციის პირველ პირზე გავლენის მოსაპოვებლად.

ამ ფარულ ბრძოლაში, საბჭოთა სპეცსამსახურების გარდა, განსაკუთრებით გამოირჩეოდა ანდრეი გრომიკო, რომელიც ჯერ საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, ხოლო 1957-1985 წლებში მინისტრი იყო. გრომიკო საერთაშორისო მოლაპარაკებების დროს ყოველთვის ისეთი გასაოცარი სიჯიუტით იცავდა კომუნისტურ იდეოლოგიას და საბჭოთა პოზიციას, რომ ამერიკელებმა მას "მისტერ არა" შეარქვეს.

სტალინის პირადი დავალებით საბჭოთა კავშირის სპეცსამსახურები და საგარეო საქმეთა სამინისტრო მცდელობას არ აკლებდნენ, რათა გაერო-ს გენმდივნად მათთვის მისაღები კანდიდატურა გაეყვანათ. პირველად ხელი 1947-1953 წლებში მოეცარათ, როცა გაერო-ს პირველი გენმდივანი ნორვეგიელი ტრიგვე ლი საბჭოთა გავლენის ქვეშ არ მოექცა და მაქსიმალურად ობიექტურ საერთაშორისო პოლიტიკას ატარებდა. საბჭოთა კავშირს უფრო დიდი წარუმატებლობა ელოდა გაერო-ს გენმდივნად შვედი დაგ ჰამერშალდის მოღვაწეობის (1953-1961) პერიოდში, რადგანაც ნეიტრალური შვედეთის წარმომადგენელი პროამერიკულ განწყობას არც მალავდა. ამ წლებში საბჭოთა კავშირში დაგ ჰამერშალდი დაუფარავი წყევლა-კრულვის ობიექტი და კარიკატურისტების (პირველ რიგში, საბჭოთა პერიოდში ცნობილი ტრიოს-"კუკრინიქსების") დაცინვის მთავარი სამიზნე იყო.

ჯერჯერობით კვლავ უცნობია, გაერო-ს გენმდივანს საბჭოთა დიპლომატების წყევლამ უწია თუ "კგბ"-ს კრულვამ, მაგრამ ფაქტია, რომ დაგ ჰამერშალდი 1961 წელს აფრიკაში მოგზაურობის დროს ფრიად საიდუმლო ვითარებაში ავიაკატასტროფაში დაიღუპა. საბჭოთა კავშირი ამ ტრაგიკულ ფაქტს, თითქოსდა ელოდაო, წინასწარ მომზადებული შეხვდა და გამონთავისუფლებულ პოსტზე დაუყოვნებლივ ბირმელი დიპლომატის უ ტანის კანდიდატურის ლობირება დაიწყო.


უ ტანი


**08.00** მუსიკა **09.00** საინფორმაციო დაიჯესტი **09.30** სათავგადასავლო ფილმი "იასონი და არგონავტები" **11.15** დოკუმენტური ფილმი **12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 22.00, 00.00** საინფ.გამ. "დღეს" **12.10, 16.10, 18.15, 22.30, 00.20** საინფ.გამოშვება "ნოვოსტი" **12.20** თრილერი "შიში იქსი" **13.50, 15.50** მუსიკა **14.10** მელოდრამა "მოდი ჩემს სანახავად" **16.20** მულტფილმი **17.40, 21.50** მუსიკა **18.30** კომედია "სათამაშო" **22.40** "პოზიცია" **00.40** საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე **01.00** საინფ. გამოშვება ინგლისურ და ფრანგულ ენებზე **01.20** მხ. ფილმი "ღმერთების შური" **03.30** მუსიკა **03.55** თრილერი "შირი"

### ОРТ

**07.00** "Доброе утро!" **10.00, 13.00. 16.00, 19.00** Новости **10.20 Сериал "Улицы разбитых фонарей 5" 11.20 Сериал "Клон" 12.20** "Ералаш" **12.40** Мультсериал "Принцесса" **13.20 Сериал "Секретный фарватер" 14.40** Ударная сила. "Гонки по вертикали. ЯК-141" **15.10** Город женщин **16.20 Сериал "Берег мечты" 17.20** "Фабрика звезд" **17.50** "Большая стирка" **19.25** Док. детектив. "Волчья хватка. Дело 2003 года" **20.00** "Основной инстинкт" **20.50** "Поле чудес" **22.00** Время **22.30** "Фабрика звезд" **23.50** Что? Где? Когда? **01.10** Триллер **"Фанатка" 02.50** Комедийный боевик **"Дезорганизованная преступность" 04.40** Пол Маккартни в фильме **"Передайте привет Бродстрит"**

### РТР

**06.00** Доброе утро, Россия! **09.45** Сериал "**ТАЙНЫ СЛЕДСТВИЯ-3. ПОКУШЕНИЕ**". **10.50** "Короткое замыкание" **11.50, 14.45, 17.30** Вести. Дежурная часть **12.00, 15.00, 18.00, 21.00** Вести **12.20, 15.10, 17.40, 21.30** Местное время. Вести-Москва **12.50** Мусульмане. **13.00** Вся Россия. **13.15** Москва-Минск. **13.30** Колоссальное хозяйство. **13.50** Сериал "**ПАН ИЛИ ПРОПАЛ**". **15.30** Сериал "**СЛЕДСТВИЕ ВЕДУТ ЗНАТОКИ**". **18.10** Сериал "**ЛЮДИ И ТЕНИ-2. ОПТИЧЕСКИЙ ОБМАН**". **19.05** В поисках приключений. **20.00** Комната смеха. **21.50** Спокойной ночи, малыши! **21.55** Максим Галкин, группа "ЭКС-ББ", Клара Новикова и Владимир Винокур в бенефисе Юрия Гальцева. **00.35** Анна Назарьева в комедии "**ИГРА НА МИЛЛИОНЫ**". **02.40** Том Беренджер в фильме "**ПОД ЗНАКОМ ГОЛЛИВУДА**" **04.40** Дорожный патруль. **04.50** Агентство одиноких сердец. **05.15** Сериал "**АНГЕЛЫ ЧАРЛИ**". **06.10** Сериал "**НАВЕКИ ДЖУЛИЯ**".

### НТВ

19 **07.00** Утро на НТВ. **09.45** Сериал "**РОКИРОВКА**" **11.00** Сегодня утром. **11.25** "Их нравы" с Дмитрием Захаровым **12.20** Ток-шоу "Страна советов" **13.00, 16.00, 18.00, 20.00, 02.05** "Сегодня" **13.35** Валерий Юрченко в фильме "**ДЕЙСТВУЙ ПО ОБСТАНОВКЕ!**" **15.05** Время есть **15.35** Протокол. **16.35** Ток-шоу "Принцип домино". **18.30** Сериал "**ОНА НАПИСАЛА УБИЙСТВО**" **19.35** Протокол. Расследование **20.35** "Свобода слова" **21.55** Роджер Мур в фильме "**ЖИВИ И ДАЙ УМЕРЕТЬ ДРУГИМ**" **00.35** Братья Кличко. Лучшие бои. Владимир Кличко - Джамиль Маклайн. **01.45** Лора Гемзер в эрот. фильме "**ЭММАНУЭЛЬ - ВОСТОЧНЫЙ РЕПОРТАЖ**"

## შაბათი 19.03

### რუსთავი - 2

**08.00** კლასიკა **08.30** მულტსერიალი **09.00, 12.00, 15.00** კურიერი **09.20** მულტფილმი **11.00** ლუისი და კლარკი **12.20** "სიმფსონები" **12.50** მხ. ფილმი **15.20** ველური სამყაროს ამბები **16.10** მხ. ფილმი **17.05** "დისკავერი" **18.00, 01.00** კურიერი **18.20** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა **19.00** დოკ. ფილმი "თანამედროვე ტექნოლოგიები" **19.30** სერიალი "სერიული მკვლელობები" **21.00** კურიერი PS **22.00** საოჯახო ტოტო **23.00** "ფსიქო": "ტელექსელი". რეჟ. სიდნეი ლიუმეტი. **01.20** მხ. ფილმი "ოთხი ბუმბული". მთ. რ-ში: ჰიტ ლეჯერი, კეიტ ჰადსონი.

### პირველი არხი

**08.00, 15.00, 20.00, 23.30** მოამბე **08.15** დოკ. ფილმი "ჯუნგლის შვილები" **08.55** მხიარული კარუსელი **09.25** მოგზაურობა სასიტყვეთში **09.55** "ფორმულა-1". მალაიზიის დიდი პრიზი **12.05** თბილისი და თბილისელები **12.35** პოზიცია **13.20** კვალი **13.50** მღერის ეთერ კაკულია **14.25** საქართველო, დრო, მოვლენები **15.15** პარლამენტის არჩევნები **16.50** რეალური სამყარო **17.00** საწინდარი **17.30** ასე ვცხოვრობთ **18.00** ვესტნიკი **18.45** "თბილისის დროით" **19.05** ისტორიანი **19.30** დოკ. სერიალი "მხატვრები" **20.35** ცაიტნოტი **21.45** ფორტუნა **22.25** პროფათეული **23.00** ამბობენ **23.50** მხ. ფილმი "ჰოროსკოპი" **01.15** ღამის ჯაზი

### პირველი სტერეო

**07.30** მუსიკა **10.00** ტოროლა **13.00** ქართული მუსიკა **15.00** ინფორმატორი **15.20** ფილმი "ახალბედა". მთ.რ-ში დი ჯეი კუოლსი, ელაიზა დუშკუ. **17.00, 19.15** მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** მუსათეული **22.35** მუსიკა **23.00** პოპ. ად. ათეული **00.00** "ბრავო" "სპეცნაზი" მთ. რ-ში სამუელ ელ ჯეკსონი. **01.50** "ღამურა" **03.45** პაუზის გარეშე

### მზე

**09.00** მულტფილმი "გაქცევა საქათმიდან" **10.20** საბ. სერიალი "დრაკონის ბეჭედი" **11.30** დოკ. სერიალი "ექსტრემალური ამბები" **12.00** საფეხბურთო მიმოხილვა **12.30** სერიალი "ფანტაზიების კუნძული" **13.30** დღის კინოდარბაზი **14.00, 17.00, 20.50** საინფ. გამოშვება "მზერა" **18.05** სერიალი "მისტერ მკვლელობა" 1-ლი ს. **19.00** ფეხბურთი. პრემიერ ლიგა. "არსენალი"-"ბოლტონი" **21.20** საფეხბურთო მიმოხილვა **21.50** მხ. ფილმი "განუყრელი დები" (სუზან სარანდონი) **23.10** მხ. ფილმი "ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა" (ჯეკ ნიკოლსონი)

### მეორე არხი

**19.10** მულტსერიალი "პაპირუსის თავგადასავალი" **19.30** გლობუსი **20.00** ჯანმრთელობა **20.30** სტუმრად მსახიობთა სტუდიაში - ედ ჰარისი **21.30** მუს. ოქტაგონი **22.00** მხ. ფილმი "წითელი სიცხე"

### კავკასია

**12.00** მხ. ფილმი "სიძულვილის სიყვარული" **14.00** მხ. ფილმი "ყბები" **16.00** მხ.ფილმი "არმაგედონი" **19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **19.20** საბ. გადაცემა "ნაცნობი ადამიანების უცნობი წლები" **19.40** მუსიკა **21.00** მხ. ფილმი "ვერტიკალური ზღვარი" **00.20** მხ. ფილმი "ტკბილი ნოემბერი"

### მეცხრე არხი

**08.25** მხ. ფილმი "დიდი გამყინვარება" **10.30** სერიალი "მოჯადოება" **11.30** მხ. ფილმი "სამი ფერი-წითელი" **13.20** ცხელი ცხრიანი **14.00** მულტსერიალი "ბანანების ზოოპარკი" **14.30, 17.30, 20.30, 00.45** დღის ამბები **14.50** მუსიკა **15.10** სერიალი "პატარა აინშტაინები" **15.35** სერიალი "ზურგის ქარი" **16.35** დოკ. სერიალი "კუდიანი ამბები" **17.00** მხ. სერიალი "ჰორასი და თინა" **18.00** მულტსერიალი "ბანანების ზოოპარკი" **18.30** მხ. სერიალი "პატარა აინშტაინები" **19.00** კონცერტი **20.00** "ტელემეტრი" **21.30** მხ. სერიალი "ქალბატონი გამომძიებელი" 1-ლი ს. **23.00** საუბრები სტუდიაში **23.50** სერიალი "რაც გინდა აკეთე" **01.00** მხ. ფილმი "კარლიტოს გზა" (ალ პაჩინო)

### იმედი

**09.00, 13.00, 15.00, 17.00** ქრონიკა **09.15** სერიალი "ტყუპები" **10.05** ანიმაც. ფილმი "მითიური მეომრები" **10.30** სერიალი "ნეშ ბრიჯისი" **11.30** სპ. პროგრამა "ესტაფეტა" **12.00** საიმედო ლოტო (პირ. ეთერი) **12.30** სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" **13.10** სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" **13.35** "თემა" **15.15** ეროვ. საკალათ. ასოციაცია **17.05** დოკ. სერიალი "ყველაზე ექსტრემალური" **17.55, 19.30, 01.20** იმედის მელოდიები **18.00** ერთხელ ჰოლივუდში **18.30** დოკ. სერიალი "ისტორიის ერთი კვირა" **19.00, 22.00, 00.15** ქრონიკა **19.40** მხ. ფილმი "მონადირე" **21.30** მეორე ნახევარი **22.40** კლიპ-ლოტო **23.30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი.

### არხი

**08.00** ანონსი, დიალოგი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 02.00** ახალი ამბები **15.15** მხ. ფილმი **20.30** ლიტერატ. გადაცემა - სილუეტი **21.00** დოკ. ფილმი **22.45** მხ. ფილმი **00.40** მხ. ფილმი

### არხი

**08.00** მუსიკა **09.00** საინფორმაციო დაიჯესტი **09.30** სათავგადასავლო ფილმი "ალმაზის კუნძული" **11.00** მუსიკა **11.10** დოკუმენტური ფილმი **12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 22.00, 00.00** საინფ.გამ. "დღეს" **12.10, 16.10, 18.15, 22.30, 00.20** საინფ.გამოშვება "ნოვოსტი" **12.20** "პოზიცია" **14.10** მხ. ფილმი "საძაგელი კოიოტი" **15.50, 17.30, 02.45** მუსიკა **16.20** მულტფილმი **17.50** "ჭიტა-ჭიტა" **18.30** თრილერი "ალისია" **20.10** "მსოფლიო ისტორიის ფურცლები" **20.40** კომედია "შენიღბვის ოსტატი" **23.00** საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე **23.20** Слово **00.40** თრილერი "ჯაშუშური თამაშები" **03.20** ფილმი-კატასტროფა "გატაკა"

### ОРТ

**07.00** Новости **07.10** Сериал "Все путешествия команды Кусто" **08.00 Худ.фильм "Пан Володыевский". 1-я с. 09.20** Играй, гармонь любимая! **10.00** Слово пастыря. **10.10** Здоровье. **11.00, 13.00, 19.00** Новости **11.10** "Смак" **11.30** "Возвращение домой. Ирина Апексимова. Одесса" **12.10** Дог-шоу **13.10** История с географией. "Падение "Гинденбурга" **14.10** Умницы и умники **15.00** Дисней-клуб: "Тимон и Пумба" **15.30** "Поговорим о странностях любви..." **16.30 Худ.фильм "Пираты XX века" 18.10** Премьера. "Ирак. Американская формула свободы". Док. фильм **18.50** Золотые годы Микки Мауса. Впервые в России **19.10** "Шутка за шуткой" **19.40** "Песня года. Весна" **21.00** "Кто хочет стать миллионером?" **22.00** Время **22.20** "Розыгрыш" **23.55** "Золотой Граммофон" **00.55** Джулия Робертс в триллере **"Признания опасного человека" 03.00** Криминальная драма **"101-й километр" 05.00** Берт Рейнольдс в боевике **"Полицейский с половиной"**

### РТР

**06.50** Наталья Фатеева в муз. фильме "**ПЕСНИ МОРЯ**" **08.20** Сериал "**ДРАКОША И КОМПАНИЯ**" **08.45** Золотой ключ **09.05** Русское лото **09.45** "Большая перемена" **10.10** Утренняя почта **10.45** Сам себе режиссер **11.40** Звезды России в игре "Форт Боярд" **13.15** В поисках приключений **14.15** Клуб сенаторов **15.00, 21.00** Вести **15.20** Всеволод Санаев в детективе "**ВОЗВРАЩЕНИЕ СВЯТОГО ЛУКИ**". **17.00** Футбол. Чемпионат России. **"Динамо" (Москва) - ЦСКА**. Прямая трансляция со стадиона "Динамо" **19.00** "Кубок юмора-2003" **21.25** Зеркало **21.50** "Честный детектив" **22.20** Аншлаг **23.20** Сами Насери в фильме "**ТАКСИ-2**" **01.05** Мел Гибсон в фильме "**МЫ БЫЛИ СОЛДАТАМИ**" **03.40** Чемпионат мира по автогонкам в классе "Формула-1". Гран-при Малайзии. Квалификация. Трансляция из Куала-Лумпура. **05.20** Горячая десятка

### НТВ

**07.00** Роджер Мур в фильме "**ЖИВИ И ДАЙ УМЕРЕТЬ ДРУГИМ**" **09.00, 13.00, 17.00** Сегодня **09.20** "Улица Сезам" **09.45** "Та-ра-рам!" **10.00** "Без рецепта". Доктор Бранд **10.30** Обозреватель. **11.05** Кулинарный поединок: "Блестящие" - Степан Строев. **12.00** Квартирный вопрос: английская библиотека для русского хирурга. **13.20** "Дикий мир: неспящие в терновнике". Экспедиция Тимофея Баженова. **14.10** Вкусные истории. **14.25** Джэми Ли Кертис в комедии "**СВИРЕПЫЕ СОЗДАНИЯ**" **16.20** Криминальная Россия. **17.20** "Женский взгляд". Римма Маркова. **17.55** Сериал "**МОСКВА. ЦЕНТРАЛЬНЫЙ ОКРУГ**" **19.00** Своя игра. **20.00** "Личный вклад" **21.00** Юрий Беляев в боевике "**ЛЬВИНАЯ ДОЛЯ**". **23.15** Даниэль Дарье в фильме "**8 ЖЕНЩИН**" **01.30** Богуслав Линда в фильме "**ПСЫ**" **03.35** "Ночные музы". "Стиль от..." Ренаты Литвиновой. **04.15** Двое в городе.

## კვირა 20.03

### რუსთავი - 2

**08.00** კლასიკა **08.30** მულტსერიალი **09.00, 12.00, 15.00** კურიერი **09.20** მულტფილმი **11.00** ლუისი და კლარკი **12.20** "სიმფსონები" **12.50** მხ. ფილმი **15.20** ველური სამყაროს ამბები **16.10** მხ. ფილმი **18.00, 21.00, 23.30** კურიერი **18.20** სერიალი "განდგომილი" **18.50** მხ. ფილმი "ჯაშუში, რომელსაც ვუყვარდი". მთ. რ-ში: როჯერ მური, ბარბარა ბახი. **21.45** "ჯეოსელის კინოკლუბი" - "მრისხანების გამგზავრნი" 877 45-79-25 ადამ სენდლერი, ჯეკ ნიკოლსონი, "სერპიკო" 877 45-79-26 ალ პაჩინო, ჯონ რენდოლფი, "ვანილის ცა" 877 45-79-27 ტომ კრუზი, პენელოპა კრუსი. **23.45** მხ. ფილმი "კარგი ბიჭები". მთ. რ-ში: რობერტ დე ნირო, რეი ლიოტა.

### პირველი არხი

**08.00** მოამბე **08.15** მხ. ფილმი "ჰოროსკოპი" **09.30** სპპ **10.00** დილის პაემანი **10.55** "ფორმულა-1". მალაიზიის დიდი პრიზი **13.05** ტელოტო **13.45** მეტრო **14.25** ართაბილისური ამბები **15.00, 18.00, 20.00, 00.00** მოამბე **15.15** პარლამენტის არჩევნები **17.00** მოსკოვი-თბილისი **17.25** პროფათეული **18.20** ჩემპიონი **18.50** დოკ. სერიალი "მსოფლიოს ქალაქები" **19.00** ტელეზღაპარი **19.15** ჩვენი მისამართია **20.35** მუსიკალური ოქტაგონი **21.20** საქართველო არის ესე **21.40** შორეული ახლობელი **22.20** ქართ. მხ. ფილმი "გამოალეთ ფანჯრები" **00.20** მხ. ფილმი "შეყვარებული გასტროლიორი".

### პირველი სტერეო

**07.30** მუსიკა **10.00** ტოროლა **13.00** ქართული მუსიკა **15.00** ინფორმატორი **15.20** ფილმი "აღმზრდელები". მთ.რ-ში ედი მერფი, სტივ ზაი. **17.00, 19.15** მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** პროფათეული **22.35** მუსიკა **23.15** სოლო **00.00** "ბრავო" "ჯანდაბას სიყვარული!" მთ.რ-ში რენე ზელვეგერი, ევან მაკგრეგორი. **01.40** "ღამურა" **03.45** პაუზის გარეშე

### მზე

**09.00** მულტფილმი "ატლანტიდა ჩაკარგული სამოთხე" **10.25** საბ. სერიალი "დრაკონის ბეჭედი" **11.30** დოკ. სერიალი "ექსტრემალური ამბები" **12.00** ფეხბურთი მზეზე **12.30** სერიალი "ფანტაზიების კუნძული" **13.30** დღის კინოდარბაზი **14.00, 17.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **18.00** სერიალი "მისტერ მკვლელობა" **19.00** სერიალი "კოდი კოპერნიკი" **20.00** ფეხბურთი. პრემიერ ლიგა. "პორტსმოუსი"-"საუთჰემპტონი" **21.50** საინფ. გამოშვება "მზერა" **22.20** საფეხბურთო მიმოხილვა **22.40** მხ. ფილმი "სპარტაკი" (კერკ დუგლასი)

### მეორე არხი

**19.00** მხიარული კარუსელი **19.30** დიდი დასვენება **20.00** მუზეუმი (მე-2 ნ.) **21.00** მრავალსახეობა **21.45** მხ. ფილმი "დარტანიანის ქალიშვილი".

### კავკასია

**12.00** მხ. ფილმი "ვერტიკალური ზღვარი" **14.30** მხ. ფილმი "გასეირნება ამერიკაში" **16.00** საბ. გადაცემა "ნაცნობი ადამიანების უცნობი წლები" **16.15** მხ. ფილმი "სასტუმრო მილიონი დოლარი" **19.00** ინდ. მხ. ფილმი "საფარი" **22.00** მხ. ფილმი "რუგანტინო" **00.00** მხ. ფილმი "ქვის რომანი"

### მეცხრე არხი

**08.20** მულტფილმი "პიტერ პენი" **10.30** მხ. სერიალი "ქალბატონი გამომძიებელი" 1-ლი ს. **12.00** "საუბრები სტუდიაში" **12.50** ტელემეტრი **13.15** მოკლ. მხ. ფილმი **14.00** მულტსერიალი "ბანანების ზოოპარკი" **14.30, 17.30, 20.30, 00.45** დღის ამბები **14.50, 17.25** მუსიკა **15.05** სერიალი "პატარა აინშტაინები" **15.30** მხ. ფილმი "როგორ ჩამოვიშოროთ ბიჭი ათ დღეში" **18.00** დოკ. სერიალი "ფოტორობოტი" 1-ლი ს. **18.50** კონცერტი **20.00** "მსოფლიო ფეხბურთი" **20.30** ანალიტიკური პროგრამა "სახე" **21.30** "ოლიმპი" **22.00** რუს. სერიალი "დიდი შესვენება" მე-4ს. **23.00** ცხელი ცხრიანი **01.00** მხ. ფილმი "საათები".

### იმედი

**09.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 00.15** ქრონიკა **09.10, 12.10, 17.55, 20.00, 23.25, 01.20** იმედის მელოდიები **10.05** ანიმაც. ფილმი "მითიური მეომრები" **10.30** მხ. ფილმი "მონადირე" **12.30** სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" **13.15** სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" **13.40** "უდაბნოს სამჭედლოები" **14.30** მერიდიანი **15.15** "რეტროსკოპი" **17.05** დოკ. სერიალი "ყველაზე ექსტრემალური" **18.00** არტ-ბულვარი **18.30** სპ. პროგრამა "ასი" **19.30** ლარის მახე **20.05** სერიალი "ფაბიო მონტალე" 1-26. **22.00** დროება **23.30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი.

### არხი

**08.00** ანონსი **08.05, 13.00, 19.00** ახალი ამბები **09.00** მხ. ფილმი **12.30** გადაცემა - მურადა **13.00** მხ. ფილმი **15.00** ქიმერიონი **17.00** ბალეტი **20.00** მხ. ფილმი **22.00** ტელე სინე ვიდეო **23.30** ჯაზის საღამოები **00.20** მხ. ფილმი

### არხი

**08.00** მუსიკა **09.00** საინფორმაციო დაიჯესტი **09.30** სათავგადასავლო ფილმი "მელი" **11.00** მუსიკა **11.10** "ჭიტა-ჭიტა" **11.20** "ექსკლუზივი" **12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 22.00, 00.00** საინფ.გამ. "დღეს" **12.10, 16.10, 18.15, 22.30, 00.20** საინფ.გამოშვება "ნოვოსტი" **12.20** "მსოფლიო ისტორიის ფურცლები" **12.40** კომედია "შენიღბვის ოსტატი" **14.10** ფილმი-კატასტროფა "გატაკა" **15.50, 21.55, 02.30** მუსიკა **16.20** მულტფილმი "პუჰი" **17.35** დოკუმენტური ფილმი **18.30** კომედია "ბრილიანტის პოლიციელი" **20.10** თრილერი "რაზმი" **23.00** დოკუმენტური ფილმი **00.40** მხ. ფილმი "ცირკი დაიწვა: ჯამბაზები დაიფანტნენ" **03.00** დოკუმენტური ფილმი **03.50** სათავგადასავლო ფილმი "ზოროს ნიღაბი"

### ОРТ

**07.00** Новости **07.10** Сериал "Все путешествия команды Кусто" **07.50 Худ.фильм "Пан Володыевский". 2-я с. 09.20** Служу Отчизне! **09.50** Дисней-клуб: "Микки Маус и его друзья" **10.10** "В мире животных" **11.00, 13.00** Новости **11.10** "Непутевые заметки" **11.30** Пока все дома **12.00** Премьера. "Энциклопедия лошади" **12.30** "Угадай мелодию" **13.10** "Путешествия натуралиста" **13.40** Игорь Ледогоров в детективе **"Шествие золотых зверей" 15.15** Дисней-клуб: "Тимон и Пумба" **15.40** Тайны века. "Убить Версаче" **16.20** "Дачники" **17.10** Воскресный "Ералаш" **17.50** Живая природа. "Заплыв с акулами" **18.50** Времена **19.45** "КВН-2004". Высшая лига. Вторая игра сезона **22.00** Время **22.45 Супербоевик "День независимости" 01.20** Бокс. Эрик Моралес - Хесус Чавес **02.20** Том Беренджер в триллере **"Взлом" 04.10** Сэлли Филд в фильме **"Норма Рэй" 06.10** "Гойко Митич - настоящий индеец"

### РТР

**06.50** Премьера. Тодд Босли в комедии "**ЛЛОЙД**" **08.00** Студия "Здоровье" **08.35** Мир на грани **09.05** "Военная программа" **09.25** Местное время. Вести-Москва. Неделя в городе. **10.05** Всероссийская лотерея "ТВ Бинго шоу" **10.30** Семен Альтов. "Игра слов" **10.45** Чемпионат мира по автогонкам в классе "Формула-1". Гран-при Малайзии. Прямая трансляция из Куала-Лумпура. **12.55** "Городок". Дайджест **13.25** "Сто к одному". Телеигра **14.15** Парламентский час **15.00** Вести. **15.20** Всеволод Санаев в детективе "**ЧЕРНЫЙ ПРИНЦ**" **17.10** "Советская империя. Гостиница "Москва". Фильм Елизаветы Листовой. **18.00** Комната смеха. **19.00** Лариса Долина, Николай Басков и другие в большом праздничном концерте. **20.50** В Городке. **21.00** Вести недели. **22.00** Специальный корреспондент. **22.25** Антонио Бандерас в боевике "**БАЛЛИСТИКА**" **00.10** Брюс Уиллис в фильме "**ШЕСТОЕ ЧУВСТВО**" **02.20** Виталий Соломин в мелодраме "**РОГОНОСЕЦ**". **04.10** Сериал "**СЕМЬ ДНЕЙ**"

### НТВ

**07.20** "**ГОЛУБОЕ ДЕРЕВО**" **08.50** Мультфильм "Ну, погоди!" **09.00, 13.00, 17.00** Сегодня **09.20** Просто цирк. **09.50** Лотерея "Шар удачи". **10.00** "Едим дома" с Юлией Высоцкой. **10.35** Брижитт Фосей в комедии "**БУМ**" **12.25** Военное дело **13.20** "Апельсиновый сок" **13.50** "Внимание: розыск!" "Последняя молитва" **14.20** Наталья Гундарева в комедии "**ОДИНОКИМ ПРЕДОСТАВЛЯЕТСЯ ОБЩЕЖИТИЕ**" **16.10** "Их нравы" с Дмитрием Захаровым. **17.20** Преступление в стиле "модерн": балетное дело **17.55** Сериал "**МОСКВА. ЦЕНТРАЛЬНЫЙ ОКРУГ**" **19.00** Своя игра **19.50** Жан-Клод Ван Дамм в боевике "**ТРУДНАЯ МИШЕНЬ**" **22.00** "Намедни" **23.30** Премьера. "**ФАКТОР СТРАХА-II**" **00.30** Киану Ривз в боевике "**ДЖОННИ-МНЕМОНИК**" **02.30** Журнал Лиги чемпионов. **03.00** Ленивая ночь.

# მავრიკი - განძთა კუნძული

12 მარტი, მავრიკის ეროვნული დღესასწაულია

ეკა გვახარია

**"მავრიკი სამოთხეზე ადრე არსებობდა. ღმერთმა, ალბათ მის მიხედვით შექმნა სამოთხე".** მარკ ტვენი

**მავრიკი** - მდებარეობს ინდოეთის ოკეანეში, კუნძულ მადაგასკარის აღმოსავლეთით.

**ფართობი** - 1865 კვ. კილომეტრი.

**მოსახლეობა** - 1 მილიონ 133 551 ადამიანი. ინდოელები – 66%, კრეოლები - 30%, ევროპელები, აფრიკელები, ჩინელები – 4%.

**დედაქალაქი** - პორტ-ლუი

**კლიმატი** - ტროპიკული ჰავა, ცხელი პერიოდი გრძელდება ნოემბრიდან აპრილამდე, ტემპერატურა ცელსიუსის 30 გრადუსი.

**ოფიციალური ენა** - ინგლისური და ფრანგული.

**ფულის ერთეული** - მავრიკული რუპია (1 აშშ დოლარი - 27,5 მავრიკული რუპია).

**რელიგია** - ინდუიზმი, ბუდიზმი, ქრისტიანობა, ისლამი.

თუ კარგად დაათვალიერებთ მსოფლიო რუკას, კუნძულ მადაგასკარის ჩრდილო-აღმოსავლეთით რამდენიმე სანტიმეტრში აღმოაჩენთ პტარა ლაქას - ეს გახლავთ "განძთა კუნძული" - მავრიკი. "მავრიკი სამოთხეზე ადრე არსებობდა. ღმერთმა, ალბათ მის მსგავსად შექმნა სამოთხე" წერდა მარკ ტვენი. შემდეგ კი აქ ფეშენებელური სასტუმროები და რესტორნები აშენდა და მავრიკი მსოფლიოში ერთ-ერთ პოპულარულ და მდიდრულ კურორტად იქცა.



პორტ-ლუისი, მავრიკის დედაქალაქი

მავრიკი პირველად არაბებმა, 975 წელს, აღმოაჩინეს და დინარობინი ("ვერცხლის კუნძული") უწოდეს. მოგვიანებით, 1510 წელს აქ პორტუგალიელები გამოჩნდნენ. ისინი კუნძულს საშუალედო გაჩერებად იყენებდნენ - გზად გოასა და მალაკასაკენ. შემდეგ ეს ტერიტორია ჰოლანდიელებმა დაიკავეს, სწორედ მათ შეარქვეს კუნძულს მაურიტუსი - პრინც მაურის ვან ნასსაუს პატივსაცემად. ჰოლანდიელებმა ფაქტობრივად გაანადგურეს არაჩვეულებრივი შავი ხის ტყეები და გადაშენების პირას მიიყვანეს ფრინველი დოდო, რომელიც კუნძულ მავრიკის სიმბოლოდ ითვლება. 1715 წელს კუნძული საფრანგეთის კოლონია გახდა, 1810 წლიდან კი ინგლისის კოლონიად იქცა. მავრიკიმ დამოუკიდებლობა მხოლოდ 1968 წელს მიიღო. 1992 წლის 12 მარტს კი რესპუბლიკად გამოცხადდა.



მავრიკის სიმბოლო - დოდო

კუნძულის ლანდშაფტი ძალიან კონტრასტულია: აქ ნახავთ მთებსა და ტყეებს, ჩამქრალ ვულკანებსა და კლდეებს, თვალუწვდენელ ვაკეებსა და უნიკალურ ნაკრძალებს, ჩანჩქერებსა და ტბებს, მარჯნის რიფებსა და ოქროსფერი ქვიშის სანაპიროებს. კუნძული მავრიკი ძალიან დიდი პოპულარულობით სარგებლობს სპორტის მოყვარულებში.

იქ ჩასულ ტურისტებს შესაძლებლობა ეძლევათ გაერთონ სპორტის ისეთი სახეობებით, როგორიცაა სერფინგი, წყლის თხილამურები, პარაშუტით ხტომა და რაც ყველაზე მთავარი და სახასიათოა ამ კუნძულისათვის - წყალქვეშა თევზაობით.

მავრიკის დედაქალაქს - პორტ-ლუის სახელი ფრანგი მეფის ლუი XV საპატივცემულოდ ეწოდა. ამ ლამაზმა ქალაქმა ძველი კოლორიტი დღემდე შემოინახა: ყველა ქუჩას ფრანგული დასახელება აქვს, სახლებსა და მოედნებს არ დაუკარგავს XVIII საუკუნის დიდება. პორტ-ლუის საცხოვრებელ უბნებში სეირნობისას კი თავი აღმოსავლურ, ჯადოსნურ ზღაპარში გეგონებათ, რადგან აქ მრავლადაა მუსულმანური მეჩეთები, მინარეთები და ინდური ტაძრები. ქალაქის ყველაზე დიდი ღირშესანიშნაობა გახლავთ - ბაზარი, რომელიც წარმოადგენს ევროპული და აღმოსავლური ბაზრობების თავისებურ შერწყმას: აქ შეხვდებით ჩინელ ვაჭრებს, ფერად-ფერად სარებში გამოწყობილ ინდოელებს. ბაზარი სავსეა კოლორიტული პერსონაჟებით. აქ შეგიძლიათ შეიძინოთ დაწნული კალათები, კერამიკა, ძვირფასი აბრეშუმი, ქვის პატარა ქანდაკებები, ეგზოტიკური ხილი.

კუნძულის საქმიან ცენტრს წარმოადგენს ქალაქი კიურპიპი. აქ არის განთავსებული საელჩოები, სხვადასხვა დიდი ფირმებისა და კომპანიების ოფისები და მდიდრული ვილები. ღირსშესანიშნაობას კი წარმოადგენს საუკუნეების წინ აგებული სამეფო კოლეჯი. ქალაქს ერთი დიდი ღირსება აქვს: მისი შემაღლებული ადგილებიდან მთელი მავრიკი მოჩანს და ეს არის ულამაზესი სანახაობა.

ქვეყნის მოსახლეობის ეთნიკური სიმრავლიდან გამომდინარე, მავრიკული სამზარეულო საკმაოდ მრავალფეროვანია და წარმოადგენს ჩინური, ინდური, ევროპული, კრეოლური კულინარიის ნაზავს. ტრადიციული კერძი გახლავთ - პალმის კომბოსტოს სალათა. ხოლო ნაციონალური სასმელები - თეთრი რომი Green Island და White Dimond.

**მავრიკიში მოგზაურობის დროს აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ:**

ტაძრებში აკრძალულია შორტებითა და მაისურებით შესვლა და ხმამაღალი საუბარი.

არ შეიძლება თითის გაშვერა და თავზე ხელის შეხება.

ადგილობრივ მოსახლეობას ერთი უცნაური ჩვევა აქვს: ისინი მაქსიმალურ ხმაზე უსმენენ რადიოს ან უყურებენ ტელევიზორს და არანაირი თავაზიანი თხოვნა - დაუწიონ ხმას - არ ჭრის.

კიდევ ერთი უცნაური თვისება: მავრიკიელები საუბრის დროს ხელით ეხებიან მოსაუბრეს - ეს მათი პატივისცემის გამოხატულებაა.

დაბოლოს, საუკეთესო სუვენირი, რომელიც შეგიძლიათ მავრიკიდან ჩამოიტანოთ გახლავთ საოცარი სიზუსტით შესრულებული ძველი ხის იალქნიანი გემის მოდელი.


















## წამალი "სალხინო"

### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.

# ათი რამ, რაც უნდა ვიცოდეთ საქართველოში მსოფლიო ბანკის მოღვაწეობის შესახებ

მსოფლიო ბანკის მისია საქართველოში ისწრაფვის, რომ დახმარება გაუწიოს მდგრად ეკონომიკურ ზრდას, სამუშაო ადგილების შექმნას, სოციალური მომსახურებების გაუმჯობესებასა და გარემოს დაცვის საკითხების გადაწყვეტას. ამ მიზნების მისაღწევად მსოფლიო ბანკი უზრუნველყოფს ფინანსურ დახმარებას, ეკონომიკურ ანალიზსა და რეკომენდაციებს.

**1. მსოფლიო ბანკი საქართველოს განათლების სისტემის რეფორმის განხორციელებაში ეხმარება**

ეკონომიკის გაჯანსაღებისკენ, სიღარიბის დაძლევისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისკენ მიმართულ ძალისხმევას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია დადებითი შედეგების მოტანა, თუ ხალხს მიეცემა შესაძლებლობა, მიიღოს უკეთესი განათლება და ამ გზით გაიუმჯობესოს პროფესიული უნარ-ჩვევები. საქართველოს დაწყებითი და საშუალო განათლების გაუმჯობესების მიზნით, მსოფლიო ბანკმა ქვეყნისათვის 25.9 მილიონი აშშ დოლარის კრედიტი გამოყო. კრედიტის მიზანია, უფრო ეფექტური გახადოს სახელმწიფო სახსრების ხარჯვა განათლების სისტემაში, აგრეთვე, ხელი შეუწყოს - ახალი სასწავლო პროგრამების შედგენას, ობიექტური საგამოცდო სისტემის დამკვიდრებასა და მასწავლებელთა ტრეინინგის პროგრამების განხორციელებას. ასეთი რეფორმები საქართველოს ახალგაზრდა თაობას იმ აუცილებელ უნარ-ჩვევებს შესძენს, რაც მათ სამომავლოდ ცხოვრების გზის გაკვალვაში დაეხმარება.

**2. მსოფლიო ბანკი საქართველოს დამოუკიდებელი და პროფესიული სასამართლო ხელისუფლების ჩამოყალიბებაში ეხმარება**

მოქალაქეთა უფლებების დაცვისა და საბაზრო ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელია მკაფიო სამართლებრივი ნორმების დადგენა და დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი სასამართლო ხელისუფლების ჩამოყალიბება. მსოფლიო ბანკის მიერ საქართველოსთვის გამოყოფილი 13.4 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის კრედიტი ხელს უწყობს სისხლის სამართლის საქმეების განხილვასთან დაკავშირებული პრობლემების დაძლევას, სასამართლოებისა და მოსამართლეების საქმიანობის გაუმჯობესებას. კრედიტის სახსრებით ფინანსდება, აგრეთვე, საზოგადოებრივ-საინფორმაციო კამპანია, რომელმაც უნდა უზრუნველყოს, სამოქალაქო უფლებების ცოდნისა და თვითშეგნების ამაღლების მიზნით, მოსახლეობის გათვითცნობიერება, ასევე, სადავო საკითხების სასამართლო წესით გადაწყვეტის პრაქტიკის დამკვიდრება.

**3. მსოფლიო ბანკი საქართველოს ჯანდაცვის სისტემის გაუმჯობესებაში ეხმარება**

მსოფლიო ბანკი საქართველოს ყველასათვის ხელმისაწვდომი, იაფი და ეფექტური ჯანდაცვის სისტემის შექმნაში ეხმარება. მსოფლიო ბანკის ხელშეწყობით, საქართველოს ხელისუფლება პირველადი ჯანდაცვის სისტემის რეფორმას ახორციელებს - საქართველოში ოჯახის ექიმის პრაქტიკის დასანერგად. ხელისუფლების მიერ განხორციელებული რეფორმების კიდევ ერთ ამოცანას წარმოადგენს ამ დარგში ფინანსური სიძნელეების დაძლევა და საავადმყოფოების დავალიანებათა ლიკვიდაცია. საბოლოო მიზანი კი საგადასახადო დისციპლინის დამკვიდრება და ჯანდაცვის ხარისხის გაუმჯობესებაა.

**4. მსოფლიო ბანკი საქართველოს ინფრასტრუქტურისა და ძირითადი მომსახურებების გაუმჯობესებაში ეხმარება**

მსოფლიო ბანკის ფინანსური ხელშეწყობით, უკვე განხორციელდა ინფრასტრუქტურის ობიექტებისა და ძირითადი მომსახურებების გაუმჯობესების არაერთი პროექტი, რომლებმაც უშუალო სარგებელი მოუტანა საქართველოს ერთ მილიონამდე მკვიდრს. სოციალური ინვესტიციების ფონდის შემწეობით, ადგილობრივ თემებს ეძლევათ საშუალება, თავად განსაზღვრონ საკუთარი, ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული მოთხოვნილებები და წარმოადგინონ განაცხადები შესაბამისი პროექტების დასაფინანსებლად. ფონდის მიერ უკვე დაფინანსდა მრავალი პროექტი, რომლებიც მიზნად ისახავდა სკოლების, ჯანდაცვის ობიექტების, კულტურული ცენტრების, წყალგაყვანილობის ობიექტების, სარწყავ-საირიგაციო სისტემების, გზებისა და ხიდების რეაბილიტაციას. მსოფლიო ბანკი, ასევე, აფინანსებს პროექტებს, რომლებიც თბილისში მიწისძვრის შედეგად დაზიანებული სახლების შეკეთებას ემსახურება.



*მსოფლიო ბანკის პრეზიდენტი ჯეიმს ვულფენსონი.*

**5. მსოფლიო ბანკი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო რეფორმის განხორციელებაში ეხმარება**

მსოფლიო ბანკის დახმარებით, საქართველოში შექმნილია კერძო საკუთრებაში არსებული მიწის რეალური ბაზარი. უკვე დასრულებულია 180 000-ზე მეტი მიწის ნაკვეთის აღწერა და ადგილებზე შექმნილია თანამედროვე მიწის სარეგისტრაციო სამსახურები. აღნიშნული სამსახურების მიერ რეგისტრაციაში გატარდა მიწასთან დაკავშირებული 31 000-მდე გარიგება. გარდა ამისა, მსოფლიო ბანკი საქართველოს სოფლის მეურნეობის დარგის მეცნიერული კვლევის სისტემის რეფორმირებაშიც ეხმარება. კერძოდ, გამოიყო სახსრები და გაიცა რეკომენდაციები მებაღეობისა და მევენახეობის სფეროებში. მსოფლიო ბანკის მიერ ორგანიზებული რეგიონული სემინარების მეშვეობით, საქართველოს შესაძლებლობა ეძლევა, გაეცნოს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილებას ამ სფეროებში.

**6. მსოფლიო ბანკი საქართველოს გარემოს დაცვაში ეხმარება**

მსოფლიო ბანკი და მისი პარტნიორი ორგანიზაციები საქართველოს ეროვნული დაცული ზონების სისტემის შექმნაში ეხმარებიან. აღნიშნული სისტემა მოიცავს კოლხეთისა და ლაგოდეხის ეროვნულ პარკებს, აგრეთვე, რამოდენიმე ბუნებრივ ნაკრძალს ქვეყნის აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ ნაწილებში. გარდა ამისა, მსოფლიო ბანკი საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებაშიც ეხმარება.

**7. მსოფლიო ბანკი საქართველოს ბუნებრივი რესურსების მართვაში ეხმარება**

ბუნებრივი და ადამიანის ხელით შექმნილი რესურსები – წყალი, სუფთა ჰაერი, ტყე, მდელო, საზღვაო რესურსები და აგროეკოსისტემები – გრძელვადიანი სოციალური და ეკონომიკური განვითარების საწინდარია. მსოფლიო ბანკის მიერ გამოყოფილი 15 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის კრედიტი საქართველოს ტყიანი მასივების ეფექტური მართვის მიზნებს ემსახურება. კრედიტმა ხელი უნდა შეუწყოს ტყის დაგეგმვას და მართვას კავკასიონის ცენტრალური ნაწილის საპილოტე ზონაში და უნდა უზრუნველყოს ადგილობრივი თემების ჩართვა ტყის მართვასთან დაკავშირებულ საქმიანობაში.

**8. მსოფლიო ბანკი საქართველოს ახალი სამუშაო ადგილების შექმნასა და კერძო სექტორის განვითარებაში ეხმარება**

მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული პროგრამების მეშვეობით, საქართველოს კერძო სექტორს საშუალება ეძლევა, დაეუფლოს ახალ ტექნოლოგიებს და გააფართოოს რეალიზაციისა და ექსპორტის მოცულობები. ამ მიზნის მისაღწევად ხორციელდება რიგი რეფორმებისა, რომელთა ამოცანაა, უფრო ხელმისაწვდომი გახადოს საკრედიტო რესურსები, უზრუნველყოს მენეჯმენტთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურება და მენეჯერების ტრეინინგი, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. გასული ხუთი წლის განმავლობაში 115-მა ქართულმა საწარმომ გაიარა ტრეინინგი და მიიღო რეკომენდაციები მეწარმეობის განვითარების სფეროში, ხოლო 140-ზე მეტმა მენეჯერმა გაიარა სტაჟირება საზღვარგარეთ მოქმედ კორპორაციებში.

**9. მსოფლიო ბანკის მიერ განხორციელებული ანალიზი და მეცნიერული კვლევა საქართველოში მიმდინარე რეფორმების საინფორმაციო უზრუნველყოფას ემსახურება**

ქვეყნის განვითარების საკითხებში მსოფლიო ბანკის ცოდნა და გამოცდილება საქართველოსთვის გაწეული დახმარების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია. ყოველწლიურად მსოფლიო ბანკის მოხელეები ატარებენ საფუძვლიან ეკონომიკურ ანალიზსა და მეცნიერულ კვლევას, რაც საქართველოს ხელისუფლებას ქვეყნის წინაშე არსებული სირთულეების დაძლევაში ეხმარება. კერძოდ, კვლევის სფეროები მოიცავს ადამიანური რესურსის განვითარებას, გარემოს დაცვას, სახელმწიფო ფინანსებს, ენერგეტიკასა და ინფრასტრქტურას. უკვე განხორციელებული კვლევის მაგალითებია - სიღარიბის მასშტაბების შეფასება, სახელმწიფო ხარჯების ანალიზი, მოხსენებები ვაჭრობის ხელშეწყობის, აივ/შიდსის საფრთხის, ბავშვთა სოციალური დახმარების სფეროებში.

**10. მსოფლიო ბანკი ისწრაფვის საქართველოში ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის**

საქართველო მსოფლიო ბანკის წევრი 1992 წელს გახდა, ხოლო საერთაშორისო განვითარების ასოციაციის წევრი - 1993 წელს. იმ დროიდან მოყოლებული, მსოფლიო ბანკმა საქართველოს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს, 34 კრედიტის სახით, 725 მილიონი აშშ დოლარი გამოუყო. დღეისათვის განხორციელების პროცესშია 16 კრედიტი, ხოლო 18 კრედიტის განხორციელება უკვე დასრულდა.

# ბიზნესის განვითარების პროექტი საქართველოში

**IFC მცირე და საშუალო კომპანიების განვითარებისათვის საქართველოში პირველი ასეთი მიმართულების პროექტს განახორციელებს**

*როგორც ყველაფერს, ბიზნესსაც სწავლა სჭირდება. დღეს ქართული კომპანიები მართვისა და ბიზნესის განვითარების გზაზე მრავალ პრობლემას აწყდებიან. "ჩვენი მიზანია, დავეხმაროთ საქართველოში ბიზნესის განვითარებას", - ამბობს საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის პროექტის მენეჯერი ფრენკ ლივერი. სახელწოდებაც - "ბიზნესის განვითარების პროექტი საქართველოში" - სრულად ასახავს მის ამოცანებს.*

რაც შეეხება საერთაშორისო საფინანსო კორპორაციას (IFC), იგი მსოფლიო ბანკის ჯგუფში შემავალ ორგანიზაციას წარმოადგენს, რომლის მისიაც განვითარებადი ქვეყნების კერძო სექტორში მდგრადი ინვესტიციების განხორციელება გახლავთ, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს სიღარიბის დაძლევას და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას. ამ ყველაფრის განხორციელების სათავე კი, როგორც IFC-ში განმარტავენ, ქვეყანაში მეწარმეობის განვითარება და კერძო ინვესტიციების წარმატებაა. აღსანიშნავია, რომ IFC მსოფლიოში უდიდესი ინვესტორია ახლად შექმნილი ბაზრებისათვის. კორპორაცია მაღალი რისკის განვითარებადი ქვეყნების ბიზნესის წარმართვისათვის დაბალპროცენტიანი კაპიტალისა და გლობალური გამოცდილების გარანტია. მისი საქმიანობის მთავარი მიზანი შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს – ქვეყნის ეკონომიკის განვითარება კერძო სექტორის საშუალებით. ამ მიზნით, საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია ტექნიკური დახმარების პროექტებსაც ახორციელებს, რომლის უშუალო საქმიანობა ინვესტირება არ არის, მაგრამ, საბოლოო ჯამში, ქმნის ჯანსაღ გარემოს ინვესტიციების მოზიდვისათვის.

საქართველო საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის წევრი ჯერ კიდევ 1995 წელს გახდა და მას შემდეგ სსფ-მ ქვეყანის დახმარებისათვის 100 მილიონ აშშ დოლარზე მეტი თანხა გაიღო ფინანსურ, ინფრასტრუქტურის, ენერგეტიკისა და მრეწველობის დარგებში განხორციელებული პროექტების სახით.

**"დონორ პარტნიორებთან ერთად ჩვენ კერძო კომპანიებსა და სახელმწიფო სექტორს ვეხმარებით ეკონომიკის ყველა სფეროში ინვესტიციების მოზიდვაში, მცირე და საშუალო კომპანიების ზრდის სტიმულირებაში და, საერთოდ, ბიზნესის გარემოს გაუმჯობესებაში. ამ მიზნების განსახორციელებლად IFC-ს მიერ საქართველოსათვის წამოწყებული ბიზნესის განვითარების პროექტი კონცენტრირებულია კორპორაციული მართვის დახვეწასა და ლიზინგის ბაზრის განვითარებაზე და ამას თავისი ობიექტური, დასაბუთებული მიზეზები აქვს. კერძოდ – აღნიშნული ორი მიმართულება დღევანდელ ეტაპზე ქართული ბიზნესის სიცოცხლისუნარიანობისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია,"** - აღნიშნავს IFC-ს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის კერძო საწარმოთა პარტნიორობის დეპარტამენტის დირექტორი ქრისტიან გროსმანი.

ეს არის საყურადღებო შეტყობინება ქართული საქმიანი წრეების წარმომადგენელთათვის, რადგან "ბიზნესის განვითარების პროექტი საქართველოში" მსგავსი მიმართულების პირველ პროექტს წარმოადგენს, რომელიც ქვეყანაში ხორციელდება.

"ბიზნესის განვითარების პროექტი საქართველოში" IFC-სა და კანადის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (CIDA) ერთობლივი ინიციატივით შეიქმნა. სწორედ CIDA-მ გამოყო ძირითადი გრანტი პროექტის დაფინანსებისათვის.

პროექტის მიზანია კერძო სექტორის განვითარებისათვის გარემოს გაუმჯობესება, ლიზინგის ბაზრის განვითარების, ქართულ კომპანიებში კორპორაციული მართვის და საქმიანობის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვისა და მცირე და საშუალო ზომის საწარმოების პრობლემატიკის შესწავლის გზით, მათი საინვესტიციო მიმზიდველობის გასაზრდელად.

IFC-ში აცხადებენ, რომ მზად არიან, ითანამშრომლონ ნებისმიერ კომპანიასთან (მათი ადგილმდებარეობის მიუხედავად), რომელიც დაინტერესებულია საკუთარი საწარმოს თუ კორპორაციის მართვის გაუმჯობესებით. მათივე თქმით, ბიზნესის განვითარების პროექტი კონცენტრირებულია სამ კომპონენტზე - კორპორაციული მართვის დახვეწასა და ლიზინგის ბაზრის განვითარებაზე, და მცირე და საშუალო ზომის საწარმოთა შესწავლაზე, რადგან სამივე მიმართულება ქართული ბიზნესის სიცოცხლისუნარიანობისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია

## რატომ კორპორაციული მართვა?

კორპორაციული მართვა არის სისტემა, რომლის მეშვეობითაც კომპანიის მართვა და კონტროლი ხორციელდება. განმარტება დაინტერესებული პირებისათვის - ეფექტური კორპორაციული მართვა ეს არის იაფი და გრძელვადიანი ფინანსური რესურსების შემოდინება, დამატებითი სახსრების მოზიდვის საშუალება ფასიანი ქაღალდების განთავსების მეშვეობით, კომპანიის ღირებულებისა და მისი საბაზრო კაპიტალიზაციის ზრდა, მოგების მაქსიმალური მაჩვენებლები, პრესტიჟი და მაღალხარისხიანი პროდუქცია, საერთო ჯამში კი - ქვეყნის ეკონომიკის განვითარება.

IFC-ში მიიჩნევენ, რომ საქართველოში მოქმედი სააქციო საზოგადოებების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა ფინანსური რესურსების უქონლობაა. ინვესტორები უნდობლობით ეკიდებიან კაპიტალის დაბანდებას ქვეყანაში, სადაც აქციონერთა უფლებები სათანადოდ არა არის დაცული (ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის გახლავთ, რომ საქართველოში განხორციელებული მასიური პრივატიზაციის პროცესი მეთოდოლოგიურად დაუსაბუთებლად და ხშირ შემთხვევაში დანაშაულებრივადაც მიმდინარეობდა). სწორი კორპორაციული მართვა კი სწორედ ამ უნდობლობის დაძლევას უზრუნველყოფს. კორპორაციული მართვა მოიცავს იმ პროცედურებისა და ქმედებების ერთობლიობას, რომლებიც მიმართულია კომპანიის ინფორმაციის გამჭვირვალობის, აქციონერთა ინფორმირებისა და დირექტორთა მიერ ვალდებულების კეთილსინდისიერად შესრულებისკენ. სწორედ ამ მიზნით, პროექტის ფარგლებში ტარდება რეგულარული სემინარები და კონსულტაციები ქართული კომპანიების ხელმძღვანელებისათვის კორპორაციული მართვის საკითხებში, მუშავდება კომპანიებისათვის საჭირო შიდა სამოდელო დოკუმენტაციები. ვინაიდან კორპორაციული მართვა, პრივატიზაციის ნაჩქარევი პროცესის გამო, საქართველოსთვის, თითქმის, უცნობი და ნაკლებად აქტუალური გახლდათ, პროექტის ფარგლებში, ასევე, დაგეგმილია უმაღლეს სასწავლებლებში კორპორაციული მართვის კურსის შემოღება. ეს ხელს შეუწყობს კორპორაციული მართვის საფუძვლების ცოდნას და მოამზადებს ისეთ კადრებს, რომელთაც გათავისებული ექნებათ კორპორაციული მართვის მნიშვნელობა ბიზნესის განვითარების საქმეში.

საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია იმ კანონდმებლობის დახვეწაზეც მუშაობს, რომელიც დაკავშირებულია კორპორაციულ მართვასთან.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება, რომელსაც საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია ახორციელებს საქართველოში: "დაწერილ კანონებთან" ერთად ცივილიზებულ მსოფლიოში არსებობს "დაუწერელი კანონები", რომლებიც, შეიძლება ითქვას, ეთიკურ, მორალურ თუ ზოგადსაკაცობრიო ნორმებს მოიცავენ. მათ რიცხვს კორპორაციული მართვის კოდექსიც მიეკუთვნება, რომელიც სააქციო საზოგადოების შიდა ნორმებს არეგულირებს. "ბიზნესის განვითარების პროექტი საქართველოში" ფასიანი ქაღალდების ეროვნულ კომისიასა და საფონდო ბირჟასთან ერთად საქართველოსათვის მსგავსი კოდექსის შექმნაზეც მუშაობს, რაც, მათი აზრით, კანონში არსებულ ვაკუუმს შეავსებს, რადგან ინვესტორთა ნდობის მისაპოვებლად შესაბამისი კონკურენტუნარიანი იურიდიული მექანიზმების შექმნა და დამკვიდრებაა საჭირო.

## რას წარმოადგენს ლიზინგი

ლიზინგი მნიშვნელოვანი ფინანსური პროდუქტია საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის, რადგან დღეს ბიზნესში სახსრების მოზიდვა მხოლოდ საბანკო სესხების მეშვეობით ხდება, სადაც განსაზღვრული პროცენტები და პირობები მოქმედებს. სალიზინგო კომპანიების მომსახურება კი მეწარმეებსა და ბიზნესმენებს საშუალებას აძლევს, ყოველგვარი გირაოს ჩადების გარეშე, იჯარით აიღონ მათთვის საჭირო სხვადასხვა მანქანა-დანადგარი (ავტომობილები, საოფისე თუ საწარმოო ტექნიკა) და ღირებულება ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ნაწილ-ნაწილ გადაიხადონ. სალიზინგო კომპანიების მომსახურებით სარგებლობის საშუალება საქართველოში დღეისათვის უკვე არსებობს. ქვეყანაში ორი სალიზინგო კომპანია მუშაობს, რომლებიც ახლო მომავალში თავისი საქმიანობის გაფართოებას აპირებენ. ზოგადად, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ახალი ბიზნესის მიმართ კერძო სექტორში საკმაოდ დიდი დაინტერესება არსებობს. ახლო მომავალში არსებულ სალიზინგო კომპანიებს, სულ მცირე, კიდევ სამი კომპანია შეემატება. საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია კი საქართველოს ბიზნესის განვითარების პროექტის ფარგლებში ქვეყანაში სალიზინგო მომსახურების დანერგვასა და ლიზინგის განვითარებაზე მუშაობს, რაც სალიზინგო კომპანიების ამოქმედების ხელშეწყობასაც გულისხმობს. საქართველოში ბიზნესის განვითარების პროექტი კანონმდებლობაში ლიზინგის შესახებ ცვლილებებსაც ამუშავებს. ეს ცვლილებები მიმართულია ლიზინგის სერვისის მაქსიმალურად ეფექტურ გამოყენებისთვის.

ფრენკ ლივერის განცხადებით, **"ლიზინგი მთელ მსოფლიოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისთვის აუცილებელ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სექტორად და საბანკო კრედიტის ალტერნატიულ საშუალებად მიიჩნევა".** რაც შეეხება, უშუალოდ საქართველოში მის დანერგვას, პროექტის ხელმძღვანელის თქმით, ეს ტექნიკური დახმარების პროექტი გახლავთ და მისი მიზანია, დაინტერესებულ წრეებს გააცნოს ქვეყნისთვის სრულიად ახალი ფინანსური ინსტრუმენტის – ლიზინგის გამოყენების დეტალები. განიხილება ისეთი საკითხები, როგორიცაა სალიზინგო კონტრაქტის თავისებურებები, ბუღალტრული აღრიცხვა, საკანონმდებლო ბაზის ნიუანსები, სალიზინგო კომპანიის პორტფელის დივერსიფიკაცია, ლიზინგის ფინანსური ანალიზი და სხვა. პარალელურად, ბიზნესის განვითარების პროექტი საქართველოში ფართომასშტაბიან კველვას ატარებს ქვეყანაში ლიზინგის ბაზრის მოცულობისა და ამ ფინანსურ პროდუქტზე არსებული მოთხოვნის დასადგენად. პროექტი საქართველოს 11 რეგიონში 792 კომპანიას გამოკითხავს. კვლევის შედეგები დაადგენს მოთხოვნას ძირითადი საშუალებების ტიპისა და სექტორების მიხედვით ლიზინგის კონტექსტში. ასეთი მასშტაბური კვლევა ლიზინგის დარგში პირველად ტარდება. მისი შედეგები დიდად წაადგება ლიზინგით დაინტერესებულ უცხოელ ინვესტორებს, ხოლო სალიზინგო კომპანიებს საკუთარი სტრატეგიის განსაზღვრაში დაეხმარება. ყოველივე ეს კი ხელს შეუწყობს საქართველოში ბიზნესის განვითარებას.

დაბოლოს, კიდევ ერთი: საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ბიზნესის განვითარების პროექტი საქართველოში კიდევ ერთ ფართომასშტაბიან კვლევას ატარებს, რომელიც მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს შეეხება. კვლევის მიზანია, გამოავლინოს ის ძირითადი ადმინისტრაციული, საკანონმდებლო და ფინანსური ბარიერები, რომელთაც საკუთარი განვითარების გზაზე ეს საწარმოები აწყდებიან.

ამგვარად, დღევანდელი პერსპექტივიდან პროექტის სამივე მიმართულება საკმაოდ მნიშვნელოვანია ქართული ბიზნესის ფეხზე დასაყენებლად. მათზე მუშაობა ხელს შეუწყობს კერძო სექტორის განვითარებას და, ზოგადად, ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას. ბიზნესის განვითარების პროექტის ამოცანაც სწორედ ამაში მდგომარეობს.

# ქართულ ჩაის საერთაშორისო ბაზარზე დამკვიდრების პერსპექტივა გაუჩნდა

**საწარმოთა რესტრუქტურიზაციისა და მენეჯმენტის დახმარების ცენტრის (CERMA) პროექტი ქართული ჩაის ღირსების აღსადგენად**

კლარა გრიგოლია


საცდელ ფართობებზე ჩაის ფოთლის ხარისხი, საშუალოდ, 55 პროცენტით გაიზარდა.

საბაზრო ეკონომიკის მთავარი მოტივაციაა კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება და ამ პროდუქციის ბაზარზე დამკვიდრება. ჩვენ ქვეყანაში, საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ამის მისაღწევად აუცილებელია საწარმოთა რესტრუქტურიზაცია და სწორი მართვა, სრულყოფილი მენეჯმენტი. ფაბრიკა-ქარხნების მხოლოდ ამოქმედება სასურველ შედეგს ვერ გამოიღებს, თუ ამ საწარმოების მიერ გამოშვებული პროდუქცია კონკურენტუნარიანი არ იქნება და ადგილობრივ, ასევე, უცხოურ ბაზარზე ადგილს ვერ დაიმკვიდრებს. ყოველივე ეს მოითხოვს ეკონომიკისადმი, ბიზნესისადმი ახლებურ მიდგომას; წარმოების მართვის გლობალური გარდაქმნების რთულ პროცესში კომპეტენტურ, პროფესიულ კონსულტაციებს ფინანსური მენეჯმენტის, მარკეტინგის, წარმოების ორგანიზების საკითხებზე. ამ ამოცანების განხორციელებას მიზნად ისახავს 1997 წელს, მსოფლიო ბანკის პროგრამით, საქართველოში შექმნილი პრივატიზებულ საწარმოთა რესტრუქტურიზაციისა და მენეჯმენტის დახმარების ცენტრი - CERMA.

2002 წლის ნოემბერში მსოფლიო ბანკის პროგრამის ფარგლებში CERMA-მ მუშაობა დაიწყო ჩაის ინდუსტრიის რეაბილიტაციის პროექტზე. ამ მიზნით, შეირჩა სხვადასხვა ზომის ჩაის ექვსი გადამამუშავებელი საწარმო.

## როდის და როგორ იქცა საქართველო ჩაის კულტურის ცენტრად

საქართველოში ჩაის კულტურის განვითარება მეფის რუსეთს უკავშირდება. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში რუსეთში ჩაის მოხმარება საგრძნობლად გაიზარდა. დაიწყეს ფიქრი, თუ სად შეიძლებოდა იმპერიის ფარგლებში ჩაის მოშენება და 1848 წელს ჩაის ნერგები სოხუმის ბოტანიკურ ბაღში, ოზურგეთის საცდელ მეურნეობაში და დადიანების ზუგდიდის მეურნეობაში დარგეს. ჩაის მოყვანისა და გადამუშავების წარმატებულმა ცდებმა თვალსაჩინო გახადა, რომ საქართველოში შესაძლებელი იყო ჩაის კულტურის განვითარება. მიწათმფლობელმა სოლოვცოვმა ჩაქვში პირველი საწარმოო პლანტაცია გააშენა. 1897 წელს სალიბაურის პირველი ჩაის გადამამუშავებელი ფაბრიკისათვის დანადგარები ინგლისში შეიძინეს. უკვე 1900 წელს კი პარიზის საერთაშორისო გამოფენაზე ქართული ჩაი ოქროს მედლით დაჯილდოვდა.

1921 წელს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ახალმა მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ჩაის ინდუსტრიის ფორსირებული განვითარების შესახებ. 1926 წელს შეიქმნა სააქციო საზოგადოება "საქართველოს ჩაი", რომელსაც დაექვემდებარა არსებული 1325 ჰექტარი ჩაის პლანტაციები. 1940 წლისათვის ჩაის პლანტაციების ფართობმა 47 ათას ჰექტარს მიაღწია; აშენდა 37 ახალი ფაბრიკა. მეორე მსოფლიო ომის დროს ჩაის წარმოება საქართველოში ორჯერ შემცირდა, მაგრამ ომისშემდგომ პერიოდში ჩაის ინდუსტრია სწრაფი ტემპით ვითარდებოდა. 1985 წელს ჩაის პლანტაციების რაოდენობამ 67 ათას ჰექტარს, ხოლო ქარხნების რაოდენობამ 76-ს მიაღწია. 80-იანი წლების ბოლოს საქართველო 140 ათას ტონა ჩაის მზა პროდუქციას აწარმოებდა და საბჭოთა კავშირის მოთხოვნილების 95 პროცენტს აკმაყოფილებდა. სულ უფრო მზარდი სახელმწიფო გეგმა მოითხოვდა მეტი მზა პროდუქციის დამზადებას, მაშინ, როცა ჩაის პლანტაციების ფართობი უმნიშვნელოდ იზრდებოდა. ჩაის პლანტაციებში, სამი ფოთლის ნაცვლად, ჩაი ტოტებიანად იჭრებოდა, შესაბამისად, შენდებოდა უზარმაზარი ფაბრიკები, რომლებიც წარმოების მოცულობის ზრდაზე იყო ორიენტირებული. ამის შედეგად, ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში ქართული ჩაის იმიჯი საგრძნობლად დაეცა და, საბოლოო ჯამში, ქართული ჩაი მხოლოდ სუროგატად აღიქმებოდა. რა თქმა უნდა, სპეციალური დანიშნულებისათვის კვლავ მზადდებოდა მაღალი ხარისხის ჩაი, რომელიც დიდი მოწონებით სარგებლობდა და დეფიციტსაც წარმოადგენდა.

1992-1993 წ.წ. საქართველოში განვითარებული პოლიტიკური მოვლენების გამო, ჩაის ფაბრიკების უმეტესობა გაჩერდა და, შედეგად, საბოლოოდ დაიკარგა რუსეთისა და ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ბაზარი. ეს ბაზარი კი ყოველწლიურად იზრდება, ვითარდება და მძაფრი კონკურენციით გამოირჩევა. ურთიერთობების აღდგენა ამდენი ხნის შემდეგაც საკმაოდ რთული აღმოჩნდა.

საბჭოთა ტრადიციებისა და ტექნოლოგიების მქონე ჩაის ფაბრიკები დღესაც აგრძელებენ უხარისხო პროდუქციის წარმოებას. ქართული ჩაი საექსპორტოდ მხოლოდ იმიტომ გადის, რომ დაბალი ფასი აქვს (2001 წელს ჩაის ექსპორტმა 5 ათასი ტონა შეადგინა). ქართველ ჩაის მწარმოებლებს კონკურენციის გაწევა შეეძლოთ მხოლოდ ფასით - ხარჯების შემცირება და შემცირების ყველაზე მარტივი საშუალება - იაფი ნედლეული.

თუ გავითვალისწინებთ, რომ უკანასკნელი თხუთმეტი წლის განმავლობაში ჩაის პლანტაციების შენარჩუნების, აღდგენისა თუ გამრავლებისათვის არანაირი ინვესტიცია არ ჩადებულა - ანუ არ განხორციელებულა აგროსამრეწველო სამუშაოები და, შესაბამისად, მწვანე ფოთლის ხარისხი მნიშვნელოვნად გაუარესდა, ადვილი წარმოსადგენია, რას ნიშნავს იაფი ნედლეული, ესაა ნამგლით მოჭრილი ჩაის ბუჩქის ტოტები, რომლისაგანაც კიდევ უფრო უხარისხო ჩაი მზადდება და ფასიც, ხშირ შემთხვევაში, თვითღირებულებაზე დაბალია. ერთი სიტყვით, ქართული ჩაის მწარმოებლებისათვის მოჯადოებული წრე იქმნება.

## მოჯადოებული წრე გაირღვა

CERMA-ს კონსულტანტთა ჯგუფმა ინტენსიურად დაიწყო ჩაის შერჩეული ექვსი საწარმოს შესწავლა და ანალიზი. პროექტის მიხედვით, ამ საწარმოებში უნდა მოეძიათ და რეალურად, ეფექტურად უნდა ამოქმედებულიყო ისეთი რესურსები, რომლებიც ხელს შეუწყობდა ქართული ჩაის საექსპორტო პოტენციალის განვითარებას. საწარმოების საქმიანობის ანალიზის საფუძველზე, გამოიკვეთა, რომ მათი მუშაობა, ძირითადად, ორიენტირებული იყო ჩაის რაოდენობის გაზრდაზე და არა ხარისხის დონის ამაღლებაზე, რამაც მკვეთრად გააუარესა ჩაის სანედლეულო ბაზა. ამას ხელი შეუწყო იმანაც, რომ არ ხდებოდა ჩაის პლანტაციების სწორი მოვლა-პატრონობა. ეს პრობლემა განსაკუთრებით გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან გამწვავდა, არადა საქართველოს ბუნებრივ-კლიმატური პირობები ნამდვილად იძლევა საშუალებას, რომ ჩაის პლანტაციებში არ იქნას გამოყენებული პესტიციდები, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საექსპორტო ბაზარზე.


საქართველოში ჯერ კიდევ მზადდება ევროპული დონის ჩაი.

იაფიანი ჩაის სეგმენტში კონკურენციის გაწევის ერთადერთი გზა ხარჯების შემცირებაა. ქართველი ჩაის მწარმოებლებისათვის ხარჯების შემცირების ყველაზე მარტივი საშუალებაა ნედლეულის იაფად შეძენა. ჩაის მწარმოებლებისათვის უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში შექმნილი მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალია მაღალი ხარისხის პროდუქციის დამზადება, რაც, თავის მხრივ, მაღალხარისხიან სანედლეულო ბაზას მოითხოვს. ამისთვის საჭიროა ინვესტიციების განხორციელება მძიმე და მსუბუქი გასხვლისათვის, სასუქების შესატანად. აღსანიშნავია ისიც, რომ ხარისხიან ნედლეულს შესაბამისი ტექნოლოგიური გადამუშავება სჭირდება, რისი საშუალებაც უმეტეს საწარმოში არ არსებობს. ესეც დამატებით ინვესტიციებს მოითხოვს. ამასთან, საკმაოდ დიდი თანხებია საჭირო დამზადებული ხარისხიანი ჩაის შესაბამისი მარკეტინგის განხორციელებისა და საერთაშორისო ბაზარზე გასვლისათვის.

როგორც აღვნიშნეთ, 2002 წლიდან CERMA-მ იმერეთის, სამეგრელოსა და გურიის რეგიონებში ექვს საწარმოსთან დაიწყო რესტრუქტურიზაციის პროექტის განხორციელება. სპეციალურად ამ მიზნისათვის ინგლისიდან მოიწვიეს დარგის გამოცდილი ექსპერტი ნაიჯელ მელიკანი, რომლის უშუალო მონაწილეობითაც სისტემატურად მიმდინარეობდა ჩაის პრობლემებზე და სამომავლო პერსპექტივებზე მუშაობა.

ხანმოკლე პერიოდში CERMA-ს საკონსულტაციო ჯგუფმა უცხოელ ექსპერტთან ერთად მოახერხა ჩაის ინდუსტრიის რეაბილიტაციის ეფექტური პროგრამის შემუშავება. ექსპერტის აზრით, ამ პროგრამის სრულყოფილად განხორციელებისათვის, ანუ პლანტაციების აღდგენის, საწარმოების განვითარებისა და ბაზარზე დამკვიდრებისათვის სამ-ხუთწლიანი პერიოდია საჭირო.

მიუხედავად ამისა, CERMA-მ პროექტის შეზღუდულ ვადებში შეძლო საწარმოებში საკმაოდ შთამბეჭდავი შედეგების მიღწევა. კერძოდ, ჩაის პლანტაციების საცდელ ფართობებზე განხორციელდა რეაბილიტაციით განსაზღვრული სამუშაოები, რის შედეგადაც მწვანე ფოთლის ხარისხი საშუალოდ 55 პროცენტით გაიზარდა. მოხდა ჩაის წარმოების პროცესების ოპტიმიზაცია. დაინერგა ხარისხის კონტროლის მექანიზმი წარმოების ყოველ ეტაპზე. თითოეულ საწარმოს აქვს 2004 წლის დეტალური სამოქმედო გეგმა, რომლის განხორციელებისას საწარმოები შეძლებენ ჩაის გაყიდვას უფრო მაღალფასიან სეგმენტზე. ქართული ჩაის პოპულარიზაციისა და რეკლამირებისათვის დაიბეჭდა ინგლისურენოვანი ფერადი ბროშურა, რომელიც 500-ზე მეტ საერთაშორისო ბროკერს დაეგზავნა. შეიქმნა და მუშაობს ვებგვერდი: www.georgia-tea.com შეიქმნა ათწუთიანი სარეკლამო ვიდეოფილმი ჩაის მწარმოებელ ფერმერთა ასოციაციაზე და ხელით დამზადებულ ჩაიზე.

მსოფლიოში ჩაის ინდუსტრიის განვითარების გლობალური ტენდენციების ანალიზის საფუძველზე, CERMA-ს საკონსულტაციო ჯგუფმა მოწვეულ ექსპერტთან ერთად შეიმუშავა სტრატეგია, რომლის თანახმად, საექსპერტო ბაზარზე შეღწევის უმოკლეს გზად მიჩნეულია მაღალხარისხიანი - სპეციალიზებული ჩაის დამზადება. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი - ახალ ბაზრებზე შესაღწევად ან ძველის დასაბრუნებლად აუცილებელია არა ცალკეული კომპანიების რეკლამირება, არამედ, ზოგადად, ქართული ჩაის იმიჯის შექმნა და ამაღლება. ქართულ ჩაის განსხვავებული არომატი და გემო აქვს. ეს უკვე საკმარისია, რომ მან თავისი ადგილი დაიმკვიდროს მსოფლიო ბაზარზე.

## სად მზადდება საუკეთესო ქართული ჩაი

საბედნიეროდ, აღმოჩნდა, რომ საქართველოში ჯერ კიდევ მზადდება ისეთი ჩაიც, რომელიც დღესვე შეიძლება შევთავაზოთ დასავლეთის მომხმარებელს. რამდენად უცნაურიც უნდა იყოს, ეს არის ოჯახებში, ხელით დამზადებული ჩაი, რომელიც დამზადების განსხვავებული ტექნოლოგიით გამოირჩევა და მისთვის ნედლეულის ზრდა და მოყვანა განსაკუთრებულ კლიმატში, ანუ საქართველოს სუბტროპიკულ ზონაში ხდება. ამ ჩაის აქვს თავისი ისტორია, თავისი სათქმელი მომხმარებლისათვის.

CERMA-ს საკონსულტაციო ჯგუფმა შეისწავლა საქართველოს ყველა ის კუთხე და ადგილი, სადაც ჩაის პლანტაციებია განლაგებული. ამ გამოკვლევების საფუძველზე, კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ოჯახურ პირობებში, ხელით დამზადებული ჩაი გამოირჩევა თავისი გარეგანი და ორგანოლეპტიკური მახასიათებლებით. ჩაის ნიმუშები ტესტირებისათვის სხვადასხვა ქვეყნის ჩაის საბროკერო კომპანიებში გაიგზავნა. მიღებულმა დასკვნებმა კი, როგორც CERMA-ში აღნიშნავენ, ხარისხობრივი შეფასების თვალსაზრისით, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

**"მივიღეთ თქვენი ჩაის ნიმუშები. გულითადი მადლობა ამ შესანიშნავი ჩაის გაცნობისათვის. მეტად საინტერესოა მათი წარმოების ისტორია, ძალიან გვინდა, შევიძინოთ ის. მოგვაწოდეთ ცნობები ფასებისა და ტრანსპორტირების შესახებ"** - ეს კანადის "ჩაის სახლის" შეფასებაა.

ნიუ-იორკიდან გამოგზავნილ ექსპერტთა დასკვნაში კი ნათქვამია **"დავლიეთ თქვენ მიერ მოწოდებული ხელით დამუშავებული ჩაი. ეს ჩაი ბრწყინვალეა, მოველით ამ ჩაის გასაყიდად გამოტანას. ხელით დამუშავებული შავი ჩაის მოზრდილი, ხელშეუხებელი ფოთლები შესანიშნავია. ჩაის არომატი კი მძაფრი, მდიდარი და ოდნავ ცხარეა, ამიტომ მრავალმხრივი გემო აქვს".**

ასე რომ, ჩაის საბროკერო კომპანიების წარმომადგენლებმა თანამშრომლობის სურვილი გამოთქვეს და პროდუქციის სისტემატური მიწოდება მოითხოვეს.

როგორც CERMA-ს საკონსულტაციო ჯგუფის ხელმძღვანელმა თამაზ მიქაძემ აღნიშნა: **"ხელით დამუშავებულ ჩაის მყიდველი გამოუჩნდა, მაგრამ ამავე დროს გაჩნდა პრობლემა - როგორ უნდა დაგვეკმაყოფილებინა მათი მოთხოვნები. კერძოდ, ჩვენ მიერ შესწავლილი თითოეული ოჯახი, საშუალოდ, წლის მანძილზე ამზადებს 100-120კგ პროდუქციას. ეს ვერ დააკმაყოფილებდა მყიდველის მოთხოვნას. ამიტომ CERMA-ს საკონსულტაციო ჯგუფმა შეიმუშავა რეკომენდაცია - შექმნილიყო მეჩაიე ფერმერთა გაერთიანება-ასოციაცია, რომელიც შეძლებდა მაღალხარისხიანი, კონკურენტუნარიანი პროდუქციის საჭირო რაოდენობით დამზადებას და საერთაშორისო ბაზრის მყიდველის მოთხოვნის დაკმაყოფილებას".**

## "კავკასიური ჩაი"

2003 წლის ოქტომბერში, ქართული ჩაის მწარმოებელ ფერმერთა ერთიანი სურვილით, შეიქმნა ჩაის ხელით დამამზადებელ ფერმერთა ასოციაცია "კავკასიური ჩაი". ამ ასოციაციის ძირითადი მიზანია, ხელი შეუწყოს ქართული ჩაის წარმოების განვითარებას საექსპორტო პოტენციალის გამოყენებით. ამასთან, ასოციაციის საქმიანობა ქართულ ბაზარზე მაღალხარისხიანი პროდუქციის შეტანასაც ითვალისწინებს.

დღეისათვის ასოციაციაში გაწევრიანებულია იმერეთის, გურიის, სამეგრელოს რეგიონების თხუთმეტამდე რაიონის 420 ფერმერი. მათთვის ყოფილი საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიებიდან პერსონალურად გამოყოფილია ჩაის პლანტაციები, რომლებსაც თავად უვლიან და შემდეგ აქ მოკრეფილ ჩაის ხელით ამუშავებენ. კრეფენ მხოლოდ ორ ფოთოლსა და დუყს, შემდეგ აღნობენ და ხელით გრეხენ, რაც ყველაზე შრომატევადი პროცესია.

CERMA-ს საკონსულტაციო ჯგუფის დახმარებით, ფერმერების მიერ ხელით დამზადებული პროდუქციისათვის უკვე არსებობენ პოტენციური მყიდველები აშშ-დან, კანადიდან, დიდი ბრიტანეთიდან, ცენტრალური ევროპიდან. ამგვარად CERMA-ს დახმარებით, ამ ჩაის გაუჩნდა ბაზარი და ამ ბაზარზე დამკვიდრების პერსპექტივა.

CERMA-ში აცხადებენ, რომ მყიდველის მოთხოვნა ყოველთვის ერთია - მაღალი ხარისხის პროდუქცია. საკმარისია ამ ხარისხის დონე დაეცეს, რომ მყიდველი მასზე უარს ამბობს. მათივე თქმით, ხარისხის მიღწევა ერთდროულად 420 ფერმერთან მეტად რთულია. ამის გამო, სერმას საკონსულტაციო ჯგუფმა საერთაშორისო ექსპერტთან ერთად შეიმუშავა და ასოციაციებშიც დაინერგა ოჯახურ პირობებში ჩაის ხელით დამზადების ტექნოლოგიური პროცესების მართვის ერთიანი სისტემა, რომელიც ჩაის წარმოების პროცესზე და ხარისხზე კონტროლს ითვალისწინებს.

ადვილი მისახვედრია და ეს CERMA-ს მიერ მეჩაიე ფერმერების საქმიანობის შესწავლის დროსაც გამოიკვეთა, რომ ჩაის დამზადების პროცესში ერთ-ერთი ურთულესი პრობლემაა ჩაის შრობა, რაც მზის სხივების ქვეშ ხდება და ამიტომ, ამინდის შეცვლისას შესაძლებელია, არათანაბრად წარიმართოს. ამ პრობლემის გადასაწყვეტად CERMA-ს საკონსულტაციო ჯგუფმა, საერთაშორისო ექსპერტის რეკომენდაციით,ააწყო საშრობი დანადგარი, რომელიც მზის ენერგიას მაქსიმალურად იყენებს. ეს დანადგარი მეტად მარტივი კონსტრუქციისაა და ფერმერებს ოჯახურ პირობებშიც შეუძლიათ დიდი დანახარჯების გარეშე დაამზადონ.

მეჩაიე ფერმერთა ასოციაციაში თანამშრომლობის მთავარი სტიმული ის გახლავთ, რომ თუ ისინი შეძლებენ სისტემატურად დაამზადონ მაღალხარისხიანი, კონკურენტუნარიანი პროდუქცია, გარანტირებულნი იქნებიან მათი პროდუქციის მაღალ ფასებში რეალიზაციით.

მიღწევად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ მარტის თვის ბოლოსათვის ლას-ვეგასში (აშშ) დაგეგმილ ჩაის სპეციალიზებულ გამოფენაზე მონაწილეობას მიიღებს ამ ასოციაციის მიერ დამზადებული ჩაის ნიმუშები. ეს არის ერთ-ერთი აუცილებელი გზა საერთაშორისო ბაზარზე გასასვლელად და, რაც მთავარია, ქართული ჩაის ღირსების აღსადგენად.

## ნაიჯელ მელიკანი: "CERMA-მ საქართველოში კარგი ბიზნეს მენეჯმენტი შემოიტანა"

რაც შეეხება ქვეყნისათვის CERMA-ს მიერ მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით საქართველოში განხორციელებული პროექტის მნიშვნელობას, ექსპერტ ნაიჯელ მელიკანის შეფასებით, პროექტმა ძალიან დიდი დახმარება გაუწია და ბიძგი მისცა ქართული ჩაის ინდუსტიის აღორძინებას. ჩაის მრეწველობამ საქართველოში 1990 წლის შემდეგ სერიოზული კრიზისი განიცადა და 200 ათასი ტონიდან 2002 წელს 8 ათას ტონა ჩაის წარმოებამდე დავიდა. მისი აზრით, **CERMA-მ საქართველოში კარგი ბიზნეს მენეჯმენტი და საერთაშორისო ჩაის ექსპერტიზა შემოიტანა, ჩაატარა არსებული ჩაის ინდუსტრიის ანალიზი, რის საფუძველზეც, დაიგეგმა მისი მომავალი. გამოკვლეულ იქნა მნიშვნელოვანი საკითხები. დასკვანა ასეთია - პლანტაციები და ფაბრიკები, ძირითადად, ძალიან ცუდ მდგომარეობაშია. ბუჩქები, სასუქის უკმარისობის გამო, ხმება და ნადგურდება. ტექნიკა მოშლილია და ელექტროენერგიის უწყვეტი წყაროს უკმარისობა აფერხებს წარმოებას. ყოფილი მუშები და მეწარმეები მაინც ენთუზიაზმით არიან განწყობილნი ამ ინდუსტრიის მიმართ. საქართველოში აუცილებელი გაითვითცნობიერონ, თუ როგორ ფუნქციონირებს მსოფლიო ჩაის ინდუსტრია, როგორ ინარჩუნებს ხარისხს და როგორ ხდება ამ პროდუქციის რეალიზება. საბჭოთა კავშირის დროინდელი მაღალი ხარისხის ჩაის ინდუსტრიას დღეს მომავალი არ გააჩნია, რადგან მსოფლიოში დაბალი ხარისხის და ფასის ჩაის მარაგი საკმაოა; ამიტომ, საჭიროა ქართული ჩაის ინდუსტრიის გადასარჩენად რადიკალური რეფორმების გატარება".** ნაიჯელ მელიკანის თქმით, ზოგიერთ სოფელში კერძო მეწარმეები ისევ აწარმოებენ მცირე რაოდენობით ჩაის. ძირითადად, ეს ხელით ან სახლში გაკეთებული მანქანებით ხორციელდება. ამ სახის ჩაით შეიძლება დაინტერესდეს დასავლეთ ქვეყნების სპეციფიკური ბაზრები. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოში არსებობს მაღალხარისხიანი და საექსპორტო ჩაის წარმოების პოტენციალი.

ნაიჯელ მელიკანი აღნიშნავს, რომ ყველა ზემოთ მოყვანილი ფაქტი გამოვლინდა CERMA-ს კონსულტანტების მიერ. მათი ძირითადი მიზანი იყო იმის დამტკიცება, რომ სერიოზული ინვესტიციების ჩადებით, მაღალი ხარისხის ტექნიკური და მარკეტინგული ცოდნის და გამოცდილების უზრუნველყოფით საქართველოს ჩაის ინდუსტრიას საუკეთესო მომავალი ექნება, **"ოღონდ მაღალი შედეგების მისაღწევად აუცილებელია CERMA-ს მიერ შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინება, რადგან მათ გარეშე ქართული ჩაის ინდუსტრია განწირულია".**

# ირიგაციისა და დრენაჟის სისტემების რეაბილიტაციამ კეთილდღეობა დაუბრუნა ქართულ სოფლებს

*"შენ საჩუქრად გეძლევა 100 დოლარი, ოღონდ ამისათვის ისევ შენთვის, შენს ნაკვეთზე, შენთვისვე სასარგებლოდ 25 დოლარის სამუშაო შეასრულე, ან შემოიტანე 25 დოლარი, რომ იქირაო ადამიანი, რომელიც სასარგებლო საქმეს გააკეთებს შენი მეურნეობისათვის," – ეს მიდგომა გასაგებია და მისაღები, რადგან ფერმერის შრომა, მორწყვისა და დრენაჟის გარეშე, ან ნაკლებად ეფექტურია, ან სულაც წყალშია ჩაყრილი.*

## რატომ ვიხდით წყლის გადასახადს?

ამ კითხვას დღეს უკვე აღარ სვამენ ის ფერმერები, რომლებმაც სრულად მიიღეს მსოფლიო ბანკისგან დაფინანსებული "ირიგაციისა და დრენაჟის მომხმარებელთა ორგანიზაციების განვითარების პროექტის" სიკეთე. პროექტის განხორციელება დაგეგმილია ხუთი წლის განმავლობაში (2002-2007 წლებში) და მისი მთლიანი ღირებულება 32,5 მილიონ დოლარს შეადგენს.

მსოფლიო ბანკის მოთხოვნით, ჩამოყალიბდა სამელიორაციო ასოციაციები, რაც პროექტის დაფინანსების ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობად ჩაითვალა. ზოგიერთ რაიონში სამელიორაციო ასოციაციები კოოპერატივების ბაზაზე შეიქმნა და მათ მართვაში ჩაერთნენ ის ფერმერები, რომელთა ფართობებზეც მოქმედებს ესა თუ ის ასოციაცია.

**"დღეს პირველი ნაბიჯები იდგმება. ასოციაციები მთელ საქართველოს მოიცავს. ინერგება ფასიანი წყალმომარაგება, რომელშიც არა წყლის, არამედ სწორედ მომსახურების საფასური შევა. ჩვენი პროექტი ეხმარება ასოციაციებს ჩამოყალიბებაში. საბოლოოდ, ფერმერებმა თავად უნდა მართონ ეს სისტემა და მიიღონ ისეთი მაღალი შემოსავალი, რომელსაც ისინი ნამდვილად იმსახურებენ,"** – აცხადებს პროექტის ტექნიკური მენეჯერი კოკა მგელაძე. მისი თქმით, ასოციაციების მუშაობის ანალიზი ცხადყოფს, რომ კითხვა, - რატომ ვიხდით წყლის გადასახადს, - აქტუალობას კარგავს. ჩნდება მოთხოვნა, რომ იყოს წყალი და ფერმერებიც მზად არიან, გადაიხადონ მისი საფასური.

**"ფერმერებმა დათვალეს მელიორაციით მიღებული მოგება. მათ დაინახეს ის ეფექტი, რომელსაც ასოციაციების მუშაობა იძლევა. ამის მაგალითები ბევრია: კახეთი და გურია, ახალციხე და ხაშური. დღეს გლეხს სრულად აქვს გაცნობიერებული, რომ მოცემულ ეტაპზე მიწაა მისი რეალური მარჩენალი და მას მოვლა უნდა,"** – აღნიშნავს კოკა მგელაძე.

ფერმერთა ასოციაციებში გაწევრიანების პროცესი ინტენსიურად გრძელდება. მაგალითად, ქვემო ალაზნის ზონაში ტერიტორიის 90 პროცენტი ასოციაციებითაა დაფარული. სულ საქართველოს მასშტაბით, პროექტის ხელშეწყობით, ჩამოყალიბდა 58 სამელიორაციო ასოციაცია, რომელთა საერთო მომსახურების ტერიტორიამ 46040 ჰექტარი შეადგინა. კახეთში, თელავსა და ახმეტაში 10 ასოციაციაა ჩამოყალიბებული, გურჯაანში, სიღნაღსა და საგარეჯოში – 14, შიდა და ქვემო ქართლში 15 ასოციაციაა, რომელიც 12614 ჰექტარს ემსახურება. სამეგრელოში, ხობის რაიონში 6 სამელიორაციო ასოციაცია მოქმედებს, ამდენივე - გურიაში, ლანჩხუთში. აჭარაში მხოლოდ ერთი ასოციაციაა ქობულეთში, რომელიც 266 ჰექტარს ემსახურება. სამცხე-ჯავახეთში 6 ასოციაციაა და მათი მოქმედების არეალი 1712 ჰექტარს ფარავს.

2001-2003 წლებში, პროექტის ფარგლებში, სამელიორაციო ასოციაციებს ჩაუტარდათ ტრენინგები აგრობიზნესის მართვაში, ზოგადად, სოფლის მეურნეობასა და ორგანიზაციულ განვითარებაში.

## რა არის ასოციაცია?

სამელიორაციო ასოციაცია მიწის მფლობელთა ნებაყოფლობითი გაერთიანებაა, რომლის ფუნქციაა მის ტერიტორიაზე არსებული სარწყავი თუ სადრენაჟო არხების რეაბილიტაცია, მოვლა და შემდგომი განვითარება.

პროექტის ფარგლებში, ასოციაციებს მათ ტერიტორიაზე განლაგებული არხების სატუმბი სადგურები უფასოდ და უვადოდ გადაეცათ. ამავე დროს ისინი 12 წლით ქონების გადასახადისაგან გათავისუფლდნენ. გარდა ამისა, ყოველ ჰექტარზე ასოციაციებს მიეცემათ 100 ამერიკული დოლარის შესაბამისი ფულადი გრანტი აღდგენითი სამუშაოებისა და მისი შემდგომი გამოყენებისათვის. ეს თანხა არ არის სესხი და, შესაბამისად, მისი დაბრუნება გათვალისწინებული არ არის. თუმცა, არსებობს ერთი მოთხოვნა - აუცილებელია, რომ ასოციაციებმა საკუთარი ტერიტორიების ერთ ჰექტარზე 25 დოლარის ეკვივალენტის სამუშაო შეასრულონ.

პროექტის ამ მიმართულების პირველი ეტაპი ასეთი ასოციაციების განვითარება და მათი შემდგომი გაძლიერებაა. მეორე ეტაპზე გათვალისწინებულია მათი გამსხვილება და გაერთიანება. პროექტი აძლევს ერთჯერად დახმარებას ასოციაციებს, რათა ისინი განვითარდნენ, შემოსავალი მიიღონ და მიაჩვიონ თავიანთი წევრები იმ აზრს, რომ თავად დადგნენ ფეხზე.

## საჭირო პროექტის მოულოდნელი ხარვეზები

"ირიგაციისა და დრენაჟის მომხმარებელთა ორგანიზაციების განვითარების პროექტის" საკრედიტო ხელშეკრულებას ხელი 2001 წლის 5 ოქტომბერს მოეწერა. იმავე წელს საქართველოს პარლამენტმა ამ ხელშეკრულების რატიფიკაცია მოახდინა. პარალელურად, იმის გათვალისწინებით, რომ პროექტის წარმატებით განხორციელებას სოფლის მეურნეობის განვითარება უნდა გამოეწვია, ცვლილებები საგადასახადო კოდექსშიც შევიდა. სამელიორაციო ასოციაციები 12 წლით გაათავისუფლეს ქონების გადასახადისგან. თუმცა, პროექტის მიმდინარეობის მეორე წელს თავი იჩინა საკანონმდებლო შეუსაბამობამ, რომლის მოგვარებასაც, ჯერჯერობით, საქართველოს ხელისუფლება ვერ ახერხებს.

საქმე ისაა, რომ ასოციაციებს, უვადო, უსასყიდლო უზურფრუქტის წესით, უნდა გადაეცეთ ის სამელიორაციო ინფრასტრუქტურა (სარწყავი, სადრენაჟო არხები, ჰიდროტექნიკური ნაგებობები და სატუმბი სადგურები), რომელიც მათი მოქმედების არეალშია განლაგებული. ქონების გადაცემა ხდება ხელშეკრულებით ასოციაციასა და ადგილობრივ მმართველობებს შორის. სამოქალაქო კოდექსით ასეთი ხელშეკრულების გასაფორმებლად აუცილებელია წერილობითი ფორმა, რომელიც ნოტარიულად უნდა დამოწმდეს. ეს კი, თავისთავად, გულისხმობს, რომ ხელშეკრულების დასამოწმებლად და სანოტარო მომსახურებისათვის ასოციაციამ გარკვეული საზღაური უნდა გადაიხადოს, რომელიც გარიგების საგნის, ამ შემთხვევაში კი, სამელიორაციო ნაგებობის ღირებულებიდან გამოითვლება.

**"ჩვენ ვითხოვთ, რომ შევიდეს ცვლილება შესაბამის კანონებში, რათა სანოტარო მომსახურების საზღაური მინიმალურ, სიმბოლურ თანხამდე შემცირდეს. ამით მოგვარდებოდა სერიოზული პრობლემა მელიორაციის დარგში მიმდინარე რეფორმის გზაზე,"** – მიიჩნევს კოკა მგელაძე. ამ პრობლემამ, მსოფლიო ბანკის პროექტის ხელშეწყობით, მიმდინარე რეფორმა შეჩერების საფრთხის წინაშე დააყენა, რადგან პროექტი არ ითვალისწინებდა სანოტარო მომსახურების საზღაურის გადახდას, ასოციაციებს კი არ აქვთ ამ თანხის გადახდის შესაძლებლობა.

კანონით, სანოტარო საზღაური საგნის (ამ შემთხვევაში სამელიორაციო ნაგებობის) ღირებულების საფუძველზე უნდა გამოითვალოს. ასოციაციისთვის 500 ათასი ლარის ღირებულების ქონების გადაცემის შემთხვევაში, მან 565 ლარი უნდა გადაიხადოს, ერთი მილიონი ლარის საბალანსო ღირებულების ქონების შემთხვევაში – 1 662 ლარი, ორი მილიონი ლარის შემთხვევაში კი - 2 165,5 ლარი.

ამასთან, გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ასოციაციებისათვის გადასაცემი სამელიორაციო ინფრასტრუქტურა უმეტეს შემთხვევაში გაძარცვულია, ამორტიზებული და ავარიულ მდგომარეობაშია; ზოგან კი საერთოდ აღარ არსებობს. აქედან გამომდინარე, ასეთი ნაგებობების დაფიქსირებული საბალანსო ღირებულება, რომელიც 10-15 წლის წინათაა გამოთვლილი, არარეალურია, რადგან ამ ხნის მანძილზე შიდა სასოფლო-სამეურნეო ქსელის ინვენტარიზაცია-შეფასება არ მომხდარა.

მსოფლიო ბანკის პროექტში მიიჩნევენ, რომ ამ პრობლემის მოსაგვარებლად აუცილებელია შევიდეს ცვლილება შესაბამის კანონმდებლობაში და საზღაური განისაზღვროს ნომინალური ერთი ლარის ოდენობით.

არაერთი თვეა, ამ საკითხზე მიმდინარეობს მიმოწერა სოფლის მეურნეობისა და იუსტიციის სამინისტროებს შორის. თუმცა, მანამდე, ვიდრე მთავრობა საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს, პროექტის გადასარჩენად ისევ მსოფლიო ბანკმა იზრუნა. შარშან დეკემბერში ბანკის საზედამხედველო მისიამ, რომელიც საქართველოში ვიზიტად იმყოფებოდა, მთავრობას ე.წ. სამუშაო ჩანაწერები დაუტოვა, სადაც ვკითხულობთ: **"პროექტის ტექნიკური ერთეული მისიის წევრებთან ერთად ეთანხმება იმას, რომ იმ ექვსმა სამელიორაციო ასოციაციამ, რომელთა განვითარების გეგმები მომზადების პროცესშია, გამოიყენონ საწყისი სახსრები სანოტარო საზღაურის გადასახდელად. საბედნიეროდ, ამ ასოციაციების შემთხვევაში საზღაური მცირეა და არ აღემატება 300 ლარს. ეს უზრუნველყოფს ინფრაქტრუქტურის გადაცემის დაკანონებას სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყებამდე."**



*სამელიორაციო ასოციაციების მართვაში ფერმერები აქტიურად ჩაერთვნენ.*

## ვის ეკუთვნის ქვემო ალაზნის სარწყავი სისტემა?

ამ კითხვაზე პასუხი სასამართლოს უნდა გასცეს, რადგან მესაკუთრე ქვემო ალაზნის სარწყავ სისტემას მოულოდნელად მას შემდეგ გამოუჩნდა, რაც ამ ობიექტზე სარეაბილიტაციო სამუშაოები "ირიგაციისა და დრენაჟის მომხმარებელთა ორგანიზაციების განვითარების პროექტმა" დაიწყო.

ქვემო ალაზნის სარწყავი სისტემა და მისი სათავე ნაგებობა სახელმწიფო დანიშნულების სტრატეგიული ობიექტია. სარწყავი სისტემა ემსახურება კახეთის მხარის თელავის, გურჯაანის, სიღნაღის და დედოფლისწყაროს რაიონების 40 000 ოჯახს. მისი საშუალებით ირწყვება 22 500 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული და წყალი მიეწოდება 5 მეგავატი სიმძლავრის ალაზანჰესს, რომელიც ელექტროენერგიით უზრუნველყოფს გურჯაანის რაიონის სოფლებსა და საწარმოებს. ამგვარად, ქვემო ალაზნის სარწყავი სისტემის სათავე ნაგებობის რეაბილიტაციის განხორციელებას და დროულად დამთავრებას განსაკუთრებული სახელმწიფო მნიშვნელობა აქვს.

ამ ობიექტზე სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს მსოფლიო ბანკის საკოორდინაციო ცენტრის დაკვეთით, 2001 წლის 5 ოქტომბერს საქართველოს მთავრობასა და მსოფლიო ბანკის საერთაშორისო განვითარების ასოციაციას შორის ხელმოწერილი საკრედიტო ხელშეკრულების საფუძველზე, რომელსაც 2001 წლის 21 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა რატიფიკაცია გაუკეთა.

ამის მიუხედავად, წელს, თებერვალში თელავის რაიონული სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას, რომლის საფუძველზეც, ქვემო ალაზნის სარწყავი სისტემის სათავე ნაგებობაზე აღდგენითი სამუშაოები ჩერდება. მიზეზი კი ამ ნაგებობის მესაკუთრის გამოჩენაა, რომელიც ამტკიცებს, რომ სწორედ მას მიენიჭა სათავე ნაგებობის მშენებლობის უფლება და მსოფლიო ბანკის საკოორდინაციო ცენტრი და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტი სამართლებრივი საფუძვლების გარეშე არიან შეჭრილები ობიექტზე.

მსოფლიო ბანკის საკოორდინაციო ცენტრში კი საქმის რეალურ გარემოებაზე ამახვილებენ ყურადღებას. კერძოდ, აღნიშნული საკრედიტო ხელშეკრულების საფუძველზე, კონტრაქტორი აწარმოებს არსებული სათავე ნაგებობის სარეაბილიტაციო სამუშაოებს და არა საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანილი დაუმთავრებელი, მშენებარე სათავე ნაგებობის მშენებლობას.

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სათავე ნაგებობა წარმოადგენს სახელმწიფო სარაიონთაშორისო დანიშნულების სამელიორაციო ობიექტს და მისი გარკვეული ნაწილის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხაში შეტანა თავიდანვე არაკანონიერად მოხდა. თანაც, მოდავე მხარეს დღემდე არა აქვს შესრულებული ქონების მართვის სამინისტროსთან 1996 წელს გაფორმებული ხელშეკრულების პირობები. ამიტომ, ქონების მართვის სამინისტროს მის წინააღმდეგ საქმე აქვს აღძრული თელავის რაიონულ სასამართლოში. აქედან გამომდინარე, დაუმთავრებელი ნაგებობა დღესაც არ წარმოადგენს მის საკუთრებას.

საკოორდინაციო ცენტრში აცხადებენ, რომ ტექნიკურ-ეკონომიკური და სოციალური პირობების გამო, სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობის დიდი ხნით შეჩერება შეუძლებელია - კერძოდ, ამჟამად არსებული სათავე ნაგებობა არ ფუნქციონირებს, რეაბილიტაციის პროცესშია და მოსახლეობისა და ჰესის საჭიროებისათვის წყლის მიწოდება ხდება კონტრაქტორის მიერ, დროებითი ზღუდარებისა და დროებითი არხის მეშვეობით. აქედან გამომდინარე, სარეაბილიტაციო სამუშაოების ერთი თვით შეწყვეტაც კი გამოიწვევს წყლის რეგულირების მოშლას - მშრალ სეზონში სარწყავი წყლის მიწოდების შეწყვეტას (ასევე ჰესის გაჩერებას), ხოლო წყალდიდობისას - ფართობებისა და მოსახლეობის დატბორვას. ყოველივე ეს, თავისთავად, გამოიწვევს მოსახლეობის (ფერმერების) მნიშვნელოვან მატერიალურ ზარალს და უკმაყოფილებას, რაც, შესაბამისად, მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის საზოგადოებრივ წესრიგს (მიტინგები, გზების გადაკეტვა და სხვა).

გარდა ამისა, სამუშაოების შეჩერება მნიშვნელოვან მატერიალურ ზარალს მიაყენებს სახელმწიფოსაც (ხარჯების 80 პროცენტი ფინანსირდება მსოფლიო ბანკის კრედიტით, 20 პროცენტი კი - სახელმწიფო ბიუჯეტით), ვინაიდან მდინარე ალაზნის ადიდების შემთხვევაში, მთლიანად განადგურდება უკვე შესრულებული და ანაზღაურებული სარეაბილიტაციო სამუშაოების მნიშვნელოვანი ნაწილი და გაურკვეველი დროით გადაიდება სათავე ნაგებობისა და სარწყავი სისტემის რეაბილიტაციის პროცესი. ყოველივე ეს გამოიწვევს როგორც სათავე ნაგებობის, ასევე, მთლიანად სარწყავი სისტემის მწყობრიდან გამოსვლას, რაც, თავისთავად, მომავალში შეუძლებელს გახდის სისტემის ექსპლუატაციას, წყალმომხმარებელთათვის საჭირო წყლის მიწოდებას, გამოიწვევს ძალიან დიდ მატერიალურ ზარალს და ფერმერთა სრულ გაღატაკებას.



*ქვემო ალაზნის სათავე ნაგებობაზე დამატებითი წყალმიმღები გაკეთდა.*

მიმდინარე წლის 23 თებერვალს ცენტრმა კერძო საჩივრით მიმართა თელავის რაიონულ სასამართლოს, სადაც დასაბუთებულად მოითხოვა სარეაბილიტაციო სამუშაოების შეჩერების შესახებ 2004 წლის 4 თებერვლის განჩინების გაუქმება. თელავის რაიონული სასამართლოს ცნობით, ცენტრის საჩივარი განსახილველად გადაეგზავნა საოლქო სასამართლოს, რომლის გადაწყვეტილებამდე სამუშაოები შეჩერებულია.

## "ხელგაშლილობა" და "კარგი პირობა"

"იბერია (საქართველო) უკეთ ირწყვება, ვიდრე ეგვიპტე და ბაბილონი," – ეს სიტყვები სტრაბონმა ჩვენს წელთაღრიცხვამდე პირველ საუკუნეში თქვა. საქართველო ისტორიულად მიწათმოქმედთა ქვეყანაა და, კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, ჩვენში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა სამელიორაციო სისტემების განვითარებას, მის მოვლა-პატრონობას.

სწორედ სამელიორაციო სისტემების მნიშვნელობიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობამ მიმართა საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებს ამ სისტემებზე აღდგენითი სამუშაოების ჩატარებისათვის დახმარების აღმოსაჩენად. ამ თხოვნას გამოეხმაურა მსოფლიო ბანკი. მან თანხები სამელიორაციო სისტემების აღდგენისა და, ზოგადად, ამ დარგის ინსტიტუციური განვითარებისათვის გამოყო, რაც, პირველ რიგში, აღდგენილი სისტემების სწორედ მართვას გულისხმობს. მაგალითისათვის ესპანეთი გამოდგება, სადაც სამელიორაციო ასოციაციების მართვის 300-წლიანი გამოცდილება არსებობს. სხვათა შორის, სათანადო კანონმდებლობა ესპანეთში იმდენად სრულყოფილია, რომ იგი დღემდე, თითქმის, არც კი შეცვლილა.

მსოფლიო ბანკი სამელიორაციო პროექტებს სხვა ქვეყნებშიც ახორციელებს. მათ შორის, ყველაზე წარმეტებული მექსიკის პროექტია. გარდა ამისა, მსგავსი პროექტები მუშაობს ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებშიც – სომხეთში, აზერბაიჯანში, ყირგიზეთსა და ყაზახეთში.

სხვათა შორის, გასული საუკუნის დასაწყისში, საბჭოთა მმართველობის პირველ წლებში საქართველოში ე.წ. "სამელიორაციო ამხანაგობები" არსებობდა, რომლებიც მართავდნენ სარწყავ სისტემებს. მოგვიანებით, როდესაც მსხვილი კოლმეურნეობები და მეურნეობები შეიქმნა, ამ სისტემებზე ზრუნვა მათ კომპეტენციაში გადავიდა. საბჭოთა კავშირისა და მასთან ერთად მეურნეობების დაშლის შემდეგ სამელიორაციო სისტემები გაიძარცვა და განადგურდა. დარჩა მხოლოდ ექსპლუატაციისთვის უვარგისი სამელიორაციო მეურნეობა. მიწების მასობრივი პრივატიზების შემდეგ ირიგაციისა და დრენაჟის პრობლემები გლეხის, ფერმერის წინაშე, თითქმის, გადაუჭრელ ამოცანად დადგა.

"ირიგაციისა და დრენაჟის მომხმარებლთა ორგანიზაციების განვითარების პროექტი", პირველ რიგში, ამ პრობლემის მოსაგვარებლადაა შექმნილი. თუმცა, არცთუ იშვიათად წარმატებული ასოციაციები, მათგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ზარალდებიან. მათ წინაშე გადაუჭრელ პრობლემად დგას ენერგოკრიზისი. ასე მაგალითად, პატარა ფოთის ტერიტორიაზე განთავსებული ასოციაციის წევრებისათვის გაუგებარია, როდესაც ბიუროკრატიული უგულისყურეობისა თუ დანაშაულებრივი გულგრილობის შედეგად, ელექტროენერგიის არასაკმარისი მიწოდების გამო, ფერმერებმა უდიდესი ზარალი ნახეს. მოყვანილი მოსავალი, ორჯერ სასუქშეტანილი ყანები, სატუმბი სადგურის არჩართვის გამო, სასილოსედ გადაიქცა. არადა, პატარა ფოთის ტერიტორიაზე უკვე აღდგენილია სატუმბი სადგური, გაწმენდილია არხები და კრიტიკულ მომენტში, მაგალითად, წყალდიდობის დროს ელექტროენერგიის მიუწოდებლობა უდიდეს შრომას, პრიდაპირი მნიშვნელობითაც, წყალში ყრის.

**"საქართველოს ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე, არ გვჭირდება კოლოსალური თანხების ხარჯვა წყლის რესურსის მოძიებაზე, მაგრამ ამ ბუნებრივ სიმდიდრეს სწორედ მართვა სჭირდება, რათა სასურველი შედეგები მოგვცეს. აი, აქ უნდა ჩაერთოს სამელიორაციო ასოციაცია, ხოლო სახელმწიფომ პასუხისმგებლობა მთელი პროცესის მართვაზე უნდა აიღოს,"** – აცხადებს კოკა მგელაძე. ის იხსენებს პროექტის განმახორციელებელი ჯგუფის შეკრებებს რეგიონებში, სადაც ფერმერები უამრავ შეკითხვას სვამდნენ პროექტის შესახებ, განსაკუთრებით, იმ "ხელგაშლილობისა" და "კარგი პირობის" თაობაზე, რომელსაც მსოფლიო ბანკის პროექტი სამელიორაციო ასოციაციებს სთავაზობს.

# ტყის განვითარების პროექტი

*საქართველო უნიკალური ბუნების, მცენარეული საფარით მდიდარი ქვეყანაა. ტყეს მისი ტერიტორიის 40 პროცენტი უკავია. ერთ სულ მოსახლეზე საქართველოში 80 კუბურ მეტრზე მეტი მერქანი მოდის, რაც სამჯერ აღემატება ევროპის იგივე მაჩვენებელს. სამწუხაროდ, ამ უზარმაზარ სიმდიდრეს საქართველოში სათანადო ყურადღება ვერ ექცევა. პოსტსაბჭოთა ხანაში ძველი და, თუ შეიძლება ასე ითქვას, გამოცდილი სისტემის ნგრევის შემდეგ შიდაომების, ეკონომიკური, სოციალური თუ ენერგეტიკული კრიზისების, უამრავი სხვა პრობლემის წინაშე მდგარ საქართველოში სატყეო სფერო, ისევე, როგორც სხვა სფეროები, ფაქტობრივად, უყურადღებოდ იყო დარჩენილი. ტყე, შემოსავლების, ელემენტარული საყოფაცხოვრებო პირობების გარეშე დარჩენილი ადამიანებისთვის გახდა არა მარტო გათბობის, ლუკმა პურის შოვნის საშუალებაც, რამაც გაზარდა დაწოლა ქვეყნის ამ უნიკალურ რესურსზე, რის შედეგადაც გამოიკვეთა ტყეების დეგრადაციის ტენდენცია. აშკარა გახდა, სატყეო დარგის გადაუდებელი დახმარების აუცილებლობა, კერძოდ - დარგის რესტრუქტურიზაცია, ინსტიტუციონალური გაძლიერება, კადრების თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად გადამზადება, უახლესი ტექნოლოგიების დანერგვა, ტყის მართვაში საბაზრო ეკონომიკის და ტყის მდგრადი განვითარების პრინციპების დანერგვა. ყოველივე ეს საჭიროებდა ფინანსურ უზრუნველყოფას, რისთვისაც საქართველოს მთავრობამ მსოფლიო ბანკს მიმართა თხოვნით.*


*რაჭა - ტყის ბიომრავალფეროვნების ბუნებრივი მუზეუმი.*

მსოფლიო ბანკი გამოეხმაურა საქართველოს მთავრობის თხოვნას და 1998 წელს იაპონიის მთავრობამ, გრანტის სახით, ქვეყანას გამოუყო, დაახლოებით, 300 ათასი დოლარი, რომელიც ტყის განვითარების პროექტის შემუშავებას მოხმარდა. მასში აისახა ის ძირითადი გადაუდებელი ქმედებები, რომელთა განხორციელებაც სატყეო სექტორში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის არის გამიზნული.

აღნიშნული გრანტის ფარგლებში შემუშავდა ტყის განვითარების პროექტი. მისი ძირითადი მიზანია სატყეო მეურნეობის მდგრადი განვითარების ისეთი სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც მინიმუმამდე დაიყვანს გარემოზე ზიანის მიყენების შესაძლებლობებს და მაქსიმალურად გაზრდის საქართველოს სატყეო სექტორის წილს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისა და სიღარიბის შემცირების საქმეში.

ამ მიზნის მისაღწევად პროექტში გათვალისწინებულია მთელი რიგი ქმედებები - კომპონენტები. პროექტი ოთხი კომპონენტისაგან შედგება. მეოთხე კომპონენტი პროექტის მართვასა და ადმინისტრირებას ეხება, პირველი სამი – უშუალოდ ტყის განვითარებას.

პირველი კომპონენტი გულისხმობს სატყეო სექტორის მართვის გაუმჯობესებას საკანონმდებლო ბაზის, ფინანსური და ინსტიტუციონალური რეფორმიების საშუალებით. ამ კომპონენტის მიზანია: საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა სატყეო სექტორში, ტყის რესურსების ეკონომიკური შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავება, ტყის რესურსების რეალიზაციის ახალი სააუქციონო სისტემის შემუშავება და მისი გამოცდა; ახალი ეროვნული სატყეო პოლიტიკის, სტანდარტებისა და სერტიფიცირების წესების შემუშავება; სატყეო სექტორის სტრუქტურული და ფინანსური რეორგანიზაცია და ინსტიტუციონალური გაძლიერება; საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფა; საზოგადოების ინფორმირება და ტყეების მართვაში მათი მონაწილეობის უზრუნველყოფა.

რეალობა ისეთია, რომ ფინანსები, რომელიც დღეს ტყის მართვისათვის გამოიყოფა, არასაკმარისია და ვერ უზრუნველყოფს დარგის ჯეროვნად განვითარებას. თვით სისტემაც მოძველებულია და საჭიროებს დახვეწას თანამედროვე რეალიების გათვალისწინებით. კომპონენტით გათვალისწინებულია, ტყის მართვის ისეთი მოდელის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს როგორც ტყეების მდგრად გამოყენებას, ასევე - დარგის ადეკვატურ დაფინანსებას, რის შედეგადაც, სარგებელს მიიღებს მთლინად ქვეყანაც და, კონკრეტულად, ტყეც.

ამისთვის საჭიროა გარკვეული ნორმატიული აქტების, კანონების შემუშავება, რასაც პირველი კომპონენტი, ასევე, ითვალისწინებს. ამას გარდა, ახალ ქვეყანას ახალებურად მოაზროვნე კადრები ჭირდება, რისთვისაც პირველი კომპონენტი არსებული კადრების გადამზადებასა და მომზადებას უზრუნველყოფს.

საზოგადოების ინფორმირება და ტყის მართვის საქმეში მათი მონაწილეობის უზრუნველყოფა ტყეების ეფექტურად მართვის საწინდარია. ჩვენს საზოგადოებას აქვს სურვილი, მონაწილეობა მიიღოს ტყის მართვაში, თუმცა მონაწილეობის ხარისხი დღეს არადამაკმაყოფილებელია. პროექტი ითვალისწინებს სტრატეგიის შემუშავებას ამ ხარვეზების გამოსასწორებლად, კონკრეტული სამოქმედო გეგმის შექმნას იმის განსასაზღვრად, თუ როგორ უნდა ჩაერთოს საზოგადოება ტყის მართვაში, რომ მოხდეს სამთავრობო-საზოგადოებრივი ბალანსის უზრუნველყოფა. ამგვარი ერთიანი მართვა უთუოდ წაადგება ჩვენი ტყეების განვითარებას.

მეორე კომპონენტი სატყეო მეურნეობის დაგეგმარებისა და მართვის გაუმჯობესებას შეეხება. მისი მიზანია ტყის დაგეგმვისა და მართვის გაუმჯობესება ცენტრალური კავკასიის სამოდელო ტერიტორიაზე. ამ კომპონენტის ფარგლებში გათვალისწინებულია: ტყეების ინვენტარიზაციისა და დაგეგმვის გაუმჯობესება მათი ლანდშაფტური-ეკოლოგიური ფასეულობების გათვალისწინებით; ტყის მართვის გაუმჯობესება და საინფორმაციო სისტემის შექმნა; ხე-ტყის დამზადების გარემოს დაცვის თვალსაზრისით უსაფრთხო ტექნოლოგიებისა და მეთოდების დემონსტრირება; სატყეო გზების რეაბილიტაცია; ადგილობრივი ტყეების მართვისა და საშეშე პროგრამების შემუშავება- განხორციელება.

ფაქტია, რომ ტყეების მართვის სისტემა დახვეწას საჭიროებს. ტყის მართვა უნდა ეფუძნებოდეს მისგან შემოსავლის მიღებას და ეკოლოგიური თანასწორობის შენარჩუნებასაც – სამეურნეო საქმიანობის ისე დაგეგმარებას, რომ ტყიდან სარგებელი მიიღოს ქვეყანამ და ბუნებამაც. შეზღუდული თანხების გამო, ზემოაღნიშნული აქტივობები განხორციელდება ცენტრალური კავკასიონის ხუთ რაიონში: ონი, ამბროლაური, ლენტეხი, ცაგერი და მესტია.

იმისთვის, რომ მართო, ბუნებრივია, უნდა იცოდე, რა რესურსის მფლობელი ხარ. სწორედ ამიტომ, ტყის მართვის გეგმის შედგენის პირველი ეტაპია ტყეების ინვენტარიზაცია - ანუ ტყის რესურსების აღრიცხვა. პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია ტყეების ინვენტარიზაციის მეთოდოლოგიის დახვეწა-შემუშავება და, პარალელურად, მისი პრაქტიკაში განხორციელება, აპრობირება. ეს კეთდება იმისთვის, რომ მაქსიმალურად ნაკლები დანახარჯებით მოხდეს საქართველოს ტყეების შესახებ მაქსიმალურად მეტი და ზუსტი ინფორმაცის მოპოვება.

მეორე ეტაპი ამ კომპონენტისა გულისხმობს საქართველოში ტყის მართვის საინფორმაციო სისტემის დანერგვას. ამისთვის საჭიროა ახალი კომპიუტერული პროგრამები და, ასევე - თავად კომპიუტერები; აუცილებელია სწავლება და ტრეინინგი კადრებისა, რათა მიზნები შეუცდომლად იქნას რეალიზებული. პროექტი სწორედ ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით შეეცდება ტყის მართვის გეგმების დახვეწას.

ტყის მართვის თანამედროვე გეგმები ორ ძირითად მიმართულებას უნდა დაეყრდნოს - გარემოსდაცვითსა და ეკონომიკურს. ამისთვის პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია ტყეების ეკონომიკური შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავება, რომელიც დაეხმარება ტყეების მართვის გეგმის შემდგენს, მოპოვებული ინფორმაციის შემდეგ გააკეთოს ტყეების ეკონომიკური შეფასება და აირჩიოს ტყის მართვის ის რეჟიმი, რომელიც მაქსიმალურ ეკონომიკურ სარგებელს მისცემს ქვეეყანას და, გარემოს დაცვის თვალსაზრისით, ნაკლებ ზიანს მიაყენებს მას.

მესამე კომპონენტი გულისხმობს ტყის დაცვასა და აღდგენას შერჩეულ პრიორიტეტულ ტერიტორიებზე. ეს კომპონენტი ითვალისწინებს ტყის დაცვისა და ინსპექტირების სამსახურების გაძლიერებას, თესლის წარმოებისა და დამუშავების ტექნოლოგიების გაუმჯობესებას, სამოდელო სანერგე მეურნეობის განვითარებას, ტყის აღდგენა-გაშენების პროგრამის განხორციელებას.

ტყის დაცვა გულისხმობს არა მარტო მის ფიზიკურ დაცვას, არამედ ტყეების დაცვას მავნებელდაავადებებისაგან და ხანძრებისაგან. ტყის ფიზიკური დაცვის გაძლიერების კუთხით, პროექტი დააფინანსებს ტყის დაცვის მობილური ინსპექციის ჩამოყალიბებას, უზრუნველყოფს მას ტექნიკითა და ყველა საჭირო საშუალებებით, ოპერატიული მოქმედებებისთვის. ამავდროულად, პროექტში გათვალისწინებულია ე.წ. ხერგილების მშენებლობა. ისინი დაიდგმება ტყეების "საზღვრებთან" და ჩაკეტავს მათ, რომ უნებართვოდ იქედან არც ერთი ხე არ იქნას გატანილი. პროექტი დააფინანსებს, ასევე, ისეთი ადგილების მოწყობას, საიდანაც შესაძლებელი იქნება ტყეებზე მეთვალყურეობის დაწესება, განსაკუთრებით - ხანძარსაშიშ პერიოდში.

მესამე კომპონენტის ფარგლებში, პროექტი დააფინანსებს, ასევე, კვლევებს მავნებელ-დაავადებების გავრცელების კერების შესასწავლად, რათა დაზუსტდეს, მავნებელ- დაავადებების არეალი, პარალელურად, დაისახება კონკრეტული რეკომენდაციები დაფიქსირებული პრობლემის გადასაწყვეტად. ეს მნიშვნელოვანია, თუნდაც იმის გათვალისწინებით, რომ სულ ახლახან ბორჯომის ტყეებში მომრავლდნენ მავნებლები, რამაც საკმაო ზიანი მიაყენა ტყის ეკოსისტემებს.

ამ კომპონენტის კიდევ ერთი საკითხია ტყის აღდგენა-განაშენება. პროექტში ამისთვის სოლიდური თანხაა გათვალისწინებული. მიმართულება ითვალისწინებს ტყის გაშენებას 3100 ჰექტარზე, ასევე - ბუნებრივი განახლების ხელშეწყობასა და რეკონსტრუქციას 5700 ჰა-ზე. ამ მიზნის მისაღწევად ჯერ ხარისხიანი თესლის დამზადება, სტანდარტული ნერგის გამოყვანაა საჭირო. სამწუხაროდ, დღეს საქართველოში გართულებულია მაღალხარისხოვანი თესლის დამზადება, რადგან განვიცდით სათესლე უბნებისა და სადედე ხეების ნაკლებობას. თესლის გადამუშავების მოწყობილობები, ხარისხის დასადგენი ლაბორატორიები ან არ არსებობს, ან სავალალო მდგომარეობაშია. პროექტი ითვალისწინებს თესლის დამზადებისათვის და მისი ტესტირებისათვის თანამედროვე ტექნიკური ბაზის შექმნას – ანუ საჭირო მანქანა-დანადგარების და ლაბორატორიული მოწყობილობების შესყიდვას

ხარისხიანი თესლის მიღების შემდეგ დგება ხარისხიანი ნერგეს გამოყვანის საკითხი. საქართველოში სანერგე მეურნეობები მოშლილია, ხოლო თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი სანერგე მეურნეობა, ფაქტობრივად, არ არსებობს. პროექტი სართიჭალის სანერგე მეურნეობაში საერთაშორისო სტანდარტების დონის სანერგეს მოწყობასაც ითვალისწინებს. სანერგე აღიჭურვება თანამედროვე მანქანა-დანადგარებით, რომლებიც მექნიზირებულად უზრუნველყოფენ თესვას, ნერგების გამოყვანას, ამოღებას და ყველა სხვა საჭირო ოპერაციას. ეს შექმნის საშუალებას, მინიმალური დანახარჯების საშუალებებით იქნეს მიღებული უმაღლესი ხარისხის სტანდარტული თესლ-ნერგი.

გარდა ამისა, პროექტი ითვალისწინებს დახურულ ფესვთა სისტემიანი ნერგის გამოყვანის დანერგვას. ამის მცდელობები საქართველოში იყო, მაგრამ ეს მეთოდი ჯერ არ გამოუყენებიათ. პროექტი ამ ხარვეზს გამოასწორებს. ეს მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც დახურულ ფესვთა სისტემიანი ნერგები გაცილებით უკეთ ადაპტირდება ნიადაგში, გაცილებით ადვილად გადაიტანება ღია ფართობზე, გაცილებით ადვილად ეგუება გარემოს, რაც სასურველი რაოდენობის ნერგის ნაკლები დანახარჯების პირობებში გახარების კარგ საშუალებას იძლევა.

ამ კომპონენტის კიდევ ერთი მიმართულება ტყის აღდგენა-გაშენებას ითვალისწინებს. მსგავსი რამ საქართველოში აქამდეც კეთდებოდა - მაგალითად, ფუნიკულორზე გაშენებული ტყე. სამწუხაროდ, დაუფინანსებლობის პირობებში, ეს საქმიანობა შეჩერდა. მსოფლიო ბანკის პროექტის მიხედვით, ტყე არა მარტო აღდგება და გაშენდება ახალი სახელმძღვანელო ინსტრუქციების მიხედვითა და საერთაშორისო მოთხოვნების გათვალისწინებით, არამედ შემუშავდება სპეციალური მეთოდოლოგია ეკონომიკური ანალიზისთვის, რომელიც უზრუნველყოფს იმის გარკვევას, რამდენად მოგებიანი იქნება კონკრეტულ ადგილას ტყის გაშენება. ახალი მოდელის მიხედვით, ტყის გაშენებზე დახარჯული, თუნდაც, 10 ლარი უნდა იყოს გარანტი იმისა, რომ ქვეყანა 150-200 ლარის სარგებელს მიიღებს - ფული ტყის გაშენებაზე დაიხარჯება იმ შემთხვევაში, თუკი ქვეყანას ეკონომიკური ეფექტი ექნება. ამ მიმართულების პილოტირებისთვის ნავარაუდევია ტყის გაშენება ცხრა რაიონში: დმანისში, ბოლნისში, მარნეულში, თეთრიწყაროში, გარდაბანში, მცხეთაში, კასპში, დუშეთსა და საგარეჯოში.

ტყის განვითარების პროექტი საერთაშორისო განვითარების სააგენტომ სტანდარტული 40-წლიანი, 0,75-პროცენტიანი კრედიტით დააფინანსა. კრედიტის მოცულობა 15,7 აშშ დოლარის ეკვივალენტია გადახდის ათწლიანი შეღავათიანი პერიოდით. ტყის განვითარების პროექტი 2002-2009 წლებს მოიცავს და მისი მიზანია სატყეო სექტორის მართვის მისაღები და ეფექტური სისტემის დანერგვა, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოს ტყეების ეკონომიკური სარგებლიანობის გაზრდას და უზრუნველყოფს სოფლად სიღარიბის დაძლევას, რაც მდგრადი გარემოსდაცვითი პრინციპების საფუძველზე განხორციელდება. მომდევნო პუბლიკაციებში ჩვენ დეტალურად განვიხილავთ პროექტის ფარგლებში უკვე ჩატარებული სამუშაოს შედეგებსა და მომავალ გეგმებს, დღეს კი ზოგადად მიმოვიხილეთ იგი.


*სამოდელო ადგილი ტყის ინვენტარიზაციისთვის.*